



მნათობი

76

3

83600



1951

114
1951
საქართველოს
საბჭოთაო
წიგნიანობა

მნათობი

უკველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საპარტვილოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხე

114

507

3

★

მ ა რ ტ ი

19

სახელგაში
თვილისი

51



პირისპირ

რომანი

წიგნი მეოთხე *

ბედი მღვმარი

I.

მაყამვილების ბინიდან კორნელი აგ-
ზნებელი გამოვიდა და ჩქარის ნაბიჯით
გაემურა შინისაკენ. შინ სანდრო ხოტი-
ვარი დაუხვდა. იგი დეიდა ელენესთან
საუბრობდა სასტუმროში. იუნკრის ტა-
ნისამოსი ეცვა, სანდრო თბილისის სამ-
ხედრო სასწავლებელში შესულიყო.
მკერდზე ჯარისკაცის გიორგის ჯვარი
ეკიდა, დეხებიანი იუხტის ჩექმები ჩა-
ეცვა, თმა გაეკრიჭა და მომავალ ოფი-
ცერს ოთახში ყაზარმის სუნი დაეყენე-
ბინა. სანდრომ დიდის ამბით ვადაცოც-
ნა კორნელი.

კორნელიმ თავის ოთახში შეიკვანა
და, დეიდა ელენეს ბინაში მომხინდრე-
თა გადაჯგუფება მომხდარიყო. ელენემ
კორნელის ოთახი რუსეთიდან ოქტომბ-
რის რევოლუციის შემდეგ გამოქცეულ
მათორს იური ანდრიას-მე ბოგოლიუ-
ბოვს და მის ცოლს მარია გელბოვს
ასურეს მიეჭრა დათა მიქელაის კა-
ზინებში რუსეთიდან ჩამოსული დათას
ნათესავი, სამსახურიდან ვადამდგარი
პოლკოვნიკი ბეტრე მიქელაძე და მისი
ცოლი, რუსი ქალი — სოფია პავლეს
ასული დადგნენ. დათამ თავისი კაზინე-
ტი სასტუმროს ერთ კუთხეში მოაწყო.
კორნელი საკუქნაოსმაგვარ პატარა
ოთახში გადაიყვანეს. ამ ოთახს ელე-
ნეს მთავარ ბინიდან დერეფანი ჰყოფდა
და მისი ფანჯარა აივანზე, გიმნაზიის
უკანა ეზოში — ბაღში გადიოდა. ეს

„უბედურება ღვთისგან გვირს, რადგან
იგმე ქრისტეს წილის გველი,
გველი ბოროტი, რომ გუშავობდა
მღვიმიდან ქალის შუქან მღელს“.

სოფოკლე „ფილოტაბი“.

ძალზე სწყინდა კორნელის, რადგან იგი
მიხვეული იყო თავის წინანდელ ოთახი-
დან სანაპირო ქუჩის, მტკვრისა და
მტკვრის გაღმა ქალაქისა და მთების
ცქერას. ახლანდელ ოთახიდან კი ფანჯ-
რის ახლო, ბაღში მდგარი მხოლოდ
ნეკერჩხლები და გიმნაზიის სამსარ-
თულიანი აგურის შენობის უკანა კედ-
ლი სჩანდა.

სანდრო ხოტივარი კორნელის სა-
წოლზე გაიშხლართა, ამოიხვეწა და
დაიწყო:

— ვიგა ხუციშვილის, მიტო ჩიკვაი-
ძის, პეტრე ცხომელიძისა და შენს ვარ-
და, ჩემი მეგობრები — ყველანი სამ-
ხედრო სასწავლებელში შეიკვინენ. ბეი-
რმა მიატოვა უნივერსიტეტი.

— მიუქარავთ, — მოუქრა საწერ მა-
გიდასთან მჯდარმა კორნელიმ.

— რატომ?

— ჩვენში ოფიცრები ისედაც ბევრია.

— რა ჭირად გინდა მერმე ისინი?

მათი უმრავლესობა გადაგვარებული და
გარუსებული მონარქისტებია. საქართ-
ველო მათ ფეხებზე ჰკიდიან. ისინი დე-
ნიციანთან საერთო ენას ადვილად გამოს-
ძებნიან. ხომ ხედავ ჩვენს არმიის შტა-
ბის უფროსს — ნიჭიერი და ჭკვიანი გე-
ნერალი ოდიშელიძეც კი ჩინებულად
მეგობრობს დენიკინის ელჩს. გენერალ
ბართოვს. და რაღა ითქმის ისეთ გა-
რუსებულ გენერლებზე, როგორიც თა-
ვადი ციციანოვი, გაბაევი, სუმბათოვი
და სხვანი არიან! ჩვენ სულ სხვა ტრადი-

ციებზე აგებულ, ქართულ სამხედრო სასწავლებელს ვაქმნით, რომელმაც პატრიოტულად გახსოვნილი კადრი უნდა აღზარდოს ოფიცერებისა... სამხედრო სასწავლებლის უფროსმა, პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ნამდვილი პრუსიული, მკაცრი დისციპლინა შემოიღო. კურსის ოფიცერებად და მასწავლებლებად გამოიწინილი ქართველი სამხედრო პირები, პედაგოგები და პროფესორები მოიწვია. მე საარტილერიო განყოფილების იუნკერი ვარ, არტილერიისტებს მეტი დატვირთვა გვაქვს, როგორც მათემატიკის და სხვა საგნების შესწავლის მხრივ, აგრეთვე ცხენების მოვლის მხრივაც, ერთი წუთი მოსვენება არა გვაქვს, ძალზე ვიქანცებით.

— რა გინდოდა სამხედრო სასწავლებელში რომ შესულხარ? კონსერვატორია რად მიატოვე? შენ კარგი ხმა გექვს, — უთხრა კორნელი.

— მეიშვება, ოპერის მსახიობი გამოვსულიყავი და იქ კარიერა გამეკეთებინა. სამხედრო დარგში კი მე კარიერის გაკეთება შემიძლია, — შეინშნა სანდრო.

— ვიცი, ჩემი მწერლობასაც შენ იქნის თვალთ უყურებ, რა გაიწყობა: შენი ხმალი და ჩემი კალამი სულ სხვადასხვა საქმეს მოემსახურება. შენ, ნებით თუ უნებლიეთ, ბურჟუაზიულ საბელშეიფოს შექმნისათვის უნდა იბრძოლო, მე კი რევოლუციას და თავისუფლებას ვემსახურ. როგორც ხედავ, შენი — პრუსიული სკოლის იუნკრისა და ჩემი გზა ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდება.

— მე ადრევე ვგრძნობდი ამას, — უქმყოფილოდ მიუგო სანდრომ. წამოდგა, მოშვებული ჭაპარი ისევ შემოიჭირა, ვიორლის ჯვარით დამშვენებული მკერდი ამოხიდა, ქარქაშში ჩაგებულა ხიშტი გაისწორა, ქუდი დაიხურა, დეზებიანი ჩექმების ქუსლი ქუსლს მიარტყა, გასწორდა, კორნელის ხელი ჩამოართვა და ქარში გავიდა.

სამხედრო სასწავლებლისაკენ მიმავალი სანდრო ფიქრობდა:

„კორნელის არც კი დაუპატიჟებია, კიდევ შემოიარეო. ცივად შემხდა და დამეშვიდობა. უმაღლრი კაცი ყოფილა. მე კი გულთბილი მეგობარი მეგონა. მწერლობა რომ დაიწყო, ალბათ მიტომ შედიდურობს. ენახოთ, ვინ უფრო დიდ კარიერას გააკეთებს: ის მწერ-

ლობაში, თუ მე — სამხედრო დარგში? — ფიქრობდა პატრიოტულად; სამპარტავანი და კარიერის მთქვერულსკაცი, და არ იცოდა თუ რა ციციხლი ტრიალებდა სატრფოსთან უკანასკნელ პეიმახიდან დაბრუნებულ მეგობრის გულში.

2

საქართველოს ქალაქებში მწერთნელთა ჯგუფის გაფრენა ოცდახუთ სექტემბრისათვის გადაედო სატრენარჯიშო საზოგადოებას და მისი თავმჯდომარის გურგენის თხოვნით კორნელი ყოველდღე დილით და საღამოთი სასპორტო დარბაზში სავარჯიშოდ დღიარებოდა. თუმცა დღენიადავ ვარჯიშობა საზიანო იყო მისთვის.

ფულს ყოველგვარი ფასი დაეკარგა, სურსათ-სანოვავი და საქონელი გაქრა და საზღაპოდ გაძვირდა. უძრავი სობას, მათ შორის დირექტორს — დათა მიქელაძესაც, ჯამაგირი არ ჰყოფინდა, გაქირავებულად ცხოვრობდა და იმელებული გახდა თავისი კაბინეტი რუს მართისათვის მიექირავებინა. კორნელიც, ცუდი კვების გამო, გახდა და დასუსტდა. თავს ძალას ატანდა და ვარჯიშობას მაინც არ ეშვებოდა. ამას კიდევ ერთი უბედურება დაეერთო, რამაც სულთლად გასტყვა მისი ჯანი.

ერთხელ „შეგარდენში“ ლერძზე, ორძელზე, და რგოლებზე ხანგრძლივი ვარჯიშობის შემდეგ, გაოფლიანებულა, მა სპორტსმენებმა დარბაზის აბანოში შხაი მიიღეს, ჩანთებში სავარჯიშო ტანისამოსი ჩაალაგეს, ჩაიცვეს და ქალაქში გამოვიდნენ. ღამის 10 საათი იქნებოდა. პლუხანოვის პროსპექტზე რომ გამოვიდნენ გიგა ხუციშვილი შეეყარათ. კუკური ზარანდიან — მას, კორნელის და მიტო ჩიკვაიძის წინაღობა მისცა: მსახიობთა კლუბში წაივლიეთ, იქ ჩემი მეზობელი და მოგვარე ბონდო ზარანდიან ბუფეტის გამგედ არის და ვიჯახშმოთო. რაოჯაან გიგას, კორნელის და მიტოს შიშლით კუჭი ეწოდათ, მაშინვე დასთანხმდნენ. მეგობრები მიხეილის სააჯამყოფოს გასცდნენ და მსახიობთა კლუბში შევიდნენ, ჩანთები მეგარდერობის მიაბარეს. კუკური რესტორანში ბუფეტის გამგესთან — ბონდო ზარანდიანთან მოსალაპარაკებლად გაეშურა.

ქუკურამ, მიტომ, კორნელომ და გიგამ ბუფეტის ახლოს დაიჭირეს მაგიდა, ოფიციალური საუბრე, მწვანეები და, თუმცა მოვარჯიშეებს მაგარი სასმელები ატარებდა, ჰქონდათ, კახური ლენოც შეუკვეთეს. ირგვლივ კორნელისათვის ხაცობები და უცნობი ოფიცრები, მსახიობები და ქალები ისხდნენ. რესტორნის გვერდით კაზინო იყო და კაბინეტებში და ოთახებში კარტს და ლოტოს თამაშობდნენ. დაეინებით და გულის გამწყალბლად ისმოდა მშვიერი უხარისხო და აწ ხარისხაყრილ მოხუცი პოლკოვნიკის ხმა: „ასი“, „თერამეტი“, „სამი“... ამ ახალ, დამამცირებელ ხელობისაგან პოლკოვნიკს პურის ფულაციც კი არა რჩებოდა. კაბინეტებში სპეკულიანტები და შულერები ბანქოს თამაშობდნენ და მილიონებს აკებდნენ.

სპორტსმენების გვერდით ორმა კაცმა მაგიდა დაიჭირა. ერთი კორნელის მიესალმა. კორნელი იცნობდა მას. იგი კატაჯვარით ყბაგამოჭმული პროვიზორი ბესარიონ ბერეჟიანი იყო, ახალ კოსტუმში გამოწყობილი, ქერა, მღალღი და გამხდარი, შუახნის კაცი. პროვიზორმა ბერეჟიანმა დიდი პორტფელი გახსნა და თანამესუფრეს, ჩასუქებულ, შავგვრემან კაცს ლამაზ ყუთებში ჩალაგებული კოკაინი, ქაფური, ინსულინი, სალვარისანი და სხვა უცხოური პრეპარატები უჩვენა და უთხრა: „თუ მართლა მყიდველი ხარ, იაფად ვამდეგ და იყიდ. ინგლისური მარკის ასეთ პრეპარატებს ვერსად ვერ იშოვნის“. ისინი დიდხანს ვერ მორიდდნენ ფასში და ხმამალა დაობდნენ.

— აფთიაქებში წამალი არ იშოვება, ხალხი უწამლოდ იხოვება და, ამა ერთი ამას უცქირე! აი, ამას ჰქვია მოურიღებელი სპეკულაცია, — უთხრა მეგობრებს გიგა ხუციშვილმა.

მენშევიკურ მთავრობას ძალა და უნარი არ შესწევდა ქვეყნის მეორეობის ორგანიზაციისათვის. ინდუსტრიულიზაციის განვითარების მიზნით, მენშევიკებმა სცადეს სახალხო მეურნეობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დარგები უცხოელ კაპიტალისტებისათვის კონცესიით გადაეცათ. მაგრამ ამ წამოწყებიდან არაფერი არ გამოვიდა. ფაბრიკა და ქარხნები დღეღამეზე იხურებოდა და მწარმოებელი თავის კაპიტალს სპეკულაციურ ვაჭრობაში დებდნენ. სპეკულაციურმა ვაჭრობამ სა-

ქართველოში დამღუპველ მასშტაბს მიღწია და იგი დღითიდღე უფრო არაჩვეულოდა შლიდა ქვეყნის ისედაც მწველილ ეკონომიურ მდგომარეობას. მსაქმეებთან კრიზისი და სიძვირე საარაკოდ იხრებოდა. იგი მძიმე უღლად აწევებოდა მშრომელ მოსახლეობას და თუ ვინმე კარგად ცხოვრობდა, ეს მთავრობის წევრები, მათთან დაკავშირებული პირები და უცხოური და ჩვენივე სპეკულანტები. სპეკულაცია ნამდვილ სენად იქცა. რა დარგის ხალხი არ იწეოდა ახლა სპეკულაციას? მინისტრი, ვიქილი, ექიმი, პროვიზორი...

კორნელომ პროვიზორი ბერეჟიანისაგან შეიტყო, რომ კაზინოში პოეტები ბანქოს თამაშობდნენ. მალე შულერებისაგან პირწმინდად ჯიბეგაუმწინდილი პოეტები აღელვებულნი, აგზნებულნი და სახეგაწითლებული გამოვიდნენ კაზინოდან და კორნელი რომ დანიახეს, მივიდნენ და ვადაკოცნეს. კორნელიმ მეგობრები გააცნო მათ და სუფრასზე მიიწვია ისინი, მაგრამ პოეტებმა უარი უთხრეს. შავ კოსტიუმში გამოწყობილმა, შლაპიანმა, ლამაზმა და ახოვანმა პოეტმა რაფაელ ახვლედიანმა უთხრა:

— აქ დაგვიცადეთ, ნურსად წახვალთ. ჩვენ მალე დაებრუნდებით. კაზინოში მთამამე ხალხთან ანგარიშს გავასწორებთ, თვალის სიერს განახებთ და მერმე ყველანი „ქიმიკონში“ წავიდეთ საქეიფოდ.

კორნელის თვალის სიერის ნახვა და რესტორან „ქიმიკონში“ საქეიფოდ წასვლა არ დასცალდა. როდესაც რაფაელი და ლეონარდო გავიდნენ, ქონდრის კაცი თეოფილ გოთუა ისევ კორნელის, მიტოს, გიგას და კუკურის მაგიდასთან დარჩა, ზედიზედ აიღო მწვადის ნაჭრები და გამაღებით შექამა, ზედ ლენო დააყოლა, ხელსახოციტ ხედა და ტუჩები გაიწმინდა. მერმე მანქებიდან გრძელი ხელები გამოაძვრინა, მარჯვენა ხელის სამი თითი, პირჯვრისწერის დროს რომ იციან ისე შეაკავშირა, მარცხენა ხელის გულზე დაატრიალა და კორნელის უთხრა:

— კი კორნელი გიორგის ძეგ, კი დიდი ხანია ერთმანეთი არ გვიანახეს და, ჩვენ შეხვედრას მარილის მოყრა მოუხდება.

უმაღლე შეტრიალდა აგურისგვრ ჩინებულ კოსტუმში გამოწყობილი ქონდრის კაცი, რაფაელსა და ლეონარდოს

გამოუდგა და კარებისაკენ მივსახებრ წაუხსტულდა.

გიგა ხუციშვილმა გაიცინა და კორნელის უთხრა:

— ვახ, ერთი ამ კრუხის პალოს უკუქირე, რა დღეშია. ესეც პოეტია? რა დასწერა მგე პარიზელმა თეოფილ გოთვამ. „ემალი და კამეა“ თუ „ტყემალი და კამა“? სახელებიც როგორი შეურქმევიათ: თეოფილ, რაფაელ და ლეონარდო. ვითომ რაიმე იტალიელი გინოსი მხატვრები ვართო!

3.

გიგა, კორნელი, მიტო და კუკური შუა პურისკამშიც არ იქნებოდნენ, როდესაც რესტორანში მხიარული კომპანია შემოვიდა: ჩინებულად ჩაცმული ორი ქალი და ფრენსისა და გალიფში გამოწყობილი ორი შეიარაღებული ვაჟკაცი. ის ორი ქალი მარგარიტა ლიტვი და ქეთო მალალაშვილი იყო. კორნელი შეკრთა, შეშფოთდა და თვალის მოაოიდა.

მხიარულმა კომპანიამ სპეკულიანტი პროვიზორის — ბესარიონ ბერეჟიანის გვერდით დაიჭირა მაგიდა. კორნელი კარგად იცნობდა მარგარიტას და მის მეგობარს ქეთოს, ხოლო მათ კავალრებს — კლიმენტი ჩხიკვაძის და დათიკო ჯორბენაძის კი არა. ეს მაღალი და ყანადივით მაკტერალი ვაჟკაციები, როგორც მერმე გამოირკვა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის თანამშრომელნი ყოფილან. მარგარიტა და ქეთო კორნელის მიესალმნენ, ახეტავე აქ არ მოესწოლიყავ და მარგარიტას არ შეეხვიდროდე — გაიფიქრა კორნელი.

— რა მიყიდე მგე კაცს, სპეკულიანტი? — გადამძახა მარგარიტას კავალრმა კლიმენტი ჩხიკვაძემ ბერეჟიანს.

— ქაფური და კოყანი, — უშიშრად მიუგო ბერეჟიანმა.

— ინსულინი უნდა მიშოგო ერთი ჩემი ამხანაგისათვის, შეუკვეთა ჩხიკვაძემ.

— ინსულინს იმ კვირამდე ვერ გიშოვი ძამია, — მიუგო ბერეჟიანმა.

— მიწა გახეთქე და ორ დღეში მიშოვე, თორემ სულს ამოგხდი იცოდე.

— სულს შენისთანა ყაზლარს კი არა და, ღმერთსაც არ ჩავაბარებ. ცოტა

ხანს დამიცადე, ბიძია, ნამდვილ საზღვარგარეთელ პრეპარატს გეშვოვ მაგვიერში.

მარგარიტა თვალს არ ამორებდა კორნელის, რალაცას ანიშნებდა და უღიზოდა, რაც ძალზე სწყინდა ამჟამად მის მიერ მოხიბლულ კავალრის კლემენტი ჩხიკვაძეს. კორნელი ისევე თვალს არიდებდა ქალს. მარგარიტა და მისი თანამესუფრენი ვახშამს შეეძინენ. მამაკაცები ზედზედ სვამდნენ ღვინოს და ქალებსაც აძლებდნენ. შეზარხოშებულ მარგარიტა უტიფრად და მოურიდებლად ისე ხმამაღლა ხარხარებდა, რომ ახლა რესტორანში მყოფნი ყველანი მას გასცქეროდნენ. დათიკო ჯორბენაძესთან ველაც პატარა, შავი, გამხდარი და მახინჯი კაცი მივიდა. სკამი მოიტანა, დათიკოს გვერდით მიუჯდა და წასჩურჩულა:

— აგერ, ის სტუდენტები, მე რომ ვითხარო.

— რომელი, ბიჭო? — ჰკითხა დათიკო ჯორბენაძემ.

— გიგა ხუციშვილი და მიტო ჩიკვაძე, ოცდა ექვს მაისს ვაქეში გამართულ შეიმზე ყორდანიას, ჩვენ რესპუბლიკას, ინგლისს და ინგლისის მინისტრებს რომ აგინებდნენ და ხალხში ბოლშევიკურ აფიტაციას ეწეოდნენ, — მიუგო ჯოჯა კაცმა.

— სად არიან? — ჰკითხა დათიკომ.

— მერე გაიხდეს, — ჩუმად მიუგო პატარა კაცმა. — ბუფეტთან სხედან. მიტო ჩიკვაძის შავი კოსტიუმი აცვია, ყველაზე ზორბა ვაჟკაცია. ხელმარჯვნივ გიგა ხუციშვილი უზის — ღიმიანი კაცი. ხელმარცხნივ — მწერალი გიორგი მახვილაძე. ბოლოს სტუდენტი კუკური ზარანდია. გიორგი მახვილაძე ზომ იცი ვინ არის?

— ვიცი, კორნელი მხეიძია. ის ზორბა ვაჟკაცია, ბიჭო. მიტო ჩიკვაძე? ხელმარჯვნივ კი ის ჩასუქებული, მელოტი კაცი, გიგა ხუციშვილია?

— ჰო, ნამდვილად და უიპვოდ, — განზე გაიხედა და ისე დაუდასტურა გამხდარმა კაცმა.

— კარგი... ცოტა ხანს მოიცადე და მერე წადი. — მოუჭრა ჯორბენაძემ.

გიგამ მაშინვე იცნო ვაჟეში მის მიერ შემჩნეული ჯაშუსი.

— გველის წიწილა, — ამრეზით დამახა მან და მერე მეგობრებს უთხრა:

— იცით, ბიჭებო, ვინ არის ის პატარა, მახინჯი კაცი? საგანგებო რაზმის

აგენტი. ცნობების მიმწოდებელი. ალბათ, ის ვაჟბატონები კედლის რაზმის თანამშრომლები არიან... ფრთხილად იყავით.

როცა ჯამუში წავიდა, კლემენტი ჩხიკვაძემ დათიკო ჯორბენაძეს ჰკითხა: — რას გეუბნებოდა, ის ჯოჯოხეთის მამხალა?

— აგერ, ბუფეტთან მელოტი კაცი რომ ზის, მოწამლული ბოლშევიკია, ჩვენი მოსისხლე მტერია: გივა ხუციშვილი. აი ის ზორბა ვაჟაკი შავ კოსტოუმში კი — მიტო ჩიკვაძე. ისიც ბოლშევიკია. ხუციშვილს და ჩიკვაძეს ამ ორსამ დღეში აეწევე და გამოუყვან წირვას, მაგრამ ჩიკვაძე ოლიერია და მოჩხუბარი ბიჭია და ხალხი ბლომად უხნა წაუვიყვანო. ხუციშვილი და ჩიკვაძე ქარხანაში, ჯარის ნაწილებში დამრწიან, ავტაციას ეწევიან, მუშებს და ჯარისკაცებს აჯახებენ და ამხედრებენ...

დათიკო ჯორბენაძის უკანასკნელ სიტყვებს ყური მოჰკრა ქეთო მალალაშვილმა... დათიკო განაგრძობდა:

— მაგათ დღეს თუ ხვალ დაგიჭერ, მაგრამ რათ გინდა მერე შენ? ამას წინათ ერთი იატაკქვეშ მომუშავე ცნობილი ბოლშევიკი, ქიათურის ყოფილი მუშა ფრუიძე დაიჭირა დომინტი მელაძემ და იმ შწერალმა კორნელი მხეიძემ გამოაშვებინა. მისა ფრუიძე მაგის ძმის ძიძიშვილი ყოფილა.

— გამოაშვებინებდა, თუ შეიძლო. ხომ იცი, ძიძა დღესაც ტყიბილია.

— მაგი რას გამოაშვებინებდა, მაგრამ დიდ ხალხთან აქვს საქმი. იცი, ვისი ძმია?

— არა,
— ცნობილი ქირურგის, პროფესორის ევგენი მხეიძის.

— მართლა? — ჰკითხა ჩხიკვაძემ.

— ჰო, — მიუგო ჯორბენაძემ.

სანამ კედლის განსაკუთრებული რაზმის თანამშრომელნი საუბრობდნენ, მარგარიტა და ქეთო წამოდგნენ, დარბაზი გაიარეს და საბირთვარეშოში შევიდნენ. როდესაც უკან გამობრუნდნენ, მარგარიტა კორნელის და მისი მეგობრების სუფრასთან შეჩერდა, კორნელის თავზე დაადგა და უთხრა:

— როგორ არ გრცხვენიათ, განზრახ თვალს მარიდებთ! თითქო არც კი მიცნობდეთ, ისე გიჭირავთ თაი. რა დაგიშავეთ?

— თქვენთან ყოველი შეხვედრის შემდეგ ჩემი საქმი შავდ მდიდს, — შენიშნა კორნელიმ. კუპურა მარგარიტამ ქალის წინაშე აღმმა უხერხულად წასთვალა. წამოდგა, მარგარიტას და ქეთოს სკამი შესთავაზა.

მარგარიტა მამხინვე კორნელის გვერდით დაჯდა და ქეთოს უთხრა:

— შენ წადი, ქეთო. მიდი, უთხარი ჩემს მაგიერ ჩვენ მასპინძლებს, მეგობარი ნახა და მალე მოვა-თქო, თორემ ხომ იცი, თავზე ხელაღებული და გიჟი ხალხია. არ მინდა უსამაოვნება მოხდეს.

კორნელიმ ქალებს მეგობრები გააცნო. ქეთომ ბოდიში მოიხადა და მალე წავიდა, მიტომ ვერ მოითმინა და მარგარიტას შენიშნა:

— ნუ დარდობთ. ჩვენ შმიშარები არა ვართ, გივებს ქუჯაზე მოვიყვანთ.

— ეს არ არის საქირო, ვაჟაკო, — გააფრთხილა მარგარიტამ და ამის შემდეგ კორნელის და მისი მეგობრების მოხიბვლას შეეცადა, კომწიაობა და სიცილი დაიწყო.

კლემენტი ჩხიკვაძე აენტო და ქეთოს უთხრა:

— თუ მარგარიტამ მიმატოვა და იქ დარჩა, ცუდად წავა მისი და იმ ვაჟაკების საქმი.

ქეთო შეშინდა და მარგარიტას ანიშნა, მოდიო. მაგრამ მარგარიტამ ამრებით ჩიქნა ხელი, მომწყდო.

— წადით, მარგარიტა, თქვენი კავალერი წელაქს. — უთხრა კორნელიმ.

— ეშმაკმა წალოს მაგის თავი და ტანი, — ისევე ჩიქნა ხელი ნახვამბე ქალმა. მიტომ და კუკურიმ გაიცინეს...

„სანამდე დასულა ეს ქალი, ვიღაც ჯიბურებში ქეიფობსო“, — გაიფიქრა კორნელიმ. მოთმინებიდან გამოსული და შეუტრაცხუფილი კლემენტი ჩხიკვაძე წამოდგა, მარგარიტასთან მივიდა, მკლავში ხელი ჩაჰკიდა და უთხრა:

— წამოდით. სხვის მაგიდაზე გადაჯლომა რა საკადრისია?

— ეს სხვისი მაგიდა არ გახლავთ. ეს ჩემი მეგობრის — კორნელი მხეიძის მაგიდა არის. — მიუგო მარგარიტამ და კორნელი და მისი მეგობრები გააცნობითვალა კლემენტიმ განისხლიანებულნი თვალეები მიანათა კორნელის და მის მეგობრებს და ოდნავ დაუჭრა მათ თავი. იგი აღრენილი იყო. მიტომ სკამი შესთავაზა.

— არა, ბიძია, — ავღებულად უთხრა კლემენტიმ, — მე ჩემი სკამი და ჩემი

მი მაგიდა მაქვს. მე შენი და ამ ქალის შუამავალი კი არა ვარ. მე დავპატივი ეს ქალი, ვაძეიფე, ფული დაიხარჯე და ჩემთან უნდა იყოს. — მერმე ისევ მაგრა ჩაავლო ხელი მარგარიტას მკლავში და უბრძანა: — აბა, მალი ადგიქ!

— რას ჩამაცვიდით. მე აქ ყოფნა პირჩვენია... დაჯექით ცოტახანს.

კლემენტე უხეშად ჰკრა ხელი და სკამიანად კინალა წააქცია. მერმე მუწურზე გაისვია ხელი და უყვირა:

— როგორ თუ აქ გირჩევნია ყოფნა, მე უნამუსო! ადგიქ, თორემ.

კლემენტე გვერდზე ედგა მიტოს. კორნელიმ გააფრთხილა:

— ამხანაგო, ქალის შეურაცხყოფა ვაჯკაცს არ შეშვენის, ცოტა ზრდილობიანად დაიჭირეთ თავი და წესიერად ილაპარაკეთ!

— ვინ გვიტოხება, ბალი ამ შურად არისო? ქუჩის სწავლებას თავი გაანებე და უტარო კოვზით სხვის ქებაში ნუ ვარდები, თორემ... — უთხრა კლემენტემ და მუწურის კონდახს შეაიღო ხელი.

— რას გვაშინებთ! მუწური დააყენე და წადი იარე... ქვიჯანა დიდა, — მხარი აუბა მიტომ კორნელის.

— ეს კიდევ ვინ ეშმაკია?! მე კი არა, შენ დააყენე ესა, თორემ...

— თორემ რა? — ახლავ ციხეში მიგაბრძანებ. გიკნობთ, რა ვაებატონებიც ბრძანდებით.

მიტო წამოდგა და დინჯად უთხრა:

— ნუ ებედობ, მიბრძანდი აქედან, თორემ ისეთს მოგადებ, რომ მამაშენი ეშმაკად მოგჩვენოს.

— ვის მიაღებ, მე შენი, — უყვირა გაცეცხლებულმა კლემენტემ, დედა შეაგინა და, ის იყო მუცელში უნდა გაერთყა ტყვია მიტოსათვის, მაგრამ კორნელიმ დაასწრო, წამოხტა და მუწურზე დაურტყა ხელი.

მუწურმა დაიკეკა. კორნელიმ მაჯაში სტაცა ხელი კლემენტის, მარწყხივით მოუჭირა და იარაღი გაადგდებინა. იგი კუკური ზარანდიამ აიღო. კლემენტე კუკურისკენ გაიჭრა, მაგრამ მიტომ საყელოში სტაცა ხელი. მოაბრუნა და ისეთი მაგრა შემოჰკრა სახეში, რომ იატაკზე დაადგო... დათიყო ჯორბენძე გაიბარა.

გასმა ქალების წივილივილი. ხალხი წამოიშალა და გაიქცა. კაზინოში ბანქოს მოთამაშენიც წამოიჭრნენ, ფუ-

ლებს დასტაცეს ხელი, შარვლისა და პიჯაკების ჯიბეებში ჩაბდუღდნენ. ხანციები და კარებს მისცვიდნენ.

როცა მუწური გაეპარდა, კორნელის ასე მოეჩვენა. თითქო ფეხზე კეტი შემოჰკრესო. დაბუთებულ ფეხზე დაიხედა, სისხლი დაინახა და სკამზე დაჯდა. იგი დაქრილი იყო.

რესტორანის დარბაზში სკამზე დამჯდარ კორნელისთან, ოფიცერთა შორის მოქეიფე, ჩოხაში გამოწყობილი ვილაც ახოვანი კაცი მივიდა და ფეხზე დახედა. კორნელიმ მამინე იცნო მისი ბატარეის ყოფილი ზემდეგი სოსო ლაზრიშვილი. მოაგონდა, ბრიგადის საწყობთან გუშაგობის დროს ნაგაზი რომ მოჰკლა ლამით და ლაზრიშვილმა დასცინა.

კორნელის გალიფე, შავი ჰამაშები და ბოტინკები ეცვა. სისხლი შადრეგანივით ასხამდა ფეხსაცმელის ყელიდან. სოსო ლაზრიშვილმა ჰამაში გახადა, ფეხსაცმლის ზონარები ხანჯლის წვერით შეაჭრა, ფეხსაცმელი და წინდა გააძრო და ქრილობაზე დახედა.

კორნელის ტყვია ტერფის ზემო არეში ჰქონდა მოხეღრილი, ქუსლის მიდამოს გავლით. ტყვიას ფეხსაცმლის ქუსლიც გაეგლიჯა და იატაკში შერქობილიყო. ომში ნამყოფმა და გამოცდილმა ზემდეგმა ლაზრიშვილმა პირველადი დახმარება აღმოუჩინა. სისხლის დენის შეჩერების მიზნით, ჰკედა კიდურზე ლატი დაადო, ხელსახოცი მაგრა მოუჭირა.

კორნელის არაფერი არ უგრძენია. ქრილობა არ ტკიოდა. ის აშინებდა მხოლოდ, რომ იატაკზე სისხლის მთელი გუბე იდგა. თანაც რცხვეროდა, ოფიცრები და ამტენი ხალხი თავზე რომ დასდგომოდნენ.

სოსო ლაზრიშვილმა ზარანდიას მუწური გამოართვა და მას და მიტოს უბრძანა, კორნელი საავადმყოფოში წაეყვანათ.

4.

მიტო და კუკური მხარში შეუდგნენ კორნელის, კიბეზე ჩაიყვანეს და ჰუნაში, ოფიციალტის მიერ უკვე მოყვანილ ეტლში ჩასვეს და მიხეილის საავადმყოფოსკენ გააქანეს, ვიგა გვერდით უჯდა, მიტო წინ, კუკური კი — ეტლის საფეხურზე იდგა.

— კორნელიმ თავისი დაპირილი ფიხი — კორნელი მსუბუქად დასჭირეს
 ორივე ხელთ ასწია და კუკურის
 ჰკითხა:

— რად წამართვი მაუზური?

— მაუზური შენ დააგდებინე იმ არა-
 მზადსა და მე ავიღე.

— მე რეკოლეგრი თან არა მქონდა...
 რად წამართვი მაუზური? მოგვლადი
 და ახი იყო, ისევ თავისას გაიძახოდა
 კორნელი...

„რა არეულად ლაპარაკობსო“ — გაი-
 თქრა მიტომ, კორნელი აგზნებული
 იყო და აბნეულად ლაპარაკობდა.

— რა გაიყო, რა გიყო იმ ოხერმა!
 ნეტავ არ წამოყვანეთ კოლბში! ჩემი
 ბრალია, — სწუნდა კუკური.

— შენი კი არა, იმ დაქარგული სუ-
 ლის, მარგარიტას ბრალია, — შენიშნა
 გიგამ.

ეტლი მიხეილის საავადმყოფოს ეზო-
 ში შევიდა.

მიხეილის საავადმყოფოში კორნელი
 მორიგე მედმუშაეებმა საოპერაციო მა-
 გიდაზე დააწვინეს, ჰრილობა ირგვლივ
 სპირტით მობანეს და ჰრილობის ზონ-
 დირექტორს დათა მიქელაძეს. კორნე-
 ელი კორნელიმ და მითოს და კუკურის
 ხელები კინაღამ არ დაუმტვრია. ბოლოს
 ასეპტიკური ნახვევი დაადეს, მაგიდი-
 დან ჩამოიფანანეს და იქვე ტახტზე და-
 აწვინეს.

მორიგე ექიმმა გიგა და მიტო კაბი-
 ნეტში შეიყვანა და უთხრა:

— სახსართან ახლოს აქვს ჰრილობა
 და სანიშნია, თუ გინდათ აქ დატოვით
 აქლამ და ხვალ დილით ქირურგი ნახავს.
 ნუ გეშინიათ, პროფესორის ევგენი მხე-
 იძის ძმას ყურადღებას არ მივაკლებთ.

— არ ვიცი, როგორ აჯობებს ნება
 მიბოძეთ, ტელეფონით დაველაპარაკო
 დირექტორს დათა მიქელაძეს. კორნე-
 ლის დეიდას შევეკითხები, — თხოვა
 ექიმს მიტომ.

— დარეკეთ, — გეთაყვა, — მიუგო
 ექიმმა.

— დაიცა, — იყვირა გიგამ, — და-
 მის სამ საათზე მძინართ ეს ამბავი რომ
 შევტყობინოთ, ხომ გაგვიდნენ!

— მაშ, რა ვუყოთ? ჩვენი თვითონ წა-
 ვიღეთ? — ჰკითხა მიტომ.

— არა უშავს. დაურეკეთ, მსუბუქად
 არის-თქო დასწრილი, — ურჩია ექიმმა.

დიღნანს რეკდა ტელეფონი და ბო-
 ლოს მიტომ გაბედა და დათა მიქელა-
 ძეს უთხრა:

— კორნელი მსუბუქად დასჭირეს
 ფეხში, მიხეილის საავადმყოფოში მივი-
 ყვანეთ... როგორ მოვიქცეთ? — და-
 ტოვით თუ მობრძანდებოდნენ და მსუბუ-
 კანთ?

„კორნელი დასჭირეს“ — წამოცდა
 ნამძინარე დათა მიქელაძეს.

დეიდა ელენემ სამინლად შეკვივლა
 და თავში მუშტები წაიშინა. როცა გონს
 მოვიდა, მან და დათამ საჩქაროდ ჩაიკ-
 ვეს, თავქუდმოგლეჯილი გაეარდნენ
 კარში, და პლეხანოვის პროსპექტზე გა-
 ვიდნენ. ქალაქს ეძინა. მხოლოდ ერთ
 ვრძელწვირიან მაღაქან მიიტრუსს მიკ-
 ვავდა ნელის ნაბიჯით დაღლილი და
 დაქანცული ცხენები. დათა მას იცა,
 ეტლში ჩაჯდა და მიეიტრუს უთხრა:

— მიხეილის საავადმყოფოში წამოყ-
 ვანე.

— შინ, დიდებეში მივიდეთ. უკან
 ვეღარ გავბრუნდები, — მიუგო მიეიტ-
 რემ.

— ნათესავი დამიჭირეს. საავადმყო-
 ფოში მიმეჩქარება, — ისევ უთხრა მო-
 თმინებიდან გამოსულმა დათამ.

ამ დროს ელენეც მივიდა და ისიც
 ეტლში ჩაჯდა.

— აბა, სად ჯდები, ქალო! ვერა, სა-
 ავადმყოფოში ვერ წავალ, — უხეშად
 დამძახა მიეიტრემ. დათა გაციცხლდა და
 მიეიტრეს უხვირა:

— მოაბრუნე ეტლი, მე შენ გიბრ-
 ძანებ!

— ბრძანების უფლება შენ არა
 გაქვს, — მოუპრა მიეიტრემ.

დათა წამოხტა, სადავები გამოსტა-
 ცა ხელიდან და ცხენების მობრუნება
 სცადა.

— ხელი გაუშვი სადავებს, — უხვი-
 რა მიეიტრემ და მთრახვი აღმართა...
 მაშინ გაათრებულმა დათამ თავის
 ჯოხი მოიმარჯვა და მაგრა უთაქა ბე-
 ქებში მიეიტრეს.

ჩხუბის ადგილზე მორიგე მილიციე-
 ლი მივიდა და დათას ჰკითხა: „რასა
 შერებით, რას ერჩით ამ კაცსო?“ დათამ
 მიუგო: „რესპუბლიკას წესიერ და შეგ-
 ნებულ მოქალაქეს ვუზრდიო“. ჩხუბის
 მიზეზი და თავისი ვინაობა შეატყობი-
 ნა. მაშინ მილიციელიც მიეიტრეს დაი-
 მუქრა. მიეიტრე შეშინდა: „წავალო“ —
 იყვირა და ეტლი შეაბრუნა. ეტლში
 მჯდარ ელენეს ქმრის სიფიცხე და ვაი-
 კაცობა გაუკვირდა და გაიფიქრა: „ცხვი-
 რი ცხვარი, გაცხარდება — ცხარიო“.

დათა და ელენე გივივით შევარდნენ საავადმყოფოში. ექიმმა ელენეს შეიხვეწა: „მანიკას ნუ ასტეხთ და ავადმყოფს ნუ შეაშინებთო“.

დათა და ელენე სამორიგეოში შევიდნენ.

კორნელი ტახტზე წამოწოლილიყო. სასთუმალთან კუკური ხარანდია უჯდა. ირგვლივ მდებარე ქალები ეხევივნენ. კორნელი არხეინად გრძობდა თავს ქალებს ესაუბრებოდა, ოხუნჯობდა და აცინებდა.

— რა მოგივიდა, დეიდა? სად დაგჭირეს? — ჰკითხა გაფითრებულმა, აკანკალებულმა ელენემ და შეხვიულ ფეხზე დააცქერდა.

— ნუ გეშინია, დეიდაჩემო, მსუბუქი ჰრილობაა, არაფერია. რწყვილმა მიკბინა, — დაამშვიდა კორნელი.

დათამ შეატყო, მთვრალი რომ იყო და ეწყინა.

როდესაც გიგამ, მიტომ და კუკურიმ კორნელი ეტლში ჩასვეს და დეიდა ელენესთან და დათა მიქელაძესთან ერთად შინ გაისტუმრეს, მიხილის საავადმყოფოს ალაყაფის კარებთან მარჯარიტა და ქეთო შეეყარნენ. აღელვებული ქალები კორნელის შესახებ ეკითხებოდნენ. მიტომ უამბო მათ ყოველივე.

— ომს ვადარჩა და, აბა ერთი უცქირეთ, რა უყო იმ მხეცმა, — სწუხდა ქეთო. — აი, ამაზედ არის თქმული, კაცი ზღვას ვადაურჩა და ცვარბა და აზაროთ.

— არაფერიც არ დაახრო, — მიუგო მიტომ, — მსუბუქი ჰრილობაა. მადლობა ღმერთს, სახსარში არ მოხეცრიო ტყვია.

ქეთომ გიგას ხელი გამოსდო, ხის ქვეშ მიიყვანა და ჩუმად უთხრა:

— რასაც ახლა ვიტყვით, საიდუმლოდ შეინახეთ.

— დარწმუნებული ბრძანდებოდით. რა ამბავია?

— თქვენი და მიტოს დაპატიმრება უნდა. ამაღამ შინ ნუ გაათევეთ ღამის.

— საიდან ვაიგეთ ეგ ამბავი?

— ყური მოეკარი საუბარს.

— დღეს?

— ჰო.

— რესტორანში?

— დიან.

გიგას მაშინვე მოაგონდა, ჯამშუში რომ რალაცას ეჩურჩულებოდა ყურში განსაკუთრებული რაზმის თანამშრომელს დათიკო ჯორბენაძეს.

— რას ამბობდნენ ჯორბენაძე და ეს ჯამშუში? — ჰკითხა გიგამ. ქეთომ უამბო. გიგამ მადლობა გადაუხდებოდა.

5

ეტლი გიმნაზიის ეზოს ჰიმნართან გაჩერდა. კორნელი ეტლიდან დაუხმარებლად ჩამოვიდა. მხარში მოხუცი მეეზოვე გაბრიელ დოღენკო და დათა მიუდგნენ და კიბეზე აიყვანეს.

კორნელიმ ფრენი ვახადა და თავის ოთახში საწოლზე დაჯდა. დაჭრილი ფეხი ლოჯინზე დასდო. საწოლის ირგვლივ ელენე, დათა, ნამძინარევი მისი მდგმურები: პოლკოვნიკი პეტრე მიქელაძე და მისი ცოლი სოფია ჰავლე ასული, მაიორი იური ანდრეის-ძე ბოგოლიუბოვი და მისი ცოლი მარია გლეზის ასული, ელენეს მზარეული ქალი — მოხუცი კატია, კატიაჲ ჰმარი — გიმნაზიის მეზოვე მოხუცივი გაბრიელი შეგროვდნენ. ყველა თავის რჩევა-დარიგებებს იძლეოდა. მოხუცმა პოლკოვნიკმა პეტრე მიქელაძემ ელენეს ასწავლა და ამახაც გალიფეს მარცხენა ტარტის ნაკერი მაკრატლით გაურღვდა კორნელის და მარჯალით გააჭრო. კორნელი დაწვა, დაჭრილი ფეხი კედლისაკენ მისწია და თხელი საბანი წაიხურა.

იური ბოგოლიუბოვი ოდნავ ღიმიანი, შუბრანის მწითური, კეთილი კაცი იყო, იგი ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. სამხრებმოსწალი, მხაკისფერი ფრენი ეცვა. წვერულვაში გაპარსული ჰქონდა. მისი ცოლი ორმოცდახუთი წლის, ჰერა დაბალი, ცისფერთვალებიანი, ჩასუქებული, ქალი — მარია გლეზის ასული ძალიან ჰგავდა მას სახით. დამა გიგონებოდათ. მარია მუსიკალურ სმენას მოკლებული ქალი იყო. მიუხედავად ამისა, ეს უშვილო და უსაქმო ქალი კონსერვატორიაში დაიარებოდა და მერმე შინ დიდიდან სალამოდე სიმღერაში გულმოდგინედ შეკვადინებოდა. იგი ნაირნაირ ტანისამოსს იცვამდა, მდიდრულად იკაზმებოდა, კოხტობდა, თმას ოქროსფრად იღებავდა, კეკლოვობდა და მოახლოვებულ სიბერეს, დეიდა ელენესაებრ, იბრძოდა. საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეულ ცოლ-ჰმარს ასარახანდიან, კასპიის ზღვით, ბაქოში და მერმე თბილისში ჩამოვსოდა მოეხერხებინათ და ძვირფასი ნივთებით გატენილი ჩემოდნები ჩამოეტანათ. მარიას თოფის სროლის ხმაც კი თავზარსა სცემდა და

მისი ქმარიც — ის ზურგის ვირთაგვაც მუდამ საინტენდანტო უწყებებში მსახურობდა. ახლა იური ბოგოლიუბოვი საკომისიო მალაზიაში მოწყობილიყო, მისი ბინა — კორნელის ყოფილი ოთახი, ანტიკვარულ მალაზიას დაემშავება. დედა ელენე ოპრო-ვერცხლის ნიეთებს, ძვირფას ქურძღებს და ქსოვილებს ათვლიერებდა და გულზე სიგდებოდა, მათი ყიდვა რომ არ შეეძლო. ყოფილი მათარი იური, ახლა გადაწყვიდეულა ქვეულოყო და ათასგვარ დამცირობას იტანდა, თავისი შეყვარებული „ლამაზი“ და „ნიჟირი“ ქალი რომ შეენახა და საშუალება მიეცა მისთვის კონსერვატორია დაემთავრებინა. რადგან იურის და მარიას შვილები არა მყავდათ, შვილისადმი მშობელის გრძნობა და სიყვარული ერთმანეთზე გადაეიტანათ. ისინი ერთმანეთის ვარემე ვალაია სძლებდნენ და უერთმანეთოდ ვერ სუნთქავდნენ. ჩახუტებულნი ერთ საწოლზე წვიბოდნენ. ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ, ეფერებოდნენ, უჩვევებდნენ და ათასგვარ სააღერსო და სასაცილო სახელებს არქმევდნენ: იური ცოლს „СОЛНЫШКО“-ს „сердечко“-ს ხან „ЛИТ“-ს და ხანაც „старушка“-ს, ხოლო მარია ქმარს: „იურკას“, „СОКОЛНИ“-ს, და „ЗОЛОТКО“-ს ეძახდა. ასე ეფერებოდნენ და უყვავებდნენ ერთმანეთს. მათი დღეები ერთმანეთზე ზრუნვაში მიმდინარეობდა. ქმარი ცოლს კარაქს, ხიზილალას, ნამცხვარს, შოკოლადს, ტკბილს აძლებდა, გოგლიმოგლს უჩუთებდა და პირიქითაც. ალბომი სავსე იყო მათი სურათებით, ისინი მტრადივით ლულუნებდნენ, სააღერსო სიტყვებს ეუბნებოდნენ ერთმანეთს და ოთახში ქოშებით დაბაჩუნდნენ. მათი ბინის იქით რაც ხდებოდა, არ აინტერესებდათ. ისინი თავის თავს გონებით, ნიქით და ზნეობით სხვაზე მალა აყენებდნენ. ცოლს ქმარი სიკეთის განსახიერება, ბრძენი და გმირი ეგონა, ხოლო ქმარს ცოლი — შეუღარევილი მომღერალი, მზეთუნახავი და ანგლოზი. ასე შეაბერდნენ ერთმანეთს ეს დამთავრებული და ქეშმარიტად ფილისტერები. ბოლოს მათი ურთიერთობა და ქვეცა უცნაური და ყველასათვის სასაცილო გახდა. იური და მარია დიდხანს და ტკბილად ცხოვრობდნენ პროვინციულ ქალაქში — ორენბურგში. ურალიდან ჩამოყვანილი

ორი ციმბირელი, გრძელმეწვიანი კაცა შეილივით უყვარდათ, ლოგინში იწვეხდნენ და ტუჩებში ჰკოცნიდნენ. ქალაქის მოვლა, კვება და მიაღერსება მარათლავ მთელ ცერემონიას წარმოადგენდა. სასაცილო იყო ამ პატარა ადამიანების — კაცუხების პატარა სამყარო და მათი ცხოვრება, რომელიც კორნელის ყოფილ პატარა ოთახში მიმდინარეობდა. ამ წაგრძელებულ პატარა ოთახს მათორმა „კაიუტა“ უწოდა. მაგრამ „კაიუტის“ მსგავს ოთახში ხანგრძლივი და უღრტეხევილი ცხოვრება უცნაურ მგზავრებს არ დასცალდათ. ერთი წლის შემდეგ, როდესაც რევოლუციის აბობოქრებული ტალღები რუსეთიდან აზერბაიჯანის და შემდეგ საქართველოს საზღვრებსაც მოაწვდა, იური და მარიამ თავისი ჩემოდნები ისეე ჩააწყვიც და თბილისიდან ინგლისელებს მიერ ოკუპირებულ ბათუმისაკენ გააკურცხლეს. ბოლოს როდესაც საქართველოშიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეები მოახლოვდა, ის პატარა ადამიანები ბათუმიდან ერთ უცხოურ გემის ნამდვილ „კაიუტაში“ გადაბარდნენ და სტამბოლისაკენ გაეშურნენ, ამის შემდეგ კი კორნელიმ არა იცოდა, თუ სად ვარდა ეს პატარა ნაფიტები ცხოვრების ტალღამ.

პოლკოვნიკი პეტრე მიქლაძე და მისი ახალგაზრდა ცოლი სოფია პავლეს ასული სულ სხვა ჯურის ადამიანები იყვნენ. პეტრეს ცოლი უჩუკო, უსაფუძელოდ ამაყი, ჯიჟიტი, თავის თავში შეყვარებული, ერთი ვინმე აშარი ქალი იყო და თავისი თავი მზეთუნახავი ეგონა, მას ხელგამოილი და მდიდრული ცხოვრება უყვარდა, რადგან თავისი თავი მზეთუნახავი ეგონა, ქმარს ამდლიდა, ცუდად ეპყრობოდა, არ იბრალბდა, სტანჯავდა, ბრძანებლობდა, ლალატობდა და კისრამდე ვალებში ჩააგდო... უსირცხვილო, უხეი და აშარმა ქალმა ხელთ იგდო უნებისყოფო კაცი, დანაგრა, გასთელა, ჩერად აქცია და მანამდე არ მოეშვა, სანამ წურბელივით სისხლი ბოლომდე არ გამოსწოვა, გააღარიბა, დაასწულა და სამხედრო სამსახურიდან არ დაითხოვეს. სამოცი წლის კაცი ახლა ღრმად მოხუცებული და მიხრწნილი გეგონებოდათ. პეტრემ, ვაივაგლახით, ბოლოს მაინც მოაღწია საქართველოს და ახლა მისი ერთადერთი სურვილი იყო მშობელი მიწისათვის მიეზარე-

ბინა თავისი ბებერი და ამდენის თრევით დაღლილი ძვლები. იგი ამ სურვილს ვერასოდეს ვერ შეისრულებდა, თუ კი მისი ცოლი სოფია, რევოლუციის შიშით, სამხრეთ რუსეთისკენ არ გამოქცეულიყო.

მზარეული ქალი კატია სამოცი წლისა იქნებოდა, იგი დაბალი, ჯბუხი და წილში მოხრილი, ჩასტკეპული უკრაინელი ქალი იყო. შუბლზე და ცხვირის ნესტოზე დიდი მიქეპი აჯდა და, ხეივანის დროს წყლისფერი თვალებით გიჟივით იხედებოდა, რადგან ბრონქიალური ასტმა სჭირდა და ის სტახაჯადა. ის ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გაეცა ჯარიდან დაბრუნებულ, გალოთებულ და მუშტი-კრივზე გადასულ ქმარს — გაბრიელ დოლინკოს. ოდესაში ჩავიდა და იქ დაიწყო მუშაობა და ბოლოს მზარეულობა ისწავლა. ათი წლის შემდეგ ქმარმა მიაგნო და იქ განაგრძო მისი წახება. მაგრამ კატია ოდესიდან ახლა თბილისში გამოეპარა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ გაბრიელმა აქაც მოაქცია, ცოდვები მოინანია, ლოთობა მიატოვა და გიმნაზიის მეიწივედ დადგა. ამის შემდეგ შეხმატკიბილებულად ცხოვრობდნენ მოხუცი და მათი ურთიერთობა მართლაც გულთბილი და მომჯადოებელი იყო. გაბრიელ დოლინკოს რევმატიზმი სჭირდა და ზამთარ-ზაფხულ ქეჩის ჩექმები ეცვა. ყოველ დილას და საღამოს აეტიუზებოდა სამზადის კარებს მშვიდი, სათნო, მალალო და ახოვანი კაცი თავისი ჩაიდნით. ახლა ჩაის სმა იყო მისი „სენი“. გრძელი, ქალბარა თმა და წვერულვაში ბერსავეთ მოეშვა. იგი მორწმუნე გამხდარიყო. ძველ საეკლესიო წიგნებს კითხულობდა ზამთრის გრძელ ღამეებში და ღმერთისა და სულის უკავიაგების შესახებ კორნელისთან კამათი უყვარდა. კორნელსაც სიამოვნებდა „მამა გაბრიელთან“ და მის ცოლთან კატიასთან საუბარი, რადგან გაბრიელმა და კატია მრუსული ცუდად იცოდნენ და საუბარში ხშირად უკრაინულ სიტყვებს ურთავდნენ. გაბრიელს ძალიან უხაროდა, სიბერის ეპოს ცოლს მაინც რომ მოაქვლია და მის ახლოს ცხოვრობდა. მას სრულიადაც არ აფიქრებდა და არ შეშურდა ის ვარემოება. მისი ცოლი რომ დათა მიქელაძის მშვენიერ ბინაში ცხოვრობდა, ზოლო თვითონ კი ძალღების სადგომის ახლოს, პატარა ფიცრულ

ოთახში, რომელსაც კატია ულაგებდა და უსუფთავებდა.

აი, ეს ხალხი ცხოვრობდა ახლა, გაბრიელის გამოკლებით; დათა მიქელაძის ბინაში.

6

მალე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. დეიდა ელენე კი კორნელის საწოლთან იჯდა და რამის გათვას აპირებდა, მაგრამ კორნელი ამშვიდებდა და ეხვეწებოდა: — დაწვი, დეიდა, ნუ გიშინია, — მე ისეთი სხეული მაქვს, რომ კრილობა მალე შემისორცდება. ერთ-ორ კვირაში ისევ ფეხზედ ვიქნებიო.

დეიდამ აყოცა, გაზურბულ შუბლზე ხელი გადაუსვა, ნახვევზე დახედა, სისხელი დანახა და ცრემლი ეიღარ შეიკავა. მყისვე კარებზე ჩუმი კაკუნი შემოესმა. სტუმარი კუკური ზარანდია იყო ელენემ კარი გაუღო და შინ შემოეშვა. — თუ ნებას მომცემთ, მე ამ ტახტზე დაევწყები და ექიმის მოყვანადი მივხედავ, — უთხრა კუკურმა ელენეს. ელენე დასთანხმდა და მერმე დასაწოლად წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ეზოდან ღია ფანჯარაში, კუკურის ძაბილი შემოესმა, ფანჯარასთან მარჯარიტა იდგა. ქალმა კუკურის ჰკითხა:

— როგორ არის? ნახვა მინდა. აბა ჰკითხეთ, შეიძლება შემოვიდე?

— რა უნდა ამ დროს? რა ეუყო, — ტანჯვით წარმოსთქვა კორნელიმ, კუკურმა ჩუმად გაალო კარები და მარჯარიტა შინ შემოეშვა. იგი საწოლთან მიიჭრა, მუხლი მოიყარა, კორნელის ხელი შეიპყრო, ზედ აყოცა და ტირილით და ჩურჩულით უთხრა:

— დმერთო ბერო, ეს რა უბედურება მოხდა?! ჩემი ბებია, მამატიო...

— ადექით, აბა, რასა შერებთ! სკამზე დაჯექით. გმადლობთ თანაგრძნობისათვის, რად შეწუხდით ამ გვიან ღამითა.

— დეიდა თქვენს კიდევ რომ იწყინოს, მე მაინც აქ უნდა დაჯიჩქ ამჯამ.

— რა საჭიროა... შინ მიბრძანდით, მე არა მიშავს.

მარჯარიტა არ დასთანხმდა, კორნელიმ ჩასთვლია. როდესაც გამოეღვიძა, მის ოთახში მხოლოდ მარჯარიტა იყო. სასთუმალთან იჯდა და სახეში სასოებით მისჩერებოდა და გერმანულად რაღაც სენტიმენტალურ ლექსს თუ ლოცვას ჩურჩულით ამბობდა.

— კუკური რა იქნა? — ჰკითხა კორნელიმ...

— წავიდა.

— მერმე თქვენ დილაში გაუხდელი აქ უნდა იჯდე?

— რა მიშავს, ძვირფასო, — მუდარით უთხრა მარგარიტამ.

ოთახში, საღამური კაბით, დეიდა ელენე შევიდა და კორნელის სასთუმალთან გერმანელი ქალი დახოჭილი რომ დაინახა, გაოცდა:

— გამარჯვებით, მარგარიტა, საიდან სადაო?

მარგარიტა წამოდგა, ელენესთან მივიდა და აყოცა.

— მამატიეთ ეს უღროო სტუმრობა, ძვირფასო ელენე. მეც რესტორანში ვიყავი. ყოველივე ჩემ თვალწინ მოხდა, ღმერთო ჩემო! მე ვარ დამნაშავე. ჩემი ბრალია... რა ვუყო, მითხარით. მე თავს მოვიკლავ, — საშინლად ლელავდა მარგარიტა.

— თქვენი ბრალი რად არი?

— ამ ბარბაროსმა შემოიჭვა კორნელიზე და...

კორნელის თავზარი დაეცა.

— ვინ იყო ის ნადირი? — ჰკითხა ელენემ მარგარიტას.

— სისხლის სამართლის მილიციის თუ საგანგებო რაზმის თანამშრომელი, წყეული ვილად კლემენტი ჩხიკვაძე, — მთუგო მარგარიტამ.

— სისხლის სამართლის მილიციის და საგანგებო რაზმის თანამშრომლებთან ხულოვნებთან და ბიჭ-ბუჩქებთან როგარ კადრულობთ რესტორანში შესვლას ქმარშვილიანი და დარბაისელი ქალი? — გაუკვირდა ელენეს.

— მართალია, ჩემი ბრალია... მე წყალწადებული, დაწყვილები ქალი ვარ. ო, ღმერთო ჩემო, — თვალბეზვით აფარა ხელი და აქვითინდა მარგარიტა.

ელენეს შეეცოდა, ხელი მოჰხვია, დაამშვიდა და ტახტზე დასვა. იგი ცნობის-მოყვარეობამ წაიღო. მარგარიტამ ცრემლი მოიწმინდა, მალე ქალები ჰორებს მოჰყვინენ. ისინი ჩუმად საუბრობდნენ და ხანდახან კორნელის გადახედვებზე ნინოს და ვარდო მყავშირელსაც მისწვდნენ. ბოლოს დეიდა ელენეს ისევე მოაგონდა დისშვილის ქრილობა. შეძრწუნდა, ტანში გააქრქოლა და მარგარიტას უთხრა:

— სახსართან ახლოს აქვს ქრილობა და ის მაშინებს. ხეალ დილით ევგენის

ასისტენტს სიყო მოსეშვილს მოვიწვევთ.

კორნელის თანდათან უმეტესტკივილში, ანთებული თვალბეზვით მარგარიტას და ჰერს. „რა სულელურად წავაგი თავი. ოთხი მაინც მიმელო ქრილობა“, — ჯავრობდა იგი. თანაც რტყენოდა, ღამეს რომ ათევიებდა დეიდას და მარგარიტას.

— წადით, დაწეკით, — შეიხვეწა იგი ქალებს.

— ამ ღამით სად უნდა წახვიდე? წამობრძანდით სასტუმროში დაგიგებთ, — უთხრა ელენემ მარგარიტას. ისინი უშაღვე დამეგობრდნენ.

— არა, მე აქედან არ წავალ, მე კორნელის მესასთუმლე ქალი მინდა ვიყო. დამე უნდა გაეუთიო, — მიუგო მარგარიტამ. კორნელის გულზე შემოიყარა. ელენემ რახტზე გაუშალა ლოკანი მარგარიტას. მარგამ მესასთუმლე ქალმა დაწყო არ ისურვა. ის და ელენე კიდევ დიდხანს საუბრობდნენ.

კორნელის ჩასძინებოდა... როდესაც რიყრაქმა მოატანა, კორნელის ერთბაშად გაეღვიდა და გაუკვირდა: მარგარიტას კარები ჩაეკეტა და ისევე სასთუმალთან მისჯდომოდა კორნელის და სახეში სასოებით მიშტერებოდა.

— რატომ არ დაწეკით? — ჰკითხა კორნელიმ ქალს.

მარგარიტამ დაიხოჭა, ხელები დაუკოცნა და შერობით დაუწყო:

— მამატიე, ჩემო ძვირფასო, მამატიე, ჩემო კარგო ბიჭუნავ, — გერმანელი ქალი ისე ეფერებოდა ახლა კორნელის, თითქო ამოდენა კაცი მისი შვილი ყოფილიყო. — მე შენ აღარ მოვშორდები და სულ მალე შენზე დაგაყენებ, ამიერიდან არ დილივით უკან აგდევნები და ყოველ ხიფათისაგან გიმატიებ. ჩემო კარგო, ჩემის მიზეზით დაქრილო შევარდნო. ნულარ იდარდებ ნინოსთან განშორებას. თავი გაანებე თავზარინ გოკონებას. ისინი ვერასოდეს ვერ ჩაწვდებიან თუ რა ვასულდგმულებს შენ. შენი მიზანი და შენი ოცნება ხელოვნება უნდა იყოს და არა ახალგაზრდა ქალისა და ოჯახისათვის ქაბანწყვიტა. თავი გაანებე თავქარიან და გამოუცდილ ნინოს. ის ვერასოდეს ვერ დაატკობს შენს სულსა და ხორცს. ის თვითონვე მოითხოვს შენგან ზრუნვასა და თავგანწირვას, რა ანგარიშია შენთვის? მე კი შენი მსახური, მონა და ერთგული ვიქნები. თუ გარემოებამ მოიტანა, თავი

საც გაეწირავ და მსხვერპლს გავიღებ შეხთვის... ვერა, ვერავის ველარ დაუთმობ მე შენს თავს. შენ ჩემი უნდა იყო. ჩემო ბიჭუნავ... — მუდარით უთხრა და ცრემლი მოადგა თვალზე ქალს. სახე დაღვლილია. სიბერე შეპარვოდა. კორნელის შესწარდა, უმაღლე გონს მოვიდა და გაიფიქრა:

„ეს მარგარიტა ლეტცი, ბედი-მდივარით ნეტა რად გადავიქცა? ისე ვით მიხა, ესეც თავიდან უნდა მოვიშორო. რა უნდა, ეს ბებერი და ავხორცი ქალი ჭირისუფალივით აქ სასთუმალთან რომ მიზის და ნინოსადმი ჩემს გრძნობას და სიყვარულს დასცინის და ნაცვლად ამისა, თავის თავს მთავაზობს რა დაცინვა და შებლაღვა ჩემი აცობისა! ხელო მიგთა დაჭრილი და მე კი უნებისყოფობას ვიჩენ. რად არ ვეიტყვი ყოველივეს აშკარად და რად არ გავავადებ! ამ ქალს გამო გამეყარა მე ნინო. ამ ქალის გამო დამჭრეს. ეტყობა, ეს ქალი მანამდე არ მომეშვება, სანამ ფეხში კი არა ვაგლში არ მომარპობენ ტყვიას.“ — ფიქრობდა კორნელი და სახე შეიჭმუნა.

— რისთვის შესტეხე წარბები? ბტკივა ჭრილობა, ჩემო კარგო, ჩემო დაჭრილო შევარდენო? — ჰკითხა მუდარით ქალმა.

— შტკივა. სისველეს ვგრძნობ, მგონი სისხლის დენა დამეწყო. — მიუგო კორნელიმ და წამოჯდა. მარგარიტამ თხელი საბანი გადახადა. სისხლს უხვად გაეფონა და ნახვივი ყაყაჩოსაებარ გაწითლებულიყო. სისხლს ზეწარი და ლიიბიც გაესვარა. მარგარიტა ნახვივზე დაამტერდა.

— აიღეთ პირსახოცი და ლახტი დამადევით. მაგრა მომიჭირეთ... რა სუსტი ქალი ყოფილხართ! უფრო მაგრა, დაიცათ, — უთხრა კორნელიმ და პირსახოცი მაგრა შემოიჭირა აწიულ ფეხზე და განასკვა. სისხლის დენა შეუ-

ჩერდა. იგი ღონემიხილი დაეშვა და წელა დასდო ბალიშზე თავი. მარგარიტა კი ისევ დახოჭილიყო მის დაჭრილ ფეხთან, უცნაურად დამტერებოდა სისხლიანებულ ნახვივს და ჩურჩულებდა:

— საყვარელო, ძვირფასო, სასურველო ჩემო ვაჟკაცო, ჩემო რაინდო. დღეიდან მე შენი მსახური და მონა ვარ. მიბრძახე, და ყველაფერს შეგისრულებ, — ქალი გადნა და განიხაბა, ისევ უცნაურად დაამტერდა გასისხლიანებულ ნახვივს. კორნელის გაუკვირდა, წამოჯდა და უთხრა:

— რასა შერებით? — უცბად ქალი დაიხარა და ნახვივზე ეამბორა.

— მომშორდი, — უყვირა კორნელიმ და ხელი ჰკრა.

ქალმა თავი ასწია და ტუ ვიფხვის თვალზე შეანათა. ტუჩზე სისხლი ევხო. კორნელის შესწარდა და ისე მოეჩვენა, თითქო მარგარიტა მთვრალი, აგზნებული, ვაჟკაცის სისხლს დანატრებული მენადა არისო.

ასე თავსდებოდნენ გერმანელ ქალში ერთის მხრივ დამაქრული, ცრემლიანი გრძნობილობა, სინაზე და მეორეს მხრივ სიმკაცრე, სიაცე, უხეშობა და ავხორციობა.

— ვიცი, მთვრალი მენადა, — უყვირა კორნელიმ, წამოიჭრა და ცალ ფეხზე დადგა. — გასწი, გამშორდი, გარყვნილო ქალო! არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა თორემ სიცოცხლეს გამოგასაღებ, — შესძახა კორნელიმ.

— ნუ ყვირი, დამშვიდდი, — მუდარით უთხრა შეშინებულმა ქალმა.

— გასწი-მეთქი. — ისევ შესძახა კორნელიმ, სკამს ხელი მოაგლო და ესროლა. სკამი ქალს აცდა და კედელს მიეხეთქა.

მთელი სახლი ფეხზე დადგა. მარგარიტა ქუჩაში გაეარდა.

მოსიჟული

„მოციქული ყვეთან მივით“
ან დ ა ზ ა

I.

მეორე დღეს, კორნელის შემდეგი მკურნალობისათვის, დეიდა ელენეს მოწვევით, ექიმი სიკო მოსეშვილი მოვი-

და. სიკო მოსეშვილიც კარისმერეთელი იყო და კორნელის დედასა და მის შვილებს კარგად იცნობდა და დიდ პატივსაც სცემდა. მოსეშვილმა 1916 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის

მედიცინის ფაქულტეტი, ერთ წელს ფრონტზე ქირურგად მუშაობდა და, თუმცა მანცდამანც დიდი ნიჭის პატრონი კაცი არ იყო, დაუღალავი შრომისა, მუყაითობისა და ბეჯითობის გამო, მალე ყურადღება მიიპყრო და, ომის შემდეგ, კორნელის ძმამ პროფესორმა ევგენი მხეიძემ ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრასთან ასისტენტად დატოვა. იგი შეეგერემანი, ზორბა, ჯმუხი და უხეში კაცი იყო, სინაზე აკლდა. კორნელის მკურნალობის უანს იყო, თავლივით დატყდა და არ იცოდა მხეიძეებისათვის როგორ ესამოვნიბინა.

სიკო მოსეშვილი ქაქანით შევიდა კორნელის ოთახში:

— რესტორანში ქეიფი და ჩხუბი დაიწყე, კაცო, ა? ნამდვილი კარისმერეთელი ხარ, ა? ვინ იყო ის ოხერი კლემენტი ჩხიკვაძე, რევოლუციური რომ გესროლა, კაცო, ა?

როდესაც მოსეშვილს გულკეთილობის და სინაზის გამოჩენა და ვისიეს მოფერება სურდა, იგი ყოველ სიტყვასა და წინადადებას „ა“-ს დასძენდა ხოლმე. ამაზე მეტი, აღერსი ამ ჯმუხსა და უხეშ კაცს არ ეგერხებოდა.

— მთელი ქალაქი დღეს წუხანდელ ჩხუბზე და შენს დაქრანზე ლაპარაკობს. როგორ მოასწრეს ამ ამბის დასტაბშვა? — უკვირდა ექიმს, — გაზეთი არ წაგიკითხა?

— გაზეთში სწერია? — გაოცდა ელენე.

— ზო, მსახიობთა კლუბის რესტორანში მოქალაქე ჩხიკვაძემ მაუზერით დასქრა სტუდენტის კორნელი მხეიძეო. კარგია, მწერალი ვიორგი მახვილაძე რომ არ სწერია.

კორნელის თავზარი დაიკა. ექიმი ანუგეშებდა:

— ნუ გეშინია, იმ ყაჩაღ ჩხიკვაძეს კი მოვეუგრებთ კინჩხსა და კისერს და ჩავაყულებთ ციხეში.

— იგი საგანგებო რაზმის თანამშრომელია, — შენიშნა დეიდა ელენემ.

— მით უმეტეს აგებს პასუხს, უღანაშაულო კაცს რომ ესროლა და დასქრა. დარდი ნუ გაქვთ... ვერსად წაგვიყვას ოთხში ამოვიღებთ, — ვაჟკაცობას იჩემებდა ახლა ექიმი, ეს ფრთხილი და მშვიდარა კაცი.

საწოლი საწერ მაგიდის პირისპირ დაეღვათ, ისე რომ კორნელის მარცხე-

ნა დაჭრილი ფეხი კედლისაკენ კი არ იღო ახლა, არამედ პირიქეთ და ავადმყოფის მკურნალობა ექიმისათვის მოსახერხებელი იყო.

ექიმი კორნელის დააცქერდა. უამრავი სისხლის დაკარგვისა, ქეიფისა, შფოთისა და უძილო ღამის გამო, კორნელი ძალზე ფერმკრთალი იყო, თვალები ბუდეში ღრმად ჩასცივივროდა და ჩალამებოდა. ექიმს არ მოეწონა ავადმყოფის გარეგნული შეხედულება, მაგრამ მაინც ნაძალადევად გაუღიმა, მაჯა გაუსინჯა, სიკვებ გაუზომა და შერმი, რამდენადაც შეიძლო, ბოზი ხმა დააწერილა და უთხრა:

— აბა ერთი შენი ფეხი მანგენი, ვაჟკაცო. საღ მოგარტყა იმ არამზადამ ტყვია, ა?

სიტყვებს ჩქარ-ჩქარა ამბობდა იგი. გზადაგზა მალლა უწევდა ხმას. განსაკუთრებით წინადადების ბოლოს დაძახილ „ა“-ზე.

ექიმმა სისხლით გაუღენთილი ნახევრის მოხსნა დაიწყო და თან ამბობდა:

— ვინ იყო ის უმეცარი, ასეთი ნახევეი რომ გაგიკეთა, კაცო, ა? ზონდირება არ იყო საჭირო. ზონდირების დროს მიკრობების შეტანა შეიძლება კრილობაში.

ექიმმა კრილობა წამლებით მობანა და ზედ მიწებებული მარლა აიღო და უხეშად მოკვლიჯა, კორნელიმ სახე შეიკმუნხა და ამოიგმინა, კრილობიდან შავი სისხლი გადმოიღვარა.

— გეტყვია, კაცო ა? არაფერია... უნდა მოითმინო, ჩემო კარგო. აი, გათავდა შენი წამება, — ანუგეშებდა ექიმი.

დეიდა ელენე კი წამისწამ გადიოდა დერეფანში, სულს იბრუნებდა, ჰაერი არა ჰყოფნიდა და გული მისდიოდა.

ქირურგმა კრილობა დაათვალიერა. მერმე სერიოზული სახე მიიღო, და ისე დაიწყო, თითქოს დამსწრეთ ლექციას უკითხავსო.

— კორნელის მიღებული აქვს ციკლანასროლი იარაღით კრილობა აი აქ, ტერფის ზემო არეში, ქუსლის გაგლით...

ქირურგმა კრილობის მკურნალობა წარმართა იმ უამად არსებული საშუალებით, რაც იოდის ხსნარით და სხვა წამლებით ყოველდღიურად ნახეივის გაკეთებაში გამოიხატებოდა. ასეთი

მკერნალობა ავადმყოფის წამებას იწვევდა, რადგან იოდის ხსნარში გაქვნილი ბაზმა, მაგრად მოჭერილი ნახევრის გამო, კორნობაში იჭურვებოდა და კორნელის აუტანელი ტანჯვაც სწორედ მაშინ ეწყებოდა. თითქო ხორცს ციკხლით სწვავდნენ და ტერფში გახურებულ შანთს უყრიდნენ. კორნელი გმირულად იტანდა ტკივილებს ხოლო როდესაც ყველანი ქალაქში სამუშაოდ წავიდოდნენ, ელენიც საქმეს მოჰკიდებდა ხელს, მზარეული კატია სადილის კეთებას შეუდგებოდა, მაიორის უსაქმო და ნიჟს მოკლებული ქალი კი როილს მიუჯდებოდა და დაუსრულებლად დაიწყებდა ცივი ხმით გამების სიმღერას და ვარჯიშობას, მაშინ ოთახში მარტო დარჩენილ კორნელის უფრო მძაფრად შეეჩებოდა დაპირილ ფეხში ტკივილი, თითქო ტერფში ისევ გახურებულ შანთს უყრიანო... იგი საწოლის რიკვლებს წავედებდა ხელს, მიმოწვებდა და რკინას პლუნავდა და გრეხდა. მერმე ბაგეს მოკუმავდა, გაქვებულ და დაღუძებულ სახეზე ცრემლები თავისთავად ეღვრებოდნენ.

2.

რამდენიმე დღის შემდეგ კორნელის სანახავად უცნაური სტუმარი მოვიდა. დაბალი და ჩასკვნილი ახალგაზრდა კაცი — დომენტი მელაძე. ეს ის კაცი იყო, რომელმაც ამას წინათ კორნელის დედის შეილობილის — მართს ძმა — ბოლშევიკი მიხა ფრუიძე დააბატონა. მიხა ფრუიძე კორნელიმ მაშინ, დიდი ვაივავლახის შემდეგ, საპყრობილიდან ვექილს ვიორგე დაღვამეს გამოაშვებინა. კორნელი იცნობდა დომენტი მელაძეს, დომენტი წინათ ვიგა ხელცივილითან ერთად სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. იგი ხანდახან შეივლიდა ხოლმე უფროსი კლასების მოწაფეთა მიერ ჩამოყალიბებულ სალიტერატურო წრეში, რომელშიაც კორნელი და მისი მეგობრებიც — ვანო მახათაძე, პეტრე ცხომელიძე, მიტო ჩიკვაძე და თორქეთთან ომში მოკლული პოეტო-ჯარისკაცი გრიგოლ ცაგურიშვილიც შედიოდნენ. 1918 წელს დომენტი მელაძე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმში ფარულად შესულიყო, რაც მისმა მეგობრებმა არ იცოდნენ, კორნელიმ კი თავისი

დედის შეილობილისაგან — მართ ფრუილისაგან შემთხვევით შეიტყო, დიდი ხანი გასულიყო, რაც კორნელის დომენტს მელაძე არ ენახა და მისი სტუმრობა ძალიან გაუკვირდა.

დომენტი მელაძე ღიმილით შევიდა ოთახში, კორნელის მიესალმა, ხელი ჩამოართვა, ქუდი მოიხადა და წაბლისფერ, დაკვარცხილ და ქოჩორა თმაზე ხელი ვადასთვა, იგი სამოქალაქო ტანისამოსში იყო გამოწყობილი. ხელში გაბერილი პორტფელი ეჭირა კორნელიმ სკამი შესთავაზა.

— დიდად ვწუხვარ, რომ ასეთი უბედური შემთხვევა მოხდა... როგორ გაქვს ფეხი? — ჰკითხა დომენტიმ, მაგრამ ფართი, მწითური და ეშმაკურად მოლიმარი მისი სახე წუხილს სრულიადაც არ გამოხატავდა, მუხარება არ ეკარებოდა დომენტის გულს, მას მოქვიფე, მუშტი-კრივის და იარაღის ტრიპლის მოყვარული ხალხს მოსწონდა...

— არა უშავს, — მიუგო კორნელიმ და გაუკვირდა, დომენტი ეშმაკურად რომ იღიმებოდა. იგი დაეკავკიბული, ჩასუქებული, ძალიან გამოცვლილი იყვნა კორნელის. დომენტის ნაოჭები გასჩენოდა სახეზე და უდროოდ დაბერებულსა ჰგავდა.

— მე კლიმენტი ჩხიკვაძემ გამოგზავნა შენთან, თვითონ უნდოდა მოსვლა და ბოდინის მოხდა, მაგრამ შერცხვა, — უთხრა დომენტიმ.

— რა საჭიროა! — გაუკვირდა კორნელის.

— საქმე აქვს.

— რა საქმე?

— ალბათ, მალე გამოძიებელი მოვა შენთან, — დაიწყო დომენტიმ, — კლიმენტი ჩხიკვაძე გთხოვს დაადასტურო და უთხრა გამოძიებელს, რომ შენ შემთხვევით მოგვხვდა ტყვია... კლიმენტი ისე შეწუხდა, როდესაც ვაიგო ვინ იყავი, რომ თავი კნალამ არ მოიკლავა. რა კაცი დაეჭვირო, იმანის, — დომენტიმ პორტფელი გაშალა, — აი, ამ ახალ რევოლვერს „ქალის მაუზერს“ და ტყვიებს გიგზავნის საუქურად. მიდიკემენტები, სახვევი, წამლები გამომატა, ქირურგის გასამრჯელოს და ყველა ხარჯს, რაც კი დაჯდება შენი მკურნალობა, ის კისრულობს. იგი კუბოს ფიცრამდე შენი მსახური და ერთგული დარჩება, ოღონდ გამოძიებელს ნუ ეტყვი, თითქოს იგი შენსა და მიტო

ჩიკვიძის მოკვლას აბირებდა, ნუ დაღუპავ იმ ქაცს, მთვრალი იყო და აპატიე. ვინ არ ყოფილა მთვრალი და ვის არ შემთხვევია უბედურება? საკვირველია და სასაცილო, რომ ქალის გამოსოსკლია მას შენთან ჩხუბი!.. მას თუ ქალი აკლია, მადლობა ღმერთს. — დომენტიმ ისევ ეშმაკურად გაიღიმა და განაგრძო: — თუ ნებას მისცემ, ის თვითონ ვეახლება აქ, ბოდიშს მოიხდის და უფრო დაწვრილებით მოგვლაპარაკებ. რომ იცოდე, როგორი კარგი ვაჟაქცია მოქიფე, პურმარილიანი და მხარჯველი. მხარჯველი მხარჯველს გაანხია. მას ფული და ქონება ფიხებზე ჰკიდია. ისეთი პურმარილიანი და მხარჯველი ბიჭია. ქიათურის მალაროები რომ ჩააბარო, თვესახვივარში გამოუყვანს წირვას.

კორნელის უმაღლე მოაგონდა კარისმერეთის ბიჩეაზე გალაზნანდარებულნი, ბუდიანი ამოვარდნილი და გალოთებული სტუდენტი ვანიკო დალობერიძე, ბანდიტი იასონ ჯანჯღავა, სეკულიანტი ანტუშა ნიორაძე, რომელიც ვანიკოს შესახებ იძახოდა: „ისეთი პურმარილიანი და მხარჯველი ბიჭია, ჰიათურის მალაროები რომ ჩააბარო, თვესახვივარში გამოუყვანს წირვას“ და დომენტის უთხრა:

— დმერთმა დაიფაროს, ჩემო დომენტი, საჩართელო მასეთი თავქარიანი, გახრწნილი, წყალწაღებული და მხარჯველი ბიჭებისაგან. გადავიცი კლე-მენტი ჩხიკვაძეს. ჩემი ბინის კარების შემოღებას ნუ შეეცდება აიღე და უკანვე მიუტანე ეს რევოლვერი და მედიკამენტები. თავს ნუ იწუხებს: რევოლვერიც მაქვს, მედიკამენტებიც და მეგობარი ქორუარცი დაიარება ჩვესნა ჩემს სამკურნალოდ.

დომენტი არ იძროდა და რაღაცაზე ფიქრობდა. კორნელმა მკაცრად უთხრა:

— ვერ გაიგონე, დომენტი, რა გითხარი? ჩაალაგე პორტფელში რევოლვერი, ტყვიები და მედიკამენტები.

დომენტი შეკრთა. შეუბლი შეიქმუხნა, რაღაც ბოროტად იელდა მისმა თვალმა, მაგრამ თავი დაიჭირა. კორნელის ცალსუბად გაუღიმა. რევოლვერი, ტყვიები და მედიკამენტები პორტფელში ჩაალაგა და კორნელის შეიხვეწა:

— ნუ დაოუბავ იმ ქაცს.
— მი რაში უნდა დავლუბო?

— შენ ხომ უეცრად მოგხვდა ტყვია? რა გენალელება, გამოშმიებელს უფხარი, თითქო შენ თვითონ გაგვერდა რევოლვერი და მოიხვიღებო ტყვიან ფიხში, — უტიფრად შესთავაზა დომენტიმ, ისევ ეშმაკურად გაუღიმა და დასძინა, — პატივისცემას არ მოგაკლებს ჩხიკვაძე. საბჭოთა რუსეთიდან ლტოლვილ თავად-აზნაურთა, ოფიცერთა და მათი ცოლშვილის რეგისტრაცია ჩხიკვაძეს აბარია. ოღონდ ისევე რუსეთში და ბანაკებში ნუ გაგზავნი მათ, აქ საჩართველოში დატოვი, გასწირე, გაათორმე და, ცოლსა და შვილს კი არა, საკუთარ სულსაც მოგყიდო. რომ იცოდე, რა მზეთუნახავი ქალებს გაგაჯნობს, მოჩუკავს და ჩავაბარებს ჩხიკვაძე. ქალები რა არის? ყელამდე ფულში ჩავსვამს.

კორნელი აენტო:

— ტყუილი ვილაპარაკო. საკუთარი თავი გაემათრახო და ამაში ჩხიკვაძისაგან ქრთამი ავილო? მისი დაწვსებულების რომელიმე თანამშრომელი ხომ არ ვგონივარ, სულთ ხორცამდე გახრწნილი, გათახსირებული და სისხლის მსმელი ჯალათი, რომელსაც არაფერი წმინდა, გარდა ჯამუშობისა, ქაცის წამებისა, კაცისკლისა და ბორბებისა არ გაანჩია ამ წუთისოფლად და ყველაფერზე ხელს აწერს! მიკირს, როგორ მიბედავს მასეთ უშმაკესო წინადადების მოციმემას?! ან შენ რად იყისრე ჩხიკვაძის მოციქულობა!

— ო, რა ზიზით ლაპარაკობ ჩხიკვაძისა და მისი მეგობრების შესახებ! — ეწყინა დომენტის, ისევე შეიქმუხნა შუბლი, და კორნელის შეიდავა: — არ იფიქრო, თითქო ვანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე, მიხა ფრუიძე, გიგა ხუციშვილი, მიტო ჩიკვაძე და სხვა შენი მეგობრები სჯობდნენ მას და მის მეგობრებს. რა გუყოთ მერმე, ჩხიკვაძე საგანგებო რაზმის თანამშრომელი რომ არის!

კორნელის გაუკვირდა, დომენტიმ რომ რიგზე ჩამოთავალა მისი ყველა ბოლშევიკი ამხანაგი და მიუგო:

— ისლა გვაკლია, ის ნიჭირი და წესიერი ადამიანები, ვიდაჯ დაკარგულ კლემენტი ჩხიკვაძეს და მის მეგობრებს შევადაროთ!

— მლო დარწმუნდებ, თუ ვინ არიან შენი მეგობრები? — სწორედ ის „წესიერი“ ადამიანები და მხოლოდ ჩვენ

ქვეყანას, მაგრამ ჩვენ გავსწმენდთ რესპუბლიკას ბოლშევიკებისაგან, — შენიშნა დომენტიმ. და ბრახისაგან ქვიდა ბაგის მალღობა კენეტა დაიწყო, თითქო გაგიჟდაო.

— ვის ჩვენ? შენც ჩხიკვაძეს და მის ჯარს მისდე? — ჰკითხა კორნელიმ, თითქო არ იცოდა, დომენტი რომ შენშევიკების შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის თანამშრომელი იყო.

— მიკერის შენი ამბავი, — დაიწყო დომენტიმ, — ერთი განახვა ნეტავი ჩვენი ციხე და ბანაკები, რა ხალხი აცხადებს თავს ბოლშევიკად და საქართველოს რესპუბლიკის მოძულად? ყველა ისინი ბანდიტები და ავაზაკები არიან. დიდი უმრავლესობა, არა ქართველია მათ შორის, მაინცდამაინც არ გვიღობებთ ჩვენ მათ. საპატიმროში და ბანაკში მათი მოთავსება და კვება შედგება მიგვაჩინა, ღამით მატარებელს მინდორში ან ჩიხში ვაყენებთ. ვაგონებიდან გადმოსვამთ პატიმრებს... მატარებლის წასვლის შემდეგ კი, კარგა შორს წაიყვანთ და წინადადებას ვაძლევთ, თავისუფალი ხართ, მოუსვით თქო. მერმე... — დომენტი შეჩერდა, თვალები შიშით გაუფართოვდნენ. თითქო რაღაც საშინელი რამ მოაგონდა და დაინახაო. გაფითრდა და კანკალე დააწყებინა. მაგრამ მაინც ნაძალადევად გაიღიმა. კორნელიმ გაიფიქრა: «კაცისმკვლეელი ყოფილა, საშინელია ამბობს, ღიმილს როგორ ახერხებსო?» დომენტის სიტყვა თვითონვე დაამთავრა და ჰკითხა:

— მერმე მალუხრით ხერხეთ პატიმრებს?

დომენტი სდუმდა და ისევ რაღაც ნაძალადევად, ავადმყოფურად იღიმიებოდა. მისი ღიმილი სადასტისა და მანიაკის ღიმილსა ჰგავდა. კორნელის შესზარდა, «გათავებული კაცი ყოფილა», — გაიფიქრა და უთხრა:

— არა გრცხვინა, დომენტი! სტუდენტე კაცი, კიდიას საიდუმლო რაზმში, შავ პოლიციაში შესულხარ, რევოლუციას ებრძვი, რეაქციას ემსახურები და ჯალათობით იკვებები!

დომენტი ერთბაშად მიხვდა, შორს რომ შესტობა, კიდიას რაზმის საიდუმლო და ბნელი საქმე რომ გაამჟღავნა და ნათქვამის დასაბუთება და მისი გამოსწორება სცადა:

— რევოლუციას კი არა, კონტრრევოლუციას და ბანდიტიზმს ებრძვი.

— განსოვდეს: თქვენ თითო ტერორის, ბოლშევიკები წითელ ტერორით უპასუხებენ, — უთხრა კორნელიმ.

— ეჰ, შენ რა იცი, რანი არიან ბოლშევიკები! — დაიწყო დომენტიმ, — რესპუბლიკის მოღალატეთა დახვერტას ისინი თეთრ ტერორად აცხადებენ იმ მიზნით, რომ შეიარაღებული აჯანყება გაამართლონ. შენ ჩვენ ვერ გაასწავლი ბოლშევიკების ხრიკებს და ოინებს. შეიარაღებულ აჯანყებას ჩვენში მოსკოვი ხელმძღვანელობს. ამ მიზნით უმრავე ფული იხარჯება. ბოლშევიკები არა მარტო საქართველოში მოზინარდენ უცხო ტომის ნაძირალთა შორის, არამედ ქართველთა შორისაც პოულობენ რენეგატებს. მათი მიზანია საქართველო ისევ რუსეთის ნაწილად აქციონ, მაგრამ ვილსონი და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი კერზონი, ერეკის თვითგამორკვევას, უჭერენ მხარს. კერძოდ საქართველოს დამოუკიდებლობას...

— ჰერი-ჰა! აი მსჯელობა. — გაუკვირდა კორნელის, — განა ბოლშევიკები სოციალისტური და რევოლუციონერები არ არიან! მათ დროშაზე თავისუფლება, ერთა თვითგამორკვევა და სწორუფლებიანობა არ სწირია?! გიტყვობა, შენ არ იცნობ, მათ ნაციონალურ საკითხს. თქვენ — მენშევიკებმა ჯერ გერმანიის და ახლა კი ინგლისის იმპერიალისტებს მიჰყიდეთ საქართველო და კოლონიად აქციეთ. იგი საქართველოში რევოლუციურ მოძრაობის განაღდება და თავისუფლების მოპოვებისათვის ქართველთა ხალხის ბრძოლას. შესაძლოა. საბჭოთა რუსეთი უწყობს ხელს, მაგრამ ჩვენში რევოლუციურ მოძრაობის ჩახშობას და საქართველოს კოლონიად გადაქცევას კი ინგლისის, სათრანგეთის და ამერიკის იმპერიალიზმი ხელმძღვანელობს. აი, განსხვავება, ეგ არის,

— ერთი რომ მიკერის, — შენიშნა დომენტიმ კორნელის და ერთბაშად მოიწყინა.

— მაინც რა?

— როგორ მოახერხეს ბოლშევიკებმა ცნობილი ექიმის გიორგი მხეიძის შეილის გადაბირება!

— ყველა ისინი, ვინც თქვენ არ გითანხმებთ, თქვენ ბოლშევიკები გგონიათ, — შენიშნა კორნელიმ.

— ვანო მახათაძე და ნიკო გოცირიძე რომ გაუსწორებელი ბოლშევიკები არიან, ამას არ სჭირია მტკიცება. ახლა მათ გვიცა ხუციშვილი და მიტო ჩიკვაძეც მიჰყვა. მაგრამ დარდი ნუ გაქვს, ჩვენ კვალდაკვალ მივსდევთ მათ საქმიანობას, — უთხრა დომენტიმ.

კორნელიმ გააფრთხილა:

— ფრთხილად იყავი, დომენტი, ეს ქვეყანა ვის შერჩენია, შენ რომ შეგრიხეს თავი გაახებე მათ. საქართველოში ცხოვრება არ გინდა მერმე! ადრე თუ გვიან, მათი დროც დადგება, რადგან ბოლოს და ბოლოს პროვარკის და მართალი საქმე იმარჯვებს ამა ქვეყნად და არა რევოლუციის. ისტორიის ჩარხს უკანვე ვერცნის შეაბრუნებს.

— მათი გამარჯვება იმთავითვე განწირულია, — მიუგო დომენტიმ. — რას მაშინებ? არაფერს ვერჩი შენს მეგობრებს, ქვეით თუ იქნებიან და თავს გაანებებენ ქარხნებში და ჯარის ნაწილებში ყოილს. კიდევ რომ დაეპატიმროს ისინი, განა არ ვიცო, მაშინვე რომ გამოაშვებინებ, ისე როგორც მიხვდა ფრუიძეს. განა არ ვიცო, რა ხალხში ტრიალებ და რა ავტორიტეტითაც სარგებლობ. ის არის ჩვენი უბედურება, რომ ჩვენ ვაპატიმრებთ ქართველი ხალხის მტრებს და თქვენ კი ანთაფისუფლებთ მათ.

— მე პირიქით მგონია...

— როგორ? — თითქო ვერ გაიგო დომენტიმ. კორნელიმ განუმარტა:

— ხალხის მტრები ხალხის მეგობრებს აპატიმრებენ. — მერმე ისევ გააფრთხილა: — ერთ რამეს გირჩევ, დომენტი, და კარგად დაახსოვე: თუ შენ ჩემი მეგობრების დიქინსათვის თავი არ გაგინებებია, ცუდათ წაგივა საქმე. ბოლოს ინანებ, მაგრამ გვიანდა იქნება.

დომენტი გაფითრდა... ძალიან გაუყვირდა, კორნელი თავისი მეგობრების — ბოლშევიკების სახელით რომ ემუქრებოდა მას.

— რად უნდა ვინაო? რაც შეიხება შენს მეგობრებს, მათი დევნა, მათივე საქციელით განისაზღვრება. ამ თემაზე საუბარი ზედმეტად მიმანია... ჩემი მოსვლის მიზანი ეგ როდი იყო. — დომენტიმ კორნელის ცივად შეხედა და უთხრა: — ცხადია, რომ შენ შემთხვევით მოვახვედრა ტყვია ჩიკვაძემ და

არა წინასწარ განზრახვით. საბოლოოდ ვთხოვ, ეს მაინც უთხრა გამომძიებელს.

— მე არც არაფერს მივუშვებ და არც არაფერს გამოვაქვებ. — მარტან ფაქტს.

— ასე აჯობებს, კორნელი. მე შენი კეთილმისურველი ვარ და ამიტომ არ გირჩევ ჩიკვაძის წახდენას. თუმცა, მისი წახდენა არც ისე ადვილი საქმეა. ხომ იცი, კლემენტი ჩიკვაძე ბენია ჩიკვაძეშვილის ნათესავია, ჩიკვაძე კაცია ქვეყანაზე და მისი მტრად მოკიდება არ გამოგადგება. ვინ იცის, სად შეგხვდეს, არ გაგაფუქოს!

კორნელი აენტო. მასში უკანონო პატივმოყვარობამ და სიამაყემ იფუთხა და დომენტის აგღებულად უთხრა:

— ვინ ოხერი გლია, ის კლემენტი ჩიკვაძე, მისი სახელით რომ მაშინებ? გადაეცი მას: მერიდოს და არსად შემხედეს, თორემ მიტო ჩიკვაძემ რაც დღე დააყენა, ის მონაღონიც არ იქნება. დმერთს უმადლოს, იმ დღეს რევოლუციის რომ თან არ მქონდა. თუმცა, რევოლუციის მე არ დაეაგდებინე და ხელთ არა გექონდა? მაგრამ ჩვენ არ ვიკადრეთ ვანიარაღებული კაცის მოკლა.

— ჩანს, შენ მიტო ჩიკვაძის მსგავსად, ჩვენთან ბრძოლა გადაიწყვიტა. მე ასე არ გიცნობდი... თუმცა, ჩვენში კარგა ხანია, რაც მონასტერი აირია. და ძალღი პატრონს ვერა ცნობს, — ცივად უთხრა დომენტიმ. წამოდგა, ქედსა და პორტფელს ხელი წააგლო და ოთახიდან საჩქაროდ გავიდა.

დომენტისთან საუბარმა კორნელი ცუდ გუნებაზე დააყენა. ამ საუბრიდან კორნელიმ გამოარჯვია, რომ დომენტი გონებადახურული, პოლიტიკურად გაუნათლებელი კაცი იყო, რომელიც არც ბოლშევიკურ და არც მენშევიკურ იდეოლოგიას ნამდვილად არ იცნობდა. „დომენტი ყურმოკრულ ამბებით იყრებება, — ფიქრობდა კორნელი, — მით უფრო საცვირველია, ის კაცი ყურმოკრილ და ბრახიან ნაგახივით რომ იცავს თავის ბატონ მენშევიკებს. თუმცა საცვირველი რად არი? მენშევიკებმა მას მაღური ჩააბარეს, ისინი ლოკმა პურს აქმევენ და კარგ ცხოვრებას უქმნიან მას. დომენტიც ერთგულად ემსახურება მათ: პატროსან და ნამდვილ რევოლუციონერებს მაღურით დასდევს, აპატიმრებს, აწამებს და

ხვრეტს... მოძმეთა სისხლით ძღება. აი, ცხოვრება!"

მეორე დღეს კორნელიმ თავისიანებს და ქირურგსაც უამბო დომენტისთან საუბარი. ქირურგს ძალიან გაუკვირდა, კორნელის რომ უარი უთქვამს ჩხიკვაძის წინადადებაზე.

— შენ დამკრეფს, ვილაც ოხერ ჩხიკვაძეს მკურნალობისათვის ფული რომ გამოართვა, კანონიერი არ არის, კაცო, ა? ფულიც და რევოლვერიც უნდა გამოგერთმია, დამნაშავეა და იმიტომ. ეს, მე ვყოფილიყავ, ჩემო კარგო, შენს ადგილას, იმ ჩხიკვაძეს კუდის რიკამდე ტყავს გავამრობდი, — ოხრავე და ვაჭრის, მდიდარი მეღვინის და მეკვამის შვილი სიკო მოსეშვილი. კორ-

ნელი მიხვდა, ფულის და ქონების მოყვარულ ეჭიმს რაც ადარებდა და უთხრა:

— შენს გასამრჯელოს ისედაც მოგართმევთ. გადასახადთა ინსპექციას თავს ვანებებ. უბედური შემთხვევის გამო, ინსპექციამ ჯამაგირი გამომიგზავნა...

— არ იფიქრო, თითქოს გასამრჯელოს აღებას ვაპირებდე, ეს არასოდეს არ იქნება. ეს რა მითხარი, კაცო, ა?

კორნელიმ თვალი გაუსწორა, ეჭიმი დაიბნა, შერცხვა და გაწითლდა.

ამ პატარა ამბავმაც, ისე როგორც დომენტისთან საუბარმა, ცუდ გონებაზე დააყენა კორნელი.

(გაგრძელება იქნება)

მამის მამივრად

★

მშვიდობა გექონდა ოჯახში და სიხარულის ნადიმი,
როცა ქვემეხმა იქუხა — შემოგვივარდა ნადირი.
მამამ ოთხი ძმა დაგვტოვა, ოთხივე ცერცვისმარცვლება,
წავიდა ჩვენი ცხოვრების, ჩვენი სიცოცხლის დამცველად.

ბევრი გველყაცი დაცხრილა საზღვარზე გადმორბენილი,
თერგიდან სდია დამპყრობელს და შეუნგრია ბერლინი.
ბოლოს დაეცა... ბაგეზე შეაკვდა „ვამას“ ძახილი,
მაშინ შეიღებეს არ შეგვეძლო ხელში აგვიღო მახვილი.

...დღეს მშვიდობის ხმა გუგუნებს და გაქრა ომის ნაღველი.
მაგრამ მტერი კვლავ გამოჩნდა, მხეცი არ სცხრება გაღმელი.
ომს ქადაგებენ, შხამით აქვთ გველის კბილები ნალესი,
-მტყიცედ იყავით, შეიღებო“, თითქოს მშობელის ხმა გვესმის.

მტყიცედ ვართ... და თუ გაბედავს ციციხლს გააჩაღებს ავხელი.
დაღუპულ მამის მაგივრად აღიმართება რვა ხელი.

—

ქართული

რომანი *



— ნინო, ჩემო საყვარელო, ნინო, — მოხვია ხელი თამარმა დას. — მომისმინე. ნინო, — უთხრა ვედრებით. — გარწმუნებთ, ნინო, რომ შენ მოგეწონება ის ყმაწვილი. იგი ამ საღამოს მოვა აქ და... აი... შენ ნახავ... — თამარსაც ცრემლი მოერია, ენა დაება.

ნინოს შეებრაღა და, ახლა თვითონაც მოხვია ხელი.

— კარგი, თამარ, კარგი. მოვიდეს. ენახოთ, ენახოთ, თამარ.

საღამოს, როცა ისიდორეს მოსვლის დრო დადგა, თამარი აღელდა. ხან აივანზე გავიდოდა, ხან ოთახში ბრუნდებოდა, ჯდებოდა, დგებოდა, მიმოდიოდა, მრავალნაირი ეჭვი უღრღნიდა გულს:

„იქნებ არ მოვიდეს. იქნებ სამუდამოდ დამშორდა. ნინოს რაღა ეუთხრა? თავი რით ვიპართლო? არა, არა, ეს არ მოხდება. ამას ვერ ავიტან, ვერ ავიტან ამას“. — ფიქრობდა თამარი და ცდილობდა თავი შეეკავებინა. ნინოს არ შეემჩნია მისი შემოთება.

ნინო კი ყველაფერს გრმნობდა. თამარის უბრალო მიმოხერაშიაც კითხულობდა მის დაძაბულ სულიერ მდგომარეობას. მაინც არაფერს ეუბნებოდა, აღარ უნდოდა უფრო გაეღვივებინა ის ქარცეცხლი, რომელიც თამარის გულში ტრიალებდა.

როცა ცხრა საათი შესრულდა, თამარი მოსხლეტილი დაეშვა დივანზე, თავზე ხელები შემოიწყო, ნინოს სახე მორაიდა, მოიხარა მაგრამ ვერ მოითმინა და უნებლიედ აღმოხდა:

— ნეტავი რა შეემთხვა?

— მოვა, მოვა, თამარ, — გაამხნევა თამარი ნინომ.

ხუთი წუთიც არ გასულა და ზარის ხმა გაისმა. თამარი კართან მიიჭრა,

აღარ ჰკითხა ვინ ხარო, კარი ფართოდ გააღო.

— ისიდორე, მოდი. — უთხრა შეუკავებელი სიხარულით.

ისიდორე ფერმიხდილი და მოწყვნილი იყო. თამარს ხელი ჩამოართვა, მის თვალებში ნალექელი კრთოდა.

— როგორა ხარ, თამარ? — ცივად შეეკითხა ისიდორე თამარს.

თამარი შეაკრთო მისმა სახემ, მისმა ხმამ. არაფერი არ უპასუხა, სასტუმრო ოთახში შემოუძღვა.

— გაიცანი, ჩემი და, ნინო; — უთხრა თამარმა.

— შენი და? მოხარული ვარ...

ნინო შუა ოთახში მიეგება სტუმარს. შედგა მის წინ, უცებ შეაიღო თვალი და თითქოს დაიბნაო, შეყოყმანდა, მაგრამ სწრაფლ გამოერყვა.

— მობრძანდით, — სავარძელზე მიუთითა. — გთხოვთ.

თამარი დაჭიმული ყურადღებით შესტკეპროდა ნინოს. უნდოდა გაეგო როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ისიდორემ დაზე.

ისიდორეც მოლოდინით შესტკეპროდა ნინოს, არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის, რითი გაემართლებია თავისი საქციელი.

ისევ ნინომ დაარღვია უხერხული სიჩუმე:

— თქვენ ფრონტზე იყავით?

— დიან.

— როდის დაბრუნდით?

— ერთ თვეზე მეტია.

— დიდი ხანია, რაც თამარს იცნობთ?

— თამარს?... დიან, ერთი წელიწადია, ფრონტზე გამგზავრების წინ გავიცანი, თამარი.

ნინო გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ თამარისათვის მოულოდნელი კითხვა დაუსვა ისიდორეს:

— მითხარით, პატივცემულო ისიდორე, რას იტყოდით თქვენ ისეთ ადამიანზე, რომელმაც თქვენი ფრონტზე

ყოფნის დროს სხვა შეიყვარა, ან იმ კაბუტზე რომელმაც ისარგებლა შემთხვევით და ფრონტზე მყოფ ვაჟივს დახმარებას წაართვა?

ისილორე დაიხზა.

— ხინო, ისილორემ რა დააშავა? — ვერ მოითმინა და შესძახა დას თამარმა. — ყველაფერი ჩემი პრადია! მე ვაგებ პასუხს.

— არა, თამარ, მეც დავაშავე... ყოველივე ადრევე უხდა მცოდნოდა... გაძეთვალისწინებია, — წარმოთქვა ისილორემ.

— როგორ, განა თქვენ არაფერი იცოდით? — დაუკვებით იკითხა ხინომ.

ისილორე შეჩერდა. მას არ უნდოდა სიმართლის თქმით უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა თამარი.

თამარმა იგრძნო ეს.

— ისილორემ მხოლოდ გუშინ გაიგო... ხინო, გენრიეტა თავიდანვე მარწმუნებდა, რომ ისილორემ ყველაფერი იცნო.

სინუშე ჩამოვარდა.

თამარი ხედავდა, რომ საფუძველი ეცლებოდა ყველაფერს, ყოველ მის სიტყვას. ჰერში გამოკიდებული რჩებოდა და მის სულშიაც სიცარიელე ისადგურებდა.

ისილორესათვის აშკარა იყო, რომ მისი დანაშაული ხინოს არც ისე დიდად მიაჩნდა, მაგრამ მაინც ღელავდა. იცოდა, მთელი ეს ამბავი მის სახელთან და საქციელთან იყო დაკავშირებული, რომ ამ უსიამოვნების მიზეზი, უხებელივდ თვითონაც იყო.

— რა გითხრაო. — დაიწყო ხინომ. ღელავდა, სიტყვას ვერ ალაგებდა. — ვერაფერი გაამართლებს თქვენს საქციელს. ვერაფერს გაპატიებთ, — უცებ წამოდგა, რომ თავისი აღლევება დეფიარა. მაგიდას ირგვლივ შემოუარა, მერე უფრო მოშორებით სკამზე ჩამოჯდა.

— ხინო, მართალია მე დავაშავე, მე შევეციდი, მაგრამ... — ველარ დაასრულა სიტყვა თამარმა, ვული აურუყდა და ხმა ჩაუწყდა.

— თამარ, განა ჩვენ ორივენი ახლა არა ვგრძნობთ, რომ თქვენი უფროსი და სიმართლეს ამბობს? ვის აქვს უფლება წინააღმდეგობა გაუწიოს ამ კვშირიტებსა? არავის.

— დიახ, დიახ, მეც ასე ვფიქრობ. თუმცა კარგად ვერ წარმომიდგენია.

რითი შეგვიძლიათ ახლა იმის გამოსწორება, რაც მოხდა, — შესძახა ხინომ. ისილორე წამოდგა, თუმცა ვერცხებდა რომ ახლა აქედან წახვალა, ვერცხებდა, მაგრამ მაინც ვერ გადაეწყვიტა გასვლა. ფერწასული იღვა და ხმას ვერ იღებდა.

უფრო გაფითრებული და მისუსტებული თამარი ისილორეს თვალს არ ამოიკრებდა.

— წავალ... — ჩაილაპარაკა ისილორემ ბოლოს. მერე ხინოს დამძიმებული ნაბიჯით მიუახლოვდა, ხელი მანამდე ვერ გაუწოდა, ვიდრე ხინომ თვითონ არ შეაგება თავისი ხელი.

ბოლოს ისილორე ჩამკვდარი გულით და ჩამქრალი თვალებით თამართან მივიდა. უნდოდა თამარისთვისაც ხელი გაეწოდებინა, მაგრამ ამის ნაცულად ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს ეკითხებოდა:

„არ გამაცილებ?“

„გაგაცილებ“ — თვალებითვე უბასუბა თამარმა და ფრთხილი ნაბიჯებით გაიმართნენ დერეფნისკენ.

თამარმა ათრთოლებული ხელით გააღო კარი.

კარგა ხანს იღვინე კართან და ხმას არ იღებდნენ. მაგრამ აი თამარმა ძალა მოიკრიბა და შეეკითხა:

— როდის შევხვდებით, ისილორე?

— აქ ველარ მოვალ. ვერაფერობით მაინც ვერ მოვალ... შენ დამირეკე, თამარ.

— მე დავირეკო? რატომ შენ არა ისილორე? — შემკრთალი ხმით უთხრა თამარმა.

— თამარ, განა შენი ტანჯვა ჩემი ტანჯვა არაა?

— კარგი, ნუღარას მეტყვი.

— მე დავირეკავ, მოვალ, თამარ!... — უთხრა ისილორემ, ხელზე ხელი მოუჭირა, თვალში ჩახედა, მერე უცბად გაბრუნდა, კიბეზე დაეშვა.

თამარი ისილორეს ფეხის ხმას უსმენდა. ეს ხმა გულში მტკივნეულად ხედებოდა. ველარ გაუძლო, გამობრუნდა და ოთახში შევიდა.

3.

თბილისში სიცხეები დაიწყო. ხალხი შესუთულ ჰაერს გაჟრბოდა, ყველა მიმართულებით მიჰქროდნენ ქალაქ-

ლები ავარაკებზე მატარებლებით, თუ ავტოებით.

ქუჩებში ხალხის ურიაპული ნელდებოდა, სეზონს ზედიზედ ამთავრებდნენ თეატრები და სახლებშიაც ხელდებოდა, წყდებოდა მუსიკის ხმები...

სამაგიეროდ ცოცხლდებოდა ბალები. აქ ჩქეფდა სიცოცხლე, აქ ისმოდა მუსიკის ხმა, სიმღერა, ხალხის ურიაპული. ქალაქში დარჩენილი ხალხი აქ იყრიდა თავს საღამოობით, აქ ატარებდა დროს, აქ ისვენებდა გვიან ღამემდე.

ვერა დღე იყო.

კახეთიდან ჩამოსული დავითი ჩვეულებრივად დილით ადრე ამდგარიყო, ხელშირი დაებანა, სასტუმრო ოთახში კარები და ფანჯრები დაეღო. დადიოდა, პაპიროსს ამოღებდა. ფერფლად ქვეული პაპიროსის ნაშუვავი გადააგდო. რაღაც მოაგონდა, გაბრუნდა, იმ ოთახში შევიდა, სადაც მის შვილებსა და ნინოს ეძინათ. შესვლისთანავე ნინოს ჩურჩული შემოესმა:

— დავით, დახედე, როგორა ძინავთ, როგორ სუნთქავენ!

დავითი ჩაძინებულ ბავშვებთან მივიდა: ერთ საწოლში მალხაზს ეძინა; მეორე, უფრო მოზრდილ საწოლში პატარა ვარდოს. მათ საწოლებიდან პაწაწინა ხელები ისე გაეშვირა, თითქოს ერთმანეთს საღამს აძღვევდა.

— მეშინია, დავით, ხშირად ვფიქრობ და ვერ შევრიგებვიარ იმ აზრს... რა გვეშველება, როცა დაიზრდებიან ჩვენი ბარტყები და აფრინდებიან.

დავითს გაეღიმა. სიყვარულით შეხედა ცოლს:

— რაც უფრო შორს წავლენ, მით უფრო შორს წაიღებენ მშობლების სახელს, ნინო, ჩვენი ქვეყანა დიდია. — მიუღო დავითმა და იქვე ჩამოჯდა. გოკონას ხუჭუქ თმაზე ხელი ფრთხილად გადაუსვა, მერე მალხაზს მიუბრუნდა: ბავშვს პირი ოდნავ გაეღო, ნორჩი კბილები გამოეჩინა. მამამ ხელის მიკარგვაც ვეღარ გაბედა. რადგან სიხარულს გული ვეღარ იტევდა ფრთხილადვე წამოიღდა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან. ტუჩებზე შერჩენილი ღიმილი, რომელიც იმ ოთახიდან გამოჰყვა, აღარ ქრებოდა. წიგნი აიღო, მავიდას მიუჯდა და კითხვა დაიწყო.

ნახევარი საათიც არ გასულიყო, რომ დავითს ბავშვების ხმა შემოესმა.

ნინოს თავის პატარებისათვის ხელი ჩაველო. თვითონ შუაში ჩამდგარიყო და ისე მოჰყავდა.

მალხაზი პეოანგის ამარჯობა ჯებდა. ვარდო ცელქობდა. მალხაზს ეძმაკურად დაწკურული თვალებით აცქერებდებოდა, ხტოდა, იცინოდა.

მალხაზი თითქოს გრძნობდა, უფროსი დაიყო ღამეცინისო, და იღიმებოდა. ცდილობდა ფეხი უფრო მარჯვედ დაეღვა, რათა დის წინაშე სირცხვილი არ ეყაძა.

დავითი ხელგაშლილი მიეგება პატარებს. დაიხარა, ბავშვებს ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა, ბავშვები ჩაეხვივნენ მათს. თმები აუწეწეს, ცხვირში და ყურებში ხელი ჩასქიდეს, პაწაწინა ხელებს უთათუნებდნენ ლოყებზე და იცინოდნენ.

ბოლოს მალხაზმა ბარტყევით პირი დააო და ნიკაპზე უკბინა. დავითის გულში სიხარულმა, თითქოს იფეთქაო, სიცილი მორთო.

— დავით, თუ არ მოეშვები, შეგჭამენ, დავით! ხომ ხედავ როგორ გესევიან, გწეწავენ, ვირტყამენ, იკბინებია! — ბედნიერი ღიმილით შესძახა ნინომ.

ბავშვები თამარს დაუტოვეს და თვითონ წავიდნენ.

ხელი-ხელ ჩაყიდებული ცოლ-ქმარი ხალისიანად მიდიოდა ქუჩაში. რასაც ხელდაეხებ, თითქოს უკვალაფერი სახეიშო სახით გამოიყურებოდა, თითქოს განსაკუთრებით ბრწყინავდა ქუჩების, ცა, მთაწმინდა შენაბადა. თითქოს ქალაქის ხმაურში მთაწმინდაზე შეფენილი ნორჩი ტყის შრიალიც შეესმოდა. ტყის სიმწვანეში პიტალო კლდეზე მამადავით ამოზრდილიყო და თითქოს იქ განსვენებულ დიდებულთა ნათელს აფრქვევდა გარშემო.

რუსთაველის გამზირის თავში გავიდნენ და აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრის ზემოთ, კლდეზე მეტეხი გამოჩნდა. მეტეხი — ოდესღაც ძველი საქართველოს მეფეთა სასახლე ციხე-სიმაგრე, მერე დიდ რეპოლიციონერთა წამების ადგილი, ხოლო რევოლუციის შემდეგ სიძველეთა მუზეუმად გადაქცეული. აქ კი, რუსთაველის გამზირზე, ცამდის აღმართული მტკიცე და ნათელი სასახლე, მუზეუმი, თეატრი! უცქეროდნენ, და გრძნობდნენ, რომ ამ ახალი დროის ძეგლები-

ვით დიდია, მტკიცეა, ნათელია მათი ცხოვრება!

ერთი ვეებერთელა მალაზიის კარი შეაღეს. აქ ბავშვებისათვის საზაფხულო ტანსაცმელისა და ფეხსაცმელების ყიდვას შეუდგნენ.

ნინო ყველაფერს დიდი მონდობებით და გემოვნებით არჩევდა. ზოგჯერ დავითიც ჩაერეოდა და თავის აზრს ისეთი სერიოზულობით გამოთქვამდა, თითქოს საქვეყნო საქმეებზე მსჯელობსო:

— ნინო, მე მგონია რომ აი, ეს აჯობებს! შენ რას იტყვი?

მშვენიერიაო, ან უკეთესი მოგახოთო, ეტყოდა ნინო და ამ უკეთესს დიდი გატაცებით ნახულობდა, ეძებდა.

— ახლა კი გავახარებთ ჩვენ ბავშვებს. წავიღეთ, დავით! — ბოლოს კმაყოფილებით წარმოსთქვა ნინომ და მალაზია დასტოვეს.

ბაზარს მიუახლოვდნენ. ხილისა და ბოსტნეულის სურნელება იდგა გარშემო. ფარდულები ვერ იტყვია ათასგვარ სურათს. მუსიკალური ინსტრუმენტების მალაზიაში რადიო მიმღებისა თუ პატეფონის ხმები ისმოდა. ფარდულებს შორის ხალხი მდინარესავით მიედინებოდა. ამ მდინარეს შეუქმნევლად, მაგრამ შეუწელებლად შეიქმნდა ბაზრის მთელი დოვლათი. ნინო და დავითიც ამ მდინარეში აღმოჩნდნენ და ფარდულებს გაჰყვნენ.

შინ დარჩენილი თამარი ნერვიულობდა. ხან ბავშვებს მიუალურსებდა, ხან სარკის წინ ტრიალებდა, ტანსაცმელს ტანსაცმელზე იცვლიდა, ბოლოს ცისფერი კაბა ჩაიცვა და სარკის წინ ერთხელ კიდევ შეტრიალდა, — შეამოწმა თავისი თავი: მოეჩვენა, რომ ის აღარ არის, რაც იყო. დაკარგულს ვერაფერი ფერით ვეღარ აღადგინს, თვალები ჩაღრმავებოდა, ჭეუთუთობი ჩაშავებია და მის სახეს ის სხივი დაეკარგავს, რომელიც ასე მომხიბლავს ხდიდა.

— რას დავმსგავსე, თამარ? — ტყვილით ფიქრობდა და თვალს ვერ აშორებდა თავის თავს. — რა დავაშავე ასეთი? რასაც მეტს ვფიქრობ, უფრო მეტ ზიანს ნაყენებ ჩემს თავს. არა, აღარ ვიღარებ. აღარ ვიფიქრებ. რა მოხდა ასეთი? არაფერი, არაფერი“.

— ისევე შეხედა თავის თავს სარკეში და

უეცრად შენიშნა, რომ შეცდომა არაა, ან დაუქარგავს წინანდელი მიმდინებლობა. არც ისე უფერულია ფეხსაცმელი წინანდელი აქვს, ეუთუთობებიც არაა ჩაშავებია. ტანი? არა, არა მე ისევე ისეთი ვარ. ვერა, ისიღორე ზურგს ვერ შემაქცევს, ვიცი ვუყვარვარ, სიყვარული ყველაფერს დასძლევს“.

ბაზილიას დაბრუნებულ ნინოსა და დავითს ბავშვები ისეთი ევილ-ხივილით შემოესივნენ, როგორც მერცხლებს თავიანთი ბარტყები.

ნინო ბავშვებისათვის ნაყიდ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს არიგებდა, აცმევდა ორივეს და ბავშვებზე ხარობდებოდა.

— მალხაზ, არა გრცხენია?! მადროვე, შვილო, ჩაგაცმევ და მერე იცელქე... ვარდო, შენ რაღა მოგივიდა, ამოდენა ქალი ხარ და მალხაზს არ აცლა? — ეუბნებოდა ნინო თავის პატარებს.

დავითი იდგა, უცქეროდა, უსმენდა გულა ნათელი ეფიხებოდა.

თამარი ისე წავიდა სახლიდან, რომ ნინოსა და დავითისათვის არაფერი უთქვამს. რაც უფრო უახლოვდებოდა რუსთაველის გამზირს, მით უფრო ჰკარგავდა გამხედაობას და პირად ღირსებაზე, თავის სილამაზესა და მისდამი ისიღორეს სიყვარულის ყოელისშემძლე ძალაზე გამომუშავებული რწმენა ეფანტებოდა. საოპერო თეატრს მიუახლოვდა. ნაბიჯს აუჩქარა. „აი ისიღორე, ხომ ეთქვი, ხომ ეთქვი“, იმეორებდა სიხარულით, თუმცა არ იცოდა რა თქვა ისეთი. რატომ არ უნდა დახვედროდა აქ ისიღორე. რატომ ეეჭვებოდა. გრძნობდა, როგორ გაუბრწყინდა სახე, გაუნათლა თვალები, გულმა გამაღებით დაუწყო ცემა. მაგრამ შემოგებულ ისიღორეს სახეს, რომ შეხედა, შეკრთა.

ისიღორე დამნაშავე კაცის გამომეტყველებითა და ნამალადევი ღმილით მიესალმა.

— გამარჯობა, თამარ!.. აგრე რად მიცქერი? მომეცი ხელი! — უთხრა და თამარის უხერხულად გამოწვილ ხელს ხელი შეაშველა. — წავიდეთ, თამარ!..

თამარი გაყვა, თეატრის ბაღში შევიდნენ და ყვავილების ბუჩქების პირდაპირ მერხზე ჩამოსხდნენ.

შუადღე იყო, ყვავილები მოწყენილად გამოიყურებოდა, მზის მხურვალე-

ბას ვერ უძლებდა. თავები დაეხარათ, აქა-იქ ფოთლებიც მოკეცილიყო და შემეკნარიყო.

ერთხანს ხმას არ იღებდნენ თამარი და ისიდორე. ბოლოს უხერხული სიჩუმე ისიდორემ დაარღვია.

— თამარ, თეატრი ვასტროლებზე მიემგზავრება და სექტემბრამდე ვეღარ ჩამოვალთ.

— რას ამბობ, ისიდორე?! — შეერთა თამარი.

— ამ ორ დღეში უნდა გავემგზავრო. ბევრი ვეცადე, რომ დავრჩენილიყავი, მაგრამ ვერ მოხერხდა.

თამარმა ვერაფერი უპასუხა. გაფითრდა.

ისიდორე შეაშინა თამარის სახემ. ხელში ხელი მოკიდა.

— თამარ, რა მოხდა, თითქოს სამუდამოდ ვშორდებოდეთ ერთმანეთს. სექტემბერი არც ისე შორსაა. მალე დაებრუნდები.

თამარი არაფერს ხედავდა, თავში ათასგვარი აზრი უტრიალებდა, მაგრამ ყველაზე მეტად ერთი ფიქრი აღელვებდა.

— დაბრუნდები, ვიცი, რომ დაბრუნდები ისიდორე, მაგრამ როდის?.. ჩემთვის ძნელი მარტო ყოფნა: რა გაამჩნევებს, არ დაიღვევად დღეები შენს მოლოდინში. ნუ წახვალ, ისიდორე.

— თამარ, ეს რომ ჩემზე იყო დამოკიდებული... — ისიდორე ხედავდა თამარის ცრემლმომდგარ თვალებს, გაფითრებულ სახეს. — თამარ, ნუ იღარღებ, დაიწარმუნე, მე უფრო მიმიძის, უნდა მოვითმინოთ, სხვა გზა არაა.

— რასაკვირველია, თუ აუცილებელია. — უთხრა ჩაქარდნილი ხმით თამარმა და წამოდგა.

წამოდგა ისიდორეც. უხმოდა ვაიარეს როსთაილის გამზირი, თამარის ქუჩის შესახვევში შედგინა.

— თამარ ვერც კი გაიგებ, როგორ გაივლის დრო, — დაიწყო ისიდორემ, მაგრამ თამარმა შეაწყვეტინა.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — სხვა სიტყვას ვერ პოულობდა თამარი და ამ აკეთებულ „რასაკვირველიას“ იმეორებდა. მერე ჩამოვარდნილი სიჩუმე ძლიერ დაარღვია:

— ნახვამდის, ისიდორე!

— ნახვამდის, თამარ!

ერთმანეთს ხელი გაუწოდეს და ჩამოართვეს.

ცოტა ხანს კიდევ შესცქეროდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი თვალები ახლა გარკვეულად არაფერს ამჩნებდნენ.

თამარი წავიდა, სუნთქვა შეკრულ აყვად აღმართს.

— თამარ, დაცია იქნებ წასვლამდე კიდევ შეგხვდეთ ერთმანეთს. — ჩაესმა თამარს ისიდორეს ძახილი, მაგრამ არ შემდგარა თამარი. რაც უფრო მალე აღიოდა, გრძნობდა, ამინდი იცვლებოდა, ქარი ქროდა, თამარს მტვერს აყრიდა სახეში, კაბის კალთას უფრიალებდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. თავისი მწარე ფიქრებით აფორიაქებული სახლისკენ მიისწრაფოდა.

თეთონაც არ გაუგვია, შინ როგორ მივიდა. გადასწყვიტა, სახლში ისე შესულიყო, რომ ნინოსა და დავითს არ გაეგო. ამიტომ უკანა ოთახის კარი ფრთხილად გააღო და ღერეფანში ფეხაყრფით შევიდა. საწოლ ოთახისკენ გაეშურა. სწრაფად გაიხადა ტანზე და ლოჯინში ჩაწვა.

„რას იმზავს, ისიდორეს საქციელი? — ფიქრობდა ძრწოლვით თამარი. ღმერთო ჩემო, რა ფიქრები მიტრიალებს. არა, არა, არ მიმატოვებს, ისიდორე. ვასტროლებზე მიემგზავრება. დაბრუნდება... დამიბრუნდება...“

— მოხვედი, თამარ, რატომ დაწექი? რა მოხდა თამარ?! — ოთახში შემოსული ნინო საწოლზე ჩამოჯდა.

— ნინო, მიშველე, მიშველე, დამ!

— დაწყნარდი, მიამბე, რა მოხდა?

— მეც არ ვიცი რა მოხდა... იქნებ შეჩვენებდა, იქნებ... ცუდად ვარ, ნინო!

— თამარ, — მკაცრად უთხრა დას ნინომ. — რასა ვავხარ, თამარ, რასა ჰგავს შენი საქციელი. დამშვიდდი... ჩვენ ხვალ მივემგზავრებით. როგორ დაგტოვო ასე.

— არ წახვიდე, ნინო, არ დამტოვო.

— კარგი, თამარ, კარგი. არ წავალ. ნინო ადგა, სასტუმრო ოთახში ისეთი გაფითრებული შევიდა, რომ დავითი შეაკრთო.

— ნინო, რა მოხდა? რა ამბავია?

— დავით, მე ვერ წამოვალ ხვალ. თამარი ვერ არის კარგად. — შეკავებულო მღელვარებით წარმოსთქვა ნინომ. — გურიაში უნდა წავიყვანო!

— თამარი უნდა წაიყვანო? რა დაეპართა თამარს.

— დავით, მამაკიე! დღემდე არაფერს გეუბნებოდი. მეგონა უკეთ წავი-

დოდა თამარის წამხდარი საქმე და ამიტომ აღარ გინებელი. — ნინომ დაწვრილებით მოუყვა თამარის ამბავი და ბოლოს ასე დაასკვნა:

— ახლა მაინც ვერ დავტოვებ. ყველაფერის ღირსია, მაგრამ რა ვუყო? იქნებ სასწაული მოხდეს. გატეხილი გული გამართელდეს, დაუთმოს თამაზმა და აღადგინოს პირველი გრძობა... თამაზის უფროსი ძმა ლევანი ვნახე, ვესაუბრე, საიმედო ვერაფერი მითხრა, მაინც ვეცდები.

— ნინო, არაფერი აღარ გამოვა! — გადაწყვეტით უთხრა დავითმა — ყველაფერი შეიძლება გამთელდეს, მხოლოდ გატეხილი გული არ გამართელდება. გაპყვი ნინო... წაიყვანე, თამარი დედასთან. ოღონდ დიდხანს ნუ დარჩები. ვარდოს მე წაიყვან, დედაჩემი მოუყვლის. მალხაზის მოშორება გამიჭირდება, მაგრამ რა გაეწყობა.

— დაეით, გახა ჩვენ მოვისვენებთ უშენოდ!

სადამოს ნინომ სადგურზე გააცილა დავითი და ვარდო.

მატარებელში ვარდო მამას მიუჯდა გვერდით. ხან დედას მიაჩერდებოდა,

ხან მამას. გრძობდა რომ დედა რჩებოდა და ამის გამო აღარც ცელქობდა. აღარც იცინოდა, ცრემლს მღვრივს ვეხებდა.

დედის კალთაში მოკალათებული მალხაზი არხეინად იყო და ხან დედას გაეთამამებოდა, ხან მამას, ხოლო ზოგჯერ ვარდოსაც მიწვდებოდა. ხელს წაკრავდა, გაუღიძებდა, მაგრამ ვარდო პასუხს არ აძლევდა. მალხაზს უკვირდა, ვერაფრით ვერ აეხსნა უფროსი დის საქციელი და ზოგჯერ თვითონაც ჩაუთქრავდებოდა, დას რაღაც იქვით გადახედებდა.

— ჩემო ვარდო... მალე ჩამოვალ, დედიკო. დიდედას დაუჯერე, არ გააჯავრო, მამა შენთან იქნება, არ მოგაწყენს.

— განა არ იცი? — ნინოს გასამხნეებლად იმედიანად დაუმატა დავითმა — როცა შენ ქალაქში წამოხვედი, სამსახურში მიმყავდა ვარდო, დავსვამდი სამუშაო მაგიდაზე და საქვეყნო საქმეებზე რჩევასა ვთხოვდი.

ახლა კი გაიღიმა გოგონამ და მამას მიეკრა.

დავითმა მალხაზი აიყვანა და გულში ჩაიკრა:

— ვაჟაკო, არ დაგვივიწყო. მალე ჩამოდი.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ი

1

ქექა-ქუხილი, რამაც თამაზს ოდერზე ბრძოლების სურათი მოაგონა, გვიანღამით მიწყდა, წვიმამ გადაიღო და მშვენიერი დილა გათენდა. ხანმოკლე იყო თამაზის ძილი, დილით აღრე გაახილა თვალები. მოაგონდა, რომ ნატო უნდა მოსულიყო ამ დილით და უცებ წამოღდა.

ბახმაროს მთაზე ამოწვერილი მზის პირველი სხივიც შეეხო სარკმელს და თითქოს თამაზის გულშიაც შეიჭრა. ბავშვობაშიც ხომ ასე ეგებებოდა მზის ამოსვლას და წამით თითქოს იმ ძველმა სიხარულმა ახლაც შეანათა მის გულში. კარი გააღო, აივანზე გავიდა. როგორ დამშვიდებულყო ქვეყანა წუხანდელი ქარიშხლის შემდეგ. დიახ, მიწა დამშვიდებულყო, დამტკბარიყო, მეტი ძალა სითბო მისცემოდა.

მახლობელ ვალებიდან და ხეებებიდან ნისლის ნაფლეთები ზევით მიიწვევდა. იშლებოდა, იფანტებოდა, სივრცეში ინთქებოდა. არა ჰგავდა ეს ნისლი ომის ხანძარის კვამლს. მათ აღამინათა სიცოცხლე კი არ მიპქონდათ, როგორც ეს ფრონტზე ხდებოდა. სროლისა და გრილის ხმის ნაცვლად, სიცოცხლისა და შრომის ხმები ისმოდა; ვინ მღვროდა, ვინ იძახდა, ვინ გზაზე მანქანას მიაგუგუნებდა.

სახლში სიწყნარე იდგა. თამაზი მიხედა შინ აღარაყინ იყო. მხოლოდ სამზადიდან ფილთაქვის რახარუხი ისმოდა. ეტყობოდა, დედა საუზმეს ამზადებდა. გაუხარდა თამაზს, ჯოხის მოღუშვებიდან კიბის სახელურს წაატანა ხელი, საფეხურზე დაეშვა, ძირს ჩავიდა.

— როგორ აღრე ამდგარხარ, შეილო... ჯოხიც არა გაქვს. — სიხარულით, თა-

ნაც ფარული შიშით უთხრა ასმათმა. —
შემოდი, შვილო! — ხელი მიაშველა.

დედამ ხელპირი დააბანია.

თამაზი დაჯდა.

— დედი, ამ დილით სტუმარი მოვა.

— ვინ მოვა, შვილო?

— ინჟინერი ქალი, გუშინ რომ იყო.

დედას თვალი გაუხათლდა, შვილს
ვერდილი მიუჯდა.

— მერე, შვილო... — გაუბედავად
წარმოსთქვა და სათქმელი განზრახ არ
დაასრულა. უნდოდა შვილს თვით დაე-
სახელებინა ინჟინერი ქალის აქ მოს-
ვლის მიზეზი.

— სამუშაო გვაქვს. — დაგვიანებით
წარმოსთქვა თამაზმა.

— კარგი, შვილო — კმაყოფილე-
ბით უთხრა დედამ და საუზმის მზადე-
ბა განაგრძო.

თამაზი ცეცხლს ჩასჩერებოდა, არ
ციოდა, მაგრამ მშობლიური კერის
სითბო სიამეს ჰგვრიდა.

ეზოში ძაღლის ყეფა გაისმა და ას-
მათი გავიდა.

— მობრძანდით, მობრძანდით! —
მოესმა თამაზს დედის ხმა.

თამაზმა იფიქრა, სტუმარს თუ არ
შევედგებ, უზრდევლობად ჩამითვლია-
ნო, წამოვდგა, გარეთ გავიდა.

ეზოში დედა ნატოს მოუძღოდა
ოდისაკენ. ნატოს დღეს სულ სხვანაი-
რად ეცვა: თითქოს უბრალოდ, მაგრამ
ინჟინერი ქალის შესაფერისად და ეს
უფრო აშშენებდა მის აგებულებას.
ახალი კაბა ნატოს ისეთ ღირსებებსაც
აჩენდა, რომელიც წინა დღით არ შეუ-
ნიშნავს თამაზს. ერთ ხელში პაკეა ეჭი-
რა, მეორე ასმათისათვის მკლავში ჩა-
ველო და მომღიძმარი სახით მოდიოდა.

თამაზი კიბის სახელურს ჩასჭიდე-
ბოდა, აქედან ფეხს ველარ იცვლიდა.

— ამას იქით ველარ წამოვალ და
იმედია არ გეწყინებთ. — უთხრა თა-
მაზმა მოახლოებულ სტუმარს.

— ნუ შეწუხდებით... დილა მშვი-
ლობისა, პატივცემულო თამაზ! — მიე-
სალმა ნატო და გაუღიმა. მერე ეზოში
დადგმულ იმ მაგიდისკენ გაემართა,
სადაც წინა დღით ისხდნენ. — მე აქ
დაველოდებით.

ასმათმა სახლში მიიბატეცა,

— არა, დედა, ეზოში მიჩრჩენია.

სტუმარი მარტო რომ არ დარჩენი-
ლიყო თამაზმა სთქვა:

— მე ჯოხი მაკლია, სხვა არაფერი.
ახლავე შემიძლია საქმეს შეუდგე, მაგ-
რამ თქვენ იქნებ მართლა გვიჩიოთ,
რომ უჯჯობოდ ვერ გავივლი?.. აბა,
ვსინჯო! წარმოსთქვა, ხელი ახლად
ფეხადგმულ ბავშვივით გაშალა და
მაგიდისაკენ წაიდა.

— შვილო, რას შერები!

— პატივცემულო თამაზ!

თამაზმა გზა უფრო გაბედულად გა-
ნაგრძო, მაგიდასთან მივიდა, შეჩერდა
უკან მოიხედა, დიმილით თქვა:

— ხომ ხედავთ, რა ძნელი გზა გა-
მოვიარე?

— შვილო! — დაიძახა აღფრთოვა-
ნებულმა დედამ.

— მომილოცავს, ბატონო თამაზ! —
ციხფერი თვალები ალტაცებით შეანა-
თა ნატომ.

— მაღლობელი ვარ. — უთხრა თა-
მაზმა ნატოს და დედას მიუბრუნდა. —
ძალე სულ არ დამჭირდება ჯოხი. დამ-
რძანდით, — უთხრა ნატოს.

ნატო დაჯდა.

— მე ხელს არ შეგიშლით, შვილო.
წაყალ საუზმეს მოგიმზადებთ, — თქვა
ასმათმა და სამზადისკენ გასწია.

— აბა, დავიწყეთ, ნატო. — უთხ-
რა თამაზმა ნატოს და პაკეა გახსნა:

— თქვენ, თუ არ ვცდები დაეთანხ-
მეთ ჩემს მოსახრებებს, რასაკვირვე-
ლია, დღეს ჩვენ ისე აღარ ვაშენებთ.
როგორც გუშინ ვაშენებდით. ახლა
სხვა მოთხოვნებივებს, სხვა მასშტაბებს
გვიყენებს ცხოვრება. კოლმეურნეს,
რომელიც ერთი ნორმის ნაცვლად ათ
ნორმას აყეთებს დღეში, არ შეძლია
იცხოვროს ისე, როგორც გუშინ ცხოვ-
რობდა. ისიც თავის ნორმებს მოით-
ხოვს ჩვენგან. იგი შრომითი სასწაუ-
ლებს ახდენს, ჩვენ კი მას უკან ვეწე-
ვით. არა გვაქვს ამის უფლება, ნატო,
ამას არ გვაპატიებს ხალხი. ჩვენ უნდა
ვაშენოთ ხვალისათვის მომავლისათ-
ვის. — წამით გაჩუმდა, ნატოს ოდნავ
აწითლებულ სახეს შეხედა და ისევ
განაგრძო: — ამას მე თქვენ დღეს გე-
უბნებით, როცა ჩვენ მარტონი ვართ.
ეს ჩვენ უნდა ვიცოდეთ. ჩვენ უნდა
ვიცოდეთ რა უნდა ხალხს. თვითონ უნ-
და შეადგინოთ დაეალება, რა უნდა უნ-
კეთდეს, რა დაწესებულებები უნდა
მოთაყსდეს ამ შენობაში. ჩემის აზრით
კლუბის დარბაზი რვაასი კაცისათვის
უნდა გაითვალისწინოთ.

ნატოს გოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— მაშ, როგორ ფიქრობდით? ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ მასშტაბი წარმოგედგინათ — განაგრძობდა თამაზი, — ცხადია, კლუბის დარბაზს უნდა შეეფერებოდეს მისი სცენა.

— ამას მე შევძლებ? — შიშით წარმოსთქვა ნატომ.

— შეძლებთ! — უთხრა თამაზმა. — მე ვიცი, რომ შეძლებთ!

— თქვენ დიდი წარმოდგენა გქონიათ ჩემზე — წარმოსთქვა ნატომ.

თამაზი მიხვდა, რომ ჯერ გამოუცდელ ინჟინერს გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ამიტომ გაიღმა და დაუმატა:

— იქნებ ერთად შევადგინოთ ესკიზი?

— დიდად დამავალბებთ... — სიხარულით შესძახა ნატომ.

— კარგი. აგერ დედას საუხზე მოაქვს, ცოტა დაენაყრდეთ და მერე შევეუდგეთ საქმეს.

— მე უკვე ვისაუხმე, ბატონო თამაზ.

— კიდევ ისაუხმებ, თამაზთან ერთად, შვილო, ჩემს ხაქაპურზე უარს არ შეტყვი.

— არა, არა, ნატო ხაქაპურზე უარს არ გეტყვის. უნდა მიირთვათ უსათუოდ.

საუხმის შემდეგ თამაზმა ქალაღი და ფანქარი აიღო.

— მაშ კლუბის დარბაზი და სცენა გადიდდება. აგრეთვე ფოიეც. მოდიო ყველაფერი თავიდან დაგაუყოთ, ნატო. ნუ შეგეშინდათ, ასეაჯობებს, რას იტყვიო?

— რატომ იფიქრეთ, რომ შეგეშინდა, ბატონო თამაზ. მე თქვენთან თავს ისე ვგრძნობ... — ნატო უცებ გაჩუმიდა, სახე წამოუწითლდა. თამაზს ყურადღება არ მიუქცევია, თვალი აარიდა.

მუშაობა განაგრძეს.

თამაზის გამხნევებით გათამამებულმა ნატომ მრავალი საინტერესო მოსახზრება გამოსთქვა. სიხარულით უთრთოდა გული, რამდენი რამ ცოდნა და ასე ეგონა, ბევრი არაფერი ვიცო.

ნატოს ასეთმა გამოცოცხლებამ და ინიციატივამ თამაზიც დაარწმუნა, რომ ახალგაზრდა ინჟინერის შეფასებაში არ შეშეცდარა რომ ნატო მართლაც წარმატებით შესძლებდა მათე

დაკისრებული მოვალეობის განსორციელებას...

— ჩინებულაია იმედი მაქვს ვერუქტსაც ასე წარმატებით შეადგენთ! მხოლოდ დრო არ ითმენს, უნდა იჩქაროთ! — გაამხნევა თამაზმა ნატო, როცა მუშაობა დაასრულეს.

— თუ თქვენ დამეხმარებით, ბატონო თამაზ... — წარმოსთქვა ნატომ დუცებ გაჩუმიდა.

თამაზი მიუხვდა.

— რასაკვირველია, როცა დაგვირდეთ მე ყოველთვის მზადა ვარ. მაგრამ მინდა დარწმუნდეთ, რომ თქვენ საკმაო ცოდნა გაქვთ, ჩემგან საერთო ხასიათის რჩევა თუ დაგვირდებათ...

ნატო მიხვდარა იყო, რომ თამაზმა სული ჩაუღდა, გამოაცოცხლა, — ააშოქმედა მთელი ის ცოდნა, რაც მასში მიჩქმალულიყო, რომ თამაზის გამხნევებისა და დასტურის გარეშე ვერ იმუშავებდა.

— რატომ ჩაფიქრდით? — ჰკითხა თამაზმა. — მაინც შიშობთ, რომ მართო ვაგიქრდებთ მუშაობა? კარგი, შევიძლიათ ნახაზის ყოველი დეტალი ცალკე მიჩვენოთ. თუნდაც ყოველდღე.

— ბატონო, თამაზ! — სიხარულით შესძახა ნატომ და მის ცისფერ თვალებში ხევა ახალი ფერებიც გაბრწყინდა.

თამაზმა თითქოს მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ნატო არა მარტო „ახალგაზრდა ინჟინერია“. ამ გრძნობამ მას უეცრად მოაგონა თამარი, რომელმაც ყოველ ახალგაზრდა ქალისადმი უნდობლობა ჩაუთახა გულში. ნატოს თვალი მოარიდა.

გადასწყვიტა, მისთვის ეს ქალი მომავალშიც მხოლოდ „ახალგაზრდა ინჟინერად“ დარჩენილიყო.

— მაშ ასე, ხელ ვარდენი გამგეობაში წაგეყვანს და ჩვენს მოსახზრებებს ვაეცნობთ გამგეობის წევრებს. იმ ადგილსაც ვნახავთ, სადაც კლუბი უნდა აშენდეს.

— როგორ მიხარია! — ევლარ მოითმინა და წარმოთქვა ნატომ. — რადროისათვის შეძლებდით წამოსვლას, როლის მოვიდეს, ვარდენი?

— როცა უნდოდეს.

— კეთილი, ბატონო თამაზ! მანქანა მოვა, წამოგიყვანთ, — უთხრა ნატომ და წამოდგა.

სიწყინარე იყო ირგვლივ. ნატოს ახლა მოაგონდა, რომ ასმათი საბავშვო ბავშვი იყო წასული და აქ მარტო იყვნენ. მიწაზე გაყოლილი ზეთა ჩრდილები ირჩქვოდა, ერთმანეთს ეხებოდა, თითქო საიდუმლო ამბავს ჩასჩურჩულებდა.

ნატომ პაპკა აიღო.

— გაგაცილებთ.

— არა, არა, ბატონო თამაზ, ნუ შეწყუბდებით.

— უფროსილებით ხეიბარს არა? — თამაზი წინ გაუძღვა. — აი, ხომ ხედავთ, არც ისეა საქმე. როგორც თქვენ ფიქრობთ. მე შემძლია ასე ზღვამდე ვიარო.

ნატოს გაეცინა. გაისმა მისი წკრიალა და წმინდა ხმა.

— დამცინით. ზღვა არც ისე შორს არის, რომ იქამდე მისვლა სატრაბახო იყოს, არა?

— რას ბრძანებთ, ბატონო თამაზ. — კინშკარას შეჩერდა ნატო და პირველად ახლა პირდაპირ შეხედა, თამაზს. — ნახვამდის, — რაღაც გაგრძელებულად წარმოსთქვა ნატომ. მერე მოტრიალდა, თავის გვერდზე გადაწევით ცისფერი თვლები ერთხელ კიდევ მიაპყრო თამაზს და თითქოს სინანულით პირი იბრუნა.

— ნახვამდის! — უპასუხა თამაზმა. გამობრუნდა, ოდნავ შესამჩნევი კოჭლობით გასწია სახლისკენ.

— „გათავდა. ჯოხს ხელში აღარ ავიღებ“. — გაიფიქრა თამაზმა. ტანში მიმსლებუქე იგრძნო. სახლში არ ავიდა. ეზოში მოუსხდა გავლა. ვარდის აყვავებულ ბუჩქთან შეჩერდა. დაყნოსა ერთი, მეორე, მესამე. ერთიც არ მოუწყვეტია, მხოლოდ გაშლილ ვარდსა და ახლად პირგახსნილ ყოყრებს ხელი აღერსიანად გაუსვა.

სალამოს შინდამბრუნებულ თავისიანებს უჯოხოდ შეეგება.

— ჩემმა შეიღმა მეორედ აიდგა ფეხი, — სიხარულით ამბობდა დედა.

— ამას რას ვხედავ, შენ თამაზ... — მიამახა გიორგიმ.

— ბიძია, ჯოხს აღარ ხმარობ, მორჩი? ო, რა კარგია! — უთხრა სიხარულით ცილამ.

— მალე კოჭლობაც დაგაეწყვდება! — დაასკვნა გიორგიმ.

ყველა თამაზს ეხეოდა. ყველა გახარებული იყო. თამაზიც ყველას სათითაოდ აცქერდებოდა. სიხარულს ხედავ-

და მათში, ამ სიხარულის უზღვევ ტალღა მის გულსაც ათრთოლებდა, არხვედა და რაღაც ტყვილისა და სისამის შეერთებული ერთხატვლად ცხვლიდა ტანში.

2.

დღილით კინშკარას შეჩერებულ აეტოს საყვირის ხმა შემოესმა და გვერდზე გადასდო გაშლილი წიგნი. არქიტექტორული ეურნალების მთელი დასტა აიღო და კინშკარისაკენ დღეს უფრო თამაში ნაბიჯით გაემართა. თვითონაც უყვირდა, რაღაც ერთი დღის განმავლობაში, როგორ შეიჩვია უჯოხოდ სიარულს.

— სანდროს ვახლავარ!

— დილამშვიდობის, ჯოხი გადაგიგდით, თამაზ.

— გადავადღე, სანდრო. დროა.

— დროა. ეპ, ყველაფერი, რომ დროზე გვისრულდებოდეს, ძალი არ დაწყევდა მამის ჩემს ბედს.

— რატომ ემღერი ბედს?

— ბედს არ ვემღერი. ჩემისთანა ბედნიერი ალბათ მეორე არ დადის ქვეყანაზე. ომს რომ არ შეეშალა ხელი, ეს ბედნიერება აღერე მეწყვიდა. — თქვა სანდრომ და მანქანა დასტოვა.

— ომმა ბევრი გააუბედურა. — თქვა ყრულ თამაზმა.

— კინალამ მეც მოვხვდი იმ ბევრში და დაჯვარე ჩემი ბედი, ჩემი სიხარული. საცოლოზე მოგახსენებთ, ბატონო თამაზ. სანამ ფრონტიდან დეპრუდებოდი, ხმა დაგარდნილა, სანდრო მოჰკლესო, მაგრამ ჩემს სატრფოს ქვა მალლა აუგდია, თავი შეუშვერია. „არ დავიჯერებ! სანდროს ვერ მოჰკლავდნენო“. თავს მოვიკლავ და სხვაზე არ ვავთხოვდებითო. ვაჯიუტებულან მშობლები, სასიძო შინ მოუყვანიათ, მაგრამ ჩემი სიცოცხლე სახლიდან გაქცეულა.

„მთლად თამარს არ ჰგვანებია სანდროს საცოლე“? — გაიფიქრა თამაზმა.

— ახლა ქორწილისათვის ვემზადებით. ქალი კი არა, ბედნიერება შემომიყავს ოჯახში. ექვს დღეინა მისიკიდა, სხვა მის ადგილას ექვსჯერ გათხოვდებოდა ალბათ.

— მართალია, სანდრო. ყველა ქალმა როდი იცადა ექვსი წელიწადი, — თქვა ტყვილით თამაზმა.

— ნათქვამია ვინც, იცადა, მან მოიგოვო! — შესახა მხიარულად სანდრომ.

უნდა დამლოთ პარტივი და ქორწილში გვესტუმროთ.

— სიამოვნებით, სანდრო. — უთხრა თამაზმა სანდროს.

მანქანა თემშარაზე გარბოდა. ეზოები დაპატარავებულიყო, სამაგიეროდ კოლმეურნეობის პლანტაციები გაზრდილიყო. ირგვლივ ყველაფერი ყვაოდა. ყველაფერს ადამიანის მადლიანი ხელი შეეხებოდა. ყველაფერს ადამიანის ძალა ეტყობოდა აი, ამ ადგილას, წინათ მიხედორი იყო, «გატანიას» თამაზობდა აქ ბავშვობისას თამაზი. აქაც პლანტაცია გაუშენებიათ. ერთი მტკაველი მიწა არ დაუტოვეიათ უქმად. აჰა, ის მდინარე კომპლშიაც თავის პატარა მეგობრებთან ერთად ბანაობდა: ცურაობდნენ, ყვინთავდნენ, ან თევზაობდნენ. როცა წყლიდან თავს ამოჰყოფდნენ, ღორჯოებივით აღებდნენ პირს. ამ მდინარეზე, ფრონტზე გამგზავრებინა წინ თამართან ერთად ზელინელ ჩაქიდებულებმა ქვებზე ზტომით გადმოიარეს და ახლა ეს სურათიც დაუდგა თვალწინ. რა დიდი უფესკრული ჩადგა ამ ქალისა და თამაზის შორის.

მანქანა აღმართს აჰყვა და ზეგით, პატარა ვაგონზე კოლმეურნეობის შეხობაც გამოჩნდა.

აივანზე ვილაც ქალი იდგა და მიახლოვებულ ავტოს მისჩერებოდა. უცებ კიბე ჩამოიჩინა და მანქანისაკენ გამოიქცა.

— ხედავთ, ნატო როგორ გამოჩნდა! არასოდეს არ მოგებებია ჩემს მანქანას. — თქვა ეშმაკური ღიმილით სანდრომ. — ნეტა ახლა რა მოეჩვენა?

— ბატონო, თამაზ. მობრძანდით? — გაისმა ნატოს ხმა.

ავტო შეჩერდა.

— აა, — დიდმნიშვნელოვნად დაიხეივინა სანდრომ. — აი, თურმე რაში ყოფილა საქმე.

ნატო შეცბუნდა, მაგრამ მაინც თამაზად მიუახლოვდა თამაზს, მკლავში ხელი გამოსდო და წაიყვანა:

— წავიდეთ, გამგეობაში გველოდებიან.

— აი, ძვირფასო, ფეხი აგიდგამთ, ახლა ჩვენ საქმეს არაფერი დაუდგება წინ, — შესძახა მოგებებულმა ვარდენმა თამაზს.

— გილოცავთ. გილოცავთ! — დაიგუგუნა მალალმა, გამხდარმა, მაგრამ

ძვალმსხვილმა, ვაჟკაცმა. მან შექალაქრავებულ საფეთქელზე ხელი მოისვა, თავისი სქელი, თითქოს ერთმანეთზე შედღელებული კბილები — ვამოჩინა და აივნებიდან ძირს ჩამოვიდა: თამაზ მიეგება სოფსაბქოს თევზადომარეს და ხელი ჩამოართვა.

— გამადლობთ, თეიმურაზ!

— მადლობელი ჩვეს ვართ, რომ გამარჯვებული დაგვიბრუნდი, — ბოხი ხმით უთხრა თეიმურაზმა თამაზს ხელი მოხვია.

დერეფანში ხარიტონი გამოჩნდა, მოლიმარი სახით ახლოვდებოდა.

— მობრძანდით, ჩვეს ლოდინს უნაყოფოდ არ ჩაუვლია, — წარმოსთქვა და ორივე ხელი მიაგება თამაზის მარჯვენას.

გამგეობის ოთახში შევიდნენ. იქვე კუხეში მჯდარი მოხუცი ეგნატე იცხო თამაზმა და მისკენ გაემართა.

ეგნატეს ფეხი ფეხზე გადაედო, გრძელტარია ჩიბუხს ალკაუნებდა, ხეუიახად აბოლებდა.

— მოხარული ვარ, ბიძია ეგნატე, ყოჩაღად რომ დამხვდით! — უთხრა თამაზმა.

— აა, გამარჯობა! დაიცა, ბიჭო, შენ საყვალა ვაშაშაძის ვაჟი არა ხარ? ყოჩაღ ბიძია. დაბრუნდი ბიძია, გაგიხარებია ასმათი...

— ეგნატე კიდევ იცოცხლებს ას წელწიადს. კოლმეურნეობამ სიკვდილი აუქრძალა. სად სცალია სასიკვდილოდ, რამდენი რამ აქვს გასაკეთებელი. ხომ ასეა ბიძია, ეგნატე.

— ასეა, შვილო, წინათ გლებს სიკვდილს ნატრობდა, შრომას წყევლიდა. ახლა შრომამ სიკვდილი შეაძულა ხალხს. შრომა სიხარულად აქცია კოლექტივმა. — ეგნატემ ჩიბუხი დაფერთხა, ქამარში გაიოჭო და განაგრძო. — კაცს არაფერი გაუჭვირილენა, შვილო, შრომა თუ სახარულილო შეიქნებოდა, ამას ვინ იფიქრებდა.

ყველა ღიმილით შეჰყურებდა მოხუცს.

ყველანი დასდნენ. ვარდენს მარჯვნივ ხარიტონი დაჯდა, მარცხნივ თეიმურაზი. შემდეგ გამგეობის სამი სხვა წევრი. ეგნატე ადგილის გამოცვლას აღარ ფიქრობდა. კუთხეში იჯდა, კვლავ ყალიონს აბოლებდა და ვაზივით დაგრეხილ თამაზქოს ბოლი გაღებულ ფანჯრისაკენ მისწრაფოდა. ვარდენის

მაგიდასთან მიდგმულ მცირე მაგიდას, ხატო და თაბახი შემოსხდომოდნენ. ყველა მათ მისჩერებოდა.

— ვარდენ, როგო დავიწყით! — მიმართა თეიმურაზმა თავმჯდომარეს. — სიტყვას თამაზს ვაძლევ.

— სიტყვა ესკიზის ავტორს ეკუთვნის. — უპასუხა თამაზმა.

ნატო მის წინ მაგიდაზე დადებულ პაკეას წაეტახა, ახლო მიიწია, მაგრამ ვერ გახსნა. ოთახში ჩამოვარდნილმა ღუმელმა დაუკარგა გამბედაობა.

ვარდენმა გაამხნევა:

— კეთილი, ძვირფასო. მაშ ნატო იწყებს და გთხოვთ მოუსმინოთ!

ნატომ ფრთხილად გახსნა პაკეა, ჩანაწერები და ნახაზები ამოიღო და დაიწყო.

კრება გამოცოცხლდა. ხმას არაეინიღებდა, მხოლოდ ერთმანეთს თვალით ამოზომდნენ სინარულს, გაკვირვებას და ზოგჯერ ექვსაც კი.

ნატო არ ჩქარობდა, უფრო მნიშვნელოვანი აზრის კითხვისას ხმას არბილებდა, ისედაც მიმზიდველ აზრებს თავის ქალურ სიბთბოს, სინახესა და მიმზიდვილობას არ აკლბდა.

ნატოს მიერ წაკითხულიდან მოხუც ეგნატეს ზოგი ისეთი აზრები ჩაესმა, რომ ველარ მოითმინა, თავის სკამს ხელი ჩასჭიდა, ჩოჩვა-ჩოჩვით მაგიდასთან მიათრია და იქ დაჯდა.

ვარდენმა გაიღიმა, მარჯვენე ხარიტონს ვადახედა, მარცხნივ თეიმურაზს, მათ თვალს ჩაუკრა და მაგიდაზე თვალდაცეცებით ვადმოზრილ ეგნატეზე ანიშნა.

ხარიტონმა ღიმილითვე უპასუხა.

თეიმურაზმა თავი ოდნავ დაუქნია და ავლავ სმენად იქცა. ის მხოლოდ ნატოს მისჩერებოდა, თუმცა ამჟამად ნატოზე უფრო თვალნათლივ ამ ახალგაზრდა ინჟინრის მიერ დახატულ სურათს ავლავდა.

ნატომ დაასრულა თავისი მოხსენება. პაკეა დახურა. ხარ თამაზა შეხიდა და მერე დანარჩენებს შეავლო თვალი.

— ჩინებულაი! — წარმოსთქვა ვარდენმა.

— ყველაფერი კარგია. უყურადღებოდ არაფერი დავრჩენიათ. საცეკვაო ოთახებშიც არ დავგვიწყნით, მაგრამ სოფსაბუკო? შე რა დავაშავე? — მიმართა თეიმურაზმა ნატოსა და თამაზს.

თამაზმა გაიღიმა:

— განა ყველაფერს მხოლოდ უფრო შენობა ეყოფა, თეიმურაზ? — შეშფაღებულია. მალე სხვა კაპიტალური შენობების აგება იქნება საჭირო. ჩემის აზრით სოფსაბუკოსათვის ცალკე შენობა უნდა აიგოს. ხოლო საავადმყოფო და აფთიაქი შეიძლება ერთ შენობაში მოთავსდეს. არაფერს ვამბობ სკოლაზე. რომლის შენობა საკმაოდ კარგია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მალე სკოლისათვის უკეთესი შენობის აგება დაგეგმირდება. ეს ყველაფერი მომავლის საქმეა. დღეს რაც დავიწყია, ის დავამთავროთ.

— მართალია, სწორია! — დაიძახა ხარიტონმა. — ერთი დაკვირვით, სოფილს კი არა, ნალია არ აშენებულა.

— ძვირფასო, — მიმართა ვარდენმა სოფსაბუკოს თავმჯდომარეს. — თუ ასე ვაყვებით, სამკედლომ და მანქანების სარემონტო სახელოსნომ რა დააშავე?

— ისინი იქვე მოთავსდებიან, სადაც არიან, თუმცა შესაძლოა უკეთესი აუგაოთ. — ჩაურთო ხარიტონმა.

ეგნატეს ყოველივე თქმული და მოსმენილიდან ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს უცხო ხალხში მოგზავლიყო, ამიტომ დიდის მორიდებით იყითხა:

— თუ შეიძლება ერთი ეს ამიხსნათ. ვერ გამოვიდა, როცა იმ შენობებს ავაშენებთ, მაშინ რა ვიქნებით, — ქალაქი, თუ სოფელი?

— აგროქალაქი, ჩემო ეგნატე. — შესძახა რიზიანად ვარდენმა. — საკომუერუნო ქალაქი. ვაიელის რამდენიმე წელიწადი და, ბაბუა ეგნატე ქალაქის მცხოვრები შეიქნება და ჩვენი მკვეყნის სხვადასხვა კუთხიდან წამოვლენ შენი შვილიშვილების წერილები. ქალაქი ესა და ეს. მიერთვას ჩვენს ეგნატეს.

— შენ ხუმრობ, ვარდენ და შენი ეგნატე მაგ დროსაც მოესწრება.

— მოესწრები, ბიძია, ეგნატე, მე არ ხუმრობ. — უთხრა ვარდენმა ეგნატეს. — თქვენ კი, ინჟინრებო, ისიც უნდა მოგვახსენოთ, პროექტი როდის გვექმნება. დაყოვნება არ შეიძლება. რადგან ვიწყებთ, უნდა მივყვეთ და დავამთავროთ.

ნატომ ახლაც თამაზს მიაპყრო თვალი, მაგრამ თამაზმა ნატოს ეს უსიტყვო თხოვნა უპასუხოდ დასტოვა. ამით

აგრძობინა, რომ საჭირო იყო თვით ნატოს ექსპლუატაცია ვარდენის კითხვაზე.

— თხუთმეტ აგვისტოსათვის პროექტი გვექნება, — რალაც შევებით წარმოასრულებს ხატობა.

— ხატო არ ცდება — თხუთმეტი აგვისტო! — კმაყოფილებით დაეთანხმა თამაზი, ის ახლა უფრო დარწმუნდა, რომ ჯერ გამოუცდელი, მაგრამ ნიჭიერი ინჟინერი შეძლებდა განეხორციელებინა საკმაოდ პასუხსაგები მოვალეობა.

... საჭიროა ხალხი შეეკრიბოთ. გადაწყვეტილება საერთო კრებაზე უნდა მივიღოთ და რაიონში დამტკიცდეს. — ისე სიტყვა თეიმურაზმა, თითქოს ყოველ თვის სიტყვას ბეჭედს ასვამსო.

— მართალია, ძვირფასო, კვირას კრება გვექნება და გავატარებთ, — უპასუხა ვარდენმა.

— მაშასადამე ორშაბათს რაიკომის მდივანთან! — ჩაურთო ხარიტონმა, — იმედი მაქვს თამაზიც წამოვა რაიკომში.

— რასაკვირველია წამოვა, ძვირფასო, აბა შეაგზავნე ხომ არ მიგვატოვებს. ხომ ასეა, თამაზ?

თამაზს არ გააკვირვებია თეიმურაზის ასეთი კატეგორიული მოთხოვნა და თანხმობა მისცა.

კრება დასრულდა. ეზოში გავიდნენ და იმ ადგილისკენ გაემართნენ, სადაც კლუბის ამშენებელ ფიქრობდნენ.

— ი, აქ, ძვირფასო! — თამაზის გასაკონად წარმოსთქვა ვარდენმა და ქიან ნილაგს ფეხი დაჭრა, — საკმარისია აქედან ერთხელ გადასვდეთ ზღვას და გული გაგეხსნებათ. საამერა.

— ჩემო ბიძია, მითქვამს და ვიტყვი, — ჩაურთო ვენატემ. — ზღვას გადასვდავ და კარგიც იქნება, მაგრამ მერე ქარი წავიღებს და რალა გამოვა. აქ ისეთი ქარი იცის ჩაწამთრებაზე, რომ ქვას არ აჩერებს.

— ამ საქმეში, ბიძია ეგნატე, ჩვენ უნდა დავგვიმოთ. — შეეინტყვა ვარდენი. — ჩვენი თაობა სულ ზევით მიიწევს, ჩვენი სული დაბლობს ვერ ითმენს.

თამაზი დადიოდა. დაბეჯითებით ათვალიერებდა ადგილმდებარეობას სადაც კლუბის აგება გადაწყვიტათ. თანაც ეგნატესა და ვარდენის ბაასს უგდებდა ყურს. შიგადაშიგ ისე საეჭვოდ

იღივებოდა, რომ ეტყობოდა, რაღაც არ მოსწონდა. როცა საბოლოო დასკვნა გამოიტანა, ვარდენს მიმართა:

— ეგნატე მართაღნა... ეგნატე! — იცოცხა, ისეთ შენობას, რომლის აგება ჩვენ გადაწყვიტეთ, მეტი გასაქანი სჭირდება. ამის საშუალება აქ არაა, შეზღუდული ვართ. კლუბს ბალიც სჭირდება. ხალხს შეუძლია არა მარტო კლუბში, ბალშიც დაისვენოს. უმჯობესია ამაზე ახლა მეტი ვიფიქროთ, ვიდრე შემდეგ ვინანოთ. მარტო კარგი გადასახელი არ კმარა.

— თქვენ მართალი ხართ, ეს ყველაფერი ქეშმარიტებაა და უკამათოდ უნდა მივიღოთ. — მისებური სიღინჯით თქვა თეიმურაზმა, მან ახლა პირველად იხება თამაზის შექება, თუმცა სახეში არ უტყუროდა, წელში გამართული და თავაწეული ფეხსაც დინჯად აღჟამდა მიწას.

საიდანღაც შეუმჩნეველად მოვიდა და ხარიტონის გვერდით შეჩერდა ვილაც ქაბუკი.

ხარიტონმა ქაბუკი თამაზს გააცნო:

— კომკავშირის მდივანი, ქიშვარდი ლომამე!

თამაზმა ხელი ჩამოართვა. ყმაწვილის მკერდზე წითელი ღრომის ორდენი ბრწყინავდა, ახედ-დახედა, მოეწონა.

— თამაზს ვეთანხმები, მხოლოდ საჭიროა ვიცოდეთ კომკავშირელები რა აზრისა არიან! — წარმოსთქვა ხარიტონმა და ქიშვარდის მკლავში ხელი გაუყარა.

— აქ გამოთქმული აზრები მეც მოვისმინე. ინჟინრები მართალს ამბობენ, ვეთანხმები. შესაფერი ადგილიც შემიძლია დავასახელო.

— ეტყობა, კომკავშირი არ ხუმრობს, მაგრამ საინტერესოა, ძვირფასო, ქიშვარდი, რა ადგილს გულისხმობ? ცხადია, ამ საქმეში კომკავშირის აზრი საგულისხმოა, გთხოვთ მოუსმინოთ! — განაცხადა ვარდენმა.

— ციტრუსოვანთა ნაყოფის მისაღები პუნქტი გადავიტანოთ და იქ კლუბი დავდგათ.

— ოჰო, მშვენიერი აზრი გამოთქვა; საწყობის გადატანა ძნელი არაა. მხოლოდ კლუბისთვის ისეთ ადგილს ჩვენ ვერ ვიპოვით... ირგვლივ ვრცელი ბაღი შეიძლება გაშენდეს, ამ ბაღიდან ზღვაც

გამოჩნდება, ხოლო კლუბი ცოტა დაბლა. — თქვა ხარიტონმა.

— არაფერია, კოლმეურნეობის გამგეობა მისი მალა იქნება, მეორე სართულში და ვარდენს შეუძლია ზღვაც დაინახოს. — ჩაურთო თეიმურაზმა ღიმილით და ხარიტონს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

— ზღვა თქვენთვის მინდა, ძვირფასო, ექნებ ხასიათი დაგიწმინდოთ, თორემ მე ისედაც შემომლია დღეში ათჯერ ვინახულო და ვიბანო კიდეც. — უპასუხა ვარდენმა.

— რადგან შენც თანახმა ხარ, რაღა დაგვრჩენია, ახლა კიშვარდის მიერ არჩეული ადგილიც ვნახოთ, გავსინჯოთ და შევამოწმოთ, — წარმოსთქვა თეიმურაზმა და საწყობისკენ პირი იბრუნა.

თეიმურაზს სხვებიც გაჰყვნენ, როცა საწყობთან მივიდნენ ვარდენმა თქვა:

— ინკინრების ხელში ჩავეარდით და რა გავწყობა! ნახეთ და მოგვახსენეთ, ძვირფასო.

ნატოს სახე გაეხსნა, ცისფერი თვალები ხალისიანად მიმოავლო იქაურობას და მერე თითქოს თავისთვის ხმადაბლა წარმოსთქვა:

— მშენიერია.

— კარგია. უკეთესის წარმოდგენაც ძნელია. მხოლოდ ნიადაგის გამოკვლევა იქნება საჭირო. — დაუმატა თამაზმა.

— ნიადაგი საეკვო არ არის, ძვირფასო! ამაზე ნუ იღარდებთ, როცა აქ საწყობის მშენებლობა დაეიწყეთ, ვინ იცის რამდენი წერაქვი გაიქცეოთ.

— მართალია ვარდენი! მიწა კირილეს სიორიძესავითაა გამხმარი, გამშრალი და კერკეტი! — ჩაურთო ხარიტონმა.

კირილეს თამაზს გარდა აქ ყველა იცნობდა, სიცილი აუფარდათ. მართლაც როგორც ფიზიკურად, ისე ხასიათითაც პატარა, ხმელსა და კერკეტი კირილეს, ვინ არ იცნობდა. მას ჩვეულება ჰქონდა, თუ ერთხელ რამეს დაიჩემებდა, აღარ გადასთქვამდა. ერთხელ თქმულს დაზებირებულივით იმეორებდა. ათასჯერაც რომ ეთქვათ პატარა კირილესათვის ცდებიო, ის მაინც თავისას გაიმახლოდა:

— თქვენ კი არა, მე ვარ მართალი! თქვენისთანები ბევრი გამოიზრდია, და თავის მოკლე, პაწაწინა ხელებს იჩნევდა, ამით ამბავსაც დაასრულებდა და

მოკამათებდაც გაეცლებოდა, თუმცა საბოლოოდ იძულებული იყო საკმით მაინც ის ეკეთებინა, რასაც მისივე ხალხი ითხოვდა.

— ეს ყველაფერი კარგია, ძვირფასო, მაგრამ ამ სიცილ-ხარხარში მაინც თქვენი ვაიტანეთ, როგორც ჩანს, — წარმოსთქვა ვარდენმა, ხელი გაშალა და თანხმობის ნიშნად თვითონაც გაიცინა.

გამობრუნდნენ. ისევ კოლმეურნეობის შენობისკენ გასწიეს.

ვარდენმა მის გვერდით მიმავალ ეგნატეს შეაელო თვალი და გაუღიმა.

— ახლა რაღა გენალელება, ბიძია ეგნატე! დაჯდები კლუბის ბაღში, ფეხს ფეხზე გადაიდებ, ჩიბუხს ამოიღებ, მოიმარჯვებ და ააპლაკუნებ!

— ეაპლაკუნებ, ბიძია. — რაღაც უღარღელად დაეთანხმა ეგნატე და თითქოს გაუღიმაო — თვალები მოწყურა, ააციმციმა, პირში გასრილ ჩიბუხის ტარს ერთად ერთი შერჩენილი კბილი ზევიდან დაასო და ტუჩი მოკეცა.

მოედანზე გაეიდნენ.

თამაზი შეკრთა. უეცრად შედგა, გაფითრდა. მალაზიდან გამოსული ვიღაც ქალი შენიშნა.

ის ნინო იყო. ნინოს იქნებ თამარიც ახლავსო, გაითქრა თამაზმა და უფრო აენთო.

ნინომ თამაზი შენიშნა და ნაბიჯს მოუჩქარა. აი, მოუახლოვდა, მხოლოდ თამაზს აცქერდებოდა. თითქოს სხვას არც კი ხედავდა.

თამაზი გაშეშდა, ვერც წინ, ვერც უკან ერთი ნაბიჯი ვეღარ გადადგა. საით წავიდეს? როგორ გაექცეს?

ეტყვიოდა, ნინოც დღეღავდა. თამაზს რომ მოუახლოვდა, ნაბიჯი შეუკრთა, მერყეობა სახეზედაც დაეტყო.

— თამაზ! მომილოცავს მშვიდობით დაბრუნება! — თავისებური გულწრფელობით და სიყვარულით მიმართა ნინომ.

— გმადლობთ, დაგბრუნდი. თქვენ როგორ ბრძანდებით? — რაღაც მექანიკურად კითხა თამაზმა. ახლა მხოლოდ იმას ცდილობდა — მღელვარება არ დატყობოდა.

— ჩვენ?.. ბოდიში; — წარმოსთქვა ნინომ, ახლა სხვებსაც მიუბრუნდა მიესალმა, მერე ისევ თამაზთან მივიდა, მკლავში ხელი მოკვიდა:

— თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი.

— კეთილი, — მიუგო თამაზმა.

— თამაზ, ჩვენ როგორ ვართ, ამას ხვალ გიამბობთ, — ხმადაბლა დაიწყო ნინომ. — სახლში მოვალ თქვენთან და ყველაფერს გიამბობთ.

თამაზი დაიბნა, აღარ იცოდა რა ებასუხნა: სტუმრის მიღებაზე უარს ვერ იტყოდა, მით უფრო ნინოს მიღებაზე, რომლისაგან კეთილის გარდა, არაფერი ახსოვდა... ამიტომ ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ გაბზარული ხმით უპასუხა:

— კეთილი... გელოდებით...

— გმადლობთ, ნახვამდის. — ნინომ თავი დახარა და სწრაფად გაშორდა.

თამაზი იღვა. ის კარგად გრძნობდა, რომ ყველა მას მისჩერებოდა.

— ბოდიში, შევაჩერეთ, ჩემთვისაა არაა; — დაგვიანებით წარმოთქვა თამაზმა.

გზა უხმოდ განაგრძეს.

თამაზს ახლა ის აოცებდა, რომ არავინ არაფერს ეკითხებოდა. ყველა დუმდა. მხოლოდ მაშინ, ავტოში რომ ჩაჯდა, ვარდენის ხმა მოესმა:

— ორშაბათს დილით, გახსოვდეს, ძვირფასო!

ავტო დაიძრა, სანდრომაც გრძელი ამბავი დაიწყო, მაგრამ თამაზს აღარაფერი ესმოდა. სანდროს სიტყვები ავტოს გუგუნში იკარგებოდა.

(გაგრძელება იქნება)

გაზაფხული მესხეთში



აბრილიაო მესხეთში!..
ქედებს გასძახეს ქედნებმა
და გაზაფხულის სურნელი
მინდვრებს საამოდ ეღებდა...
მთის კალთებს შემოფენია
ოდები, როგორც ცხვრის ფეხა —
აღი და ბოროტისაგან
სტალინის ხელი იფარაეთ.
მსუბუქი ფრთების მარამაშით
დაქრის ნიაფი ფრთამალი.
მთა-სერებს წელზე ამშვენებს
გზა-შარა ვერცხლის ქამარი.
ხავენაზარში ჯიქურად
გადი-გამოდის გუთანნი
ზედ მესხი გლეხი ღიღინებს:
ღირღიტაჲ ბანი ყთხარი!
ხნულში გაბრწყინდა მზესაგით
მესხური ვაზის ლერწყები.

— ვაზო იხარე, გალადი, —
ქიგოზე გადაეწნები,
გადაეწნები ქიგოზე,
ქართული ჯიშის ვენახო,
შტერმა აქმა და აესულმა
ფესვებგამხმარი ვერ გნახოს!..
შაეად გადახნულ მინდვრებზე
გაისმა ხმები გუგულთა,
თითქოს-და მიწის მკერდიდან
სიმღერა ამოგუგუნდა
წყაროსთან ჩამოისვენეს
მკლავმოუღლეღმა ბიჭებმა
და მათი შემოძახება
მთებში მეხივით იჭრება.
ცაზე ცისკარი აენთო...
და ვარდისფერად გათენდა, —
უკვე ასრულდა დიდიხნის
ნატვრა-ოცნება ქართველთა.

ჩინური მოთხრობები

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიტერატურა ჩინელი ხალხის ეროვნულ-დამოუკიდებლობისათვის და დემოკრატიისათვის ბრძოლასთან არის უშუალოდ დაკავშირებული. რეალისტური ლიტერატურის ფორმირებაზე, ისევე, როგორც საერთოდ, ჩინეთის იდეოლოგიურ ცხოვრებასა და ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაზე გადაწყვეტი გააღწეა მოახდინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და საბჭოთა ლიტერატურამ.

თანამედროვე ჩინელი მწერლების ნაწარმოებები ჩინური ლიტერატურის მნიშვნელოვან იდეურ და მხატვრულ ზრდას ამტკიცებენ. ახალი ჩინური ლიტერატურის მთავარი თემებია: ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა იაპონელ იმპერიალისტების, გომინდანული რეჟიმის და ამერიკელ იმპერიალისტების წინააღმდეგ, სოფელში აგრარული რეფორმა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

ლიუ ბაი-იუ ახალგაზრდა მწერალია. მან, როგორც სამხედრო კორესპონდენტმა, სახალხო-გამათავისუფლებელ არმიის მთელი გზა გაიარა მანჯურებიდან კანტონამდე. ერთ-ერთი მისი საუკეთესო მოთხრობა „შინ დაბრუნება“ სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის დიდ აღმზრდელით როლს გვიხატავს. ამ მოთხრობაში აღწერილია ღარიბი გლეხის, ყოფილი გომინდანული ჯარისკაცის, ლი გუან-ხეს, ვარდქმნის პროცესი. ლი საბოლოოდ შეიძენებს, რომ ჩინელი ხალხი მხოლოდ რევოლუციის გზით მიაღწევს ბედნიერ ცხოვრებას.

ჯაო შუ-ლი თანამედროვე ჩინეთის მეტად პოპულარული მწერალია. იგი ავტორია მოთხრობების „ცელიღებანი ლიძიაჩუანში“, „ახალგაზრდა ერბის ქორწინება“ და სხვა. მოთხრობა „პატარა გამგე“ ახალგაზრდა გლეხის სან სის ტიპიურ სახეს გვიხატავს. წერაკითხვის უცოდინარი სანის ეფულება ცოდნას და ჩინებულად წყევტს მის წინ წამოჭრილ ყველა საკითხს. მოქმედება სწარმოებს ჩინეთის ერთ-ერთ პატარა სოფელში, მაგრამ, ამ სოფლის ამბებში, როგორც ფიქსში, მოცემულია მთელი ჩინელი ხალხის მისწრაფება ახალი ცხოვრებისაკენ, რომელიც მას ჩინეთის სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ შეუქმნა.

ლიუ ბაი-იუ

შინ დაბრუნება

★

1947 წელი იყო. სოფელ შუანხებაოსათვის ბრძოლები სწარმოებდა. ცივი და აედრიანი ამინდი იდგა. გუბებში წყალი იყინებოდა. დამე კუპრით შავი იყო, — არაფერი არა ჩანდა. სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის დამკვრელი ნაწილი ეკლიანი ბუჩქნარით დაფარულ გორაკებს შუა ვიწრო ბილიკით წინ მიიწევიდა: აღმართში ბუჩქები მებრძოლებს ჩხვლიტდა, კაწრავდა, დაღმართში მათ ფეხი უსხლტებოდათ.

მებრძოლები ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ. ბოლოში მყოფნი ცდილობდნენ

ავენგარდს არ ჩამორჩენილიყვნენ. საკმარისი იყო რომელიმე მებრძოლის რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩენა, რომ მას გზა აებნეოდა და ნაწილს ველარ დაეწეოდა. ბილიკი აბნეულად მიიკლავნებოდა, ბევრგან უხვევიდა და მრავალ ტოტები ვჭონდა. მებრძოლები რომ სხვა გზით არ წასულიყვნენ, მოსახვევებში ყრიდნენ თეთრ კირს, რომელიც სიბნელეში კარგად მოჩანდა.

მებრძოლი ლი გუან-ხე, ყოფილი გომინდანელი ჯარისკაცი, დალილობას გრძნობდა. ოფლი ნაკადულივით ჩამოსდიოდა. მაგრამ მაინც გახარებული

იყო: შეიძლებაო მისი სოფელი იყო. მებრძოლებმა ეს იცოდნენ და ზუმრობით ეუბნებოდნენ: „აი, მალე შინ იქნება“. ლიც გაეხუმრებოდა:

— მე რეკოლუციის მებრძოლი ვარ, ჩემი სახლი — ჩემი ნაწილია!

მაგრამ იგი მთელი გულით თავის სოფლისკენ მიისწრაფოდა.

მას შემდეგ, რაც ლომ გომინდანელთა საკატორლო სალდათობას თავი დააღწია და სახალხო არმიის მებრძოლი გახდა, მან არაფერი იცოდა ოჯახისა და მშობლიური ადგილების შესახებ. პირველ ხანებში იგი სულ იმაზე ოცნებობდა, როგორმე ჯარიდან გაქცეულიყო. მას არ უყვარდა სამხედრო საქმე და დარწმუნებული იყო, რომ მისგან ჯარისკაცი არასოდეს არ გამოვიდოდა.

„რადგან კომუნისტებმა გომინდანელების არმიიდან გამათავისუფლეს, სადაც პირუტყვივით შექცეულენი, — ასე მსჯელობდა იგი, — ახლა რატომ არ უნდა გამიშვან შინ?“

მას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ, თუ კი შინ დაბრუნდებოდა, შეიძლება ისევ გომინდანელების კლანქებში ჩავარდნილიყო და ისევ ფრონტზე ამოეყო თავი. იგი მაშინ საერთოდ არაფერზე არ ფიქრობდა. ერთადერთი სურვილი ჰქონდა ერთი თვალთ მიანც ეხება თავისი პაწია შეიღო, — ძინ ბაო, — და შემდეგ თუნდაც მომკვდარიყო. შეიღო რომ ფიქრობდა, მაშინვე ცოცხლად წარმოიდგენდა, თუ როგორ იციანის ბიჭუნა და თავის ფუნჩულა ხელებს უშვერს. და სივდა რკინის თათებით გულს უკუმშავდა.

განათავისუფლების შემდეგ, ლი იმ ნაწილში მოხვდა, რომელიც მთლიანად ყოფილ გომინდანელი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. მალე ისინი სალდაც ჩრდილოეთისკენ გაგზავნეს.

— სალდე მივდივართ? — იკითხა ლომ.

როცა გაიგო, რომ ნაწილი გადასამზადებლად ზურგში იგზავნება, ლი ძალიან შეწუხდა. გადასწვებოდა, რადაც არ უნდა დაეღრმოდოდა, ცდილიყო, როგორმე ფრონტზე გაეგზავნათ. ფრონტის ხაზი მის სოფლის ახლოს ვადიოდა და იქიდან უფრო მოსახერხებელი იქნებოდა გაქცევა.

ხუთი დღის საეკლზე ხანმოკლე შესვენების დროს, უჩვეულო სურათმა მიიხიდა ლის ყურადღება: ჩამავალი მზის შუქზე გლეხების ჯგუფი თოკებით, პალოებით და თოხებით მწვანე მინდორს ზომავდა.

— გზა უნდა გაიყვანოთ? ატუსს, რაკარგი მოსავალი ფუქცდება, გამოვლამარაკა ლი შარაკხაზე მდგარი ხანშემსულ გლეხს და მიძიქლ ამოიზარა.

გლეხმა შეხედა გომინდანელების ძველ ფორამში გამოწყობილ ლის და უპასუხა:

— რა ჰქვთის კოლოფი ხარ! შენ გგონია ახლა ისეთივე წესწყობილებაა, როგორც იაპონელების დროს იყო? არა, ბიძია, ჩვენ უმიწაწყლო გლეხებს მიწა უნდა მიეწოდებოდ.

— მიწა უნდა მიეწოდებოდ?! — გაცივრებით შესძახა ლომ. — კი მაგრამ, ლარბდ გლეხს როგორ შეუძლია უსაყიდლოდ მიწის მიღება?..

არ დაიჯერა ლომ. მაგრამ ყოველდღე სხვადასხვა სოფლებში ერთდამივე სურათს ხედავდა.

ერთხელ კოკისპირული წვიმა მოდიოდა. და რაზმი შესასვენებლად ჩვეულებრივზე უფრო აღრე შეიქრდა. შეუჩერებლივ წვიმადა. ლის დარდისაგან გული უსკდებოდა. შეარჩია ისეთი მომენტი, როცა მის გარშემო არავინ იყო და მიმართა დიასახლისს, რომლის სახლშიაც ლამეს ათევდა. ეს იყო გამხდარი, პატარა ტანის დედაბერი, რომელსაც ჰალარა თმები ერთ ნაწნავად კეთაზე ჰქონდა დახვეული.

— მე ერთ გლეხკაცს ვიცნობ, — შორიდან დაუწყო ლომ, — რომელიც ძლივს-ძლივობით ცხობრობს, მოსტნეულს ჰყიდის და იმდენად ლარბია, რომ უხარია, თუ სახლში თუნდაც სულ ცოტა რალაც საქმიელი აღმოაჩნდება. როგორ ფიქრობთ, დედი, შეიძლება მას მიწა მისცენ?

ეს გლეხკაცი თვითონ ლი იყო, თუმცა, ცხადია, ამის შესახებ დედაბერისათვის არაფერი უთქვამს.

დედაბერმა განცვიფრებით შეხედა მას:

— ჩვენი ჯაო შენს გლეხკაცივით ლარბი იყო, მაგრამ მიწა მისცეს.

ამის გაგებად, ლი ძალიან გააზხნევა. „კარგად იქცვიან კომუნისტები, — გაიფიქრა მან, — რაკარგი იქნებოდა, ჩემი ოჯახი რომ გაათავისუფლებულ რაიონში ყოფილიყო!“

მაგრამ, ლი გრძნობდა, რომ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ოცნება იყო. მის სოფელში ძველებურად შემამულები ბატონობდნენ, გადასახადის ამკრეფნი უკანასკნელ ბარგი-ბარხანას ართმევდნენ გლეხებს. გომინდანელები ძალით

მიერეკებოდნენ ახალგაზრდებს ჯარში. ეს რომ მოაგონდა, ლი ერთბაშად ცუდ გუნებაზე დადგა.

ორთვიან გადაშვადების შემდეგ, ლი თავისი სურვილით ფრონტზე გაემგზავრა. ახლა იგი უკვე ბევრ რამეში ერყვოდა, მაგრამ მისი ფიქრები მაინც შვილს დასტრიალებდა. თავის ნაწილთან ერთად ორჯერ მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა. ბევრი მარჯვე შემთხვევა ჰქონდა გასაქცევად, მაგრამ მაინც არ გაქცეულა ჯარიდან. ერთხელ განაყოფის მეთაურთან ერთად, გორაკებში დამალულ გომინდანიელ ჯარისკაცების საძებნელად იყო წასული. როცა განაყოფის მეთაური სხვა მხარისაკენ გაემართა, მარტოდ დარჩენილ ლის შეეძლო თოფი გადაეგდო და მიმალულიყო. მაგრამ მან ეს არ ჩაიღინა. თვითონ ლი ასე ხსნიდა ამ ამბავს: განაყოფის მეთაური კარგად შეამცევა და ორჯერ შეიძლება იგი ასეთ ცუდ მდგომარეობაში ჩაეაყენო.

„სხვა დროისათვის გადავდებ“, — იფიქრა ლიმ.

მაგრამ, როცა მეორეჯერ მიეცა მას გაქცევის საშუალება, იგი მაინც არ გაიქცა. ამ შემთხვევაში თავისი საუკეთესო მეგობარი, ასეულის პოლიტელი, მოიმიზეხა.

ზოგჯერ შესვენების ხანმოკლე წუთებში, როცა თოფს ილიაში ამოიდებდა, რომ თამბაქო თავისუფლად მოეწია, ლი ფიქრობდა: მართლაც რა აზრი აქვს ახლა შინ დაბრუნებას, სადაც სიღარიბე და შიმშილი ელოდებოდა. მისთვის ნათელი ხდებოდა, რომ ერთადერთი სწორი გზა — რევოლუციის ბოლომდე მიყვანის გზაა. მოვადრო, ყველა თავისუფალი იქნება, მასაც მისცემენ მიწას და მაშინ ლი გულმოდგინედ დაამუშავებს თავის ნაკვეთს.

სახალხო-გამათავისუფლებელ არმიასთან ერთად ლი გუან-ხეი მრავალ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა და თანდათან უფრო შეგნებული გახდა გომინდანიელებისადმი სიძულვილმა უფრო გარკვეული ფორმები მიიღო. ახლა უფრო ხშირად გაიძახობდა:

— გომინდანიელი მეთაურები — საზოგადოებრივი ძალები არიან, ნამდვილი ბანდიტები. იმ დღესაც მოვესწრები, როცა მათ ტყავს გავაძრობთ.

ზაფხული დგებოდა, როდესაც ლი გუან-ხეს ნაწილი ბრძოლებით მიუანლოვდა იმ ადგილს, საიდანაც სულ

ორმოცდაათი ლი¹ რჩებოდა მის სოფელამდე.

სალამოს, შესვენების დროს, ლიმ დიდხანს ვერ დაიძინა, სსსტრკიმინგან ბრძოლას განიცდიდა. ძალიან უნდოდა შინ წასვლა, მაგრამ როცა წარმოიდგენდა, რომ მაშინ ნაწილს უნდა გამოეთხოვოს, თითქოს აღუღლებული წყალი გადაასხესო, ასეთ საშინელ ტყვილს გრძნობდა.

ლიმ დაინახა, რომ სამზარეულოში ჯერ კიდევ სინათლე ენთო და, რადგან მას თავის ფიქრებთან მარტო დარჩენა არ უნდოდა, მივიდა იქ. სამზარეულოში განაყოფის მეთაური მზარეულს ბოსტნეულის დაჭრაში ეხმარებოდა. ლის თვალში ცრემლი მოადგა. განაყოფის მეთაური, ძველი მეშა შანდუნდიან, ყოფილი ჯარისკაცი, დიდხანია, რაც ლის გულითადი მეგობარი შეიქნა. იგი ლის შინხათვი მიხვდა, რომ ლის რაღაც აწუხებდა, დანა განზე გადადო და ჰკითხა:

— რამ შეგაწუხა, ლი?

— არაფერია. — უპასუხა ლიმ.

შენგან განმორება მიძიმის.

განაყოფის მეთაურმა ხელი მოავლო ლის და მეზობელ ოთახში გაიყვანა.

— ლი, — უთხრა მან, — მე ვიცა რაზე ფიქრობ შენ, მაგრამ ვის არა ჰყავს მახლობელი? გომინდანს რომ არ დაეწყო სამოქალაქო ომი, ანტიიპოზიური ომის შემდეგ მე დემობილიზაციაში მოვხვდებოდი, და დიდი ხნის დაბრუნებული ვიქნებოდი შინ. წარმოებას ვუხელმძღვანელებდი, ან რაიმე სხვა შემოდგომიან საქმეს მოვიცდებოდი ხელს. მაგრამ, სანამ გომინდანის ხელისუფლება არ დაემხო, მე და შენისთანავე, აბა რა ცხოვრება გვექნება. გახსოვდეს ლი: რაც უფრო უკეთ იბრძოდები, მით უფრო მალე დაბრუნდები შინ.

ამ მეგობრულ ლაპარაკის შემდეგ, ლი ძალიან გამოიცივალა. შეილი რომ მოაგონებოდა, აიღებდა თოფს და სროლაში შეეადინებოდა დაიწყებოდა. რათა რაც შეიძლება მეტი გომინდანელის გასანადგურებლად შზად ყოფილიყო. ბრძოლებში უფრო მეტ სიმამაცეს იჩენდა. ერთხელ, მოწინააღმდეგის ცეცხლიდან გამოსვლის დროს ლი ორჯერ დაიჭრა მსუბუქად, მაგრამ ბრძო-

¹ ლი — სიგრძის საზოგადოებრივი, დაახლოებით 0,5 კილომეტრს უდრის.

ლის ველი არ მიუტოვებია. მებრძოლებმა მთლად გასისხლიანებული რომ ნახეს, ზურგში გაგზავნა დაუბირეს. მაგრამ ლიმ უარი განაცხადა.

— არაფერია. ვინც ზამთარში გაოლიანის ღეროებისაგან მინდორის ასუფთავებს, განა ან შეიძლება იგივე დაეპართოს? — უთხრა მან მებრძოლებს.

და აი, ერთხელ, საღამოს, ნაწილი სალაშქროდ მოემზადა. პოლიტბელმა მწუბრში მდგარი მებრძოლები გააფრთხილა, რომ სწრაფი სვლით ბრძოლაში ჩაბმა მოუხდებოდათ. გზაში ლიმ ვარსკვლავების მიხედვით გამოარკვეა მიმართულება და მიხედა, რომ რაზმი მის სახლს უახლოვდებოდა. გული სიხარულით აეკისა. გზაში ეკლიანი ბუჩქებით სავსე გორაკები და შლაპიანი ქაობები ელოებოდნენ, მაგრამ ლი ყურადღებას არ აქცევდა ამ სიმწელებებს, სწრაფად მიდიოდა წინ და ჩამორჩენილებს ამხნევებდა:

— აბა, ნუ ჩამორჩებით! სწრაფად! სწრაფად!

ერთმა მებრძოლმა, რომელსაც სამაგული ხასიათი ჰქონდა, გესლიანად შენიშნა:

— ნეტავი სად მიეჩქარები? შინ ცოლი ხომ არ გელოდება?

ლის შერცხვა, გაწითლდა და უბასუხა: — მეთაურის ბრძანებას ვასრულებ. მეშინია, მოწინააღმდეგე ხელიდან არ გაგვისხტეს.

პოლიტბელი აქვე ახლოს იმყოფებოდა. მან ლის მხარი დაუჭირა და გასამხნევებლად რამდენიმე სიტყვა უთხრა.

რაზმი სიბნელეში სწრაფი სვლით მიიწევდა. აქამდე სრულიად შავ, ცის აღმოსავლეთი კიდურს მალე ვარდისფერი მოიღო. ჩამავალი მთვარის შუქმა განთიადის სხივებს შეიფხვთა, და თანდათან გათენება დაიწყო.

მოლურჯო ნისლი დაბლა გაწოლილიყო. რაც უფრო თენდებოდა, ლის გულიც უფრო ძლიერ უცემდა. დილის სიგრილე ძვალში გაუჯდა. გაშიშვლებული, უფოთლო ბუჩქნარი არ უშლიდა შორს გახედვას და ლიმ იცნო ადვილი. მარცხნივ მდებარე დაბიდან მის სოფლამდე მხოლოდ შვიდი ლი დარჩენილიყო.

მაგრამ, საშინელმა წინაგრძობამ შეიპყრო ლი. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის საესებით გათენდა, ირგვლივ მკვდარი სიჩუქე იდგა. არ ისმოდა არც

მამლის ყვილი, არც ადამიანის ხმა. ლის ისეთი შთაბეჭდილება შეეძქნა. თითქოს ამ მხარეში არც ერთი ცოცხალი არსება არ დარჩენილიყო. მაგრამ, წინ ბრძოლები ელოდებოდა მას, ამიტომ ეს მძიმე შთაბეჭდილება მალე გაექარწყლა.

ეტყობოდა მტერმა შეამჩნია მათი რაზმის მოახლოვება. შორს ტყვიამფრქვევები აკაეუნდა, ცაში წითელი რაკეტები აფრინდა. ასეულის მეთაური და პოლიტბელმძღვანელი წინ გაიქრნენ. მებრძოლები მათ გაჰყვნენ. შვიდი ლი სწრაფად გაიარეს და ლის მისი სოფელი თვალწინ გადაეშალა.

სოფელი გარშემორტყმული იყო დაბალი მიწაყრილით, სადაც მრავალი სათოფურები და რამდენიმე წყება ეკლიანი მავთული იყო გაკეთებული. ტყვიამფრქვევები ორივე მხრიდან გააფრთხილეს აყრიდნენ არე-მარეს ტყვიის უცეხლს. ლიმ იფიქრა, იქნება ერთერთი ასეთი ტყვია ჩემს პატარა შვილს მოხვდეს. და მისი გული გომინდანელებისადმი სიძულვილით აბალი ძალით აინთო.

პოლიტბელი მიუახლოვდა ლის, ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

— აბა, ლი! დადგა დრო, როდესაც შეგიძლია თავი ისახელო. ეს შენი სახელია, სადაც გომინდანელები გაწვალუნდნენ. აქ შენთვის ყველაფერი ნაცნობია: ადამიანები, ადგილები. ნუთუ შენ დაუწყებ, რომ სხვამ გაჯობოს ბრძოლაში?

მეგობრულმა ყურადღებამ ადაფრთოვანა ლი. მან გამოართვა პოლიტბელს რამდენიმე ჯანატი და მხურვალედ უთხრა:

— თქვენ ნახაით, თუ როგორ ვებრძობები!

იერიში დაიწყო. მებრძოლმა ლი გუან-ხემ პირველმა გაარღვია მავთულლობურა და საარტილერიო ცეცხლის მიერ დანგრეული მიწა-ყრილის მხრიდან თავისი ასეულით სოფელში შევიდა. მთავარი ქუჩა, რომელიც აქ, ისევე როგორც ყველგან ჩინეთში, სოფელს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ სჭრიდა, გვერდით მიატოვა და პატარა ქუჩებით ასეული გომინდანელთა სიმაგრეების ზურგში გაიყვანა. აქედან მოწინააღმდეგე ცეცხლს უშენდა შემტვენი ნაწილის მთავარ ძუშენს. მიუხედავად იმისა, რომ ლის ეკლიან მავთულსისაგან ხელი გასისხლიანებული ჰქონ-

და, ბრძოლის კრიტიკულ მომენტში მან რამდენიმე გრანატი მარჯველ შე-
აგლო მტრის სიმაგრეების სათოფურ-
ებში და ტყვიამფრქვევის ორი
წერტილი ჩააჩუმა. ბრძოლის დროს ლი
ელარაფერზე ფიქრობდა. მისი ერთად-
ერთი სურვილი იყო — მტერზე გა-
მარჯვება.

თ, სიმაგრეები უკვე აიღეს. სროლა
თანდათან მიწყდა. ლი გუან-ხემ ირგვ-
ლივ მიმოხივდა. გულმა თრთოლა და-
უწყყო: ერთი ქუჩის გადაღმა მისი სახ-
ლია. შამხანით ხელში ლი სწრაფი ნა-
ბიჯით ეზოში შევარდა. მივიდა იმ
ადგილას, სადაც თავისი სახლი ეგულე-
ბოდა და გაჩერდა.

— ნუთუ შევცდი? — იფიქრა ლიმ. —
არა, მე არ შევცდარვარ! მაშ, სახლი
სად არის?..

ერთხელ კიდევ გაიხედა აქეთ-იქით
და დარწმუნდა, რომ არ შევცდარა...
განადგურებისა და გაპარტახების მძიმე
სურათი წარმოუდგა თვალწინ.

სახლი დანგრეული იყო. ჩამტვრეუ-
ლი ფანჯრებისა და კარებიდან ბალახ-
მოდებულნი, ჩაშავებული იატაკი და და-
ფრთხებული კიდეები მოჩანდა. ხმა-
მალა დაუძახა ცოლს. პასუხი არ მა-
იღო. ირგვლივ სინთმე იდგა. მხოლოდ
მეზობელი ფანჯრების ჩალის ძველ სა-
ხურავებში ჭარი წვიოდა.

დანგრეული კარის ზღვრბლს გადა-
აბიჯა და ოთახში შევიდა. იატაკზე,
ნამიან ბაღახში ქურჭლის თეთრი ჩამ-
ტვრევები მოჩანდა. დიდი ღუმელის
ნაცვლად თიხის უფორმო გროვა იდგა...
ლის მოაგონდა: ოდესღაც ამ ოთახში
ფუნჩულა ხელებს უშვებდა მას პატა-
რა შეილი და მხიარულად იცინოდა.

მის მეხსიერებაში წარსულის სურა-
თები ერთი მეორეს ცვლიდა... მოაგონ-
და, თუ როგორ იქნა „მომიღიზებული“
გომინდანელების არმიამი.

ერთხელ, მწვანალი რომ გაყიდა, ლი
შინ ბრუნდებოდა. ალაყათის კართან
გომინდანელი პოლიციელების ჯგუფი
დახვდა. უფროსს ერთი სიტყვაც კი არ
უთქვამს, მუშტის დარტყმით წააქცია
ლი და პოლიციელებს უბრძანა: „შეპ-
კართ!“

ლი გათოკეს. მაშინვე იცნო უფრო-
სი: იგი იაპონელების მომხრე ადგი-
ლობრივი შემამულის ლი-კუნშანის ყო-
ფილი მოურავი — პი ერი იყო. იაპო-
ნელების ოკუპაციის დროს პი „კიოვა-

კის“¹ ადგილობრივი განყოფილებას
მეთაურობდა, ახლა კი გომინდანელებ-
ის პოლიციის უფროსი გამხდარა.

ლარიბი გლეხი ლი გუან-ხე პირდა-
პირი და პატრონისი აღამიანი იყო. მას
პე ერისთანა ხალხი ძალიან სძულდა.
სხვა დროს ლი სასტიკ წინააღმდეგო-
ბას გაუწევდა მას. მაგრამ, ახლა, როცა
მთელი მისი ოჯახის ბედი პი-ერის
ხელში იყო, ლიმ გადასწყვიტა არ გა-
დაეციებია გომინდანელი აჯანჯაკი.

— ბატონო ჩემო, — მიმართა ლი გუ-
ან-ხემ პი-ერს, — ოჯახში ოთხი სული
მყავს, ლარიბი ვარ, გუიმშილობთ. ამ
ოჯახის ერთადერთი მარჩენალი მე ვარ.
თქვენ ეს კარგად იცით. მანჯოუ-გოს
კანონების ძალითაც კი ერთადერთი
მარჩენალი არ მიპყავთ არმიამი. ძა-
ლიან გთხოვთ, ნუ იზამთ ამას!

— რის მანჯოუ-გო! — მკვახეთ დაუ-
ყვირა პი ერმა. — გენერალისიმუსი
ჩან კაი-შის ბრძანებით ჩვენ მხოლოდ
შენისთანა ლარიბები მიგვყავს არმიამი.

ამ ყვირილზე ლი გუან-ხეს მთელი
ოჯახი გარეთ გამოვარდა. მისი ცოლი
ღუმელს ანთებდა, ხელები ნაცრით
ჭქონდა გასკრილი და პაწია შეილი
გულში ჩახშტებული ჰყავდა. მოხუც
ღელდას გამხდარ, დანაოქებულ ხელში
ნემსი ეჭირა. გარეთ გამოვიდა ბაჯბა-
ჯით. შეითოკილი და ნაცემი ლი რომ
დანიხაეს, იფიქრეს რაღაც უბედულურება
მოსხაო. დედაკაცებმა ტირილი მორთეს,
მუხლზე დაეცნენ და ლის ჩაებლაუქ-
ნენ. პი ერი არც კი აქცევდა მათ ყუ-
რადღებას, მოთმინებიდან გამოსულმა
მათრახი დაიჭინა, რითაც პოლიციე-
ლებს წასვლის ნიშანი მისცა. მათრახი
ბავშვს მოხვდა. ბიჭმა ღრიალი მორთო.

გულმოსული ლი პოლიციელებს ხე-
ლიდან გაუსხლტა და პი ერს დაუ-
ყვირა:

— შენ თუ ჯარისკაცები გჭირდება,
მე აქა ვარ! ბავშვს რაღად სცემ!

— მართალს ამბობ, — გაილიმა პი
ერმა, — თუ ასეა, მაშ წამოწყვი!

გომინდანელმა პოლიციელებმა წინ
გააგდეს ლი და შესახვევიდან გავიდ-
ნენ. ლის ცოლი ბავშვით ხელში ტი-
რილით ოთახში შევარდა, ქმრის ფეხ-
საცემელს სტაცა ხელი და სირბილით
ლის დაედევნა. იგი ფეხმძიმედ იყო,

¹ „კიოვაკი“ — იაპონელების მიერ მანჯუ-
რიაში დაარსებული შოენისტური ნახევრად-
სამხედრო საზოგადოება.

ძლივს-ძლივობით მირბოდა, სული ეხუთებოდა.

— ბატონო ჩემო, ბატონო ჩემო! — ყვიროდა იგი. — მოითმინეთ, ჩემს ქმარს ფეხსაცმელი დაავიწყდა!

პოლიციელებს უკან არც კი მოუხედნათ. ლი გუან-ხე მიუბრუნდა ცოლს. დედას ატირებული ბავშვი ეჭირა ხელში. ლიმ მძიმედ ამოიხრა. თვალეში ცრემლი უბრწყინავდა...

...ქარი გაძლიერდა. თოვლი წამოვიდა. ლი გუან-ხემ ერთხელ კიდევ გადახედა დახგრეულ სახლს და დაღვრემილი გაიქცა ქუჩაში.

მხოლოდ ახლა მოესმა, რომ სადღაც შორს საყვირს უკრავდნენ. ლიმ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ ვილაცამ მწარზე ხელი დაადო. ეს განაყოფის მეთაური იყო. მას დაავიწყდა, რომ ლის სოფელში იმყოფებოდა და ხუმრობით შეეკითხა:

— სად დასაქონობდი?

ლიმ არაფერი უპასუხა. განაყოფის მეთაურმა უკვე სერიოზული ტონით უთხრა:

— დღეს შენ კარგად იბრძოლე!

ლი განაგრძობდა დუმილს.

მთავარ ქუჩაზე გამოვიდნენ. აქ მებრძოლები აქეთ-იქით დარბოდნენ. ყველა თავის საქმით იყო გართული. მეკაცშირებიც მავთულის დიდ რგოლებს მიათრევდნენ, სამწყობრო ჯარისკაცები ნადავლს აგროვებდნენ. თოვდა. ცივი ქარი ძვალ-რბილში გაუჯდა, მაგრამ ლი არ გრძობდა ამ სიცივეს. მის გულს სულ სხვა სიცივე ჰკვალავდა. განაყოფის მეთაური დუმილით მისდევდა მას გვერდით.

ნელი ნაბიჯით ვილაც ბრმა დედაბერი მოაბიჯებდა. საშინელი ძონძები ძლივს ფარავდნენ მის სხეულს. ერთი ხელით ჯოხს ეყრდნობოდა, მეორე წინ გაწვდილი ჰქონდა. თითქოს სივრცის მოსინჯვა უნდოდა. მოწყალეებს არ თხოულობდა. ხშირად მის გვერდით ჩაველი მებრძოლების ფეხისხმის გაგონებაზე შეჩერდებოდა.

— ჯარისკაცებო, ჯარისკაცებო, საიდანა ხართ მოსული? — ეკითხებოდა მებრძოლებს.

თავის საქმით გართული მებრძოლები დედაბერს ყურადღებას არ აქცევდნენ.

ლი გუან-ხეს მოესმა თუ არა ეს ხმა, საშინლად გაფითრდა და ყვირილით დედაბერთან მიიჭრა.

— დედა, შენა ხარ?!

მოხუცი ვერ ხედავდა მას, ხელეფანჯოხი გაუვარდა, უსიტყვოდ იდგა და წინ გაწვდილი ხელებით ჰაერს უმოტრნებოდა. ლიმ ხელი მოკიდა დედას და ჩუმად უთხრა:

— დედა, ეს მე ვარ, ლი გუან-ხე!

მოხუცი ხელით შეეხო ლის სახეს და წამოიძახა:

— ლი გუან-ხე, შეილო ჩემო! — და გული წაუვიდა.

განაყოფის მეთაური აქვე იდგა და ჩუმად უცქეროდა ამ მძიმე სურათს, მისი სახე მოიღუშა და თვალეების სხლით აეგსო. ააყენეს მოხუცი. მეთაურმა სანიტარი გააჩერა და ფრთხილად დააწვინეს დედაბერი საკაცებზე, ბამბის თბილი ქურთუკები გაიხადეს და დაფარეს. განაყოფის მეთაურმა და სანიტარმა ლის დედა უახლოეს შესახევე პუნქტში მიიყვანეს. ლი წინ მიდიოდა. შესავალში იგი პოლიტელს დაეჯახა, მან საკაცე ვერ შეამჩნია და თანაგრძნობით შეეკითხა:

— როგორ არის შენი საქმე? დაქრილი ხომ არა ხარ?

ლიმ მწუხარებით საესე თვალეებით შეხედა მას. განაყოფის მეთაური წინ გამოვიდა და პოლიტელს საკაცე უჩვენა.

— ეს დედაა მისი.

— ჩქარა, ექიმთან მიიყვანეთ! — წამოიძახა პოლიტელმა. მას გაახსენდა, რომ ლი ამ სოფლიდან იყო და თვითთონაც გაჰყვა მათ.

საექიმო პუნქტის პატარა ოთახში ათიოდე დაქრილი მებრძოლი იჯდა. რა წამს გაიგეს, რომ დედაბერი მათი ამხანაგის ლი გუან-ხეს დედა იყო. თავისი ქრილობები გადაავიწყდათ და ექიმს ერთხმად განუცხადეს, რომ პირველ რიგში მოხუცს აღმოუჩინონ დახმარება.

ლი გუან-ხეს დედა თანდათან მოხუციერდა და შეილის ნახვა მოისურვა.

ლი გუან-ხემ საწოლის წინ ჩაინოქა. დედა აღერსით ხელს უსვამდა სახეზე.

— შეილო, დამნაშავე ვარ შენს წინაშე, — დაიწყო დეამ, — ცოლი ვერ დაგახვედრი...

— ახლა, ნუ მელაპარაკები ამხე, — თავზიანად შეაჩერა ლიმ.

— არა, შეილო, — ისევ განაგრძობ დეამ, — ყველაფერი უნდა გაიპბო. სამი თვე არც კი იყო გასული მას შემდეგ, რაც შენ წაგიყვანეს. გომინდანე-

ლი ბანდიტები ისევ დაგვესხენ თავს. გვითხრას, რომ შენ ღიხერტირი ხარ და ჩვენ გვაბრალბდნენ — იგი თქვენ დამალეთო. ფანჯრები, კარები ჩიხამტრირეს, ღუმელი დაანგრირეს. კონდახებით მთელი ჰურჩელი დაამტვრირეს. ბანდიტებმა გააბოკვიცხადეს, რომ თუ შენ არ გამოხნდები, შვილს წაიყვანთო მძევლად. ვუთხარი, რომ შენგან დიდხანია არაფერი (ნობა არა გვაქვს და არც ვიცით, სად იმყოფები. რაც შეიხება პატარა ძინ-ბაოს, მას მძევლად ვერ გაგატანთ, — ვეუბნები ბანდიტების შეთაურს, — ძინ-ბაო ლის გეჯარის განმგრძობია, — ისევ სჯობია მე წამიყვანეთ. ის რომ გაიგონეს, ჯობით და მათრახით ცემა დამიწყეს სახეში. თვალი ვერ დავიფარე. — დედამ ხელი თვალის ცარიელ ბუდეებზე მოსვა. — „შენ სად მოძირები, ბებერო“ — დამიყვარა ერთმა ბანდიტმა. — „დიდხანია კლებო გელოდება“. შენმა ცოლმა დაინახა, რომ ბანდიტები ცემით მომკლავდნენ და თქვა: „დიდი, ისევ სჯობია მე წავიდე მძევლად, ძინ-ბაოს კი თქვენ მიხედეთ!“. გომინდანელებმა სტაცეს ხელი შენს ცოლს და წაიყვანეს. გადაეცი ლის სანამ ცოცხალი გიქნები, მისი ერთგული დავრჩებიო, დამიბარა საბრალომ. წაიყვანეს თუ არა შენი მეუღლე, სოფლის მამასახლისმა სახლიდანაც გაამაგო...

ლი გუან-ხეს თვალწინ წარმოუდგა ცოლის მეუღლე შიმშილობისაგან ფერმკრთალი სახე. სამუშაოსაგან დაკოფრებული მისი პატარა ხელები. დახეული მკოლე ქორთუკი... იგი ხომ ფეხმძიმედ იყო, როცა გომინდანელებმა წაიყვანეს.

პოლიტხელი, რომელიც აქვე ახლოს იდგა და დედის ნაამბობი ესმოდა, ძლივს იკავებდა გულისწყრომას. სავქიმო პუნქტის კარებში ლის განაყოფის ჯარისკაცები იდგნენ. მათ უკვე გაიგეს მისი ოჯახის ამბავი და დედის სანახავად მოვიდნენ. ლის ცრემლისაგან თვალები გაუწითლდა.

— დედა, ჩემი შვილი სად არის? — კითხა ჩუმი ხმით დედას.

— წამოდი და გაჩვენებ. — უპასუხა დედამ და სალაშქრო საწოლიდან ადგომა სცადა.

ლი გუან-ხე მიეშველა და ერთად გავიდნენ გარეთ.

ლი და მისი ამხანაგები მხარში ამოუდგნენ დედას და ერთ-ერთ მიტოვე-

ბულ სამლოცველოსაკენ გაემართნენ. სამლოცველოს უკან პატარა ფარდულში ჩალაზე ტყბილად ეძინა მინ-ფილი.

ლი გუან-ხე მივიდა ბავშვთან და ჩვეულში აიყვანა. პოლიტხელმა ქურთუჯი გაიმრო და ფრთხილად დაახურა ბიჭუნას მხრებზე. ლი უსიტყვოდ იდგა. შვილის დანახვაზე მას ისევ მოაჯობდა თავისი ცოლი. ცრემლები ახრხოზდა ლის.

ლი გუან-ხე და მისი ამხანაგები ფარდულიდან გავიდნენ. ქუჩაში დიდი მძაფრო იდგა. ტომრებით მხარზე მზიარულად მოამბიებდნენ გლეხები. გზაზე გაოლიანის მარცვლები და სოიას ცერცვი ეყარა. ვინც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, მას ცარიელი ტომარა მიჰქონდა. ვინც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ბრუნდებოდა მარცვლეულით სავსე ტომრებს მოეზიდებოდა. სოფლის აღმოსავლეთით გომინდანელების სასურსათო საწყობა აღმოჩნდა. ამ რაიონის მცხოვრებნი ჯერ კიდევ ზამთრის დაწყებამდე ქართი იკვებებოდნენ. გომინდანელებმა ჩამოართვეს გლეხებს სურსათი და გადაამალეს. ახლა სურსათის ამ მარაგს გლეხებს ურიგებდნენ.

ხრდილოეთის ცივი ქარი უბერავდა. თოვდა. სოფელში კი ცხოვრება დულდა. ხან იქ, ხან იქ ხმამალალი ლაპარაკი და მზიარული სიცილი ისმოდა... ლი გუან-ხემ ჩაიხურტა ბავშვი. პოლიტხელს და მებრძოლებს ფრთხილად მოყავდათ მისი მოხუცი დედა. ყველამ ასეულისაკენ გასწია.

ლი გუან-ხეს ამბავი შორს გავრცელდა. გლეხები ამბობდნენ, „ბალუ“¹ რომ არ ყოფილიყო, ბებია და შვილიშვილი ნამდვილად ამ ზამთარს ვერ გადაიტანდნენო. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ლი გუან-ხე სამაგიეროს გადაუხდის გომინდანელებსო.

ლი გუან-ხეს დედამ რამდენიმე დღე გაატარა რაზმში, მაგრამ თავისი მწუხარება მიინც ბოლომდე ვერ გამოთქვა. ბრმა მოხუცს არ შეეძლო მებრძოლებთან ყოფნა. რაზმი მალე სალაშქროდ უნდა წასულიყო.

სოფელში ყოფნის მესამე დღეს, რაიონის ახალმა დემოკრატიულმა ხე-

¹ „ბალუ“ — ასე უწოდებდა ხალხი ჩანთის სახალხო-გამათვისუფლებელ არმიას. „დი ბალუ ძენ“ შემოკლებით „ბალუ“ ნიშნავს მერვე მიმართულებას, ესე იგი მერვე არმიას.

ლისუფლებამ ლი გუან-ხეს ოჯახისათვის ოროთახიანი სახლი გამოყოფა და სურსათ-სანოვაგით დაეხმარა ლის. ასეულის მთელი შემადგენლობა, მე-თაურისა და პოლიტხელის ჩათვლით, ლი გუან-ხეს ეხმარებოდა მეურნეობის მოწყობაში: დააბეს მეშა, დიდი კასრები წყლით გააბეს და სხვა. ლი გუან-ხეს განწყობილება შესამჩნევად გაუმჯობესდა. მართალია, იგი გულისტკივილით ფიქრობდა ცოლზე, რადგან არ იცოდა, სად იმყოფებოდა და საერთოდ ცოცხალი იყო თუ არა. მაგრამ გულთბილი და მეგობრული თანაგრძნობა და დამარება, რომელიც ასეულის მებრძოლებმა და შორიდან მოსულმა გლეხებმაც კი გაუწიეს მას, მეტად ამხნეებდა ლის. არასოდეს, თავის სიცოცხლეში მას ასეთი ყურადღებით არ მოქცევია. პირველად, დიდი ხნის შემდეგ, ამხანაგებმა ისიც შეამჩნიეს, რომ ხანდახან ლის სახეზე ღიმილიც კი გამოჩნდებოდა ხოლმე.

გახურებული მუშაობა მიდიოდა ლის სახლში, როდესაც ქუჩაში ბუკის ხმა გაისმა. ლი გამოვიდა გარეთ, რომ გაეგო, თუ რაშია საქმე. თურმე, რაიონულ სამმართველოს თავმჯდომარე მოსულა იმისათვის, რომ ლი გუან-ხეს სახლის კარებზე „გუანჩუნმაი“ მიამაგროს, — წითელი აბრეშუმის ზონარით მორთული ხის ფიკარი, რომელიც დაადასტურებდა, რომ აქ ცხოვრობდა დამსახურებული ფრონტელის ლი გუან-ხეს ოჯახი.

ლი დაიბნა. ძლიერ აღელდა და აღელეების დასაფარავად საჩქაროდ ოთახში გაბრუნდა, სადაც მისი ამხანაგები ავიჯს ალაგებდნენ. რაიონული სამმართველოს თავმჯდომარემ თვითონ მიამაგრა სახლის კარზე საპატიო ფიკარი და სახლში შევიდა. როდესაც დაინახა მებრძოლებით სავსე ოთახი, იკითხა:

— ვინ არის ამ ოთახის პატრონი?

ლი გუან-ხემ ერთი ნაბიჯი წინ გადადგა და მოწიწებით თავი დაუკრა მას.

თავმჯდომარემ ახალი ბინის მიღება მიულოცა და განუცხადა, რომ, როგორც კი სოფელში გლეხთა კავშირი დაარსდება, მაშინვე დასვავენ საკითხს ლი გუან-ხეს ოჯახისათვის მიწის გამოყოფის შესახებ.

— რაიონულმა სამმართველომ, — დაუმატა თავმჯდომარემ, — გამოათქმინებინ, რომელიც დედათქმენს ზრუნვას არ მოაკლებენ.

ლი გუან-ხე უსიტყვოდ იდგა და ფიქრობდა — სიხარია თუ ცხადიო. მოაგონდა ამას წინათ მოხუცებულ დედაკაცს რომ შეეკითხა მიწის მიღების შესახებ. განა იფიქრებდა, რომ თვითონ ასე მალე მიიღებდა მიწას...

დღე საღამოსკენ იხრებოდა. ძინ-ბაო ღუმელზე იჯდა და მებრძოლების მიერ მოტანილ კარტოფილს მადიანად ილუკებოდა. მის ირგვლივ ჯარისკაცები იდგნენ და ილიმებოდნენ. თითოეული მათგანი ცდილობდა ბავშვის გაძნარყოლებას. მეზობელი გლეხები წავიდ-წამოვიდნენ. ლის დედას, რომელიც აქვე იჯდა, აბრეშუმის ახალი ტანისამოსი ეცვა. ეს ტანისამოსი ყოფილ მეძამულ კუნ-შანის ჩამორთმეულ ქონებიდან იყო. დედას ესმოდა, თუ როგორ ულოცავდნენ მებრძოლები და მეზობლები მის შვილს, უხაროდა ყველაფერი ეს, მაგრამ გული დამშვიდებული არა ჰქონდა. იგი თავის რძალს იფრებდა.

დაუძახა შვილს და ჩუმად უთხრა:

— ყველაფერი კარგია. მაგრამ ნეტავ სად არის შენი ცოლი, საწყალი? სად იტანჯება? — და ატირდა.

ლი გუან-ხეს სახე მოელუშა. გულში მწვავე ტკივილმა გაურარა.

პოლიტხელი მიუახლოვდა ლის დედას და დამშვიდება დაუწყაო.

— ნუ შერუხდებით, დედი, — ჩვენ უკვე აღტარით ათასეულის შტაბის წინაშე შეამდგომლობა, რომ ლი თქვენთან დავტოვოთ.

ლი გუან-ხემ გაიგო თუ არა ეს, საშინლად გაწითლდა. მიუბრუნდა პოლიტხელს და უთხრა:

— რასა ბრძანებთ, ამხანაგო პოლიტხელო?! ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ მე გომინდანელებთან საბოლოო ანგარიში გავასწორე?

რამდენსაც არ ეუბნებოდა პოლიტხელი, ლი გადაწყვეტით უარს ამბობდა შინ ერთი ღამითაც კი დარჩენაზე. ხელში აიყვანა ძინ-ბაო, მხურვალედ აყოცა, გამოეშვიდობა დედას და მებრძოლებთან ერთად ასეულისკენ გაეშურა. გვიან ღამით მოვიდა ბრძანება სოფლიდან გასვლის შესახებ.

თავდა. სოფელს ჯერ კიდევ მშვიდ-
დად ეძინა, როდესაც რაზმი მუკდენი-
საკენ დაიძრა.

როცა რაზმი სოფლიდან გავიდა და
სამხრეთისაკენ გაემართა, ლი გუან-ხემ

უკანასკნელად სოფლისაკენ მიიხედა.
სახურავებზე ძლიერ მოჩანდა უბოლო.
სადაც მამალმა იყიფლეს, მამალმა
რაზმი შეუჩერებელი განაგრძობდა
თავის გზას.

ლინ ბაი-იუ

კომისარი



პოლის კომისარი უ ი ბრგი აგებუ-
ლებით არ გამოირჩეოდა. იგი მოყვი-
თალო სახის, გამხდარი და ტანადი
მამაკაცი იყო. თავი ყოველთვის დინ-
ჯად, მაგრამ ამავე დროს თავაზიანად
ეკირა და ადამიანს ადვილად უახლოე-
ლებოდა.

უ ის ცალი ხელი არ ჰქონდა. 1936
წელს იგი მარცხენა მკლავში ტყვიით
დაიჭრა და ხელი მოსჭრეს. მამში უ ი
ჩინეთის წითელი არმიის ჭიკაძანაყოფის
მეთაური იყო. მდინარე ხუანხეზე გა-
დასვლისას მან იერიშზე გადაიყვანა
თავისი ნაწილი და ყვილა მებრძოლები
თან გაიყოლა. ამან გადაწყვიტა ბრძო-
ლის ბედი უ ი ბრძოლის ველზე
გრძნობდა. აკარგული იბოგეს. გონზე
მხოლოდ ჰოსპიტალში მოვიდა. მოხუ-
ცი ექიმის სახის გამომეტყველებით იგი
ყვილაფერს მიხვდა. უ იმ დასძლია
მძიმე ტყვილა ყვილაგარი კითხვის
გარეშე გაუშვირა ექიმს მარცხენა ხე-
ლი და სთხოვა დაუყოვნებლივ გაიყი-
თებინათ ოპერაცია, რათა რაც შეიძ-
ლებდა მალე დაბრუნებულიყო ფრონ-
ტზე.

მას აქეთ უ ი ცალხელა იბრძოდა.
იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, ნაწი-
ლი, სადაც უ ი ირიცხებოდა ჩრდილო-
აღმოსავლეთით იქნა გადასროლილი.
უ ი კი ახლა ჭრილობის გამო ჰოსპი-
ტალში დარჩა განსაკუთრნაყად.

ახლა, ხანგრძლივი მოგზაურობის
შემდეგ, მიაღწია რა ჩრდილო-აღმო-
სავლეთს, ის მთელი გულთ მიაღწყო-
და ფრონტისკენ. ჯერ კიდევ გზაში გა-
იგო უ იმ სახალხო განმთავისუფლე-
ბელი არმიის საბრძოლო წარმატებების
ამბავი. მაგრამ ხარბიში საარდლობამ
დღი სიყრთხილით აგრძნობინა უ ის,
რომ ჯანმრთელობის სუსტი მდგომა-

რეობის გამო, მას ზურგში დატოვებას
უპირებეს.

უ ი აენტო, იგი ღრმად დარწმუნებუ-
ლი იყო, რომ მხოლოდ მწყობრში შე-
უძლია იყოს სასარგებლო და დაყინებით
მოითხოვდა დაუყოვნებლივ ფრონტზე
გაგზავნას. დანიშვნის მოლოდინში ცხოვ-
რობდა რა, უცხოურ ტიპის სახლში, სა-
დაც ის დააბინავეს, უ ი მოწყვნილი
იყო, თავს უხერხულად გრძნობდა. ყო-
ველდღე, გაზეთების კითხვის დროს,
უპირველესად ყოვლისა, ფრონტის
ცნობებს ეძებდა. ეს ცნობები უფრო
მეტად აღვივებდა მის მოუთმენლობას.

ერთხელ, როცა იგი ხეების ჩრდილ-
ში ისვენებდა, მთელი თავისი ცხოვრე-
ბის გზა დაუდგა თვალწინ.

უ იმ 14 წლისამ მიატოვა მემაქე-
ლის ღორების მწყემსვა. მან ხუნანის
პროვინციის რევოლუციურ მოძრაო-
ბაში მიიღო მონაწილეობა და მას შემ-
დეგ განუწყვეტლად მოქმედ არმიამში
იმყოფებოდა. ათი წლის წინათ მან ხუთ-
ქიმიანი ვარსკვლავით შემკული ქუდი
მოიხანდა და ახლა ძლიერ სწუხხდა თა-
ვის საქციელზე.

„როგორ შემძლია ვიჯდე ზურგში
იმ დროს, — ფიქრობდა უ ი — როდეს-
საც სახალხო განმთავისუფლებელი
ბრძოლა მიმდინარეობს. ჩან-კაიშისა-
თვის სამაგიეროს გადახდის წუთი
დადგა. როგორ უნდა შეეხებოდ თვა-
ლებში ამხანაგებს, რომელნიც ფრონტ-
ზე იბრძვიან?!..“

მალე უ ი ისევ გამოცხადდა საარდლო-
ბასთან. გარეგნულად ის მშვიდი იყო,
დიდხანს იჯდა მდუმარედ და ბოლოს
გულსიტყვილით წარმოსთქვა:

— როგორ? მამსადამე მე მწყობ-
რიდან გამოვედი?

ომმა უ ი გულჩახვეული და ჩუმი გახადა, გამოაწროთ მისი ნებისყოფა, მაგრამ აჲ, ახლა თვალებზე ცრემლი მოერიო.

სარდლობა როგორც იყო დათანხმდა, რომ უ ი როგორც კადრის მეტროლო, სულითა და გულით რეგოლუციის საქმისათვის თავდადებული, მოემქმედ ნაწილში გაეგზავნათ. პარტიას ესაჭიროებოდა უ ის მსგავსი ხალხი, ფრონტის მეტად საპასუხისმგებლო უბნებზე სამუშაოდ.

ზაფხულის საღამო იყო, წვიმა სცრიდა. აღფრთოვანებული უ ი მატარებელში ჩაიღმა. უკანასკნელ წლებში მარცხენა ხელის მთავრობას მსახური ლი ბინი უწევდა, მაგრამ ამჯერად უ ი-ს ბარგი იმდენად მცირე იყო, რომ ის ლი ბინის დაუხმარებლადაც მოუვლიდა თავს. მან უკან დააბრუნა ახლახან საჩუქრად მიღებული, ხაკისფერი შალის ახალი ტანსაცმელი და თავისი ძველი, ხშირი რეცხვისაგან გამოხუნებული ბამბის ქსოვილის ფორმა ჩაიცვა. სუფთად და კონტად გამოწყობილი უ ი ფეკრბოდა რომ მხოლოდ ამ ფორმაში ვგვევარო ჩინეთის მოქმედი არმიის მეტროლო.

როდესაც ის ფრონტზე ჩავიდა, მას ისევ მეორე ეშელონის ნაწილში დაუპირეს ვაგზავნა. უ ი შეშფოთდა.

მეორე დღეს, როდესაც უ იმ ფრონტისპირა სოფელზე ცხენით გაიარა, იგი მეთაურმა დაინახა შორიდან. უ ის ფიციბ ცხენი ყალუზე შეღდა, მან მარჯვენა ხელით მაგრად მოსწია სადაც და ცხენს უკან დაახვეინა, მარცხენა კარიელ სახელს კი ქარი უფრიალებდა. ცხენზე უ ი უფრო ვაჟკაციური და მკრამზობიარე ჩანდა, არმიის მეთაურმა, თბილი, დაყინებული მხერით გააცილა ცხენოსანი. უ ის სილუეტით ჩამავალ მზის სხივებით განათებულ ჰორიზონტზე მკვეთრად გამოისახებოდა.

მეორე საღამოს მეთაურმა უ ი თავისთან მიიწვია. ორი წელიწადი გაიქცა მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს დამორღნენ. დივიზიის ყოფილი მეთაური, ახლა არმიას მეთაურობდა. იგი ოცდაათწელზე ცოტა მეტის იყო, მაგრამ ორმოცი წლის შეხედულება მქონდა: მანჯურიაში ორი წლის მძიმე ბრძოლებს თავისი დალი დაესვა მის სახეზე. მისი წყრილა სიცილი და

ხუნანური კილო განსაკუთრებით მჭირვას იყო უ ისათვის.

როდესაც უ ი გლენხის სამხრეთ-სამხრეთ-დასავლეთის მხარეში, მაგისტრატის მდებარეობა, მალაი წითური სახის უცხოები კაცი დაინახა. უცხოები მეთაურს გაცხარებით უყვიბობდა რაღაცას. ეს არმიის კომისარი იყო. მან მაგრად ჩამოართვა უ ის ხელი, მეთაურმა კი ჩუმად მისწია უ ისეცენ არყით სავსე სასმისი და განაგრძო კომისართან დაწყებული საუბარი. იმ საქმეზე კი, რაზედაც უ ი მოვიდა, არც კომისარს და არც მეთაურს არ უთქვამს არც ერთი სიტყვა.

ისინი სარგებლობდნენ ბრძოლათა შორის შესვენებით. იხსენებდნენ წარსულს და ადარებდნენ დღევანდელს.

საუბარი ორივესათვის კარგად ნაცნობ საბრძოლო ეპიზოდებს ეხებოდა. ისინი არ ასახელებდნენ თარიღებს; საკმარისი იყო ერთს თქვა: ეს იყო შანჩენჯენტან, ანდა, ტუიციპუგუს მახლობლად და მეორესათვის უკვე ნათელი იყო, თუ რა ჰქონდა მხედველობაში კომისარს.

უ ი ყურადღებით უსმენდა კომისარის და მეთაურის საუბარს და ცდილობდა წარმოედგინა ის გზა, რომელიც არმიამ გაიარა და ძლიერ ნაღვლობდა, რომ მან ვერ მიიღო მონაწილეობა ყველა იმ ბრძოლებში, რომლის შესახებაც კომისარი და მეთაური ლაპარაკობდნენ.

საუბრის დამთავრების შემდეგ, მეთაური ადგა, უ ისთან მივიდა და ნახევრადციხებითი კილოთი თქვა:

— ჩვენ ვიშუამდგომლეთ ნოას გენერალურ წესებთან. ვფიქრობთ, გაგზავნილი მ-ს პოლკის კომისარად, როგორ უყურებთ თქვენ ამას?

უ იმ სიხარულით მიიღო ეს წინადადება, ეს ის პოლკი იყო, სადაც იგი უკანასკნელად დაიჭრა.

— გაემგზავრეთ. — დაუმბაძა კომისარმა. — თქვენ ჩემზე ცუდად არ იცით, თუ რა უნდა გააკეთოთ. განსაკუთრებული ყურადღება კადრებთან მუშაობას მიაქციეთ.

უ იმ სამხედრო წესისამებრ ხელი ქულოთან მიიტანა, გამოემშვიდობა და გაასველელისეცენ გაემართა. ის ხედავდა, რომ მეთაური მშვიდად, ოპტიმისტურად იყო განწყობილი და უფრო ლაპარაკებული, ვიდრე უწინ, ეს იმას მოწმობდა, რომ მანჯურიისათვის ისინი ცუდად არ იბრძოდნენ. აჲ უ იმ მე-

თურის საყვარელი ანდაზა გაიხსენა: „დაუმიზნე ზუსტად, სტყორციე მაგრად“.

ხ-ს პოლკში გამოცხადებისთანავე, უ იმ ორ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.

ერთხელ პოლკმა უეცარი დარტყმით ხელქვეშა სიმაგრე დაატოვებინა მტერს. მახლობელ გორაკისაკენ უკანდახეულმა მტერმა ძლიერი სროლა აუტეხა უ ის პოლკს ხეივნის მიმართულებით. აქ მე-თურთა პუნქტი იმყოფებოდა.

ტყვიით დაწყვეტილი ფოთლები წვიმასავით მოდიოდა. პოლკის მეთაური უ ისთან ერთად რუკაზე დახრილიყო. ბრძოლამ კრიტიკულ წერტილს მიაღწია. მღვამარეობის ახალიზის შედეგის შემდეგ, მეთაურმა გადასწყვიტა ერთ-ერთი სათადარიგო ბატალიონის გადასროლა მარცხენა ფლანგის გასამაგრებლად.

უ ი უყოყმანოდ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას.

— აბა, მამ, დაიწყეთ! — თქვა პოლკის მეთაურმა, სტაცა ხელი ტილიფონის მილას და საჭირო განკარგულება გასცა.

ყველაფერი ეს ხუთი წუთის განმავლობაში მოხდა, ამის შემდეგ მეთაური უცეც გაქრა, იგი ბრძოლის შუაგულში შეიჭრა. უ ი ომილით გამოყვავა მეთაურს და მიმოიხედა, თუმცა ბრძოლის ველი კვამლით იყო დაფარული, მაინც ხათელი იყო, რომ 25—20 წუთის შემდეგ ბრძოლის შედეგი გადაწყვეტილი იქნებოდა.

პოლკის შემადგენლობაში ერთი ასეული იყო, რომელმაც თავისი საბრძოლო გზა ჯერ კიდევ ძინგანშანიდან¹ დაიწყო და შემდეგ ცხრაშეკტი წლის მანძილზე განუწყვეტლად მონაწილეობდა ბრძოლებში.

არც ამ ასულში, არც პოლკში არ იყო არც ერთი იმ დროის ჯარისკაცი, მაგრამ წარსული წლების სახელოვანი ტრადიციები წმინდად იყო დაცული. კომისარი სთვლიდა, რომ ეს ტრადიციები, რომლებიც უშუალოდ მათ ძეღწილიდან² ჰქონდათ მეთვისებული, ამ ნაწილის მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენდა.

იმ ბატალიონის შემადგენლობაში, რომელიც მეთაურმა მარცხენა ფლანგზე გადაისროლა, სწორედეს³ დაიწყო იყო, ამიტომ უ ი გულდამწვლად იყო ბრძოლის შედეგებზე.

მის გარშემო ტყვიები წიოდა და ზუზუნებდა. უ იმ საათს დახედა და გადაწყვიტა, რომ ათი წუთის შემდეგ საჭირო იყო კეცხლის ხაზზე გასულიყო. ვერც კი მოასწრო მან გორაკის გადავლა, რომ სამარქედო ნაწილის ძვეთარი დარტყმით ბრძოლაც დაძთავრდა.

შითნ ვაზწყინებულ ბრძოლის ველზე კომისარი ალერსიანად ელპარაკა მებრძოლებს. იმ ნაძვის ქვეშ, სადაც ხუთი წუთის წინათ, მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის ბუდე იყო, პოლკის მეთაური იდგა, მათ პაპიროსს მოუხილდეს. უ ი ძლიერ კმაყოფილი იყო ნაწილით, რომელმაც არ შეარცხენა წმინდა ტრადიციები.

მეორე ბრძოლა, რომელშიც უ ის პოლკი, მონაწილეობას იღებდა დასაწყისში კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ მოულოდნელად მოწინააღმდეგე იერიშზე გადმოვიდა და ასი მეტრის მანძილზე შემოიჭრა ბატალიონის საკომანდო პუნქტთან. სადაც უ ი იმყოფებოდა. ბატალიონის კომანდირმა რეველვიერი იძრო და წინ გაიჭრა, მაგრამ მან ვერც კი მოასწრო სამი ნაბიჯის გარბენა, რომ დაეცა ამ კრიტიკულ მომენტში, მარცხენა ფლანგის ასეულის მეთაურმა, თავისი საკუთარი ინიციატივით მისცა ნიშანი კონტრიერიშისათვის, ასეულმა ხმისამოუღებლად ჩამოაყვავა ხიშტი თოფზე და წინ გაიჭრა. მოწინააღმდეგემ დარტყმას ვეღარ გაუძლო და უკან დაიხია.

როდესაც ბრძოლა დაძთავრდა, უ იმ ბატალიონის პოლიტხელი მოიხმო და გაეცხარებოდა შეუქო ასმეთაურის ინიციატივა, ჰკითხა მისი სახელი და თავის წიგნაკში სამი იეროვლიივი ჩაიწერა: „ვენ სი-გან“. უ იმ გულთბილი კილოთი მიმართა პოლიტხელს:

— თქვენ მას არაფერი არ უთხრათ იმის შესახებ, თუ როგორ შეგაქე მე ის. მხოლოდ თხოვეთ, რომ ჩემთან შემოიაროს.

ორი საათის შემდეგ ვენ სი განი, მკვირცხლი და მოქნილი საშუალო ტანის შანდუნელი, კომისართან გამოიცხადდა. მათ დეტალურად გაარჩიეს ბრძოლის მიმდინარეობა, რომელშიც ვენ სი განი ასე უშინრად მოქმედებდა,

¹ 1928 წელს აქ შეხვდნენ ერთმანეთს მათ ძეღწის და ეუ დეს რაზმები. ამ რაზმებისაგან შესდგა ჩინეთის წითელი არმია.

შემდეგ კომისარმა გაიღიმა და შეეკითხა:

— შენ თავს უფროთხილდები, როდესაც ბრძოლას ხელმძღვანელობ?

— არა. — უპასუხა ვენ სი განმა.

— შენი აზრით, ეს კარგია? — ისევ შეეკითხა უ ი.

— არა, ცუდია! — აღიარა ასეულის მეთაურმა.

ამ გულწრფელი პასუხის მოსმენაზე კომისარს გაეღიმა. მას არ უყვარდა, როდესაც გულადები ტყუილდებოდად აგებდნენ თავს განსაცდელში, და მათგან წინდახედულობას მოითხოვდა.

— როგორც არ უნდა იყოს. — შენიშვნა უ იმ. — შენ თავს უნდა გაუფრთხილდე, დაუფიქრდი, განა ადვილი ასატანი იქნება ასეულისათვის შენი მწყობრიდან გამოსვლა, მარტო გულადობა არ კმარა მეთაურისთვის. შენ დღეს სწორად მოიქეცი, მაგრამ საერთოდ კი საჭიროა თავს გაუფრთხილდე. წინანდებურად ბრძოლა ახლა აღარ შეიძლება. დაე, ეს იყოს შენთვის გაკვეთილი და დაიხსომე: ოსტატობასთან შეერთებულად გულადობა, გამარჯვებას უღრის.

საუბრის შემდეგ ისინი საუბმის საქმელად დაჯდნენ. კომისარი მოხერხებულად ხმარობდა ერთ ხელს. უცებ მან ვენ სი განს ჰკითხა:

— როგორ ეგუებებიან მებრძოლები ფრონტის ცხოვრებას?

დაუქრების შემდეგ ვენმა უპასუხა:

— ზოგიერთები ყოველგვარ პირობებში წუწუნებენ, ზოგისთვის კი ყოველგვარი სიძნელე უმნიშვნელოა. ჩემის აზრით ახლა ჩვენ არაფერი გვიჭირს. განა შეიძლება ჩვენი ახლანდელი მდგომარეობის შედარება იმ დღეებთან, როდესაც ჩვენ პარტიზანულ ბრძოლებს ვაწარმოებდით და ხის ქერქით ვიკვიბებოდით?

კომისარს გულახდილი პასუხი უყვარდა და სიცრუეს ვერ იტანდა. ზოგიერთი მეთაური უფროსობას არწმუნებდა, რომ მათ ნაწილში ყველაფერი წესრიგშია. ასეთ შემთხვევაში უ ი მომხსენებელს ეუბნებოდა: ათე კი ყველაფერი წესრიგშია, მამ მეთაურს და პოლიტიკელს რაღა დარჩენიათ გასაკითხებელი“.

— ხანდახან ძლიერ გვიჭირს და ჩვენ ამას ვაღიარებთ. — ეუბნებოდა ვენ სი განს კომისარს. — მთავარი ის არის

რომ ნამდვილმა, კარგმა მებრძოლმა, რომელიც პოლიტიკურადაც გამოიწრთო, იცოდეს რისთვის იბრძვის და სძულდეს ძტერი, მაშინ არაფერია სინელები არ შეაკრთობენ მებრძოლებს. მაშინ ნაწილი უძლიველი იქნება.

ერთი წუთის შესვენების შემდეგ უ ი ისევ შეეკითხა ვენ სი განს:

— თქვენ ვახსოვთ ის დრო, როდესაც მებრძოლს მხოლოდ 5 — 6 ტყვია ჰქონდა? არავის არ სურდა სროლა, რადგან ტყვია ენანებოდათ. ჩვენ ვკვიროდით „ცეცხლი“, ჩვენ ქვიშებს კი სამი ჰურვის მეტი არ გააჩნდა.

— როგორ არ მახსოვს, — დიმილთ უპასუხა ვენ სი განმა. — ახლა კი ჩვენთან მასრასაც აღარაქონ აგროვებს.

ვენის დიმილზე კომისარი მიხვდა, რომ ის ამბუობდა თავის საბრძოლო წარსულით, მაგრამ ამავე დროს უკმაყოფილოა მათი ვინც მოურიდებლად ხარჯავს ტყვია-წაძალა. ვენ სი განი გრძნობდა, რომ კომისარს ისე კარგად ესმოდა მისი, თითქოს ის მასთან ერთად სანგარში მჯდარი მებრძოლი იყო.

როდესაც ვენი უკან ბრუნდებოდა, თავს ისე დაჯერებულად და გაბედულად გრძნობდა, როგორც სხვა ყველა. ვინც კი კომისარს ერთხელ მანაც შეხედებოდა.

მაგრამ მალე პოლკში უსიამოვნებამ იჩინა თავი. გამოიჩქვია, რომ მეორე ბატალიონის პოლიტბელი შენკე არ იდგასაჭირო სიმაღლეზე. ის სამსახურგობრივ მოვალეობას გულგრილად უყურებდა და ეგონებოდა და სულმოკლეობას იჩენდა. შენ კე წინათ სოფლის მასწავლებელი იყო. ის მონაწილეობას იღებდა იაპონიასთან ბრძოლაში და დაქრლივ იყო. ახლა, ამ ნახევარი წლის განმავლობაში, მან სამი პარტიკი წარადგინა, თხოვნით, რომ პოლიტიკან გაეთავისუფლებიათ. პოლკის უფროსობა მას წინადადებას აძლევდა, სხვა თანამდებობაზე გადასულიყო, მაგრამ ის დაყინებით მოითხოვდა გათავისუფლებას. სად უნდოდა შენ კეს წაყლა? კომისარისთვის ნათელი იყო: შენ კე ზურგისაკენ ისწრაფვოდა. ის ყველგან და ყოველთვის იმეორებდა, რომ მომეზრდა ფრონტის ცხოვრება.

ამ რამოთხიმიე დღის წინათ შენ კემ ნაწილიდან გათავისუფლების შესახებ, უფროსთან მეოთხე თხოვნა შეიტანა.

კომისიარს კარგად ესმოდა, რომ დროთა მსვლელობაში ხალხი იქანცება, ეზადება ზიზღი ომისადმი, მაგრამ, როდესაც რევოლუციის ბედი წყდება, ასეთი განწყობილება უადგილოა და ზიანი მოაქვს ნაწილის უშიშროებისათვის.

უი ფიქრობდა, რომ მისი, როგორც კომისიარს უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ებრძოლოს ამგვარ მოვლენებს.

ერთხელ, მარშით სვლის დროს, ნაწილის „საბრძოლო ფურცელზე“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ მეორე ბატალიონში ჩამორჩენილი მებრძოლები არიან.

მარშის შემდეგ, როდესაც ნაწილი ბინებზე განლაგდა, კომისიარი მეორე ბატალიონის შტაბში მივიდა, შენ კი კავშირგაბმულობის სამ მუშაკთან ერთად კარჯის თამაშით ერთობოდა.

კომისიარმა კითხა:

— სად არის ბატალიონის მეთაური?

— მეხუთე ასეულში წავიდა, ჩამორჩენილების მდგომარეობის გამოსარკვევად. — გულგრილად უპასუხა შენ კი.

— პოლიტბელის თანაშემწე სადღაა?

— მეტყვიამფრტვევეთა ასეულში. იქაც იგივე ისტორიაა.

კომისიარი აენთო, მისი თვლები ცეცხლს ჰყრიდა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა. კომისიარმა გამოარკვია, რომ ბატალიონში დისციპლინის დაცემა სერიოზულ ხასიათს ღებულობდა. გამოირკვა, რომ ბრძოლის დროს შენ კის ერთი კავშირგაბმულობის მებრძოლისათვის უცემია. ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბატალიონის მებრძოლთა შორის, მებრძოლთა აზრით პოლიტბელი სწორედ არ მოიქცა, ეს დისციპლინის პირდაპირი დარღვევა იყო. ვიღაცამ ხმაც კი დააგდო, რომ შენ კი პარტიოსანი ადამიანი არ არისო, რომ ის სახელმწიფო ფულგის ითვისებსო.

სალამოს კომისიარს პოლკის შტაბში მოვიდა და გადაწყვიტა მეთაურისათვის ყველაფერი მოეხსენებინა, ყველაფერი, რაც კი გულში ჰქონდა. მან თავი დახარა და ჩუმი ხმით წარმოსთქვა:

— ვერ გიტან ამგვარი სახის ადამიანებს. პარტია მას ასეთი მნიშვნელოვანი საქმე მიანდო, ის კი სახელს უტეხს პარტიას.

— შენ ამას შენ კიზე ლაპარაკობ? — შეეკითხა მეთაური.

კომისიარმა თავი ასწია და თქვა:

— ცაო, მე ვგონია, ამ საქმეზე სერიოზულად უნდა დავფიქროლოთ. თუ შენ თავიდან ფუქტდება, ვინაა ესეფემა საქციელმა შეიძლება მთელი ბატალიონი გახრწნას. თავდაპირველად მარშის დროს ჩამორჩენილები, შემდეგ ბრძოლისუნარიანობის დაკარგვა და შემდეგ? რა იქნება შემდეგ? ჩვენ არ შეგვიძლია გულდამშვიდებით ეუყუროთ ამას. ჩვენი ვალია, გარდაქმნათ იგი. კატეგორიული უარი უთხრათ ზურგში გაგზავნაზე და გადავიყვანოთ პოლკის შტაბში. შენ როგორ ფიქრობ? მე დაურეკავ დივიზიის მეთაური და შევუთანხმებ შენ კის ადგილზე მეორე ასეულის პოლიტბელის მოადგილის დანიშვნას. მე ვიცნობ ამ ადამიანს, დარწმუნებული ვარ, რომ მასზე დანდობა შეიძლება. საჭიროა მეტი სითამამე ახალი ადამიანების დაწინაურებაში.

როდესაც შენ კი შტაბში გადაიყვანეს, — ყველა — მებრძოლებიდან მეთაურამდე ძლიერ კმაყოფილი დარჩა. თავისი ბატალიონის მებრძოლებთან შეხვედრისას შენ კი ირონიით ამბობდა: „აი, ახლა კი შტაბში გარდამქმნიან“.

მას არ შეეძლო, იმ საუბრის დაიწყება, რომელიც შტაბში გადაყვანის დღეს მოუხდა კომისიართან.

როდესაც შენ კი კომისართან შევიდა, უი რუქასთან იღდა და ეტყობოდა რაღაცაზე ფიქრობდა. იგი ხელა მობრუნდა შემოსულისკენ. მისი სახე სერიოზული იყო.

— შტაბში თქვენ თავი უნდა გამოიჩინოთ, შენ კი, და უნდა გვიჩვენოთ ყველა თქვენი კარგი თვისება. — უთხრა შენ კის კომისარმა.

— მე მოვითხოვ დასვენებას. — უთხრა შენ კემ ცოტა დაყოვნების შემდეგ.

— რაო, დასვენებას? ამის შესახებ სიტყვა არ დასძრათ. ჩვენ ვიბრძვით, კი არ ვისვენებთ.

შენ კი სლუმდა, მას აღარაფერი ჰქონდა სათქმელი. კომისარი მიუახლოვდა მას. მისი თვლები მეგობრული თანაგრძობით იყო გამთბარი.

— მართალია, — თქვა უი იმ, — შენ დაპირილი იყავი, რეგოლოვია არ დაიწყო შენს დამსახურებას. განა ჩვენ ტყუილებრალად ვვარდით სისხლს?

ახლა ხალხი თავისუფალია, ჩვენ ვერ კიდევ ბეგარი რამ გვაქვს გასაკეთებელი. დაუფიქრდი, რა არის იმაზე საამაყო, რომ რევოლუცია ბოლომდის მიიყვანო? აბა, იფიქრე!

კომისარის მგრანობიარე სიტყვები შენ კეს გულზე მოხვდა. იგი ბეგარჯერ საუბრობდა შემდეგში კომისართან და ყოველთვის დამწვიდებული და კმაყოფილი ბრუნდებოდა მისგან.

ამ ხანებში ნაწილში ხშირად აღარებდნენ საუბრებს — „მომე წარსულის მოგონებებს შესახებ“. კომისარის აზრით, ეს ძლიერ სასარგებლო იყო რევოლუციური შეგნების აღსაზრდილად.

როდესაც ამდაგვარი კრებები კომუნდანტის ასეულის მებრძოლებთან ტარდებოდა, კომისარი იქ შენ კეს გულზე მოხვდა, თითქოს იმისათვის, რომ ის დახმარებოდა საუბრების ჩატარებაში. მაგრამ შენ კესთვის ნათელი იყო, რომ კომისარი ამას სხვა მოსაზრებით აკეთებდა.

კომისარმა პირდაპირ შეხედა შენ კეს თვალებში და უთხრა:

— მრავალი ჩვენგანი დიდი ხანია, რაც რევოლუციურ ომში მონაწილეობს და ხშირად იფიქვდება თავისი მძიმე წარსული. ახლა, ამ მოგონებების მოსმენის შემდეგ, მათ შეიძლება უკეთ შეაფასონ დღევანდელი დღე.

სანამ ასეულში ასეთი კრებები ტარდებოდა, შენ კე ყოველდღე მიდიოდა იქ. ყველასაგან განცალკევებით ჯდებოდა და უსმენდა. მას არ ძალუქდა არ დასწრებოდა კრებას, რადგან კომისარს შეეძლო მოულოდნელად გამოეცახებოდა იგი მოხსენებისათვის. შენ კემ გაიხსენა, თუ როგორ ცხოვრობდა მისი ოჯახი ათი წლის წინათ, სანამ მშობლიური პროვინცია შანდუნის არ გაანთავისუფლა მერვე არმიამ. მისი ოჯახი, როგორც ყველა სხვა ოჯახები, ხის ქერქით იკვებებოდა. შენ კეს დიდა შიმშილით მოუკვდა, შენ კეც მომაკვდავი იყო. როცა მერვე არმია მოვიდა, საიჯარო ვადასახადი შემოვიტრებოდა იქნა, მეგობრის ვალის პროცენტები გაუქმებული და შენ კეს ოჯახმა უჭირველი ცხოვრება დაიწყო. ახლა თავისი მცდარი საქციელი მთელი სისრულით აღიმართა შენ კეს წინ.

როდესაც მან თავის შეცდომა შეიგნო, ერთმა კითხვამ მოსიყენება არ მისცა: ხომ არ უნდა დაბრუნდეს უკან ბატალიონში? მაგრამ იმის გახსენებაზე

რომ ყოველდღე იქნება ბრძოლა, ძნელი საძარწო სვლები, მას მერვეობა იპყრობდა. მისი სულიერი განწყობილება შემოდგომის დარს ჰგავდა, ხან ღრუბლიანს, ხან კი ნათელს. იმ დღეებში, როცა შენ კე შინაგან ბრძოლას თავს ვერ ართმევდა, კომისართან შეხვედრას გაუბრუნდა, თუმცა კომისარს მაინც ხედავდა შენ კე ყოველდღე. ყოველთვის მზიარული, ენერჯით საცხე და დაუღალავი კომისარი მუშაობაში იყო ნათელი და ზომიერი და მკაცრ ცხოვრებას ეწეოდა. მან არაერთხელ დატყუქსა შტაბის მზარეული მისი აზრით ერთობ დიდებული კერძის დამზადებისათვის:

— დიდად გმადლობთ ასეთი კარგი სადილისათვის. — ეუბნებოდა ის მზარეულს, — მაგრამ აწი ნულარ გააკეთებ ასეთს, სად შეგვიძლია ჩვენ ასეთი ხელვაშლილი ცხოვრება? განა შენ არ იცი, თუ როგორ ზომიერად იკვებებიან მებრძოლები და როგორ შიმშილობენ გლეხები?

მოძარაგების უფროსს მან კატეგორიულად განუცხადა:

— ყველაფერი, რაც კი რამ გაქვთ კარგი, ჩვენთან კი ნუ მოგაქვთ, ასეულებს დაუბრუნებთ, მთავარი ყურადღება მებრძოლებს უნდა მიამყროთ და არა შტაბს.

ყველაფერი ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა შენ კეზე. კომისარი ხშირად საუბრობდა შენ კესთან. იგი გრძობდა რომ კომისარი იმგან რაღაცას მოელოდა და ეს უფრო მეტად სტანჯავდა.

ერთ საღამოს ნაწილმა ბრძანება მიიღო მეორე დღეს ბრძოლაში ჩაბმის შესახებ. შენ კეს შინაგანი ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ერთი წუთით ეგოიზმმა სძლია და გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოეთხოვა დემობილიზაცია. რაკი გადასწყვიტა და ერთი ფეხი უკვე გადადგა უფსკრულისაკენ, ის სირბილით გაიქრა პოლკის შტაბის მიმართულებით.

შტაბის ფანჯარა ძლიერი შუქით იყო განათებული და ქუჩიდან მოჩანდა, როგორ მოძრაობდნენ კედელზე ჩრდილები. შენ კე ერთი წუთით შეჩერდა, შტაბის შენობაში პოლკის მეთაური და კომისარი მუშაობდნენ. ისმოდა კომისარის სიცილი, ხშირად გაისმოდა ტელეფონის ზარის წკრიალი.

შენ კემ ზღურბლთან შეიცადა. მას ის იყო, უნდოდა ეთქვა: „ნება მიბო-

ქეთ, შემოვიდე“, მაგრამ ამ დროს გაიგონა, რომ კომისარი ტელეფონით ლაპარაკობდა.

— კარგია, პირველი ბატალიონი თხოვს პოლკის შტაბს, მისცეს მას პირველი დარტყმის უფლება. უნდა გვახსოვდეს რომ პირველი ბატალიონი, იმიტომ არის პირველი ბატალიონი, რომ ის ყოველთვის პირველი მიდის წინ, — ეუბნებოდა უ ი მეთაურს:

გაისმა პოლკის მეთაურის ხმა:

— მოითმინე, უ ი, არც კი გაივლის ხუთი წუთი, რომ სხვა ბატალიონებიც ამასვე მომთხოვენ. — მის ენერგიულ ხმაში განუსაზღვრელი რწმენა და სიმშვიდე იგრძნობოდა.

შენ კემ ამ წუთში ნათლად წარმოიდგინა ბატალიონის შტაბი, ცოცხლად შეიგრძნო ხელში ასეულების მოხსენებები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ მათთვის პირველი შეტევის უფლება მიეცათ. მან გაიხსენა, როგორ სულერი აღმავლობას გრძობენ მებრძოლები, როდესაც ღებულბეზენობას მოსალოდნელი ბრძოლის შესახებ. როგორ ცდილობენ მოხედნენ დამცველ განაყოფებში, როგორ ხდება შეკამათება მეთაურებს შორის იმის გამო, თუ ვინ უხელმძღვანელებს ამ დამცველ განაყოფებს. შენ კემ თითქოს ხელახლა ჩაათრია იმ ჩვეულებრივ ერთუზიანში და აღმადლებს ატმოსფეროში, რომელშიც ბრძოლის წინ ცხოვრობს ბატალიონი.

უეცრად ის შეკრთა, თითქოს გული ჩაწყდა და ცივ და ბნელ ჰაერში მოექცა. მისი გონება გასერა უეცრამ ფიქრმა: ხვალ წავლენ საბრძოლველად ამხანაგები. აქ, მის წინ, შტაბის ოთახში ბრძოლისათვის ემზადება კომისარი, ნათელი და ყოველთვის წინ მსწრაფი აღამიანი. შენ კი რას აკეთებ? ვინა ვარ მე? ბნელი, ჩამორჩენილი აღამიანი... შენ კემ გარკვევით, მაგრამ ჩუმად წარმოთქვა „ბნელი“ და მისი სახე ცივმა ოფლმა დაფარა.

უცებ შტაბში ზარის ხმა გაისმა. შენ კემ ყური მიუგდო. ესმოდა როგორ გაიცინა კომისარმა და შემდეგ სერიოზული ხმით თქვა:

— ეს მეორე ბატალიონია? თქვენ თხოულობთ მთავარი დარტყმის შესაძლებლობა მოგცეთ. კარგია, სწორია. კარგად აღაფრთოვანეთ მებრძოლები, ჩვენ ზურგში არ დაგვტოვებთ.

მეორე ბატალიონი იყო სწორედ ის, სადაც წინათ შენ კემ მსახურობდა, ალბად, კომისართან მისი ყოფილი, თანხა შემწე ლაპარაკობდა, წინათ ასეთ შვემთხვევებში კომისარი შენ კეს ელაპარაკებოდა ხოლმე.

შენ კეს აღარ შეეძლო დგომა. ის სწრაფად მობრუნდა და გაშორდა შტაბს. პოლარული ვარსკვლავი უკვე ძლიერ მიღლა იკრა ცას, ღამე წყნარი და გრილი იყო. ქუჩაში მიმავალი შენ კემ ხედავდა სინათლის ყოველ ფანჯარაში რა იცოდა ბრძოლისათვის ემზადებოდნენ ჯარისკაცები, განთიადამდის ხუთს საათი კიდევ იყო. შენ კემ თავისთვის ფიქრობდა — ყველა წინ წაიდა, მე კემ უკან, ნაწილში არ ვიქნები, ზურგში იქ, ქალებიც კი დაუწყებენ დაცინებას.

მან ისევ გაიხსენა თავისი ბატალიონი, ასეული, მებრძოლები, რომლებთანაც ერთად იყოფდა სიხარულს და მწუხარებას. ერთი ქვაბიდან ჰამდა, ერთად იღგა ცეცხლის ხაზზე ბრძოლის დროს.

მან გონების თვლით კვლავ დაინახა ბრძოლაში მიმავალ კომისარის ამაყად აწეული გვირგული სახე. „ნუთუ მე მართლა წავალ?“ — ფიქრობდა ის თავისთვის. „ვინც ჩემსავით იქცევა, ის არ შეიძლება პატიოსან აღამიანად ჩაითვალოს. შენ იფიქრებ შენ ღვიძლ ძმებს“. თვალბეზენი ცივმოლი მოადგა...

მეორე დღეს კომისარი ისევ საბრძოლო საქმეებში ჩაეფლო და დროებით დაივიწყა შენ კემ. ნ-ს ბატალიონის ნ-ასეულმა, თავდადებული სიმამაკით გამოიჩინა თავი, მაგრამ დიდი დანაკლისის გამო ვადაზე აღერ იქნა გადაგზავნილი პოლკის ზურგში შესავებად. ახლა პოლკის პარტიულმა კომიტეტმა მიიღო ამ ასეულის განცხადება მიეცათ მათთვის საბრძოლო დავალება.

პოლკის მეთაური ეს-ეს იყო ცხენით მოიქრა დივიზიის შტაბიდან, მან მოიხადა ქუდი, მოიწმინდა გაოფლილი შუბლი და წყნარად და დამაჯერებლად თქვა.

— გადაწყვეტილია დაუყოვნებლივ მოქმედება.

კომისარმა ღიმილით უჩვენა ნ-ს ასეულის განცხადება. მეთაურმა როგორც კი წაიკითხა განცხადება, სწრაფად შემობრუნდა გასასეულებისკენ. მაგრამ უ იმ გზა გადაუღობა.

— შენ საით?

— წავალ მაგ ასეულში, დაე, დაიწყოს მან შეტევა.

— არა, მე წავალ, აქაურობას არ მოშორდი. — თქვა კომისარმა მშვიდად და გადაწყვეტილი. — შენ უნდა უხეილმღვახელო მთელი პოლკის მოქმედებას. იქ კი მე თვითონ წავალ, როდესაც ჩვენ გორაკს ავიღებთ, თქვენ დაუყოვნებლივ შემოუარეთ მტერს მარცხენა ფლანგიდან.

წვიმა სვრიდა, კომისარს ნ-ს ასეულის განცხადება ჯიბეში ედო და ტალახიან ბილიკზე გორაკის მიმართულებით მიდიოდა, ამ გორაკს მისი ასეული იცავდა. საჭირო იყო იერიშის მომზადება მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ დიდი გორაკის ასაღებად. იერიში უნდა დაეწყათ იმ ადგილიდან, სადაც განლაგებული იყო ასეული.

გორაკები ერთმანეთს ხუთი ლით იყო დამორებული. იმისათვის რომ ბრძოლა მოეგო, საჭირო იყო ამ ერთობ დიდი მნიშვნელობის სიმაღლის აღება. კომისარი ფიქრობდა, რომ მისი პირადი მონაწილეობა ყოველგვარ ბრძანებაზე უკეთ დანახებდა მეტროლებს ამოცანის სრულ სერიოზულობას.

ბრძოლა დღის სამ საათზე დაიწყო. მაგრამ ასეულის რამდენიმე შიტიკა მოგერიებული იქნა მოწინააღმდეგის ძლიერ ცეცხლით.

მეტროლებს იერიში იერიშზე მიქონდათ. მათ გადასწყვიტეს რათაც არ უნდა დასჯდომოდან აეღოთ გორაკი. მთელი მიდამო ყუმბარების კვამლით და ცეცხლით იყო დაფარული. კომისარი მომცრო გორაკიდან ღერბინდით ადევნებდა თვალყურს შეტევას. როდესაც მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, ბრძოლამ კრიტიკულ წერტილს მიაღწია. «თუ გორაკს ვერ ავიღებენ, — ფიქრობდა კომისარი, — წარმატება შეუძლებელია, უფრო მეტიც: თუ მოწინააღმდეგესთან მშველი ჯარი მოვა, მაშინ პოლკი შესაძ-

ლებელია მძიმე მდგომარეობაში ჩაყარდეს. მან ღერბინდი მსახურს გადასცა და მოუთმენლად გასწრა გორაკს მიმართულებით, სადაც შეზრმოლთა რჩეიყო ჩაწოლილი. მეტროლები ცდილობდნენ კომისარის შეჩერებას, მაგრამ უ იყველას იშორებდა და ჯიუტად მიაბიჯებდა წინ.

მსხვილკალიბრიანი ყუმბარები და მიწები სკდებოდნენ ირგვლივ და ზეცამდის აჰქონდათ მიწისა და ქვის ბომბები. უ ი მშვიდი გადარბენებით მიიწვიდა წინ. მის თავზე ტყვიები წიოდნენ, მაგრამ კომისარი, მშვიდად მიიწვიდა მიზნისაკენ.

როდესაც მეტროლთა რიგს მიაღწია, მაუზური იძრო, სურდა პირადად გასძლოლოდა ასეულს შეტევაზე, მაგრამ ამ წუთში, ვიდაც გამოიჭრა მის ზურგს უკანიდან. უ იმ ვერ მოასწრო იმის გარჩევა, თუ ვინ იყო, მან მხოლოდ ის გაიგონა, რომ ამ მეტროლმა ხმამაღლა დაიძახა:

— ასეულო შეტევაზე! ავიღოთ გორაკი, გავანადგუროთ ჩან-კაი-ში!

მეტროლები წამოიჭრნენ და ერთი აღმაფრენით ანთებულნი იერიშზე გაყვნენ მამაც მეტროლს.

ამას მოყვა ხანმოკლე ხელჩართული ბრძოლა, და მოწინააღმდეგე თავზარდაცემული გაიქცა, მას ფეხდაფეხ მიჰვა ასეული.

კომისარი გორაკის მწვერვალზე ავიდა, მეტუქს უბრძანა სანიშნო დაეკრა, რომ პოლკის მეთაურისათვის გორაკის აღება ეცნობებოდა. შემდეგ ის გორაკიდან ჩამოვიდა და მტრის გაემებზე გადაბიჯებდა, მიმავალი ასეულს დაიწია.

როდესაც მთლად დამაჯერილი, ტუპყიანი, ოფლიანი, მაგრამ ბედნიერი და ამაყი უ ი მიუახლოვდა ნ-ს ასეულის მეტროლებს, მხოლოდ მაშინ გაიგო მან, რომ მეტროლი, რომელიც ასეულს შეტევაზე გაუძღვა, შენ კი იყო-



ჯამ შალი

პაპარა პაპა



სოფლის კოოპერატივის გამგე სან სი „პატარა გამგის“ სახელწოდებით არის ცნობილი. რატომ დაარქვეს მას ასე? ჯერ ერთი, იგი ახალგაზრდაა, მას მხოლოდ 23 წელი შეუუსრულდა; მეორე, თვით კოოპერატივიც პატარაა, მას ახლოდ ორი მუშაკი ჰყავს — გამგე და გამყიდველი; მესამეც იმიტომ, რომ გამყიდველი ჯან ჯუნი ყოველ მოხერხებულ დროს დაიცნობდა მას. როცა ვინმე შეეკითხებოდა ვანს, როგორ მიიღის საქმე კოოპერატივში, იგი ჩვეულებრივ უპასუხებდა: „წარმოდგენაც არა მაქვს; აი, დაბრუნდება პატარა გამგე და მას ჰკითხეთ“. იტყვოდა ამას და თანაც საზიზღრად დაიღრიალებოდა ხოლმე, რადგან იცოდა, რომ ახალგაზრდა სან სი ჯერ კიდევ ცუდად ვრცევეს საქმეში და ამიტომ რაიმე საფრთხეში გაებმებო.

მაშ, როგორ მოხდა, რომ სან სი კოოპერატივის გამგეა? ეს მართლაც მკითხისასწავლი ისტორიაა.

ღარიბი გლეხის შვილი სან სი ბავშვობიდან დიდ ნიჭსა და ჰკუას იჩენდა. მასზე უკეთ არავის შეეძლო ახალწლის დღესასწაულზე ლამაზი ფარნების გაკეთება. როცა გაიზარდა, რასაც ხელს არ მოკიდებდა, ყველაფერს სხვებზე უკეთ აკეთებდა. საკმარისი იყო მხოლოდ დაკვირება, ცოტათი ფარჯიშობა — და იგი სწრაფად ეუფლებოდა ყოველგვარ ხელობას: ხურობას, მკედლობას, — და როცა საკიროება მოეთხოვდა, ყოველ საქმეს სწრაფად აკეთებდა. სოფელში ამბობდნენ, რომ სან სი — ყველაფრის ოსტატი.

მართლაც, ყველაფრით კარგი იყო სან სი, მხოლოდ ერთ რამეში ბედი არა სწყალობდა, — წერა-კითხვის სრული უცოდინარო იყო. მაგრამ, სან სი ვერ ურიგდებოდა თავის ასეთ მდგომარეობას. როცა წერა-კითხვის მკოდნე შეხედებოდა, ყოველთვის ეკითხებოდა ხოლმე მას, ესა თუ ის იეროგლიფი როგორ იწერებო. ამ გზით მან ბევრი იეროგლიფი შეისწავლა. თუმცა, როდესაც

იგი რომელიმე წიგნს აიღებდა ხელში, უცნობი იეროგლიფი ყოველთვის უფრო მეტი აღმოჩნდებოდა, ნაცნობი იეროგლიფები კი იშვიათად ხვდებოდა. ეს გარემოება ყველაზე მეტად აწუხებდა სან სის და იგი ორმაგი გულმოდგინებით იძენდა ცოდნას.

სან სი — კომუნისტი. კომუნისტურ პარტიაში იგი უფრო ადრე შევიდა, ვიდრე კოოპერატივის გამგე გახდებოდა. საინტერესოა როგორ მოხდა ეს?

იმ სოფელში, სადაც იგი ცხოვრობდა, პარტიის მხოლოდ ოთხი წევრი ითვლებოდა. ესენი გაერთიანებულნი იყვნენ ერთ უჯრედში, რომელიც რაიონულ კომიტეტს ექვემდებარებოდა. 1948 წლის აგვისტოში სოფელში „ანგარიშსწორების“ კრებები დაიწყო. საქირო შეიქმნა კოოპერატივის ყოფილ დირექტორ ჯან ტაისთან ანგარიშის გასწორება.

იაზონელებთან ომის დაწყებამდე ჯან ტაი საგალანტერიო მალაზიის პატრონი იყო. მაგრამ, მალაზია მისთვის მხოლოდ საფარი იყო სავაზშო ოკრაციების საწარმოებლად. ახალწლის წინ, ზაფხულში, ან შემოდგომაზე ღარიბი გლეხები მუდამ ამბობდნენ: „ჯან ტაის დუქანი სულ უფრო და უფრო გვაღარიბებს. მთელი ჩვენი ქონება თანდათან მის ხელში გადადის“. იაზონიასთან ომი რომ დაიწყო, მევახშემ იგრძნო, რომ ქარმა სხვა მხარიდან დაუბერა; საჩქაროდ დაიწყო ვალეების შეგროვება და უკვე აღარავის აძლევდა ფულს პროცენტებზე.

მაგრამ ბოლომდე ვერ შესძლო გლეხების გაძარცვა. 1942 წელს, როცა კომუნისტური პარტია გათავისუფლებულ რაიონებში მიწაზე საიჯარო თანხის დაკლებისა და საიჯარო პროცენტების შემცირების პოლიტიკას ატარებდა, ჯან ტაიმ გამოიანგარიშა, რომ მიინცდამაინც დიდი არაფერი ერგება, ამიტომ ვალეებზე და პროცენტების მიღებაზე უარი თქვა.

გლახობის უმრავლესობამ ვერ გაიგო, თუ რატომ მოიქცა ასე ჯან ტაი, ეგონათ ადამიანი გარდაიქმნაო. ამიტომ, როცა სოფლის კოოპერატივს გამგე დასჭირდა, ჯან ტაი დანიშნეს, როგორც გამოცდილი და სავაჭრო საქმის მკონდე კაცი.

ჯან ტაიმაც თავისი წილი შეიტანა, იგი მთელ სოფლის წილს აღემატებოდა. ამის გამო კოოპერატივი თითქმის მის საკუთრებად იქცა. ჯან ტაი მხოლოდ იმ საქონელს ჰყიდიდა, რაც მას შემოსავალს აძლევდა, სოფლისათვის საჭირო საქონელი კი კოოპერატივში აზსოდეს არ იყო. მოვიდოდა ხოლმე გლეხი, იციბავდა საჭირო საქონელს, უარს ეტყობდნენ და წავიდოდა. გლეხები უკვე რამდენიმე წელი ითმენდნენ ამ თვითნებობას. და მხოლოდ 1948 წლის აგვისტოში შეუდგნენ საქმეს. ახალგაზრდა სან სი ყველაზე ენერგიულად აგროვებდა ჯან ტაის შესახებ მამხილებელ მასალას, ამ მიზნისათვის გლეხებსაც ესაუბრებოდა და სოფლის ხელისუფლებისაგან გადაწყვეტი ღონისძიებების მიღებას მოითხოვდა.

და როდესაც ჯან ტაი კოოპერატივიდან გააძევეს, სოფლის უჯრედის მდიანმა ახალგაზრდა აქტივისტის შესახებ პარტიის რაიონულ კომიტეტს აცნობა. მდიანს მიანდეს სან სისთან საუბარი ჩაეტარებინა მისი პარტიაში მდიანის შესახებ. მაგრამ, როცა მდიანმა ჰკითხა სან სის რატომ არ შედიხარ პარტიაშიო, სან სიმ გაკვირვებით უპასუხა:

— განა მე პარტიის წევრი არა ვარ? დღინანა რაც უკვე პარტიაში ვარ.

მდიანმა იფიქრა, ალბათ სხვა ვინმემ, თუ მისცაო სან სის პარტიაში შესვლის რეკომენდაციაო, და შეეკითხა:

— ვინ მოაწყო შენთან საუბარი?

გამორკვეა რომ სან სისთან ამ თემაზე არაფერი არა ჰქონია ლაპარაკი. სან სი თვლიდა, რომ რადგან მან სისხლისმსმელ მეფასშის გაძევებაში სოფელს დაეხმარა, ამიტომ შეუძლია თავისი თავი კომუნისტად ჩათვალოს.

— მართალია, მეგასშის გაძევებაში სოფელს დახმარება გაუწიე, მაგრამ, ეს როდი ნიშნავს, რომ შენ უკვე პარტიის წევრი ხარ, — უთხრა მდიანმა.

— მე ხომ ისე ვმოქმედებ, როგორც კომუნისტები გვასწავლიან. მაშ, რატომ არ შეიძლება პარტიის წევრად ჩამთვალოთ? — გულწრფელი გაკვირვებით ჰკითხა სან სიმ.

მდიანი მიხედა, რომ სან სის არაერთარი წარმოდგენა არა ჰქონდა იმდენი, თუ რას ნიშნავს პარტიის წევრობა. მან დაწვრილებით უამბო სან სის, თუ როგორია ჩინეთის კომუნისტური პარტია, რისთვის იბრძვის იგი და რაში გამოიხატება პარტიის წევრის მოვალეობა.

საუბარი რომ დაამთავრა, მდიანი შეეკითხა სან სის, უნდა თუ არა პარტიის წევრი გახდეს.

— რასაკვირველია, — უპასუხა სან სიმ, — როგორ შემიძლია მე კომუნისტის არ ვიყო.

ხალხს არაფერი არ გამოეპარება. სან სის აქტიური მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა. როცა საკითხი დაისვა გაძევებული ჯან ტაის ნაცვლად კოოპერატივის ახალი გამგის არჩევის შესახებ, სოფლის თითოეულმა მცხოვრებმა გადაწყვიტა, რომ სწორედ სან სი და არა სხვა ვინმე უნდა გახდეს გამგე. სოფლის კრებაზე ასეც ითქვა. სან სი ამბობდა:

— მე წერა-კითხვის უცოდინარი ვარ.

— ჩვენ ყველანი ასეთები ვართ. — უპასუხეს გლეხებმა.

— მე ოჯახი მაქვს, თავისუფალი დრო არა მაქვს, — ჯიუტობდა სან სი. როგორ არ იუარა, მაინც ხალხის ნება-სურვილის შესრულება მოუხდა.

სან სი კოოპერატივში მუშაობაზე უარს იმითომ კი არ ამბობდა, რომ წერა-კითხვის უცოდინარი და დიდი ოჯახის პატრონი იყო. სრულიათაც არა, მან იცოდა, რომ კოოპერატივის გამყიდველ ვან ჯუნთან ვერ შესძლებდა მუშაობას.

ვან ჯუნი და მეგასშე ჯან ტაი ერთნაირი ჯურის ადამიანები იყვნენ. როცა ჯან ტაი დუქნის პატრონი იყო ვან ჯუნის მასთან გამყიდველად მუშაობდა და იმავე თანამდებობაზე დარჩა, როცა ჯან ტაი კოოპერატივის გამგე გახდა. ბოროტებითა და სიავით იგი არაფრით არ ჩამოუგარდებოდა მეგასშე ჯან ტაის.

ჯან ტაის „ანგარიშსწორების“ დღეს, გლეხები ვან ჯუნსაც შეეხენ. თუმცა გლეხები მისგან ნაკლებად არ იყვნენ შეწუხებულნი, კრებამ მაინც გადაწყვიტა ვან ჯუნისათვის ყველაფერი ეპატიებიათ და თავის ადგილზე დატოვეს. ვან ჯუნი ჯან ტაის ხელქვეითი იყო, და თუ სხვებს ძარკავდა, მაინც დამაინც მას დიდი სარგებელი არა ჰქონდა. მოუხედავად ამისა, სან სის

მინც არ სურდა ვანთან მუშაობა. მან არ იცოდა ვაჭრობის საქმე, ვან ჯუნს კი რჩევისათვის ვერ მიმართავდა, რადგან მისი დაცინვის ეშინოდა.

როცა სან სი კოოპერატივის გამგედ აირჩიეს, იგი სოფლის პარტიულ უჯრედში წავიდა და გულწრფელად განაცხადა, რომ მისთვის ძალიან ძნელი იქნება საქმის გაძღოლა. კომიტეტში მას უპასუხეს:

— რადგან ხალხმა ავირჩია, სიძნელებები უნდა გადალახო და შენი მუშაობით მაგალითი გიჩვენო.

მაგრამ სან სი თავისას არ იშლიდა: — ჩემთვის ძნელია! ვერ მოუვლი საქმეს.

მაშინ, მას უთხრეს, რომ თვითონ მოძებნოს კაცი, რომელიც ასეთ საქმეს მასზე უკეთ გაუძღვებოდა. სან სიმ იფიქრა და გადაწყვიტა, რომ ასეთი კაცი სოფელში არ არსებობს. მიუხედავად ამისა, სან სიმ მაინც გამოთქვა აზრი, რომ ვერ შესძლებს ვანთან ერთად მუშაობას. მაგრამ, როდესაც წინადადება მისცეს ვანის ნაცვლად სხვა გამოსადეგი კაცი მოძებნოს, მან უპასუხა, რომ სოფელში სათანადო კანდიდატი არ მოიძებნებოდა. სოფელში წერა-კითხვის მკოდნი ძალიან ცოტა იყო და თანაც ვან ჯუნისათვის კოოპერატივში სამსახური არსებობის ერთადერთი წყარო იყო. გადაწყდა: სან სის ვან ჯუნთან ერთად უნდა ემუშავა.

და სან სი მუშაობას შეუდგა. ვან ჯუნი ყოველთვის ხელს უშლიდა მას. ჯან ტაის დიდი ერთგული, ვან ჯუნი ფიქრობდა, რომ მას არ შეუძლია პატრონსად იმუშაოს იმათთან, ვინც მისი პატრონი გააძევა, მით უმეტეს ისეთ „ლაწირაკის“ ხელმძღვანელობით, როგორიც სან სია. იგი თავის თავს სან სიზე ათასჯერ მაღლა აყენებდა. მაგრამ აშკარა საბოტაჟს ვერ მიმართავდა, რადგან იცოდა, რომ ამისათვის მას ისეთივე ბიდი ეწეოდა, რაც მის ყოფილ პატრონს ეწია.

სან სი რომ გამგედ დანიშნეს, ვან ჯუნს უხაროდა: ენახოთ რა გამოვა, რამდენ სისულელეს ჩაიდენსო. შეუდგა თუ არა სამუშაოს, პირველსავე დღეს სან სიმ უბრძანა: ვანს ბალანსის შედგენა. ვანისათვის ეს იოლი საქმე იყო. მაგრამ იგი მაშინვე არ შეუდგა ბალანსის შედგენას, არამედ სან სისაგან მითითებების მიღებას დაელოდა. თუ მითითებას მიიღებდა — შეასრულებდა,

თუ არა და — გულხელდაკრეფილი იჯდა. მაგრამ, სან სი, როგორც მიხედრილი და ჰკვიანი კაცი, საჭირო მითითებას აძლევდა და მალანსი შედგა. თუმცა ამ საქმეზე მერტივო დანიხარჯა, ვიდრე ჩვეულებრივ ხდებოდა.

სან სი მიხვდა, რომ ვანის მოტეხა ნამდვილად ძნელი იქნებოდა. ამის შესახებ სან სიმ რამდენჯერმე განაცხადა სოფლის პარტიულ უჯრედში, მაგრამ იქ ეუბნებოდნენ, რომ საჭიროა ვან ჯუნის გარდაქმნაო.

— როგორ არა! ასეთს ვინ გარდაქმნის! — ბრაზობდა სან სი, — ცნობილია, კუნძიანს სამარე გაასწორებნო.

ამის შემდეგ სან სი რამდენიმე დღე ცუდ გუნებაზე იყო. მერე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვანის საბოტაჟის დასაძლევად ერთადერთი საშუალებაა — თვითონ შეისწავლოს სავაჭრო საქმის ყველა დეტალი. ერთი თვე არც კი გასულა და მას უკვე ბევრი რამე ჰქონდა შესწავლილი. მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარობა ძველებურად ხელს უშლიდა: ანგარიშები და საბუხპალტრო წიგნი ისევ ვან ჯუნის ხელში იყო.

საჭირო შეიქმნა ანგარიშწარმოების შესწავლა. მაგრამ როგორ? ვან ჯუნს მიმართოს? მაშინ, ვანი თავის თავზე უფრო დიდი წარმოდგენისა იქნება. სან სიმ გადაწყვიტა როგორმე უმისოდ იოლად წავიდეს, რომ ავტორიტეტი არ დაკარგოს. ამიტომ ვანის არყოფნის დროს ანგარიშები ყურადღებით უნდა შეისწავლოს. ჩვეულების საწინააღმდეგოდ ვან ჯუნი მალაზიაში არ ცხოვრობდა. მალამოს, დუქანს რომ დაეკეტავდა, შინ მიდიოდა. ეს კი ხელს უწყობდა სან სის.

ერთხელ, სან სიმ უთხრა ვანს: — უხერხულია სალამობით კოოპერატივში რომ არავინ არ რჩება. როგორც ჩანს, მე მომიხდება აქ ყოფნა, — და გამოართვა ვანს გასაღები.

ყოველ სალამოს, როცა კი ვან ჯუნი შინ წავიდოდა, სან სი გულდასმით ეცნობოდა ანგარიშებს. დღისით აკვირდებოდა, რა წესით ხდებოდა საქონლის გაცემა, სალამოს კი, ანგარიშების დათვალიერების დროს, თანდათან სწავლობდა ბუხპალტერიის არც თუ ისეთ რთულ ხელოვნებას და ახალ იეროგლიფებს ეცნობოდა.

მაგალითად, დღისით კოოპერატივი 125 მინ მარილს ღებულობდა, სალამოს

სან სი მოძებნიდა ანგარიშის წიგნში ციფრს 125 და მის გვერდით იეროგლიფს „მარილი.“ აქვე მრავალჯერ გადმოიწერდა ამ იეროგლიფს. წერდა მანამდე, სანამ იეროგლიფი ისეთივე ლამაზი არ გამოუვიდოდა, როგორც ვან ჯუნს.

ექვსი თვის შემდეგ მან უკვე იცოდა ყველაფერი, რის ცოდნაც საჭირო იყო საბუნხალტრო წიგნის წარმოებისათვის. ახლა, ვან ჯუნთან შეხვედრისას თავის თავს უფრო მაკრად გრძნობდა. ვან ჯუნს ეს არ მოსწონდა. თავს იავადმყოფებდა, ხშირად სამუშაოზე არ გამოდიოდა. ერთხელ სამი დღე არ მოსულა. მეოთხე დღეს სან სი მივიდა მასთან და, რადგან იცოდა, რომ იგი თვალთმაქცობდა, თანაგრძნობით უთხრა:

— ნუ გეჩქარებათ სამუშაოზე მოსვლა, გამოკეთდით. ჯერჯერობით მე თვითონ გავუძღვები კოლპერატივის საქმეს.

ვან ჯუნი ხედავდა, რომ სან სი უმისოდაც კარგად იყო და ვერ მიხვდა, თუ რაში იყო საქმე. ის აზრი, რომ სან სის შეეძლო წერა-კითხვის და ანგარიშის წარმოების შესწავლა, მას არც კი გაუელვია თავში. შეწუხებისათვის მადლობა გადაუხადა სან სის, თვითონ კი იფიქრა: „თხუთმეტი დღით კიდევ ვიავადმყოფებ, მერე ვნახოთ, რას იზამს“.

და მართლაც, ვან ჯუნი ნახევარი თვის განმავლობაში „ავად“ იყო. სან სის არ გამოუძახნია იგი. ცნობის-მოყვარეობით აღსაქე ვან ჯუნმა ბოლოს ვერ მოითმინა და საქმის გასაგებად კოლპერატივში გამოცხადდა.

როცა ვან ჯუნმა კარებში გამოჩნდა, სან სი სერიოზული სახით შეეკითხა:

— ოჰო, გამოკეთდით? სამწუხაროდ, მე დრო არა მქონდა და ვერ ვინახულებო.

ვანმა ამ შემთხვევისათვის საჭირო ზრდილობიანი პასუხი წაიხუტებუტა და

დახლოთან თავისი ადგილი დაიკავა. მოთმინება არ ყოფნიდა. უნდოდა დაეთვალთვლებინა საბუნხალტრო წიგნი და ანგარიშები. როცა ვან ჯუნმა წიგნს ხელი მოკიდა, სან სიმ მშვიდად შენიშნა:

— ცოტა კიდევ მოგესვენათ. თქვენ ხომ ახლახან ადგილთ. მუშაობა კი ისევ დაგლით...

ვან ჯუნმა არაფერი არ უპასუხა. გადაშალა წიგნი — და განცვიფრებისაგან გაქვავდა: ანგარიშები სრულ წესრიგში იყო, თითქოს იგი თვითონ მას ეწარმოებინოს, ყველაფერი სუფთად და სწორად ჩაეწერათ. მიხვდა ვანი, რომ უმისოდაც კარგად უძღვებოდნენ საქმეს და თუ მან ისევ განაგრძო საბოტაჟი, სულ მალე თავიდან მოიშორებდნენ მას. კოლპერატივიდან თუ წავიდა, ვერსად ვერ იშოვის სამუშაოს. სოფლის სამუშაო მან არ იცის და არც უყვარს. ამიტომ თავს ძალა დაატანა და სან სის მიმართა:

— ნახევარი თვე ავად ვიყავი. თქვენთვის ალბათ ძნელი იყო მართო ყოფნა. ხვალინდელ დღიდან გადმოვდივარ მალაზიაში და აქ ვიცხოვრებ.

სან სიმ სერიოზული სახით უპასუხა:

— როგორც გსურდით. მე არ ვაიძულებთ. ხომ იცით ჯანმრთელობა ყველაფერზე ძვირფასია.

ამის შემდეგ ვან ჯუნი გარდაიქმნა. ასევე ყურს უგდებდა სან სის, როგორც წინათ ჯან ტაის. არასდროს აღარ ეკამათებოდა და აღარ დაცინოდა მას. როცა სან სი დარწმუნდა, რომ ვანი პატიოსნად მუშაობს, თვითონაც შესცავლა მისდამი დამოკიდებულება. ვან ჯუნიც დარწმუნდა, რომ, რაც პატიოსნად მუშაობა დაიწყო, უფრო უკეთესი ცხოვრება შეეძქნა, ვიდრე წინათ შეეახმესთან ჰქონდა.

როდესაც ეს ამბავი სოფლის პარტიულმა უჯრედმა გაიგო, სან სის მადლობა გამოუცხადეს.

დავით ბეჰაძე

საბჭოთა კავშირის გმირი.

გმირთა სისხლით*



ჩვენს პარტიზანულ შენაერთში არაერთი ქალი იბრძოდა. მათმა ლეგენდურმა სიმამცემ უფრო მეტად დაამშვენა პარტიზანული მოძრაობის ისედაც სახელოვანი ისტორია.

საბჭოთა ხალხის სახელოვან ქალიშვილთა რიცხვს ეკუთვნოდა ჩვენი შენაერთის პარტიზანი ენია კუდრიაესკაია. ენიას მამა — ვასილ მოსეს-ძე კუდრიაესკი კოვპაკის შენაერთის მეოთხე ბატალიონის მეთაური იყო. მან განსაკუთრებით თავი ისახელა კარბატების რეიდის დროს.

კუდრიაესკის ოჯახის ყვილა წივირი — პარტიზანი იყო. რა კალამი აღწერს იმ საშინელ ტანჯვას, იმ წამების, რაც პიტლერელებმა კუდრიაესკის ოჯახს მიაყენეს, მაგრამ მტერმა საბჭოთა ადამიანების ნებისყოფა ვერ გატეხა.

ენია კუდრიაესკაიას პირველ შეხვედვაზე ვერც შეატყობდით, თუ ის ბრძოლის ციკლში იყო გამოწრთობილი. ეს იყო ჩვეულებრივი, ნაზი ქალიშვილი, მშვიდი, და წყნარი. გარეგნულად ის სრულიად არასამხედრო ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ვერ მოვითმინე და ერთ-ერთი დასვენების დროს ენიას ეს ჩემი შთაბეჭდილება გაუზიარე, ვუთხარი:

— ენია, შენ რომ გიციქვრი, ომამდელი დრო მაგონდება, კაცი იფიქრებს, ამას ალბათ, სამხედრო უწყების ანლოც არ გაუვლიათ.

— ნუთუ ასეთ შთაბეჭდილებას ეტოვებ, ეგ მე არ ვიცოდი, პირველად მესმის.

ეს სიტყვები მან თითქოს წყენით და ნაღვლიანად ჩილაპარაკა, ერთ წუთს ჩაფიქრდა და მერე დაუმატა:

— მე ცხრა თვი გაუჯარე ვერ გესტაბოს დილეგში და შენმდგ საკონცენტრაციო ბანაკში!

— როგორ, თქვენ განა საკონცენტრაციო ბანაკში იყავით? მე როდღე ვი-

ცოდი, თუ ასეთი ჯოჯოხეთი გქონდა გამოვლილი, მაპატიეთ...

— მე არ მიყვარს იმ დღეების გახსენება, აი თუ გნებავთ, ჩემი საბუთები ნახეთ. ისინი უკეთ გეტყვიან ყვილაფერს.

ქალმა სერთუკის ჯიბიდან გახუნებული ქალაღი ამოიღო და ხელში მომანიჭა.

— წაიკითხეთ! — მითხრა მან.

ქალაღი გავშალე და ხმადაბლა კითხვა დავიწყე:

„ეს ცნობა მიეცა ან. ეპრაქსია სტეფანეს-ასულს იმის დასტურად რომ ის არის კროლევეცის პარტიზანული რაზმის მეთაურის ვასილ მოსეს-ძე კუდრიაესკის მეუღლე და კომკავშირის არალეგალური ორგანიზაციის მდივნის ეგგენია ვასილის-ასული კუდრიაესკიას დედა, ან. კუდრიაესკაია ამავე დროს ორი ვაჟის დედაა, ორივენი წითელფლოტელები არიან. ეპრაქსია კუდრიაესკაია, მისი უფროსი ქალი ეგგენია და უმცროსი ქალი — ხუთი წლის ნინა ცხრა თვის განმავლობაში დატყვევებულნი იყვნენ ქალაქ კროლევეცის ციხეში. გერმანელებმა კარგად იცოდნენ, რომ ტყვე ქალი პარტიზანული რაზმის მეთაურის ცოლი იყო და ამიტომ მას საშინლად სტანჯავდნენ, აწამებდნენ და დასცინობდნენ. მხოლოდ გერმანიაში გაგზავნის წინა დღეს ჩამოართვეს ქალს ჩვენი ბა. სწორედ ამ დღეს ეპრაქსია სტეფანეს-ასული, თავისი ორივე ქალით პარტიზანებმა გამოიტაცეს ციხიდან და სამშვიდობოზე გამოიყვანეს“. საბუთი ხელმოწერილი და სათანადოდ დამოწმებული იყო.

ქალაღი დავკეცი და ენიას გადავეცი. „მამ, ეს თქვენი ოჯახია“, შევიკითხე მას.

— დიან, ასეა ეპრაქსია სტეფანეს-ასული — ჩემი დედაა, ეგგენია კუდრიაესკაია კი მე გახლავართ, — მითხრა ენიამ.

— მერე და ვინ ხელმძღვანელობდა იმ პარტიზანებს, რომლებმაც თქვენ ციხიდან გამოავიტაათ? — შევიკითხე ვეგენხას.

— მამაჩემი!

ეს უკვე ძალზე საინტერესო ამბავი ჩანდა, ექვნიას ვთხოვე დაწერილებით ეამბნა თავისი თავგადასაჯალი.

— ყველაფერს გეტყვი, — მითხრა მან და წამოიწყო, — ომის წინახანებში მეცხრე კლასში ვსწავლობდი. ბეჯითად ვემცადებოვოდი, ყოველ წელიწადს ქუბის სიგელებს ვღებულობდი, მიყვარდა იფანე ფრანკოსა და ლესია უკრაინკას ლექსები... ბევრი ზეპირად ვიცოდით... დანარჩენი თქვენ წარმოიდგინეთ. ხომ იცით როგორი იქნებოდა მეცხრე კლასის მოწაფის ცხოვრება. ერთი უცხნაურობა მჭირდა. სისხლის დანახვებზე გული შემიწუხებდებოდა ხოლმე, მიცვალებულის დანახვა ხომ სრულიადაც არ შემეძლო. ახლა კი, ოცდათექვსმეტი ფანსისტი მყავს მოკლედი და არც მომავალში ამიკანკალდება ხელი. ეს იმიტომ, რომ კარგად ვიცო: პიტლერილი — სიკვდილის მაუწყებელია, ქაღალდი და ბავშვის მკვლეელია, კაციკამია. მამასადაღე, მისი მოსპობა კეთილი საქმეა, სამართლიანი საქმეა. ახლა კარგად ვიცი, როცა ფანსისტა ჰკლავ — ამით სიკვდილს ვაძიებებ ჩვენი მიწა-წყლოდან, სიცოცხლეს ვფნარჩუნებ ჩვენს ადამიანებს, პატარა ბავშვებს, უმწურო მოხუცებს...

— როცა გერმანელებმა სუმის ოლქი დაიკავეს, იმ ხანებში მამაჩემი ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის სათაღეში მოექცა. მე და დედა მარტონი დავრჩით პროლეტარებში. ჩვენ ამ რაზმის მეკავშირეები ვავხდით. ამაღე დროს მე კროლენციში არაღეგალური კომკავშირელი ჯგუფი ჩამოეყალიბე, მამას რაზმმაც იწყო ამასობაში უფრო გაბედული მოქმედება, იარაღი რაზმისათვის წინასწარ იყო ტყეში გადახალული. მე ვითომდა სოკოების მოსაგროვებლად დავდიოდი ტყეში, ფრთხილად მიმჭონდა კალათით რევილვერები, ხელყუმბარები და დანიშნულებისამებრ ვაბარებდი. იმ ხანებში გერმანელებისათვის მამაჩემის რაზმი უკვე შეუჭმნიველი აღარ იყო. მალე თავს დაგვიხსნა პოლიცია. მე, დედა და პატარა ნინა დაგვატყვივეს და ციხეში წავიყვანეს. ამ დროიდან იწყება ჩვენი წამება, გაუგო-

ნარი წამება. მე გესტაპოელ ჯალათებს არ შევეუშინდი. მტკიცედ ვადასტურებდი ამ არამზადების წინაშე. არ მომეხარა...

ქალი ისევ შესდგა, თმაზე ხელი გადასცა, ფეხებზე წაიღეს, თითქოს დაავიწყდა, რომ მე ამბავს მომიხატობდა.

— ექვნი, გცემდნენ ციხეში? — შევეკითხე. ქალმა შემომხედა.

— რასაკვირველია, მცემდნენ. აბა, ამას რად უნდა კითხვა. პატარა ნინას, ჩემს დას ხელს ჩაადებინებდნენ ხოლმე კარების ღრიტოში, შემდეგ კარს მიხურავდნენ. შემზარავად წიოდა ბავშვი. გული უწუხებდებოდა, შველს ვეთხოვოდა მაგრამ ჩვენ რა შეგვიძლო, ჩვენც ხომ განუკითხვად გვცემდნენ.

ექვნია წამოღდა და ხმაძალა წარმოსთქვა:

— ვფიცავ ყველაფერს, რაც აღმინას წმინდათაწმინდა გაინია, ვფიცავ სამშობლოს სახელს, რომ წამების დროს ერთხელაც ცრემლი არ გადმომვარდნია, სიტყვა არ დამცდენია, მე და დედამ ხომ ყველაფერი ვიცოდით! და წარმოიდგინეთ საკონცენტრაციო ბანაკიდანაც შევძელით პარტიზანებთან დაკავშირება.

ერთ მშვენიერ დამეს, — მართლაც მშვენიერი იყო ის დამე, — ჩვენთან საკანში რამდენიმე შეიარაღებული კაცი შემოიჭრა. „ესელებს“ ფორმა ეცვათ. ოფიცერი ჩემსკენ წამოვიდა და თავზე დამადგა. შევხედე და გაოცებისაგან ცინალამ შევიკვლე: ვიცანი მამაჩემი. იცნო დედამაც.

მე და დედამ ხმა ამოუღებლად ერთი-მეორეს გადავხედეთ. შეიარაღებულებმა ვითომ მრისხანედ თვალები დავავიბრიალეს და გვიბრძანეს — ახლავ წამოდექით, უნდა წავიყვანოთ. ვითომდა დასახერხებლად მივყავდით. ჩავგვიყვანეს მანქანაში და გადავქანეს პარტიზანული რაზმების ბანაკში. სიხარულისაგან აღარ ვიცოდი რა მექნა. ხან ეტროდი, ხან ვიცინოდი. პაწია ნინა პირდაპირ ჩიტვით ფრთხილდებდა. მეუცხოვებოდა მამა გერმანულ ტანსაცმელში. მალე დედა და ნინა თვითმფრინავით დიდ მიწაზე, მოსკოვში გაგზავნეს. მე მამასთან დავრჩი და პარტიზანულ რაზმში ჩავიწერე, აი, ყველაფერი ის, რის თქმაც მინდოდა, — თქვა ქალმა და ხელი ისევ თმაზე გადასცა.

— როგორ თუ ყველაფერი? სთქვი ბოლომდე, როგორ დაიწყე პარტიზანობა, როგორ იბრძოდი?

— შეიძლება ვირიცხებოდი მებრძოლთა რიგებში. პირველ ხანებში დიდი თოფი მომცეს, „დრაგუნკას“ რომ ეძახიან. იმით ვიბრძოდი, შემდეგში „კარაბინი“ ვიშოვნე. ბოლო ხანებში მეტყვიამფრქვევე გავხდი. ერთდროულად შენადმოვბაძე შევისწავლე.

— პირველ ბრძოლაში ალბათ ძალიან დღეავდი?

— სწორედ ასე იყო, ვღელავდი და თან ვედილობდი „შიში ახლოს არ გამეკარებინა. პირველი ბრძოლის შემდეგ კაჭვივით გავხდი. გავიდა შეიდი თვე და პარტიზან ქალებს გვიბრძანეს — სანიტარებად უნდა დაიწყეთ მუშაობა. ჯერ გვეწყინა, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდით, ისევე საბრძოლო მწყობარში ყოფნა გვინდოდა. მალე ახალმა საქმემ გავეიტაცა. ბრძოლის ველზე მე ტევრ დაქარის აღმოვეჩინე სამედიცინო დახმარება, მაშინ მივხვდი, რომ სანიტარი — ფიციე მებრძოლა.

— აი ეს ორდენი, — მიჩვენა ექნამ თავის მკერდზე, — ხიდის აფეთქებისათვის მივიღე, ჩვენმა ჯგუფმა ხიდის აფეთქებასთან ერთდროულად გერმანელების ჯავშნიანი მანქანა და ტანკი გაანადგურა. აი, მოკლეთ ყველაფერი! ასე დაასრულა ექნამ თავისი პარტიზანული თავგადასავალი.

კარპატების მთებში ექნია მძიმედ დაიჭრა. ის მამასთან ერთად თვითმფრინავით გადაევხაენით მოსკოვში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ვასილ მოსეს-ძე კვლდრიაგისაგან მეგობრული გრძნობით გამთხარი წერილი მივიღე. ახლა იგი იალტის ქალაქის მილიციის უფროსად მუშაობს. მისი ქალი ექნია, იქავე, ქალაქის საბჭოში კადრების და სპეცგანყოფილების გამგეა. როგორც ვასილ მოსეს-ძე მწერს, მამა-შვილი თურმე ხშირად ავადმყოფობენ, ექიმების დასკვნით მათი ავადმყოფობა ძველი ქრილობების გამოძახილია.

XI

ელვის სისწრაფით მიიწვიდა წინ საბჭოთა არმია. ჰიტლერელებიც ასევე სწრაფად მირბოდნენ თავიანთი ბუნებისაკენ. ჩვენ, პარტიზანები მოწოდებულნი ვიყავით მტრის ღრმა ზურგში

გვებრძოლა და ამიტომ ჩვენც სწრაფი ტემპით მივიწვიდით დასავლეთისაკენ, რადგან ის მიდამოები, სადაც დაღეს მტრის ღრმა ზურგი იყო — მეორე დღეს განთავისუფლებულ ტერიტორიად გადაიქცეოდა ხოლმე.

იმ ხანებში, სოფელ ბლანეინიკთან ჩვენმა მეცხრე ასეულმა მტერი სასტიკად დაამარცხა. ასევე თავი ისახელეს სხვა ქვეგანყოფილების მებრძოლებმაც, რომელნიც სპეციალური დაეალებით იყვნენ გაგზავნილი ახლო-მახლო სოფლებში. ყველა ასეულთ გამარჯვებული დაბრუნდა მოსურში, როცა ყველამ თავი მოიყარეთ — ვერშიგორამ გასცა ბრძანება მოსურიდან გასვლისა და შენაერთის ადგილგადახაციელების შესახებ.

მტრის ჯარებით გავდილი იყო დასავლეთ უკრაინა და გალიცია.

გზის გასაწმენდად, შენაერთის უზრუნველსაყოფად წინ მულად მზეერაეთა რაზმს ვგზავნიდით. ამჟამად ასეთივე დაეალება მიცვაკაიტან ტოკარის მეოთხე ბატალიონს... ტოკარს მტრის ჯარების განლაგებაც უნდა შეეისწავლა, შარა და რკინიგზა იქ უნდა გადაეღობა, სწორედ იმ ადგილას, სადაც რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა ასეულმა მტრის ავტომანქანების კოლონა დაამარცხა და გაანადგურა. ტოკარს უნდა დაეხვერა გალიცია-უკრაინის საზღვარი, მტრის სიმეგრეები, ლუცკ-სტოიანოვის რკინიგზის თავდაცვა, აღერიცხა საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოქცეული წითელარმიელები, რომლებიც სოფლებში აფარებდნენ თავს და ამ ძალებით უნდა შეეისო ბატალიონი, საბჭოთა მებრძოლებს მოსახლეობა მფარველობდა, ინახავდა. თავშეფარებულები მოუთმენლად მოელოდნენ პარტიზანების გამოჩენას, ისწრაფოდნენ პარტიზანების რიგებში ჩარიცხულიყვნენ. წინ წასული ტოკარი პარტიზანების შენაერთს რადიოთი უნდა დაეკავშირებოდა, მერე სოფელ ქე-უშკაში უნდა შეჩერებულიყო, სადაც შენაერთს მოუცდიდა. თუ ვინიციობა რაკია მოქმედების უნარს დაკარგავდა და ბატალიონს შენაერთის ხმას ველარ მოაწვდიდა, მაშინ ტოკარი ამხანაგ ივანოვის პარტიზანულ რაზმს უნდა დაეკავშირებოდა. ივანოვი კი ჩვენ ყველაფერს შეგვატყობინებდა, მისი პარტიზანული რაზმი სწორედ ისე იყო გან-

ლაგებულო, რომ მასთან დაკავშირება ტოკარს არ გაუძნელდებოდა.

ტოკარი წინ იმიტომ გავგზავნეთ, რომ შენაერთის ზელმძღვანელობას მისი ძალიან დიდი იმედი ჰქონდა.

ტოკარი ჩინებული მებრძოლი, იყო, სწრაფი, გულადი, მტრისათვის თავიზარის დამცემი, ამ კარგ თვისებებთან მას ერთი არსებითი ნაკლოვანება ჰქონდა, გამარჯვებით გატაცებულს ბრძოლის პროცესში საომარი მასალის დაზოგვა ავიწყდებოდა. როცა ბატალიონი მტერს დაიფრინდა და შორს გარეკავდა, რაღა საჭირო იყო ავტომატების ჯერის უწყსრიდოდ უმიზნო სროლა. მისი მებრძოლები საომარ მასალას ხშირად უმიზნოდ ანიავებდნენ.

ამას კი ხშირად ცული შედეგი მოსდევდა: თვალისგან მიმალული მოწინააღმდეგე გონს მოვიდოდა, ძალებს მოიკრებდა და ბატალიონს შეუტევიდა, ასეთ დროს ტოკარი ხელცარიელი აღმოჩნდებოდა ხოლმე: ავტომატებში ვაზნების ზელახლა ჩაწყობა, იარაღის გამზადება დიდ დროს თხოვლობდა, მტერი ამით სარგებლობდა და ბატალიონის შევიწროებასაც ახერხებდა.

ვერსიგორამ ტოკარს ამის შესახებ მიუთითა და გაათრახილა.

მოსურში ყოფნის დროს პარტიზანებმა საფუძვლიანად მოვაწყსრიდეთ ჩვენი საქმეები: დღე-ღამე განუწყვეტლევ შემოაბდნენ სამქედლოები, შეკეთდა ახალიები და მარხილები, დამზადდა ახალი უნაგირები. კარგად გამოვიყენეთ ადგილობრივი აბანოები, დავისუფთავეთ ტანსაცმელი.

ოცდახუთ იანვარს ძალზე სუსხიანი დილა გათეთდა, ყინვა ქვას ხეთქავდა, დილით, შტაბში რომ შევიდი, ჯერშიგორამ მითხრა:

— თქვენი ქვეყნის ხალხია სტუმრად მოსული, აი იქ არიანო, — მიმითითა მეზობელ ოთახზე, ოთახის კარები შევადღე. სამი შეიარაღებული ახალგაზრდა წამოდგა და მომესალმა.

— ვინა ხართ, საიდან მოსულხართ-მეთქი, — შევიკითხე.

— ადგილობრივად მომქმედი პარტიზანები ვართ, — იყო პასუხი.

— მარტო სამნი ხართ?

— სამოცდაათქმეტ კაცისაგან შესდგება ჩვენი რაზმი, ჩვენი მახლოშელ სოფელში დგანან. თქვენი მზვირავები იყვნენ ჩვენიან, ასე გვითხრის

პარტიზანული ნაწილი დგას მოსურშიო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, სამნი გამოვყვირეთ თქვენს მზვირავებს.

ვერსიგორამ განკარგულება გასცა მზვირავები გაეგზავნათ და ეს რაზმი ჩვენთან წამოეყვანათ, როგორც კი ჩვენი მებრძოლები ბრძანების შესასრულებლად გაეშართნენ; ჩვენ ისევე ახლად გაცნობილ მებრძოლებს მივუბრუნდით.

— სადაურები ხართ? — შევიკითხე მათ.

— ამიერკავკასიიდან, სომხები.

— აქ როგორ მოხვდით?

— ოცდაექვსი კაცი საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოვიქციეთ. აღბათ მოგზასენებთან, გერმანელებმა ტყვეების ნაციონალური საკონცენტრაციო ბანაკები შექმნიეს. სომხები ერთ ბანაკში მოგვთავსეს. კუბრივით ბნელ ღამეში ბანაკეზ გარს შემოვლული ეკლიანი მავთული შეუმჩნევლად გაეჭვირით და გამოვიპარენით, სოფლებს შევიფარეთ თავი, გულთბილად მიგვიღეს გლეხებმა: საქმელს გვაძლევდნენ, გვივლიდნენ, გვიფრთხილდებოდნენ.

ამ გამოქცევის ორგანიზატორები თვითონ ჩვენ, ამჟამად აქ ყოფნი გახლავართ, — მეუბნება სამულო ტანის შავგერემანი პარტიზანი. ეს ომანეს პეტიაშია, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, აი ეს ამხანაგი ანტონ პოლისოვი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის უწყებაში მუშაობდა. პირადად მე სერგო არუთინოვი გახლავართ.

არუთინოვი ქართულად მესაუბრებოდა.

— სადაური ხართ? — შევიკითხე არუთინოვს.

— თბილისელი. პროფესიით პედაგოგი ვარ. ომამდე თბილისის განათლების განყოფილების ინსპექტორი ვიყავი. ომის პირველი დღეებიდან გამიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. ქერჩის ბრძოლების მონაწილე ვარ. მძიმედ დავიჭერი ქერჩის ბრძოლაში და ტყვედ ჩავვარდი, სხვებთან ერთად უკრაინაში გადმოგზავნეს, აქ, საკონცენტრაციო ბანაკში დავგამწყვდიეს. პოდა, დავკარით ფეხი და გამოვიქციეთ იქიდან. რაზმი ჩამოვაყალიბეთ. დღითი-დღე იზრდებოდა ჩვენი რაზმი, მეომრების ახალი ახალი ნაკადი გვემატებოდა. დღის

ჩვენს რაზმში, სომხების გარდა, რუსები, უკრაინელები, ბელორუსელები და ქართველები არიან.

— კარგად ხართ შეიარაღებულნი?

— საკმაოდ კარგად.

— იარაღი ვინ მოგვცათ?

— ნამდვილი იარაღი გვაქვს, მტერს წავართვი!

— რაზმს ხელმძღვანელიც იყოლება ალბათ? ვერ გვეტყვი მის გვარს?

— მე გახლავართ ხელმძღვანელი, — მეუბნება არუთინოვი.

— დიახ, ეს ასეა. სერგოა ჩვენი მეთაური, — დაუდასტურა პოლსოვიცა.

— მტერს ზურგში, — განაგრძო არუთინოვიცა, — თქვენც კარგად იცით რა დღეშია მოსახლეობა. სულ პატარა მიზეზი და სოფელს გერმანელები ოთხივე კუთხიდან ცეცხლს შემოუწვთებდნენ და ფერფლად აქეციდნენ. კარგად იცოდნენ გლეხებმა ოჯახში ჩვენი მიღება რას ნიშნავდა, მაგრამ მოსალოდნელ რეპრესიებზე, არავინ ფიქრობდა, გზირებად გვიდგნენ ღამ-ღამობით ქალი და კაცი, თვალს ჩინივით გვიფრთხილდებოდნენ, ჩვენც დიდ სიფრთხილეს იჩინებდით, ღამ-ღამობით თუ შევიბარებოდით სოფელში, დღისით ტყეებში ვიმალებოდით.

— კვების საკითხი როგორ მოაწესრიგეთ?

— ნამდვილ სურსათ-სანოვაგეზე გადავდიოდით... მოსახლეობაც გვიწყობდა ხელს.

ამ ლაპარაკში ვიყავით, როცა არუთინოვის რაზმიც გამოჩნდა, ჩვენი მზვერაკები რაზმს წინ მოუძღოდნენ.

გულმა გული იცხო, მოსული და დამხვედრი პარტიზანების შეხვედრა დღესაწაულად იქცა.

კარგად გამოიყურებოდნენ მოსოლოები, ახოვანი ბიჭები იყვნენ. ვერშიგორამ არუთინოვი ოთახში იხმო.

— მამ ასე, ამხანაგო, არუთინოვი, თქვენი სურვილია ჩვენს ნაწილთან შემოერთება, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, მობრძანდით, შერბრთებული ძალით მტერს რისხვად დაეციეთ, ვაგემოთ პიტლერელ არამზადებს პარტიზანული სოსხი, დროზე გავწმინდოთ ყვავ-ყორნებიდან ჩვენი მიწა-წყალი.

— დიდი ხანია თქვენი შენაერთის კვალს დავიკებთ, ამხანაგო უფროსო, კოვაკის პარტიზანებზე ხომ მთელი უკრაინა და ბელორუსია ლაპარაკობს. ოცნებად გადაგვექცა თქვენთან შემო-

ერთება. აი, ჩვენს მიზანსაც მივალწვიოთ. თქვენი დიდი პარტიზანული ოჯახის წევრები ვხდებით, — ხედავ არუთინოვიცა.

ვერშიგორამ განკარგულება გასცა — ახლადმოსულები შენაერთში ჩარიცხეთო.

ამ ამბის აღსანიშნავად მიტინგი მოვაწყეთ. პირველი სიტყვა პეტრი ვერშიგორამ წარმოთქვა.

— დღიად სერიოზულ მომენტში გვიხდება ბრძოლა, — დინჯად წამოიწყო სიტყვა პეტრომ — ჩვენმა პარტიზანულმა ბრძოლებმა, თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მტერი დამარცხებულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ის ჯერ კიდევ ჯიუტობს, ჯერ-ჯერობით იარაღს არ ჰყრის, ცოფიანივით ებინება. ძლიერამოსილი საბჭოთა არმია პიტლერელებს დაუძლიობლად ანადგურებს. ასეთ სერიოზულ მომენტში პარტიზანული ბრძოლების როლი განუსაზღვრელი და დიდმნიშვნელოვანია, ჩვენ ჩვენს მოვალეობას ყოველთვის ვმინდად ვასრულებდით და დღესაც ვასრულებთ; ამასთან ერთად, ჩვენ როდი უხნა შეგწყვიტოთ ზრუნვა მებრძოლების სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. ამას გვასწავლიდა ჩვენ დაუვიწყარი რუდნევი, ამასვე გვასწავლის ჩვენი სახელოვანი ხელმძღვანელი კოვაკი: ცოცხალ ძალას მოუარეთ, ადამიანებს გაუფრთხილდითო. ჰოდა, დღეს მებრძოლის შემატება, ერთი პარტიზანით ჩვენი ნაწილის გაზრდაც კი დიდმნიშვნელოვანია. ამიტომ გვიხარია ჩვენ ახლადმოსული ამხანაგების შემოერთება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტიზანული შენაერთი საუკეთესო მკომრებით ივსება, კეთილი იყოს ამხანაგებო თქვენი მოსვლა, გავიზიაროთ ერთად ჭირი და ლხინი, გავანადგუროთ მტერი და საბოლოოდ გავანთავისუფლოთ ჩვენი მიწა-წყალი, განთავისუფლებულ ხალხს მზიარულებას და ყოყინას შევუერთოთ ჩვენი პარტიზანული ხმა!

ვერშიგორას შემდეგ არუთინოვიცა ილაპარაკა. მან მიტინგზე დამსწრეებს უამბო თავისი რაზმის შექმნის ისტორია; შემდეგ აღნიშნა, რომ დღეს ჩვენს ბრძოლაში ახალი ეტაპი იწყება, სახელოვანი კოვაკელების თანამებრძოლები ვხდებითო.

ვერშიგორას მოთხოვნით იმ მიტინგზე მეც ვთქვი სიტყვა. საკონცენტრაციო

ვერშიგორას შემდეგ არუთინოვიცა ილაპარაკა. მან მიტინგზე დამსწრეებს უამბო თავისი რაზმის შექმნის ისტორია; შემდეგ აღნიშნა, რომ დღეს ჩვენს ბრძოლაში ახალი ეტაპი იწყება, სახელოვანი კოვაკელების თანამებრძოლები ვხდებითო.

ვერშიგორას მოთხოვნით იმ მიტინგზე მეც ვთქვი სიტყვა. საკონცენტრაციო

ვერშიგორას შემდეგ არუთინოვიცა ილაპარაკა. მან მიტინგზე დამსწრეებს უამბო თავისი რაზმის შექმნის ისტორია; შემდეგ აღნიშნა, რომ დღეს ჩვენს ბრძოლაში ახალი ეტაპი იწყება, სახელოვანი კოვაკელების თანამებრძოლები ვხდებითო.

ვერშიგორას მოთხოვნით იმ მიტინგზე მეც ვთქვი სიტყვა. საკონცენტრაციო

ვერშიგორას შემდეგ არუთინოვიცა ილაპარაკა. მან მიტინგზე დამსწრეებს უამბო თავისი რაზმის შექმნის ისტორია; შემდეგ აღნიშნა, რომ დღეს ჩვენს ბრძოლაში ახალი ეტაპი იწყება, სახელოვანი კოვაკელების თანამებრძოლები ვხდებითო.

ვერშიგორას მოთხოვნით იმ მიტინგზე მეც ვთქვი სიტყვა. საკონცენტრაციო

ვერშიგორას შემდეგ არუთინოვიცა ილაპარაკა. მან მიტინგზე დამსწრეებს უამბო თავისი რაზმის შექმნის ისტორია; შემდეგ აღნიშნა, რომ დღეს ჩვენს ბრძოლაში ახალი ეტაპი იწყება, სახელოვანი კოვაკელების თანამებრძოლები ვხდებითო.

ვერშიგორას მოთხოვნით იმ მიტინგზე მეც ვთქვი სიტყვა. საკონცენტრაციო

ვერშიგორას შემდეგ არუთინოვიცა ილაპარაკა. მან მიტინგზე დამსწრეებს უამბო თავისი რაზმის შექმნის ისტორია; შემდეგ აღნიშნა, რომ დღეს ჩვენს ბრძოლაში ახალი ეტაპი იწყება, სახელოვანი კოვაკელების თანამებრძოლები ვხდებითო.

ბანაკიდან გამობარვის ისტორიაზე ვილაპარაკე.

მიტინგი ღია ცის ქვეშ იყო მოწყობილი. სამინლად ცილია, მაგრამ შეომარები ორატორებს დიდი ყურადღებით და ხალისით უსმენდნენ.

მიტინგი გაგრძელდა გამოსულ ორატორთა სიტყვები მთავრდებოდა შეძახილებით: გაუმარჯოს დიდ სტალინს, გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს. პარტიზანთა ტამის და ოჯაციის ხმები გრგინვასავით ისმოდა.

მიტინგის შემდეგ ახლადმოსული პარტიზანები ცალკე ასეულოდ გაეფორმეთ, მებრძოლები დავუმატეთ, რომ ასეულის ნორმა შეგვეთავებინა, ასეულის მეთაურად არუთინოვი დაინიშნა.

მეზობლად მდებარე სოფლებსა და ქალაქებში სისტემატურად ვგზავნიდით მწვერავთა ჯგუფებს; სად იყო მტერი, რას აკეთებდა — მუდამ საქმის კურსში იყავით. დღესაც, მიტინგის შემდეგ შტაბიდან ბრძანება მიიღო დაზვერვა კვლავ გამეგზავნა. გამოიქიხე ასეულის მწვერავთა ჯგუფის უფროსი, მეტსახელად მას „დარბაისელს“ ვეძიებო.

— ამხანაგო დარბაისელო, — ვეუბნები მწვერავების უფროსს, — საჩქაროდ მოაშაღე შენი ჯგუფი და გაეშურე რკინიგზის ზანის და სადგურის დასაზვერად. შეამოწმე, თუ როდის იყო უკანასკნელად იმ მიდამოებში მტერი, ზუსტად ვაიგეთ სად და როგორი თავდაცვა მოაწყეს ამ ბოლო დღეებში პიტლერელებმა.

— არის, ამხანაგო მეთაურო, — ბოხი ხმით მიპასუხა „დარბაისელმა“.

როდესაც მწვერავები გაეისტუმრე, მერუკის თვლიერება დაიწყო. იუკვირდებოდა სოფელ მოსურის ახლომხლო მიდამოებს. ამ დროს ოთახის კარი გაიღო და სტუმრად მიწვია მუდამ შუბლგახსნილი და მხიარული შტაბის მთავარი დაზვერვის ათეულის მეთაური რობერტ კლეინი.

კლეინი გერმანელი იყო. ის საბჭოთა კავშირში დაიბადა, თორმეტი წელი მსახურობდა საბჭოთა არმიასი და იქი პარტიის წევრად მიიღეს. სამამულო ომის დროს კლეინი რამდენიმეჯერ მოექცა მტრის გარემოცვაში, მაგრამ მან ყოველთვის შეძლო მტრის ბრწყალბიდან თავის დაღწევა, რობერტი დარბაისელოდ მტრის ზურში და ამხანაგ

ნაგ ტანკოს პარტიზანულ რაზმს შეუერთდა. ძალიან მარჯვე ვიჭყვევო ყფო. ის ბრძოლების დროს გერმანული ოფიცერის მუნდირს ატარებდა, გერმანული ენაც ხელმძივებით კარგად იცოდა. ამიტომ იყო, რომ პიტლერელები ხშირად შეცდომამი შეჰყავდა, ფაშისტები მას თავისიანებისაგან ვერ არჩევდნენ. კლეინი ამით მარჯვიდ სარგებლობდა; გერმანელთა განლაგებაში თავისუფლად დაიარებოდა. როდესაც დროს იხელთებდა, სობდა და ანადგურებდა მტრის ავტომანქანებს. კლეინმა განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა დნეპრის მიდამოებში გაჩაღებული ბრძოლების დროს.

სწორედ ამ ხანებში რობერტ კლეინმა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება დაიმსახურა. აი როგორ მოხდა ეს ამბავი:

როგორც კი საბჭოთა არმია დნეპრს დაუახლოვდა, ტანკო და კლეინი მამინვე დნეპრის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ. მათ ივარაუდეს, რომ აქ ჩქარა საბჭოთა ტანკები შემოიჭრებოდნენ. საჭირო იყო სათანადო ზომების მიღება. მეგობრებმა გადასწყვიტეს ყოველმხრივ დახმარებოდნენ წინ გამოჭრილ საბჭოთა ტანკისტებს, რომელნიც აღმოსავლეთიდან მოდიოდნენ. კლეინმა და ტანკომ ისიც კი გაითვალისწინეს, რომ შესაძლებელი იყო წინ გამოჭრილ საბჭოთა ტანკებს ბენზინის მარაგი შემოელოდათ, ამიტომ ასორმოცდა ათი ტონა ბენზინი დაამზადეს და აი, საბჭოთა ტანკების კოლონივ განიჩნდნენ, კლეინი და ტანკო მათ სიხარულით მიეგებნენ. ტანკისტების და პარტიზანების შეხედორამ სახეიბო ელფერი მიიღო. მომარაგებული ბენზინი მართლაც ძალზე საჭირო აღმოჩნდა. ტანკისტებმა საწვავი მასალით აავსეს სამარქაფო ქურჭლი და დაიწყეს ფიჭვი იმაზე, თუ როგორ ჩაეშალათ მტრის ჯარების გადასვლა მდინარე დნეპრზე. საჭირო იყო მდინარეზე გადასასვლელის დაცემა. ტანკომ და კლეინმა ბრწყინვალე გიგანა მოიფიქრეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის სისრულეში მოყვანას. ამ გეგმის აზრი ის იყო, რომ მტერი მოეჩუქებინათ, დნეპრის მარცხენა ნაპირზე შეეჩრებინათ, გადალმა არ გადაეშვათ და აქვე გაეწყვიტათ.

ამ გაბედული გეგმის განხორციელებ-

ბის მიზნით კლდინი გერმანელი პოლკოვნიკის მუხღირში გამოიწყო, ტკანჯომ კი გერმანელი მოფერის ტანსაცმელი გადაცვია. „პოლკოვნიკი“ და „მოფერი“ მსუბუქი მანქანით გაემგზავრნენ ფრონტის წინა ხაზზე, მანქანა დნებრის ნაპირად, გერმანელების თავდაცვის ახლო შეაჩერეს. კლდინი მანქანიდან დინჯად გადმოვიდა და ბოხის ხმით უბრძანა „მოფერს“ — მანქანა მოშორებით დააყენეო. ტკანჯომ „პოლკოვნიკის“ განკარგულება ფიცხლად შეასრულა. ამასობაში გერმანელი კარისკაცების ფორმაში გადაცმული, კარგად შეიარაღებული პარტიზანები საბარგო მანქანით მოვიდნენ. ესენი ვითომ „გერმანელი პოლკოვნიკის“ მხლებელი იყვნენ.

ასე დაიწყო ეს უცხოური „სპექტაკლი“ დნებრის პირას, ტკანჯო და კლდინი როლებს ისე კარგად ასრულებდნენ, რომ პიტლერელებს პირველ ხანებში ექვიც არ შეჰპარავიათ; როცა „პოლკოვნიკმა“ პიტლერელების ის ოფიცირი გამოიძახა, რომელიც დნებრზე გადასვლას ხელმძღვანელობდა — გერმანელი მას დაუყოვნებლივ ეახლა და მოწიწებით მიესალმა. კლდინმა მას ორი თითით ანიშნა — მომიახლოვდით და მერე დახვეწილ გერმანულად ენით უბრძანა — დნებრის გაღმა ნაპირზე არც ერთი მანქანა არ გაუშვა, სახელდახელოდ გათხარეთ საზვრები და დაელოდეთ შემდგომ განკარგულებასო. ამასობაში კლდინის თანახმელებმა პარტიზანებმა და იყავეს მდინარეზე გადასასვლელი ხაზი და გერმანელებს ზნა გადაულობეს. ისინი გერმანელების ოფიცრებს და ჯარისკაცებს ახლოს არ იყარებდნენ, როგორც კი რომელიმე მათგანი მიახლოვდებოდა, ავტომატებს, მომიარჯეებდნენ და გახეობრებულ სიტყვას გაიძახოდნენ: „ცუროუჲ! ცუროუჲ!“ („უკან, უკან“).

მალე უკუქცეული გერმანელების ავტომანქანები და ტანკთა კოლონები მოაწყდნენ დნებრის სანაპიროებს. მოსულეები მდინარეზე გადასასვლელად, გაემზადნენ, მაგრამ კლდინი გაბედული ნაბიჯით მიიპრა გერმანელ ოფიცრებთან და მთელი ხმით იყვირა:

— ფიურერის სახელით გიბრძანებთ: არც ერთი მანქანა, არც ერთი ჯარისკაცი არ გადავიდეს დნებრის მარჯვენა ნაპირზე... ეს ხომ ლაჩრული გაქცევაა,

ბატონო ოფიცრებო! ფიურერმა დამავალა გადმოგკეთ, რომ ის არაა კმაყოფილი თქვენი მოქმედებით.

გერმანელი ოფიცრები: „კლდინის ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილნენ; ჯარი კი მიდიოდა და მიდიოდა; შეიქმნა ქაოსი, აირია ყველაფერი ერთიმეორეში, მანქანები მანქანებს აწყდებოდნენ, ქვეითები და ტანკისტები ერთი-მეორის ეხხუბებოდნენ. სწორედ ამ დროს მდინარის გადასასვლელს მანქანით გერმანელი გენერალი მოადგა და გაოცებულად დარჩა, მთავარსარდალის ბრძანება იყო ჯარები დნებრზე გადაეყვანათ. აქ კი ვილაცას ეს ბრძანება დაურღვევია და მთელი უკანდახეული ჯარი გერმანელების საბედლისწერა კატასტროფის წინაშე დაუყენებია, როცა გენერალმა გაიგო, თუ ვისი განკარგულებით მოეწყო ეს დომხალი, გაცოფდა და კლდინს ყვირილით მიმართა:

— თქვენ მოლაღატე ხართ, თქვენ დაღუბეთ მთელი არმი!

— ცდებით, გენერალო! მე ფიურერის რწმუნებული ვარ და ნებას არ მოგცემთ ასე უდიერად შელაპარაკოთ. ფიურერის სახელით ებრძანებ: დაემორჩილეთ ჩემს განკარგულებას, შეაჩერეთ არმიის უკანდახევა! — რიხით მიმართა გენერალს კლდინმა.

— თქვენ მოლაღატე ხართ და არა რწმუნებული დახვრეტთ, ჩამოგაბრჩობთ! — განაგრძობდა ყვირილს გენერალი.

— ფიურერის სახელით! — შესძახა კლდინმა, გაიძრო რევოლვერი, დაახალა გენერალს და უსულოდ ძირს დასცა. ახლა კი დარწმუნდნენ რეგენი პიტლერელები — ეს მართლაც ფიურერის გამოგზავნილი კაციაო. მტრის ბანაკში უფრო უარესად აირია ყველაფერი, ნაწილები გაითქვიფნენ ერთი-მეორეში. კლდინმა და ტკანჯომ დნებრის მეორე ნაპირზე პოზიციების დათვალიერება მოიმიზიჯეს და საჩქაროდ იმ არე-მარეს გასცილდნენ.

მეტე აღარაფერი არც იყო საჭირო. საბჭოთა სარდლობამ მთელი ეს ამბავი კარგად იცოდა. მალე მამაცი სტალინური შევარდნები გამოჩნდნენ და გერმანელთა დაბნეულ ურდოებს რისხვად თავს დაატყდნენ. ასე მარჯვედ მოაწყეს კლდინმა და ტკანჯომ მტრის დიდძალი ჯარის განადგურების საქმე.

კლინმა და ტანკომ ამ ოპერაციის გაბედულად ჩატარებისათვის საბჭოთა კავშირის გმირების სახელწოდება დაიმსახურეს.



დაუგვიანებლად დაბრუნდნენ დაზვერვიდან ჩემი ასეულის მებრძოლები, მათ თან მოიყვანეს ოცდახუთი საბჭოთა მებრძოლი, რომელნიც მტრის ტყვეობიდან გამოქცეულიყვნენ და სოფლებში აფარებდნენ თავს. ამრიგად, კვლავ მებრძოლთა ახალი წყება შეემატა ჩემს ასეულს ის თითქმის ბატალიონის მოცულობამდე გადიდდა.

ახლადაბრუნებულმა მშვერავებმა, სხვა ამბებთან ერთად, ერთი საყურადღებო ამბავი გადმომცეს: როდესაც დაბაში მივედით, იქ იატაკქვეშ მომუშავე კომუნისტს წაგაწყვდიეთ. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას დაბის ევაკუაციის წინ დაეტოვებინა ეს ამხანაგი. მას მტრის ზურგში უნდა ებრძოლა. მოსახლეობამ იცოდა, რომ ეს კაცი კომუნისტი იყო, მაგრამ კრიტიკა არავის დაუძრავს, ხმა არ გაუღიათ, მთელი დაბა იცავდა ამ კონსპირაციას. დაბაში დატოვებული ამხანაგი უკმაღლო იყო. მტრის მოტყუების მიზნით ის გერმანელებს ვითომ დაახლოვებდა, დღე-ღამე თურმე მათს შორის ტრიალებდა. ამას მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოუწვევია. აბა ყველამ ხომ არ იცოდა, რომ ამ კაცს სპეციალური დავალება ჰქონდა „ეს კაცი ხომ კომუნისტია, ჩვენ მისი იმედს გჟღონდა, პატრონად და ხელმძღვანელად მიგვაჩინდა, ის კი დახეთ რას ჩადის. მტერს გვირდში ამოუდგა, გერმანელების მეგობარი გახდა, ამის შემდეგ ზელის ჩამორთმევის ღირსი არ არის“. — ჩიოდნენ თურმე მოთმინებიდან გამოსული გლეხები. ხშირად თავის გულისწყრომას დაურიდებლად პირში მიახლიდნენ ხოლმე: „რას ჩადიხარ, კაცო, წინ დაიხედი, ხალხი შეგაჩვენებს“.

უსმენდა ყოველივე ამას ეს კაცი და საყვედურება მშვიდად იტანდა. რა უნდა ექნას; სხვა ამისი მისთვის რომ ვინმეს სამშობლოს მოღალატე ეწოდებინა, შეაკვებოდა ახლა კი ამით ინუგეშებდა თავს რომ სინდისის წინაშე მართალი იყო. აურაცხელი ზიანი მიაყენა მან გერმანელებს: ამ უკანასკნელებმა როდი იცოდნენ, რომ როცა დაბაში გესტაპოელ ჯალათს ვიღაც უცნობი მტერი დასასბოლოს მოუღებდა ხოლმე, რაცა გზაზე გერმანელ მანქანას აფეთქებდნენ — ეს ამ კაცის საქმე იყო. მას ჰყავდა ბატარა ჯგუფი, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. მოსახლეობამ აბა რა იცოდა, თუ რამდენჯერ აცდინა მან მარცხი დაბას. ყოფილა შემთხვევები მოსახლეობის აწიოკება განუზრახავთ გერმანელებს და ზოგჯერ მაინც უხსნია მას ხალხი განსაკუთრებისაგან. როგორც „თავის კაცს“ გერმანელები მას უჯერებდნენ, ხათრი ჰქონდათ მისი, პატივს სცემდნენ.

ამ ამხანაგს გაეგო თუ არა — დაბის მახლობლად პარტიზანთა მშვერავები გამოჩნდნენო, — მაშინვე მოენახა ისინი. აი ეს ამბები ვადაეცა მშვერავებისათვის დაბაში მომუშავე კომუნისტს და რამდენი იყვნენ ასეთნი! მთელი ხალხი ებრძოდა საძულველ დამპყრობლებს.

მოსურსი ჩვენ კარგა ხანს დავჩიოდა ძალიან გვიკვირდა, რომ მტერს ერთხელაც აზრად არ მოსვლია ჩვენს ბანაკს თავს დასხმოდა. მათ ჩვენი გზაკვალი არ იცოდნენ, თორემ რას დაგეზოვავდნენ. ძალიან ფრთხილობდნენ ჩვენი მშვერავები. ღამის მყუდროებაში ისე შედიოდნენ ხოლმე სოფელში, რომ მათ მისვლას ბევრ შემთხვევაში ძალებიცივი ვერ გაიგებდნენ ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ ასე ხანგრძლივად გამოუმტლავებელი რჩებოდა ჩვენი დაბანაკების ადგილი. ბრძოლის შემდეგ პარტიზანები სწრაფად გადავიდოდნენ სოფლიდან სოფელში. ამ სწრაფ მოძრაობაში ხელს გვიწყობდა მშრალი ზამთარიც.

სათბობი მასალით მდიდარია უკრაინა და ბელორუსია. ტყეებიდან გლეხებს მარხილებით უხვად გამოჰქონდათ ხეილი და ნედლი შეშა. დაბალჭირიან ქოხებში დღე-ღამე გუზგუზებდნენ უკრაინელი ლეშელები. როცა შემთხვევა მომეცემოდა, როცა მყუდროება ჩამოვარდებოდა ხოლმე, ვიჯექი თბილ ლეშელთან და დღიურს ვწერდი.

1944 წლის 24 იანვარი იყო. დღიურის ჩაწერას ვამთავრებდი, როცა ვილაკამ კარს მოაკაკუნა, „მობრძანდით-მეთქი“, დავიძახე. მოხუცმა ქალმა ხის თევზით ცხელ-ცხელი ნამცხვრები შე-

მოიტანა: „ასე უბრალოდ გამასპინძლე-ბას სხვა დროს ვერ გაეგებდებოდა, მაგრამ ახლა მძიმე დროა; რაც გვებადა, ყველაფერი წაგვართვეს... მიერთვით, სანამ ცხელია, შეიღო! იმედია არ დაგძრახავთო“ — მითხრა დედამებრმა და სწრაფად შეტრიალდა. შეეჩიერე, დიდი მადლობა გადაგუხადე.

დედამები რომ გავიდა, მოტანილ ძღვენს დაგხედე. უეცრად საკონცენტრაციო ბანაკი მომაგონდა. გამახსენდა ზაფხულის ცხელი დამე. შიმშილისაგან არაქათგამოლეული ტყვეები ეზოში ვიწვექით, საქმელსა ვხატობდით... უცებ, თითქმის რაღაც სასწაული მოხდაო, მაგთულ-ხლართის გადაღმიდან რაღაც საგნები ტყაბ-ტყუბით გადმოცვივდა მიწაზე. ხელს მოვავლებდით და ხელში ნამცხვრები გვრჩებოდა. აი რა გულკეთილი ხალხია უკრაინელები: საფრთხეს არ ერიდებოდნენ, ფეხაკრფებით მიდიოდნენ და ბანაკთან, წერილებთან ერთად, ლობივზე ნამცხვრებს გადმოჰყრიდნენ ხოლმე.

მასხოვს ერთი წერილის შინაარსი: „სულით არ დაეცეთ ამხანაგებო! როგორმე გაუმელოთ გასაჭირს. კარგი ამბები ისმის. ჩვენები იმარჯვებენ. შორს არ არის ის დღე, როდესაც თქვენს სადგომს ყინვით გარს შემოეერთებით, კვლიან მკითხვლს მივლენ-მოვლენწავთ და აჯურმულიდან გაგათავისუფლებთო“.

აი როგორ გვეპყრობოდა ჩვენ უკრაინის ხალხი, როგორ ზრუნავდა ჩვენზე.

ნახევარი საათის შემდეგ მეკავშირემ მოირბინა — შტაბში ვიხმობენო. მომახსენა. უმალ იქით გავეშურე, შტაბში გავიგე, რომ მტერი მოსურზე თავდასასხმელად ემზადებოდა, საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. დაუყოვნებლივ დაეტოვიე მოსურის. სოფლიდან გასვლის პირველ დღესვე კავილ-ვლადიმერ-ვოლინსკის რკინიგზამდე მივალწვიეთ. აქ შევიტყვეთ, რომ მახლობელ სოფელ ტუროპინთან გერმანელების მატარებელი იდგა — უგზომის გამო დროებით გაჩერებინათ. სასწრაფოდ იქით გავეშურნენ ჩვენი მეტრბოლები, მატარებელი ხელთ იგდეს, მისი დამცველები ამოწყვიტეს. გზა-გზა ყველა სოფელი შეგამოწმეთ, მტრის პატარ-პატარა ვარნიზონები მოიპსათ.

ძველ იმ მხარეში დიდი მითქმა-მითქმა იყო: „დიდწვერა კოვბაკის პარტი-5. „მნათობი“ № 3.

ზანებმა რკინის ცოცხოდ გამოხვეტეს ყველა სოფლიდან გერმანელები და მათი დამქაში პოლიციელები... ამბობდნენ გლეხები.

გლეხებს ვერზიგორა რატომღაც მოხუცი კოვბაკი ეგონათ, სინამდვილეში ვერზიგორა შუახნის კაცია, მაგრამ მის წვერებს რომ დაინახავდნენ ხოლმე, გლეხები მაშინვე ფექრობდნენ — ეს უეჭველად კოვბაკიაო. წვერები ხომ მოხუცებულობის სიმბოლოა.

XII

რკინიგზის ხაზზე ბოლო ხანებში მატარებლების მოძრაობა დამლაშობით თითქმის მთლიანად შეწყდა ამის მიზეზი ის იყო, რომ გერმანელებს დივერსიებისა ეშინოდათ. მტრმა მთელი ყურადღება ახლა გზების დაცვაზე გადაიტანა. ზოგიერთ ადგილებში ეკლიანი მავთული ლიანდაგს ორივე მხარეზე სამწყებად ერტყა, თითქმის ყოველ ორმოცდაათ მეტრზე საყარაულო ჯიხურები ჰქონდათ აგებული. მიუხედავად ყოველივე ამისა, პარტიზანები მაინც ვახერხებდით მტრის თავდაცვის ვარღვევას, ხაზის დანაღმვას და ლიანდაგის დამლას.

როდესაც კოვბაკ-ვლადიმერ-ვოლინსკის რკინიგზის ერთ-ერთი გადასასვლელს მიეუახლოვდით, ჩვენი ნაწილი სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ხაზზე გადარბენა აუცილებელი იყო; სხანდა მოწინააღმდეგემ ეს იცოდა, ამიტომ გადასასვლელთან მათ აღარებელი ძალები დააგროვეს. ჩვენმა მხერავებმა ეს დროზე შენიშნეს და გვაცნობეს. ჩვენც გზა ფრთხილად განვაგრძეთ. პარტიზანთა კოლონის გადასასვლელთან მიახლოვება და გერმანელთა სახგრებიდან სეტყვასავით ტყვიის წამოსვლა ერთ იყო. მტრის ცეცხლს ცეცხლოთ უპასუხეს ჩვენებმა. სულ ჩქარა მოწინააღმდეგეს სახგრები დავატოვებინეთ, დრო ვიხელთეთ და გადასასვლელზე ვიწვიეთ სწრაფი გადარბენა. მარხილი მარხილს აწყდებოდა, ცხენები ყინულზე ყირამალა გადადიოდნენ, ბედშავ პირუტყვებს ცხვირპირიდან სისხლი სდიოდათ. გადაბრუნებულ მარხილებს ბიჭები სასწრაფოდ აყენებდნენ, ამ ფუსფუსში სანახევროდ ვერც კი ასწრებდნენ მიწაზე დაბეჭდილი ნივთების აკრფას.

ირველივე სამინილო სროლა ისმოდა, ტყვიამტრქვევების რაკრაკი და ნაღმი-

ბის ღმრული ერთ ხმად გაერთიანებულყო.

ამ ბრძოლაში თავი ისახელეს ჩვენმა მეტყვიამფრქვევეებმა იბრაგიმ რისმავთშელმა და ხატალიევ საგირმა. ორივენი ყაზანელი თათრები იყვნენ. ერთიც და მეორეც შედმოყვნით ოსტატურად ხმარობდნენ ტყვიამფრქვევს.

ჩემმა ასეულმა გადასასვლელზე უფნებლად გადაიბინა. როგორც კი იმ არემარეს შორს გავცდით, დაქანცულებმა ნაბიჯი შევანდლეთ. ბიჭებს ჩამოვფარე, შევამოწყე: ყველა აქ იყო, მარტო ვილეთი არ სჩანდა. სად არის-მეთქი, ვილეთი? ხანში შესულმა პარტიზანმა მიპასუხა: „ვილეთს, ამხანაგო მეთაურო გადასასვლელთან მარხილი გადაუბრუნდა, ის ხომ თავისი მარხილით ასეულს ჯდში მოჰყვებოდა, შორიდან მოჰკარი თვალი. ფევილიანი ტომრები და სურსათიანი ყუთები მიწაზე დაბნეოდა, ყვიროდა საბრალო, ამხანაგებს შევილას სთხოვდა. მიეშველა ვინმე თუ არა, იმ ორობ-ტრაიაში აღარ შემიძინევიო“.

ამ ამბავმა ძალიან შემაწეხა, ვფიქრე: ვაი თუ ვილეთი ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს-მეთქი. მის საძებრად ბიჭები გავგზავნე, გაგზავნილებსათვის ვერმანებებს სროლა აეტეხათ. პარტიზანები ხელცარიელი დაბრუნდნენ.

გზა განვაგრძეთ: პატარა მდინარე შეგვხვდა. მეომრების ერთი წყება უფნებლად გადავიდა მდინარის მეორე ნაპირზე. შემდეგ ყინული ჩატყდა და ბიჭებთან ერთად მეც ვიბანავე.

ძლივს-ძლივობით გადავედით მეორე ნაპირზე და ისევ გზა განვაგრძეთ. გაყინულ წყალში ბანაობის შემდეგ სიცარიისაგან კანკალი აგვიტყდა. მეგრძობლებმა თავიანთი სახლები გაიხსენეს, თბილი ღუმელები ინატრეს. სიტყვა სიტყვას მოჰყვა და ყველამ მოიგონა შინ დარჩენილი.

— ვასია, — მიმართავს ერთი პარტიზანი მეორეს — გახსოვს ერთ საღამოს ბაზიმამ რა გვითხრა, როცა ომში გასტუმრებული შვილები მოიგონა? შვილები მყავსო, სწორედ ამა იმან უნდა დაიკეხოს! მთელი მისი ოჯახი მტერს ებრძვის...

— როგორ არ მახსოვს, კარგად მახსოვს, — უპასუხა ვასიამ, — ნეტავი თუ კიდევ ვნახავ ბაზიმას?!

უფსვნელი პარტიზანებს და მეც იმ წუთებში ბაზიმაზე ვფიქრობდი. მახ-

სოვს: დრო და დრო ბაზიმა კალმს ხელიდან გაგდებდა, მეომრებს შორის ჩაჯდებოდა და ტყემილ საუბარს დაიწყებდა. პარტიზანების სულსეკვეთმა მან კარგად იცოდა. საჭირო დროს მისი თვითნებური სიტყვა კაცს ფრთას შეასხამდა, გაამხნევებდა.

— ხუთი შვილი გავზარდი, მეგობრებო: ორი ვაჟი და სამი ქალი, — წამოიწყო ერთხელ პარტიზანების შუა წრეში მჯდარმა ბაზიმამ, — უფროსი შვილი პეტრე, ლეიტენანტი, მიმდინარე წელს ერთ-ერთ ბრძოლის დროს ორივე ფეხში მძიმედ დაიჭრა. ამჟამად ის ინვალიდია. მეორე, თვრამეტი წლის ვაჟი, კომკავშირელი ვალოდია, საბჭოთა არმიის რიგებში მოხალისედ ჩაიწერა. ის მტერზე მიტანილი იერიშის დროს გვიარულად დაეცა. ქვიანი ბიჭი იყო ჩემი ვალოდია, ზრდილობიანი, გულდი, ომის წინახანებში ის უმალეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდა. ძნელია შვილის დაკარგვა, მაგრამ დარდს ის მიმსუბუქებს, რომ ჩემმა შვილმა სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა თავი. მე ვამაყობ ჩემი დაკარგული ვაჟით. ყველა სიკვდილი ერთნაირი როდია, მეგობრებო!... ზოგი ადამიანი თინიკურად კვდება, მაგრამ წმინდა სახელსა და ხსოვნას სტოვებს, ასეთი ადამიანი უკვდავია. ვაი იმას, ვინც სიცოცხლეში ცოცხლების სიიდან არის ამოშლილი, ეს ხომ სიკვდილზე უარესია.

ბაზიმა დაღმდა და სიერცხეში გაიხედა, თითქოს თავისი შვილის აჩრდილი წარმოუდგა თვალწინ და მას შესცქერისო. მერე ისევ დინჯად განაგრძო: ჩემი ქალი მარინე, პარტიის წევრია, ამჟამად ერთ-ერთ საზენიტო ბატარიის რადისტია. ნაყოფიერ მუშაობისათვის ორდენებით და მედლებით დააჯილდოვეს. მეორე ჩემი ქალი ოლთა, მედიცინის დაა, ისიც ომის პირველი დღეებიდან ფრონტზე იმყოფება, დიდი ხანია მის შესახებ არავითარი ცნობა არ მომეპოვება. ჩემი მეუღლე, უმცროს ქალიშვილთან ერთად, დიდ მიწაზეა... მოკლედ რომ ვთქვათ, ამჟამად მთელი ჩემი ოჯახი დაცარიელებულია.

გარინდული უსმენდნენ ბაზიმას საუბარს მეომრები. დაამთავრა მან სიტყვა და აღგა. — გრძელი, აბითთ თავი ხომ არ შეგაწყინეთ, მეგობრებო? — შეეკითხა მსმენელებს ბაზიმა.

— პირიქით, ძალიან ყურადღებით მოვისმინეთ თქვენი საუბარი.

— მეც მყავს, ამხანაგო ბაზიმა, ომში ორი ჯაყი, ომის გამოცხადების პირველ დღიდანვე გავისტუმრე ისინი ფრონტზე. ცოცხლები არიან, თუ დაიღუპნენ, არაფერი ვიცი, — სთქვა მოხუცმა პარტიზანმა,

— ორივეს სიცოცხლე და კარგად ყოფნა ვუსურვოთ, სიკვდილი არაფისათვის არც სავალდებულოა და არც სასურველია, — უბასუხა მოხუცს ბაზიმამ.

ახლაც, როცა ყველამ ოჯახებზე დაიწყო საუბარი — ისევ ბაზიმა გავიხსენეთ.

პარტიზანული ბრძოლის ამ ეტაპზე ჩვენ შენაერთს უკვე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, თავისი საბრძოლო ტრადიციები გააჩნდა, საკუთარი გამოცდილება მოეპოვებოდა. ყოველივე ეს ჩვენ გვიადიდებდა ბრძოლას, სიძნელეთა გადალახვას. როცა ძნელ მდგომარეობაში ჩავვარდებოდით ხოლმე, — ვიგონებდით წარსულის გაკვივითილებს, ვიგონებდით კოვბაკის, რუდნივის, ბაზიმას დარიგებას. მათ აღზარდეს ჩვენი მებრძოლები, შთაუწერა და განუმტკიცეს საბჭოთა მებრძოლებისათვის აუცილებელი ჩვევები. კოვბაკი სულ იმასა ცდილობდა დისციპლინა განემტკიცებინა, პარტიზანი მამაკვ მებრძოლად აღეზარდა და იმავე დროს მისთვის შექმნილ ვითარებაში ზუსტი გარკვევის უნარი გამოემუშავებინა. კოვბაკი ვერ ითმენდა, როგორც პანიკიორებს, ისე ბაქია და მკვებარა აღამიანებს. მოხუცს არ მოსწონდა, როცა თვითგანდილების მიზნით პარტიზანი საკუთარ თავგადასაყალს «ცოტას წაუმატებდა» და ტრაბახს მოჰყვებოდა. მოტყუებას ვერ იტანდა, ტყუილის მოქმელს ქორივით დაეჭვებოდა და საჯაროდ გაიცხადებდა ხოლმე. ერთხელ კოვბაკმა უთხრა ერთ ტრაბახს მეთაურს:

— შენ ამხანაგო პეტროვ, კარგი მეთაური ხარ, მაგრამ ხანდახან მონადირეს ძალიან უყვარს ტრაბახი: ბელღრას მოჰკლავს და ხოხობი მოგვადიოთ, ამბობს, იხეზე ინალირებს — გიღებინა გავწყვიტო. — იტყვის. ერთი კორდლელი თუ მოჰკლა, ოთხი გაავარო, ტრაბახობს. ახლა შენი პატაკი განიხილოთ! კოვბაკმა სათვალე გაისწორა

და ხმამაღლა იწყო კითხვა: «მტერი ძალზე შევავიწროვეთ, დავიფრინეთ და ვავფანტეთ. ბრძოლის ვიწროვან ოთხმოცდახუთი მოკლული და ასთერთმეტი დაქრილი დასტოვა.» მტერს ვი იმ ბრძოლის დროს მაგის ნახევარი მი-ომართი არ ჰყოლია! — უთხრა მან ტრაბახს მეთაურს და თვალები თვალბზში გაუყვარა.

ასეთი ტრაბახა მეთაური დიდი-დიდი, ერთი ან ორი თუ იყო მთელს შენაერთში. იმათაც კოვბაკის შიშით მალე ხელი აიღეს განვადებული ცნობების მიწოდებაზე.

XIII

შენაერთი უშიშრად განაგრძობდა გზას, მტერი არსად ჩანდა. საშინლად ციოდა: ვიბილან წყეო ამოვიტო, პაპიროსი მინიღადა გამეხვია, მაგრამ ვერ მოვახერხე, ხელები აღარ შემორჩილებოდა. ამ დროს სროლის ხმა მოისმა, შენაერთის წინა რიგები ბრძოლაში ჩაებნენ. უცებ ამოძრავდა სიცივისაგან გამეშებული ხელები, ვავზურდი, უკვი სიცივეს აღარ ვგრძნობდი. სრულად გამოვიცვალე. გამოცოცხლდნენ ბიჭებიც, განგამი მალე შეწყდა პოლიციელები ყოფილიყვნენ ჩასაფრებული. პირველი შეტაკებისთანავე ბანდიტები სანგრებიდან ამოვივდნენ და ტყის შეაფარეს თავი. ჩვენ გზა განვაგრძეთ და მალე სოფელ ფშესლაიჩის მივალწით. ჩვენი ნაწილი თავისი შტაბით ამ შეჩერდა. მე ჩემი ასეული სოფელსტარი პორეცკი გადავიყვანი და იქ დავბინავდით.

სწორედ იმ ხანებში უკრაინის ცენტრალურმა პარტიზანულმა შტაბმა ახალი ბრძანება გამოგვიგზავნა. ამ ბრძანების მიხედვით დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანული შენაერთები და რაზმები ვალდებულნი იყვნენ ერთი გეგმით, შეერთებული ძალით ემოქმედათ. ეს ბრძანება ეხებოდა კერძოთ საბუროვის, ნაუმოვის, შჩიტოვის და მალიკოვის შენაერთებს.

ჩვენთან ყველაზე ახლოს გენერალ ნაუმოვის ნაწილი იყო. ჩვენც მასთან ერთად განვაგრძეთ გზა დასავლეთისაკენ. მკიდრობად დაეუკავშირდით დანარჩენ რაზმებსაც. მუდამ ვიცოდით თუ სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა ისა თუ ის პარტიზანული რაზმი.

იწვითად თუ ვეკრავდით ერთმანეთის კვალს. თუ ვინიცობაა რომელიმე პარტიზანული ნაწილის ადგილმდებარეობაზე ცნობა არ გვექნებოდა, ცენტრალურ შტაბს რადიოთი შევიკავებოდით და უტყუარ ცნობას მივიღებდით სოლემ.

დავუბრუნდით ისევ ჩვენი ლაშქრობის ამბებს.

იმ ხანებში კულბაჯა შტაბში გააოცახეს და უბრძანეს საჩქაროდ გამოეყვანა თავისი ბატალიონი და ახლო-მახლო რაიონები ყოველმხრივ შეესწავლა. ამასთან მას ამოცანად დაუსახეს გაეწმინდა გზა ვალიციის საზღვრამდე და ნაწილის წინსვლისათვის უშინაირი პირობები შეექმნა.

ის იყო ნაჩვენები მარშრუტით გაემგზავრა კულბაჯა, როცა საინფორმაციო ბიურომ რადიოთი. ფრიალსაყურადღებო და გამამხნეველი ცნობა გადმოგვცა: „საბჭოთა არმიამ სამხედრო ოპერაციები კვლავ განაახლა, მტრის ფრონტი ვეარღვია და დიდი სისწრაფით დასაგლეჯისაგენ წინ მიიწეგის“.

ამ სასიამოვნო ამბის გაგონებას პარტიზანები ვაშას ძახილით შეხედნენ. როცა რუკები შევამოწმეთ, გამოირკვა, რომ საბჭოთა ჯარები ჩვენგან არაუმეტეს ასი-ასორმოცდაათი კილომეტრით იყენენ დაშორებული. ამრიგად, ჩვენი ნაწილი კვლავ ფრონტის ზონაში იმყოფებოდა.

ვერსიგორამ მეთაურების თათბირი მოიწვია. „წელში გატეხილი მტერი ვარბის, — ვანაცხადა პეტრომ, — დღეს თუ ხვალ ჩვენები აქ იქნებიან. პარტიზანები ვალდებული ვართ გამოქცეულ მტერს გზა შევუკრათ, ციცხლით და მახვილით შევხედოთ“.

ამვე შეკრებაზე ვერსიგორამ მეთაურებს წინადადება მისცა ასეულების და ბატალიონების პირადი შემადგენლობა ტყვეობიდან თავდაღწეული და სოფლებში თავმეფარებული მებრძოლებით შეეგვობათ.

შტაბიდან დაბრუნებისთანავე ჩველა მეთაურმა ზუსტად შეასრულა ხელმძღვანელის დაჯალბა,

ეზოში გამოეყვით. აქ ისევ პარტიზანები შემომხევიდნენ და საუბარი დამიწყეს. სწორედ ამ დროს შორს, ლარციით სწორ გზაზე, მარხილი გამოჩნდა. მას წინ ვილაც სამხედრო პირი მოუძლოდა, ორივე მხარეზე მარხილს გლეხები მოსდევდნენ.

პარტიზანებმა ის სამხედრო პირი ქალე იცნეს.

— ვილეთია, ვილეთი! — მარხილს მებრძოლებმა. მძიმე ნაბიჯებით მარხილთა ვილეთი მარხილს, ყველაზე ადრე მას პატარა მიროშკინი მიეგება. ეს გლეხები ვინლა არიან?! — გაეფიქრე გულში. როგორც გამოირკვა ვილეთი ერთ სოფელში მისულა, მან ხომ ვარდა გერმანულისა, სხვა ენა არ იცოდა. ის თურმე გამვლელ-გამომვლელს ყველას ეკითხებოდა: „კამანდირ გეორგენ, კამანდირ გეორგენ“, ე. ი. ქართველი მეთაური მინდაო. გლეხებმა იცნეს გერმანელიაო, სტაცეს ხელი და ჩვენთან წამოიყვანეს შტაბში.

როგორც კი გაიგეს, რამე იყო საქმე — პარტიზანებმა ასტეხეს სიცილ-ხარხარი, ვილეთმა კი მომკრა თუ არათვალი — „კამანდირ გეორგენ!“ იყიერა და ჩემსკენ გამოეჭანა თავისი თავგადასავალი ვილეთმა თარჯიმანის საშუალებით მიამბო.

— ლიანდაგზე, ვადასაველილთან მარხილი ვადამიბრუნდა, — დამწყობან, — შევლას ვითხოვდი, მაგრამ იმ აურ-ზაურში ხმა ვერავის მივაწვდინე. მარხილი ვადმოვებარევი, გაფანტული ნიუთების აკრეფა დავიწყე, შემეხანა ფქვილით საეკე ტომარების დატოვება, არ მინდოდა მოწინააღმდეგეს ჩავარდნოდა ის ხელში. იმ ტყეის წვიმაში ერთი ასანთის კოლოფიც — კი არ დამიკარავეს. ყველაფერი მარხილზე დაჯალბე და გამოვიქეციე. ამასობაში ჩვენი ნაწილი თვალიდან მიიძალა, დავარიელდა არე-მარე, მარტო დავრჩი. დავიწყე ხეტიალი, ჩემი ბებერი ცხენები ისე დაიღალნენ, რომ ნაბიჯს ველარა სდგამდნენ. საბოლოოდ დავკარგი თქვენი კვალი, ვილარ ვაგირკევი, დავიბენი.

— ამასობაში სოფელში ამოვივივი თავი. „პარტიზანები ხომ არ გინახავთ-მეთქი“ — ვიწყე გამოკითხვა; ვერ ვამიგეს. გერმანული ენის მცოდნე სოფელში არავინ იყო.

— გერმანელიაო, — დასკვივლეს გლეხებმა. დამტაცეს ხელი და წამოიყვანეს. ჩემს იღბლად აქ მომიყვანეს, მეც ხომ თქვენ გეძებოდა.

— დღეის შემდეგ თქვენს მარხილს უკან აღარ ჩამოვრჩები, მუდამ თქვენს ახლო ვივლი. — მეუბნება ვილეთი.

ის იყო სახლიდან გარეთ გამოვივლი, რომ თვითმფრინავების ზუზუნე მომეს-

მა ხმა სწრაფად ახლოვდებოდა. ჯარსავეთ დატრიალდნენ ბიჭები, საჩქაროდ კარში გამოცვივდნენ, დამალეს გარედ დატოვებული სამხედრო საქურველი, ცხენები და ალალები; სახელდახელოდ ჩააქრეს ეზოში დანთებული ცეცხლი — ამასობაში თეთიფრინავებმა შეზობელ სოფლებში პარამუტებით ჩამოჰშვეს მამხალები და შემდეგ ჩვენსკენ წამოვიდნენ. ყველაფერი წესრიგზეა ყველაფრის მიმალვა მოვასწარით ბომბ-დამწმენებმა საფუძვლიანად მოსინჯეს არე-მარე, აქა-იქ ყუმბარებიც ჩამოაგდეს. რაკი ვერაფერი შეამჩნიეს, გიზი აღმოსაყლეთისაკენ აიღეს და თვალს მიეფარნენ.

— შენ წყალი, უკან მეწყერი, — ასეთი შეძახილით გააცილეს პარტიზანებმა საპაირო პირატები.

მშვიდი დილა გათენდა. აივანზე ხელპირს ვიბანდი, როდესაც შეკავშირებ შემატყობინა ვერშიგორა შტაბში გეძახისო.

პეტროს გარდა შტაბში ორი კაცი დამხვდა, ქართველები გვესტუმრნენო, მოთხრა ვერშიგორამ.

— ქართველები ხართ? — ვეკითხები მოსულებს.

— დიხ, ქართველები გახლავართ.

— თქვენი გერაი?

— მე გოგიაშვილი ვარ. გორის რაიონიდან. ეს ამხანაგი მნათობლიშვილია, ესეც ქართლელია, — მიპასუხა მოსულმა.

— როგორ მოხვდით აქ, საიდან მოხვედით?

— ტყეში თქვენი ნაწილის მზვირავებს წავაწყდით და იმათ გამოგვიყვით.

— დავით ილიას-ძევე, კარგად შეისწავლეთ ორივე, რუსული არ ემარჯვებათო, — მეუბნება ვერშიგორა.

— წითელარმიელები ხართ?

— დიხ, ქერჩის ბრძოლების მონაწილენი.

— უკრაინაში ალბათ გერმანელებმა წამოგაყვანეს!

— სწორეთ ავრეა, აქ გადმოგგზავნეს და ქალაქ გორიხოვის ბანაკში ჩაგვყარეს. ჩვენ ორმა დრო ვიხელთეთ და გავიბარეთ. ბევრი ვიხეტიალეთ და ბოლოს ერთ სოფელში მივედით. კარგი ხალხი შეგვხვდა, სტუმართმოყვარე, გულახილიად ვუამბეთ გლეხებს ჩვენი თავგადასავალი. „შესაძლოა იცოდეთ პარტიზანები სად ბინადრობენო“, —

შევეკითხეთ სოფლელებს. „ამქამდ რამელ სოფელში არიხ, ბეჯითად ვერ გეტყვით, მხოლოდ ამ ჩვენს რაიონში რომ იმყოფებიან, არ ვარსებენ“, — მას შემდეგ ვიწყეთ „გვიპასუხეს. მას შემდეგ ვიწყეთ ტყე-ტყე ხეტიალი; ამასობაში თქვენს მზვირავებს წავაწყდით და თქვენამდე მოვალწიეთ.

— ქალაქი გორიხოვი კარგად მაქვს შესწავლილი, — მეუბნება მალვა გოგიაშვილი, — ვინიცობა ამ ქალაქის ალებას ვანიზრახეთ, და თუ კი მენდობით, სამსახურის გაწევა შემიძლია. ქალაქში ყველა შესასვლელი გზა და ქუჩა ზედმიწევნით კარგად ვიცი.

ჩვენი დაბანაკების ადგილიდან გორიხოვი არც მანცდამახიც შორს იყო. გოგიაშვილის სიტყვები ვერშიგორას გადავუთარგმნე. პეტროს ჩაფიქრდა და მერე შითხრა: „კარგი, ეხ საქმე შენთვის მომინდვია, გეგმა შეადგინე, ყოველი დეტალი გაითვალისწინე და შემდეგ სცადეთ გორიხოვის ალებაო“.

ქალაქის ასაღებად ორი ასეულით გვემგზავრე.

საძაგელი ამინდი დაიჭირა. ახლოს ჩავუარეთ კრისტანოპოლს, კამინკას, სემილოვკას და გორიხოვ-სკალის რკინიგზა გადავღვახეთ, ქალაქს მივუახლოვდით.

ეს ქალაქი გორაკებით არის გარსემოზღულულო. მისი ყველა მალღობები დავიკავეთ. ბრძოლა დილის ხუთი საათზე უნდა დაგვეწყო. ქალაქში მზვირავები შევგზავნე. უკან გამობრუნებულმა მეტროპოლებმა ამბავი მოიტანეს — ქალაქში სრული სიწყნარეაო.

მეტროპოლებს ჩამოვუარე. ყველა მხნედ იყო. ჩემი ასეულის მთელი შემადგენლობა სანიღბო ხალათებით იყო გამოწყობილი.

ამის შემდეგ ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ჩასაფრება მოვაწყვეთ. შემდეგ ერთი ოცეული გამოგვაყი, პოლიტბელ ტოუტს ჩავაბარე და ეუბრძანე — ქალაქიდან ორი-სამი კილომეტრის დაცილობით მეორე ჩასაფრება მოეწყო.

ჩვენს მიერ დაფრენილი მტერი მისკენ წაეიდოდა. მეტი სხვა გასასვლელი გზა არ არსებობდა. იქ კი მას ტოუტი დაუხედებოდა.

შუა ქალაქში შარავხა გადიოდა. ამ გზით ქალაქში ათი მეტროპოლის თანხლებით ამხანაგი დენისენკო შევგზავნი-

დანიშნულ დროზე დენისენკომ ქალაქის შუა ნაწილში მოქცეული მთავარი

შენობა დაიკავა. ეს ამბავი მან მამხალით მაცნობა. ამის შემდეგ იერიშზე გადავიდა. გაჩაღდა ბრძოლა. პანიკამ მოიკცა მტერი, დაფრთხა ქალაქში მოკალათებული გერმანელების გარნიზონი და ტრუტისაყენ გაიქცა. გაქციულებს არტულირისტიკმა ორმოცდახუთ მილიმეტრიანი ქვემეხების ციციხლი დაუშინეს. ნათქვამია „სათააც გავიქციე, იქით წავიქციე“ — ასე დაემართათ გერმანელებს. სათააც კი გაიქცნენ, ყველგან ჩვენი დახედნენ.

ეს იყო ბრძოლა თავდებობა, როცა გენერალ ნაუმოვის მხვერავები მოიყვანეს ჩემმა ბიჭებმა. ქალაქის დასაზღვრავად მოდიოდნენ თურმე, როცა ჩვენ ქალაქში დაეხვედით — მათ გაოცებამ და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ვათენდა. საკომინდატოს შენობის თავზე ჩვენმა მეზობლებმა წითელი ღრმა აღმართეს.

ათი საათისათვის ქალაქი მტრისაგან მთლიანად გაწმენდილი იყო.

მხვერავებთან ერთად ქუჩაში მივდიოდით, შევნიშნე ვიღაც კაცი სახლის წინ ღორს ატყავებდა. მეკავშირეს დავავალე — დაუშაბე-მეთქი. დაბრუნდა მეკავშირე და მომახსენა — უარზეა, არ მოდისო.

— მაინც რაო? — შევეკითხე მეზობლოს.

— ასე მითხრა: „რამდენი ხალხი აქ შემოვა, მე თუ იმათ ქუჩაზე ვიარე, აბა მეტი საქმე არ მქონიაო“.

ორი მეზობლი გავგზავნე. — თუ ნებით არ წამოგყვებით, ძალით მოიყვანეთ-მეთქი — ვუბრძანე.

მოიყვანეს. არ მომიწონა ამ კაცის სახე. „რატომ არ ინებეთ მოსვლა?“ — ვეკითხები მას.

— არ მეცალა, — მკვახედ მიბასუნა მან. მახლობელი სახლიდან ვიღაც ქალი ფანჯარაში იქვირებოდა. დაიწმინდა, ვკითხე ვინ არის ეს კაცი-მეთქი.

— სტაროსტაა, გერმანელების მიერ შერჩეული, — თქვა ქალმა.

— აჰა, თურმე ამიტომაცაა, რომ ყოყონობს, სტაროსტა ყოფილა, — ვუბრძანე პარტიზანებს.

— ახლავე წინ გავვიძიებ, ქალაქის საწყობები გვიჩვენე! — მივიცი სტაროსტას წინადადება.

განზე გაიხედა, თითქოს მას არ ელაპარაკებინათ.

როცა ვუყვირე, მაშინ კი იკადრა და

წინ წავვიძღვა. ყველა საწყობი გვიჩვენა.

საწყობებში დიდძალი დიდუღალი აღმოჩნდა. ფქვილი, ცხიმო, შაქარი, ფართალი, ნავთი, ბენზინი, ტოლუნი დაგვივალე ყველაფერი ეს მოსახლეობას დაურჩევ-მეთქი. დატრიალდა ტოლუნი, გამოკყო მოსახლეობიდან რწმუნებულები, დააზუსტა ოჯახის წევრთა სიები და სახელდახელოდ გააბაჟილა ნადავლი საქონელი.

გორიზონის ბრძოლებში მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ: ბევრი ჯარისკაცი გავუწყვიტეთ და ბევრიც ტყვედ წამოვიყვანეთ. მე კი ერთი მეზობლი მსუბუქად დამეჭრა, მტრი ზარალი არ მოგვსვლია. იმ ბრძოლის დროს თქვესმეტი საბარგო მანქანა გაიანადგურეთ. თან ორი ქვემეხი და სხვა იარაღი წამოვიღეთ.

სახელდახელოდ მოწყობილ შტაბში გუშავი შემოვიდა და მითხრა:

— ვიღაცა მანდილოსანი ბავშვით არის მოსული და თქვენს ნახვას თხოვლობსო.

— სთხოვით. — ვუთხარი გუშავს.

ქალმა კარი შემოაღო და, გამარჯობაო, ქართულად მომესალმა. გაეოცდი. აქ საიდან გაჩნდა ახლა ქართველი ქალი, გავიფიქრე.

— მახლობელი სოფლიდან მოვდივარ, წუხელის პარტიზანებმა გორიზონი აიღესო, გავრცელდა ხმა ჩვენს სოფელში. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გამოვიქეცი. მართალი გამოდგა. მოვიღი თუ არა გორიზონში, პარტიზანების მეთაური ვინ არის-მეთქი, ვეკითხე. ბაქრაძეო, მიბასუნეს პარტიზანებმა. მესიამოვნა თქვენი გიარის გაგონება. — მითხრა ქალმა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ მხარეში როგორ მოხვდით?

— ჩემი ქმარი სამხედრო პირია, მეთაური. აქ ამ ქალაქში, მსახურობდა. ომი გამოცხადდა თუ არა, პირველდღისვე ორონტზე წავიდა. მე, ამ პატარა ბავშვით აქ ჩაიარე. წასვლა ევლარ მოვასწარი. გერმანელებმა გაიგეს რომ მეთაურის ცოლი ვიყავი, დასტოვე ქალაქი — მითხრეს, ბინიდან გამომაგდეს, პირდაპირ სიკვდილი მომანატრეს. იძულებული გავხდი სოფელში წავსულიყავი და იქ დავბინავიბულიყავი.

— ქმრის ამბავი თუ იცით? სად არის ახლა?

- არაფერი არ ვიცი!
- სანამდე ფიქრობთ აქ დარჩენას?
- ვზის გახსნამდე.
- შემდეგ სად წახვალთ?
- საქართველოში.
- პური თუ გაქვთ?
- არა.

ქალს ულუფა მივიცი, ღამით მარბილზე დავსვი და სოფელში გაისტუმრე.

დაძაბული წუთები იყო, ქალის გეორის ჩაწერა ვერ მოვასწარი. შემდეგში ბევრი ვიგონე, მაგრამ ვერ გაიხსენე.

ქალი გავაცილე თუ არა, როდესაც შემოვიდა. მესაუბრა მცხოვრებთა სიხარულსა და აღტაცებაზე. მალე მეც ქუჩაზე გამოვედი. აუარებელი ხალხი მომესია, აღარ ვიცი, რომელს გავიცე პასუხი, ათასნაირ შეკითხვას მაძლივენ.

მზვერავების თანხლებით ქალაქი დავათვალიერე. ერთ სახლში შევიღით. ხუთი-ექვსი წლის ბიჭი დიდას გულზე მიჰკროდა და ტიროდა.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ ტირის ბავშვი, დედამ გვიპასუხა: „მამა რომ წავიდა ჰიტლერის მოსაკლავად, სად არის ამდენხანს, რატომ ვერ მოკვლა ჰიტლერი და სახლში არ დაბრუნდაო“. წარა-მარა ტირის ბავშვი.

ტოტომა ბავშვი ჩაიხუტა, შოკოლადი ხელში ჩაუღო და უთხრა: *წინსწი*

— ახლა მალე დაბრუნდები *წინსწი* დიდას ნუ შეაწუხებო!

— ულუფა თუ მიიღეთ მეტქი, — შევეკითხე ქალს. მივიღეთ, მიპასუხა მან და მადლობა გადამიხადა.

შებინდდა. აღმოსავლეთიდან ქვემეხების გადაბმული გრუხუნო მოისმა. თანდათანობით გაძლიერდა ეს ხმა. მებრძოლები გავგზავნე. მალე საბჭოთა არმიის მზვერავების თანხლებით დაბრუნდნენ უკან ჩვენი ბიჭები.

ძმურად მივესალმეთ ერთიმეორეს მოსულებს დამხვედურები.

— ქალაქი უკვე ავიღიეთ, აბა ჩვენ აწი რაღა დაგვრჩენილია, — გვითხრეს მზვერავებმა.

ვერშიგორას საბჭოთა არმიის მზვერავების მოსვლა რადიოთი ვაცნობებ. მან უკვე იცოდა, რომ ქალაქი გაიანთავისუფლეთ.

— აქტით გადააბარე საბჭოთა არმიის წარმომადგენლებს ქალაქი და ნაწილში დაბრუნდიო, — მომცა პეტრომ წინადადება. ასეც მოვიქეცი. ქალაქის გადაბარება-მიღების აქტი დაიწერეთ. ხელი მოვაწერეთ და პარტიზანებმა იმ ღამესვე დავტოვეთ ქალაქი.

(გაგრძელება იქნება)

ს ა უ ე ნ ნ ო

★

საფეხნო — ჩემი მშობლიურ სოფლის შუაგულს ქვევით შემოზღუდული.
 საფეხნოს თავში მალალი კოშკი, კოშკში მერცხლების ტკბილი ქლურტული.
 კოშკის კედელთან ვიეხა ლოდი, ყველა ლოდებში გამორჩეული,
 ვინმე დევკაცის მხრით მოტანილი და სიბერისგან გალურჯებული.
 ამ ბებერ ლოდზე ჯდებოდა მამა, დინჯი მოთავე სოფლის საქმეთა.
 უყვარდა კაცი იმედიანი, სძულდა შიში და სასოწარკვეთა..
 ჯდებოდა მამა მხნე და ქარმაგი, ცხოვრების ქარში დაბრძენებული,
 შეენოდა დიდის შეკერილ ჩოხას ქამარი ხანჯლით დამძიმებული.
 მოირკალვოდა მის წინ საფეხნო ბერიკაცებით და ბრგე ბიჭებით,
 იდგა ლაპლაპი სატყვერებისა და ციმციმებდნენ იქვე მოჯერები.¹
 და ყაყანებდა გვიანობამდე და ზრიალებდა ჩვენი საფეხნო,
 თითქო პატარა სოფლის კი არა, აქ ირჩეოდა საქმე საქვეყნო..
 საფეხნო — ჩემი ლამაზი სოფლის შუაგულს ქვევით შემოზღუდული.
 საფეხნოს თავში მალალი კოშკი, კოშკში მერცხლების ტკბილი ქლურტული.
 კოშკის კედელთან ისევ ის ლოდი, ყველა ლოდებში გამორჩეული,
 ვინმე დევკაცის ხელით ნათალი და სიბერისგან გალურჯებული.
 ამ ბებერ ლოდზე მე ვზივარ ახლა, მე ვზივარ ხელში ახალ გაზეთით.
 ჩემს წინ მხარდამხარ სხედან მსცოვანნი და მათ ბოლოში — ახალგაზრდები.
 კვირადღეა და ჩვენს საფეხნოზე შეგროვებულა მთელი სოფელი,
 და მე ვკითხულობ ახალ გაზეთებს, ქართლიდან მალალ მთაში მოფრენილს.
 ვკითხულობ, ვფურცლავ ჩამავალ მზეში აელვარებულ გაზეთის ფურცლებს.
 საფეხნო კი სდუმს და ამ დუმელში სანუკვარ აზრებს დაიწერს გულზე.
 ...კოშკის კედელთან მდუმარე ლოდზე ვზივარ, ხშიანობს ჩემს წინ საფეხნო.
 მარტო პატარა სოფლის კი არა, ამბებს არჩევენ მართლა საქვეყნოს.
 მე ვზივარ უხმოდ და გულში ლამის შემომეპაროს სევდა ჩრდილივით,
 ეჰ, მამაჩემი სად არის ახლა, მენახა დღეს აქ მისი ღიმილიც!
 შეღამებულა და საფეხნოზე ისევ ხშიანობს ხალხი დიდძალი,
 გუფუნებს ჩემი სოფლის საფეხნო, დიდი სტალინის მზით მოფიცარი.

¹ რეინის წიგნბანი ჯობი.

ღიღ გზაზე*

★

10.

ოთარი აფთიაქის შენობის აივანზე ავიდა და შედგა. დიდხანს იდგა ბოძზე მიყრდნობილი, ფიქრებში წასული. მისმა ცხოვრებამ ელვის სისწრაფით გაურბინა თვალწინ. ბოლოს სტამბოლში, განცხრომასა და უდარდევლობაში გატარებულ წლებს გადახედა, და მოავიწყდა, თუ როგორ შემოეყარა გულზე კოსტას, როცა თამაზის პირველი დეპეშა ჩაუვარდა ხელში და მისი მძისშვილის არსებობა გაიგო. ახსოვდა, თუ როგორ გაიქცა ის იმდღესვე ფოსტის განყოფილებაში იმის მოსაგვარებლად, რომ საქართველოდან მიღებული წერილი მარტო მისთვის ჩაებარებიათ. კოსტას ამღვრეული თვალები და შორეული სახე ახლაც თვალწინ ედგა ოთარს. შემფოთებულ მამის არც ერთი სიტყვა არ დავიწყებია დღემდე. კარგად ახსოვდა ოთარს ის საღამო, კოსტამ თამაზის წერილი რომ ჩაიგდო ხელში და შვილი ბაღში გაიხმო.

— რაც საქართველოდან წამოვედით, უბედურება ფეხდაფეხ დაგვედევს. შვილო — უთხრა კოსტამ შვილს. — შენ პატარა იყავი მაშინ და იქნებ არ გახსოვს, მაგრამ საქართველოში ჩემისთანა პატივმოხილი და ბედნიერი მეორე არ მოიძებნებოდა. მაგრამ ბოლშევიკებმა, ხომ იცი, რა დღე დამაყენეს. შემდეგ საფრანგეთში, როგორც იქნა, უზრუნველ ცხოვრებას მივალწიე და ვფიქრობდი; სიცოცხლის უკანასკნელ წლებს ტკბილად გავატარებ და არც შენი დარდი ჩამყვება საფლავში-მეთქი, მაგრამ აქაც ბედმა მომტყუნა. მერე ის იყო, ამერიკაში თავიდან ავაწყვეთ ცხოვრება, მაგრამ იქაც უკუღმა დატრიალდა ჩვენი ბედი.

ოთარი სულგანაბული უსმენდა მამას, პირველად ხედავდა კოსტას აც-

რემლებულ თვალებს. გაოცებით შეცქეროდა.

— თამაზი მკვდარი მეგონა... — განაგრძობდა მოხუცი ათროლოგული ხმით. — ახლა კი მთელი ეს ქონება ხელიდან უნდა გამოგვაცალოს.

დიდხანს დუმდა კოსტა. ოთარი მორჩილებით შეცქეროდა მამას. მართლაც ზურაბს ყველაფერი რომ გაეყიდა და საქართველოში გამგზავრებულყო, რა უნდა ექნათ მაშინ?

კოსტა ხომ საქართველოში ვერ დაბრუნდება? რომ დაბრუნდეს რა ეგულება იქ? როგორც აქ, ისე იქაც ლუკმა პურისათვის ქუჩა-ქუჩა ბეტილაში უნდა ამოხდეს სული. არა, ოთარი არაფერს დაერიდება, ყველაფერს გააყეთებს. ახლა იგი მამისა და თავის ბედნიერებაზე არ ჰფიქრობს. ჯიმშერზე ზრუნავს და სწუხს.

შუბლმეკრულს და თავჩაქინდრულ ოთარს, რომელიც კოსტას მუხანათურ დავალებაზე ფიქრობდა, მხოლოდ მაშინ გაუბრწყინდებლად სახე და წელში გაიმართებოდა, როცა პატარა, თმახუჭუჭა ჯიმშერი დაუდგებოდა თვალწინ. თითქოს ახლაც ლოყაზე ხელს უცაცუნებდა ჯიმშერი, თითქოს ბავშვის სხეულის სითბოს გრძნობდა ოთარი.

ენტავი, ჯიმი აქ ჰყავდეს. მაშინ კი ამოიღებს გულიდან ამ საშინელ განზრახვას. რა ბედნიერება იქნება ეს მისთვის. რა წმინდა ექნება სინდისი. არა, ეს ასე უნდა მოხდეს, მაგრამ მაშინ სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს საყვარელ შვილს.

გულღვარძლიანი კოსტა თუ ოთარზე შურს ვერ იძიებს, ჯიმშერს ხომ მაინც თვალთ არ ანახვებს. ახლაც ესმის, თითქოს კოსტას სიტყვები ოთარს.

— რას ფიქრობ, შვილო ხომ ხედავ, რა უკუღმართად მიდის ჩვენი ცხოვრება. რა ვიღონოთ, რა გზას დავადგეთ?

— განა ჩემზე უკეთ თქვენ არ იცით, მამა, რა გზას დავადგეთ? მე რასაც მიბრძანებთ, იმას ვადაკეთებ.

— ბიძაშენს ცალი ფეხი სამარეში უდგას, ოთარ! შენ რომ საქართველოში წასვლა შეგეძლოს...

— საქართველოში! რატომ?!

— იმიტომ... — მოხუცი ამღვრეული თვალებით მიატყურდა შვილს. — თამაზის წერილიდან ჩანს, რომ ის ჩვენი კაცი არ არის. მაგრამ შენ უნდა დაარწმუნო, რომ ის მილიონების პატრონია და აქეთ წამოიყვანო.

— წამოიყვანო, შემდეგ?

— გადმოიყვან სახლვარზე და იქვე დატოვებ. გესმის?

— მესმის, მამაჩემო, — უპასუხა ყრულ ოთარმა და სახე მიაბრუნა. გააოცა მამის ვერაგულმა წინადადებამ. ბიძაშვილის მოკვლას თავაზობდა მამა. კოსტას გაკვირვებით შესცქეროდა შვილი.

— ნუ გიკვირს, შვილო, მე შენი და ჯიმშერიის მომავალი მალაპარაკებს ამას. თორემ მე აწი ერთი ფეხი სამარეში მიდგას, არც სიმდიდრე მჭირდება და არც პატივი. ამდენი ქონება ვილაყუქვამხმარს რატომ უნდა ჩავეუგლოთ ხელში.

ოთარი ხმაამოუღებლად უსმენდა მამას.

— უნდა წახვიდე საქართველოში, შვილო. სიცოცხლეც რომ წააგო, შაინც უნდა წახვიდე... — კოსტას ხმაში ბრძანების კილო ისმოდა. — ჩახვალ იქ, — განაგრძობდა კოსტა, — როგორც არ უნდა დაგზვდნენ, როგორ არ უნდა მიგიღონ, შენ შენი საქმე უნდა გახსოვდეს.

შემდეგ კი ესტონეთში ჩარჩენილმა ოთარმა მამას აცნობა, საქართველოში გამაგზავრებას ვაპირებო. ძალე პასუხს მიიღო, კოსტა თხოვდა — ბიძაშვილს ისე გამაპსინძლებოდა, როგორც საქირო იყო.

— რას იტყოდა ნეტავ მამა, აქ რომ ჩამოახედა? კოსტა ვერ წარმოიდგენს, რომ თამაზს მამის ქონება არ აინტერესებს.

აქ ჩამოსვლამდე ოთარიც მამის თვალით ხედავდა ცხოვრებას. იქ, ზომ ყველა, მხოლოდ პირად ბედნიერებაზე ფიქრობს. თავისთავის ზრუნავს. მეც ზომ ერთი იმათთაგანი ვიყავი. ახლა? ახლა არ უნდა ოთარს ისეთი იყოს. რატომ

უნდა გასწიროს თამაზი? თამაზმა რეკმასავით მიიღო, გვერდში ამოუდგა. დაეხმარა — გარკვეულიყო, ამ ცხოვრებაში, დაეხება ის, რაც მისთვის მხელი ჩასაწედენი იყო. როგორ გაიმეტოს, თამაზი, ვერა, ვერ შეძლებს ამ საშინელი დანაშაულის ჩადენას. არა! ამას არ იზამს ოთარი, მაგრამ ჯიმშერი?... კოსტას წითელმა თვალებმა გაუელვა გონებაში და თითქოს გულში გახურებული შანთი ჰკრესო, შეკრთა... „ღმერთო ჩემო! შევეძლებ მამას ზურგის შევატყვი? მოვატყუო? ის ზომ ხერკსკელიდან ამომიღებს? ასეც რომ არ მოხდეს, ჯიძის სამუდამოდ დაკარგვას შევეძლებ? ან მე არ გავჩენილიყავ ქვეყანაზე, ან თამაზი დედამისს კალთაში ჩაკვდომოდა“.

კიდევ დიდხანს იდგა ოთარი. უსმენდა, თუ როგორ ზუოდა ქარი და ხმაურობდა ზღვა, თუ როგორ ეხმინებოდა წყალსაქაჩავის გუგუნს მაგნილიისა და ტირიფის შინაილი. მერე მიძიმე ამოიოხრა: „დაე, მეც თან გადამიყოლოს იმ სულწაწყმედილის განწრაბვამ, ოღონდ ჩემი ჯიძი მყავდეს კარგად“. ოთარი სწრაფად შებრუნდა და ჩაბნელებული ოთახის კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით! — მოისმა ხმა.

დიდხანს იცდიდა. კარს არავის უღებდა. კვლავ დააკაკუნა.

— მობრძანდით! — გამეორდა იგივე ხმა.

ბრაზმორეულმა რამდენიმეჯერ დაძკრა მუშტი კარს.

— ვინ ხარ? — მოისმა შეშინებული ქალის ხმა.

— ოთარი ვარ! არ გესმის? გააღე კარი.

მედვამ ოთახში სინათლე აანთო. ტანზე ჩაიცვა და კარი გააღო. ოთარს ხმა არ გაუცია. შესვლისთანავე მიიხედ-მოიხედა და მედვის საწოლ ოთახში გავიდა. თვალი შეავლო იქაურობას და აფთიაქის ოთახში შეიხედა, სინათლე აანთო.

— რა მოხდა, რას დაეძებ, ოთარ? — შეეკითხა მედვა შინშარევი ხმით.

ოთარი დიდხანს იდგა გაუნძრევლად. მერე მაგიდასთან მივიდა, კიქიდან წყალი მოსვა.

— რა მოგდის, ოთარ! ავად ზომ არა ხარ?

— მართლაც რომ ავად ვარ, თორემ რამ მათქმურებინა ასეთი საოცრება.

ჩემს გარდა სხვა ვინ უნდა ყოფილიყო მედეასთან ამ დროს. ეს ხომ თუთიყუშის იყო, მობრძანდითო რომ შეძახდა განა პირველად მესმის ამ ფრინველის ხმა? არა, უთუოდ ჰქუიდან შევიშლები“.

მედეასთან რომ სხვას შეყროდა ოთარი, არ იცოდა, რას იზამდა, რას მოიმოქმედებდა. ახლა მთელი სიცხადით იგრძნო, რომ ძლიერ უყვარდა მედეა. წინათ ფიქრობდა, რომ მხოლოდ მოწონდა ის, ისე როგორც მრავალი სხვა. ოთარს არასოდეს არ ყვარებია ქალი. არც ცოლი, — ჯიმშერის დედა. მასთან ოთარი ანგარიშაწინაობამ შეაუღლა. გაქრა ანგარიში, ქონება, გაქრა ცალკეობაც. მედეასთან კი სულ სხვა გრძნობა აკვირებებს. წმინდა, სათელი, რომელსაც ხელს ვერ კრავ, ვერასოდეს ვერ დაივიწყებ. ამიტომ იეჭვიანა ოთარმა მედეაზე. ამ ძლიერმა სიყვარულმა აფიქრებინა ეს სისულელი. ამიტომ იგრძნო შეება და სიხარული, როცა თუთიყუშის ხმა იცნო და მედეას მოკრძალებითა და სიყვარულით მოპყრობილ თვალებს შეხედა.

არა! მედეას გარეშე ოთარს სიცოცხლე არ შეუძლია.

საწოლ ოთახში გავიდა და სკამზე მოწყვეტილ დაჯდა.

შემკრთალი ქალი ისე იდგა, თითქოს ოთარის ბრძანებას უცდისო.

დიღხანს იჯდა უხმოდ ოთარი.

— რა მოხდა, ოთარ, რა დაგემართა? — დაარღვია ბოლოს სიჩუმე მედეამ. მივიდა, დამტკვერიანებულ თმაზე ხელი გადაუსვა.

ოთარს თითქოს არ გაუგონიაო მედეას სიტყვები, პასუხი არ გაუცია, არც შეუხედავს მისთვის.

მედეას არაერთხელ უნახავს იგი ფიქრებში წასული. ოთარი ხშირად ისე გარინდებოდა ხოლმე, რომ გარშემო მოწყობდნენ არც კი ამჩნევდა, მაგრამ ჩქარა უბრუნდებოდა მხიარული განწყობილებით. ქალს ეგონა, ოთარს მამა, ბიძა და უცხოეთში გატარებული ცხოვრება აგონდებოდა. მედეას ეს დროებით მოვლენად მიაჩნდა და იმ დღეს ელოდა, როცა ამ წუთიერ გარინდევასაც კი დროდ და ეამი წაიღებდა.

ოთარი დარწმუნებული იყო, მამისაგან შთაგონებული, საშინლად აკვირებულნი განზრახვა, მისთვის კარგად რომ არ დამთავრდებოდა.

„აღსრულებინა მამის დაჯლება? განა მამის ოთარის სიცოცხლეს ფასს ექნება? მას ძილშიც არ! მთასვევებს თამაზის სახე! არა, აბაბაბა! მამის ვერ ჩაიღვნის. ის კაცად, აღამიანად დაიბადა“.

„თუ იქ, ამერიკაში რაიმე ცოდვას ჩაღიოდა, ამაში განა მართო ოთარს მიუძღვის ბრალი? მას ხომ კოსტა სიყრმიდან ჩასჩინებდა — სინდისი უძლეურის მოგონილიაო. და მართლაც, მამის დარიგებას რომ არ აპყოლოდა, იქ, იმ ქვეყანაში მამასა და შეიღს შიშობილით სული ამოხდებოდათ! აქ კი, სულ სხვა ქვეყანა დაუხვდა, სულ სხვა სამყარო. აქ, თუ ვინდა იცხოვრო, კეთილი უნდა იყო, სიყვარულისა და მეგობრობის წმინდა გრძნობით უნდა გქონდეს გული საყვარელი“.

„რა ჯოჯობეთად უხატავდა კოსტა აქაურობას. იქნებ ყუროპოკრული ამბავი სჯეროდა. იქნებ დავარწმუნო მამა, რომ ტყუულებდა, მაგრამ არა, კოსტამ ყველაფერი იცის. ოთარი კარგად იცნობს მამამისს. ის კერპია, თავის განზრახვაზე ხელს ვერავინ ააღებინებს.“

„უნდა გაექციეს ოთარი ამ საშინელ განზრახვას. უნდა წავედეს აქედან. წავედეს, მაგრამ მიატოვოს მედეა ისე, რომ არაფერი უთხრას? არა! ამის უფლება არ აქვს. მაგრამ მიზეზი? რა მომიზეზოს? არა! იქნებ ჯობდეს განშორდეს უსიტყვოდ. იქნებ ჯობდეს აგრძობინოს, რომ ოთარს მედეასთან აწი მეგობრობა არა მსურს.“

გარეთ ისევ ზეოდა ქარი.

— სულ მტკვრში ხარ მოსერილი. ხელბირი დაიბანე, ოთარ! — მკლავში ხელი მოკიდა ოთარს მედეამ.

— ჰა? რა?.. — გამორეკა ოთარი. — ვმადლობდი. — მოიშორა ქალის ხელი. — არა, არ მინდა. — არ შეუხედავს მედეასათვის. — რას ჩამაცვიდი?

ასე უკმეხად ჯერ არ დალაპარაკებია ოთარი მედეას. ქალი გაოცებით შეპყურებდა საყვარელ აღამიანს.

— რად მიჯავრდები, ოთარ, რა დავიშავე? — აღმოხდა ტკივლით მედეას. — ოთარ, შენ რაღაც შეგემთხვა, მითხარი... მითხარი, ოთარ. — შევედრა ქალი.

„ნეტაც შემეძლოს გადავიშალო გული, მედეა. ვითხრა ჩემი დარდი და ვარამი. იქნებ მიხსნა უბედურებისაგან, დამეხმარო, მირჩიო რამე“. ფიქრობდა

ოთარი და უცებ იგრძნო, რა უცხოა იგი მედესათვის და რა დიდი უფსკრულია მათ შორის. გადაწყვიტა ახლავე დაშორებოდა, სამუდამოდ გასცლოდა მას.

— მშვიდობით, მედეა! — შესძახა და კარს ეცა. სახელურს ისე მძლავრად მოსწია, თითქოს მის მოვლევას ლამობსო, კარი ფართოდ გააღო და გავიდა.

— ოთარ!

კარი ჯახუნით მიაწყდა კარს.

— ოთარ! — მოწყდა მედეა ადგილიდან, აივანზე გამოირბინა. — ოთარ! — ჩაირბინა კიბე და კიშკართან დაეწია, მაგრამ ოთარმა კიშკარი მოუხურა.

— დაბრუნდი, მედეა. — უთხრა მან ბრძანების კილოთი.

მედეა შედგა.

ბოგირზე ოთარის მძიმე ნაბიჯის ხმა გაისმა და უცებ მიწყდა.

გაოგნებული იდგა მედეა სიბნელეში.

— რა მოხდა? რა მოხდა? — ჩურჩულებდა აღელვებისაგან გამშრალი ტუჩებით.

11

ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ოთარს ზენაქარი ზღვის ნაპირიდან წამოღებულ ქვიშას სახეში აყრიდა, მაგრამ იგი ყურადღებას არ აქცევდა. მისი ფიჭვი მედეას გარშემო ტრიალებდა. ვერ გამოჩვენებულყო, ყველაფერი ის, რაც მოხდა სიზმარი იყო თუ ცხადი. არა სჯეროდა, რომ მართლა ხელი ჰყარა მედეას. დაშორდა სამუდამოდ და არასოდეს არ დაუბრუნდება.

სანაპიროზე, ჰაღარის ხეივანში მერხზე ჩამოჯდა. მუდამ წყნარი მდინარე აღელვებულიყო და აკვანივით არწყვდა ნაპირზე მიბმულ კატარლებსა და ნაევებს.

დაღლილობამ ერთბაშად მოწყვიტა ოთარი, სული ეხუთებოდა, ხალათის ღილები შეიხსნა და გაღვლილი მკერდი ქარს მიუშვია, მაგრამ ამაოდ. მკერდქვეშ თითქოს ხანძარი ენთო. წამოდგა და მდინარეს მიაშურა. ჰაღარის ფესვზე მიბმულ ბაგირს ხელი ჩასჭიდა და ციცაბო ნაპირზე დაეშვა. წყალი დალია, მკერდი დაისველა და ისევ მალლა ამოფოფხდა. არ იცოდა, საით წასულიყო, რომ ამ დროს ბოხი, ჩახლჩილი ხმა მოესმა.

— შენა ხარ, ოთარ?

— ა! — თავი ასწია ოთარმა.

მის წინ მეთევზე მელიტონ დაარსებული იდგა.

— მე ვარ, — უთხრა მელიტონმა. — შენ აქ რა გინდა, მელიტონ?

— მე აქ რა მინდა? — გაიცინა მელიტონმა. — აბა სად ვიქნები მე, მაგრამ შენ კი ამ დროს რას აკეთებ აქ? ასეთ ქარში. ზევიდან გადავგზდევ. ბაგირს რომ ამოჰყევი, ქაჯი მეგონე. — კვლავ გაიცინა მელიტონმა, ცივი, გამყინავი ხმით. — რამ მოგაწყურა ასე, რა სიცხემ ჩაგიყვანა ამ ციცაბოზე? — მკლავში ხელი გაუყარა. — წამოდი ჩემთან, შენ რაღაც გაწუხებ, — შეატყო რომ ოთარი შეაკრთო მისმა სიტყვამ. — წამოდი, წამოდი. ჩემზე ერთგულს შენ ვერაფერს ნახავ ნარკიში. ჩემსავით ხელს ვერაფერს გაგიმართავს.

ოთარი გაჰყვა.

კატარაზე ავიდნენ. კამარსიდან ¹ ნელი შუქი გამოკრთოდა.

როცა ბოგირზე ფეხი შედგა, მამინ მიხვდა, ოთარი რომ ის მელიტონს თავის ბინაში მიყავდა. რატომ, რა უნდა მელიტონს მასთან? ოთარს ხომ იგი თავიდანვე არ მოეწონა. თუმცა ეს ხანშიშესული, მარტოხელა და ლაპარაკში ძუნწი ადამიანი, ყოველთვის თავაზიანად ექცეოდა. მაგრამ ოთარი გაურბოდა, არ ეყარებოდა. რატომ, არც თვითონ იცოდა.

კამარასში შევიდნენ.

მელიტონმა ტახტზე მიუთითა ოთარს. ქურთუკი გაიხადა და კუთხეში მიაგლო.

ოთარმა მბუტუკი ფანრით განათებული კამარსა შეათვალიერა და შეება იგრძნო. რატომღაც ახლა მასპინძელში კეთილი და გულისხმიერი ადამიანი დაინახა. არ იცოდა, ვისთან წასულიყო ამაღამ, ვის გამოლაპარაკებოდა და აი, თვითონ მოვიდა მელიტონი, ხელი გაუწოდა.

მელიტონმა ჰაღარა წვერზე ხელი ჩამოსვა, მერე მოკლეტარბიანი ჩამქრალი ჩიბუხი ხელისგულზე დაიბერტყა და ფართული ღიმილი შეხედა ოთარს.

— ვიცი, რამ ავადულა, შეილო. მაგრამ არაფერია, გაივლია. — ჩიბუხი გატენა, თუთუნს მოუკიდა, მხარეთქოზე წამოწვა და განაგრძო: — ცხონებული მამაჩემის იყო აქ ყველა ეს სათევზაო ადგილი. სხვები ხამსასაც ვერ ამოიყ-

¹ კამარსი — კატარაზე შიპერის ოთახი.

ვანდა. მაგრამ მამაჩემი ყველა მეთევ-
ზეს აძლევდა სამუშაოს და ხალხი კმა-
ყოფილი ჰყავდა.—მელიტონი შეკრთა—
„შორს შევეტოპო“, გაიფიქრა, მაგრამ,
რა ჰქონდა მელიტონს ამ ყმაწვილკაცთან
მოსარიდი? კარგად იცოდა მამამისის ამ-
ბავი. გრძნობდა, რომ ოთარი კარგ საქ-
მისთვის არ იყო ჩამოსული. არ სჯე-
როდა, რომ იქ მილიონები მიატოვია.
ბევრჯერ სცადა გამოლაპარაკებოდა
ოთარს, მაგრამ იგი ყოველთვის თავს
არიღებდა. ახლოს არ იკარებდა. ის
დიდხანს არ დარჩება აქ, ოსმალეთში,
დამბრუნდება და მეც თან წავეყვებიო,
ფიქრობდა მეთევზე. ახლა ხელსაყრელი
დრო იყო სიტყვა გამოეტყუებინა ოთა-
რისთვის და თვითონაც გაემქლავნებია
თავისი განზრახვა.

— მამა ცხრაას თერამეტში დავკარ-
გე — განაგრძობდა მოხუცი. — მე დამ-
რჩა მისი ჭონება. მეც კარგად ვიყავი
და სხვადაც ვუმართავდი ხელს. მაგრამ
მოვიდნენ ბოლშევიკები... და აი, ახლა
ამ ცხვირმოკლე კატარაზე რეიზად¹
ემუშაობ. კოლმეურნე ვარ, ჩემო ოთარ,
კოლმეურნე, — გაიცინა, — დამკვრე-
ლი, სტახანოველი. ხა, ხა, მელიტონ დარ-
ასელია სტახანოველი! — წამოდგა,
განჯინის პატარა კარი გამოიღო. — კი-
დეე კარგი, რომ ცოლშვილს არ მოვეყი-
დე. ახლა მარტოხელა, ცარიელ-ტარიელ
კაცს იმდენი დარდი და ვარამი აღარ მა-
წუხებს, — არყით სავსე ბოთლი მაგი-
დაზე ჩამოდგა და ისევ განჯინაში შეი-
ხედა. — ეს ხალხი მამაჩემის მუხს ფი-
ქვლობდა. ერთ დროს მეც, „ბატონ
მელიტონს“ მეძახდნენ და მოწიწებით
მამლევდნენ სალამს. ეს შანამდე, სანამ
მამაჩემის ჭონებას ვპატრონობდი. მე-
რე, ერთხანს, ყველა განზე გამიღ-
და, მაგრამ შემდეგ, როგორც იქ-
ნა, „ამხანაგი მელიტონის“ დამახება
მალისრეს, — ახარხარდა, ხველა აუტყ-
და, ჩემქმის განიერ ყელიდან ცხვირ-
სახოცი ამოიღო. აცრემლებული თვა-
ლები მოიწმინდა და განჯინიდან მო-
ხარშული თევზი და ჭადი გამოიღო. —
„ამხანაგი მელიტონი“, როგორ მოგ-
წონს, ა?

ოთარი სულგანაბული უსმენდა მე-
ლიტონს. ეს ხმა, ასეთი ლაპარაკი, მის-
თვის თითქოს ნაცნობი იყო. მაგრამ
ვერ გარკვეულიყო, სად ენახა ასეთი

კაცი, სად გავგონა ასეთი ხმა, ასეთი
ლაპარაკი. დაქიმული ყურადღებით
უსმენდა.

— შენ იტყვი, ამ კაცის საქმე წასუ-
ლიაო, რა აწუწუნებს, რა რჩება ამ-
ქვეყნად, რაზე მეტკივა გულიო. არა
მელიტონს თავისი აზგარიშები აქვს, —
ჭიქები არყით შეავსო და ერთი ოთარს
გაუწოდა. — ანგარიშის კაცი იყო მა-
მაჩემი, ბაბუა-ჩემიც. ქვეყანა ანგარი-
შზე ტრიალებს. იოტის ოდენა არ უნდა
დაუთმო მტერს. აიღე ჭიქა! — უთხრა
ბრძანების კლიოთი ოთარს.

ოთარმა ჭიქას ხელი მოკიდა.
— ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! —
ჭიქა ჭიქაზე მიუჯახუნა. არაყი ხელზე
გადაექცა. მთელი მკლავი უთრთოდა.
ღაინახა, რომ ოთარმა შეამჩნია, სწრა-
ფად გადაკრა არაყი და ხელი წვერზე
ჩამოისვა. — დალიე. სიცხეს გაგინე-
ლებს. მე ამაში ვკლავ ჩემს დარდას და
ვარამს. — კელავ გაავსო ჭიქები და
ოთარს შეხედა.

ოთარს გააერეოლა. საიდან ახსოვს
ასეთი გამსპვალავი მზერა? ახსოვს კი
აია, ასეთი მზერა უხუთავდა სულს
ბავშვობიდან. ეს ხომ კოსტას თვალე-
ბია! ხმაც, მოქნიული ხმლის წივილის
მაგვარი, ყრუანტელის მომკვრელი ხმა.
საიდან იცის, თუ რა მაწუხებს მე,
რომ წამალს მთავაზობს? იმისი შიშით,
რომ კვლავ მელიტონს არ აემულებია
დალიეო, — თვითონ აიღო ჭიქა.

მელიტონმა ჩაიციინა, თითქოს შეებ-
რალა ოთარი. ჭადის ნატეხი აიღო, ხედ
თევზი დადო და ოთარს გაუწოდა.

— ჭამე, ჭამე, შვილო, — მამობრი-
ვი მზრუნველობით უთხრა და ხელში
შეამჩნა. — არაყს თევზი უხდება.

სოფელში მელიტონი მიუქარებელ
კაცად მიაჩნდათ. ოთარს აკვირებდა
ახლა თავაზიანობა და კილო. იცოდა,
რომ მელიტონს თავის საცხოვრებელ
კამარსაში არავენ შემოყავდა, არავის-
თან მეგობრობდა. ხალხში იწვიათად
გაერეოდა, თავდაქერილი იყო სიტყვა-
პასუხში. მაგრამ სხვისი ერთი სიტყვაც
არ გამოარჩებოდა. ჭროდა თვალებს
ქურდულად აცეცებდა, ყველას აკვირ-
დებოდა, ყველას მიმართ განსაკუთ-
რებული, თავისებური აზრისა იყო.
მისთვის ზღვა იყო ყველაფერი. თავის
ცხოვრების ნახევარზე მეტი ზღვაზე
გაატარა. ხმელეთი ისე შეჯავრდა, რომ
სახლკარი მიატოვა და ნათესაეებს მის-

¹ რეიზა — შვიგერი

ცა, თვითონ კი კატარღის კამარსაში დაბინავდა. ძილიც კი არ შეეძლო წესიერი, თუ ტალღების ხმა არ ესმოდა, თუ ტალღები აცხიხივით არ არწყვედა მის საწოლს. კოლმეურნეობა დღემდე ორ შრომადღეს უწერდა. ამ შემოსავლით ორ ოჯახს შეინახავდა, მაგრამ მის ტანზე სქელი ნაქსოვი ხალათ-მარჯლისა, გახუხებული ქურთუკისა და ყიღებგანიერ სანადირო ჩექმების გარდა, სხვა არაფერი უნახავთ.

— ეს დალოცვილი მუნჯი რომ იყო, მაინც ავლაპარაკებს. — განაგრძობდა მელიტონი. — მე კამარისს გარეთ წვეთს არ ჩავუშვებ პირში. ვინ იცის, რა წამოგცდება კაცს. ერთ სიტყვას ასჯერ ავწონდავწონი. სიფრთხილემ შემიწახა აქამდე, თორემ მრავალჯერ მომტეხდნენ კისერს. შენ ყველაფერს გენდობი, ბიჭო. კოსტას შვილი ხარ, ვიცი, სიადამ მოხვედი და რა გიღვეს გულში. — კვლავ დაასხა არაყი. — ბევრი კარგი მახსოვს მამამუნისგან. მეც ბევრჯერ გამომართავს მისთვის ხელი.

— თუ მამას იცნობდი, აქამდე რატომ არ მიტხარი, მელიტონ?

— გვიან რომ გითხარი, ამით რა დავაშავე ვითომ? რა გაფუჭდა ამით, ყველაფერს თავისი დრო აქვს, ბიჭო. ჰო და ესეც დავლიოთ.

ხმაამოუღებლივ გადაერგეს ორივემ და ჭიქები ერთმანეთს ამოუღდგეს.

ოთარს თავი დაუპოძიდა, თამბაქოს კვამლით დაბინდულ კამარსაში თითქმის ვერაფერს ხედავდა.

მელიტონი დიდხანს იჯდა უსიტყვოდ. წარბებს შეყრიდა ხანდახან, ტუჩებს ააცმაცუნებდა, წელში გასწორდებოდა, ამოიხენეშებდა და ისევ ჩაფიქრდებოდა.

ოთარი თვალს არ ახამხამებდა. ელოდა, თუ როდის ამოიღებდა ხმას მასპინძელი. მაგრამ მელიტონი დუმდა. ის ასხამდა არაყს და სვამდა. სტუმარს არ აძალედა, თითქოს დაავიწყდაო, რომ ოთარი აქ იჯდა.

— შენ რალაც იცი და მიმაღავ, მელიტონ! — დაარღვია სინიუმე ოთარმა.

— ვიცი, რალაც კი არა ბევრი ვიცი, ბიჭო. იმდენი დააკლდა ჩვენს მტერს, რამდენიც მელიტონმა იცის, — წამოდგა, განჯიინიდან მეორე სავეს ბოთლი გამოიტანა, გახსნა და ისევ შეაესო ჭიქები:

— ჩემთვის არ უნდა დაგემილა არაფერი, უნდა გეტყვა, რისთვის გამოგზავნა კოსტამ, და არ წააგებდი, დავარიგებდი, ქკუას გასწავლიდი. როგორ ფიქრებ, რომ მამამუნს ვუღალატებდი. განა არ ვიცი, რომ სიმდიდრეს არ გამოქცევიდი. განა არ ვიცი, რომ თამაზის წაყვანა გინდა.

მელიტონის შემპარავი სიტყვებით გაბრუებულმა და არყით გაღებულმა ოთარმა მართლაც წამოიროშა, თუ რას ავალბდა მამამუნს. ისიც უთხრა, რომ თამაზის მამამ — ზურაბმა არ იცის შვილის არსებობა და მამის ნაცვლად თამაზს კოსტა სწერდა წერილებს.

— მაგრამ ვერ იმეტებ ბიძაშვილს, — დაცინვით უთხრა მელიტონმა ოთარს. — თამაზი გებრალედა და შენ შვილი არ ფიქრობ, მოხუცი მამა გავიწყდება. გულსუსტი ყოფილხარ, ბიჭო. სხვა უნდა ნახო უფრო გულმაგარი და უძიშარი.

— სხვა?

— დაახ! სხვა, რომელიც იქაც კი წაგვება და გვერდში ამოგიდგება. განა შეიძლება ამდენი ქონების, საშვილიშვილო მემკვიდრეობის დაკარგვა?

ოთარი მთვრალი იყო. მთვრალი იყო მოხუციც, მაგრამ იცოდა, რას ამბობდა, რას ფიქრობდა.

— ვერ იმეტებ ბიძაშვილს? და მერე როგორ ბიძაშვილს, ძმისავით რომ მივილო, გვერდში ამოგიდგა, თავზე გველება?

ოთარი ყურს არ უგდებდა მოხუცს ბუნდოვანად ესმოდა მისი სიტყვები.

— მე მოგეხმარები. ჩემი გული არ შექანდება ამ საქმეში.

— ჰო, უგულო უნდა იყო, უსინდისო. ვერა, ვერა ჩაივლენ ამას, მელიტონ. — წამოდგა, კართან მივიდა. — მშვიდობით, მელიტონ.

მელიტონი ღიმილით შეჰყურებდა. ხედავდა, რომ ოთარს ეშინოდა თავისი ფიქრის, უნდოდა გაქცეოდა თავის თავს.

— წადი, შვილო, წადი. მელიტონს მიანდებ ეგ საქმე. ვერ გაუზრდიხარ, კოსტას. ჰაი, შე ძაბუნა ყაზანო. — შესაძახა და სიცილი აუფარდა.

ოთარს ნაპირზედაც ესმოდა მოხუცის ხარხარი.

ძილშიაც თან ჩაყვია ეგ ხმა. მთელი დამე ბორგავდა, სული უწუხებდა, გათენებისას ჩაეძინა მხოლოდ.

12.

დილით ქარი ჩამდგარიყო. თვალუწყ-
დნელ სივრცეში მშვიდად გაწოლილი
ზღვა, მხოლოდ ნაპირთან ირხეოდა.
ნაგმისადგომთან მეთევზეები ზღვაში
გასასვლელად ემზადებოდნენ. ერთ ნავ-
ში „საურას“¹ ჰყრიდნენ, მეორეზე
იალქანს ახვევდნენ.

ჩქარი ნაბიჯით მომავალი ანდროს ნა-
პირთან შეჩერდა.

— იჩქარეთ, ბიჭებო. რას უცდილით,
მე ზღვაში გასული მეგონეთ! — შესძახა
უქმყოფილოდ მეთევზეებს.

— ყველაფერი მზადა გვაქვს, მალე
გავალ. — უპასუხა ჩასკვხილმა ბრი-
ვადირმა.

— ამინდს არ უჩანს კარგი პირი.
ბადეები, ალბათ, საესეა თევზით, თუ
ზღვა გაფუქდა, თოკებს დაგვიწყვეტს.

— დარდი ნუ გაქვს, ანდრო, თევზს
არ დაკარგავთ. — უთხრა ანდროს ბრი-
ვადირმა. მერე მეთევზეებს მიუბრუნ-
და: — აბა! ვიჩქაროთ!

ნავეები ნაპირს მოშორდა, აფრები
აუშვეს და სამი ნავი გედებივით გაპყ-
ვა ერთმანეთს.

ანდრო პლანტაციებში წავიდა. უნდა
ენახა, დალბა თუ არა წყლით მიწა. მის
სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთ
დღეში ფერიც კი შეეცვალა ჩაის ბუჩ-
ქებს, მანდარინის და ლიმონის ხეებს.
გუშინ რომ ფოთლები დამქენარივით
ევიდა, ახლა შველის ყურებივით აც-
ქვეტილიყვნენ.

ანდრომ მედვას პლანტაციაში შეი-
არა. სიწყნარე იდგა აფთიაქის ეზოში,
მხოლოდ წყლის ნელი ჩუხჩუნი არ-
დევდა მყოფდროებას. ვერცხლივით
ბრწყინავდა წყალი სიმწვანეში.

— ჰეი, მედვა, — გასძახა აფთიაქის-
კენ ანდრომ, — ქალო, რა გული გიძ-
ლებს, რა გაჩერებს ოთახში?

ფანჯარაში ხილბანდით თავწყარუ-
ლი მედვა გამოჩნდა.

— ჯერ გათენებული არ იყო, პლან-
ტაცია რომ შემოვიარე, — უთხრა მე-
დვამ ჩაყარდნილი ხმით ანდროს, —
სულზე მოგვისწრო წყალმა.

— შენ რა დაგემართა, დედოფალო,
რა ფერი გადევს? — ჰკითხა ანდრომ.

— არაფერი... — ცრემლოვანადღვა
თვალეებში შეღვას. — თვემ მტკიცეა...

— თავი გტკივთა?.. ოთარი სად
არის?

— ოთარი... არ ვიცი, ანდრო. ოთა-
რი არ მინახავს.

— კარგი, მე ვიცი შენი ტკივილის
წამალი. წავალ, გამოგვიზავნი.

— არა, არა, ანდრო. — შეკრთა მე-
დვა. — გამივლის, კარგად ვარ. — წა-
მოძახა და უცებ ტირილი წასკდა.
ფანჯარას მოშორდა.

— ჰერიბა, აქ რალაც ამბავია, — თქვა
ანდრომ, ეზოდან გავიდა და შინისკენ
გასწია. კიშკართან რომ მივიდა, ცოლს
დაუძახა. სამზადიდან გამოსული ტე-
რეხა სწრაფად მოუახლოვდა კიშკარს.

— რა იყო, ანდრო?

— მედვასთან გალადი აფთიაქში, —
უთხრა ანდრომ ცოლს.

— რა მოხდა?

— ავად ვარო, მაგრამ რალაც სხვა
დარდი აწუხებს. შიდი, მიხედე.

თამეჯლომარეს იმ დღეს ბევრი სა-
სიარულო ჰქონდა. ციტრუსების ბადე-
ბის გარდა ყანებიც უნდა დაეცლო.
ენახა, ქარიშხლის შემდეგ რა დღეში
იყო სიმინდი. თავლაში შეიარა. ახალ-
გახდენილი ულავზე უნაგირი შეადამე-
ვინა და ყანებისკენ გასწია.

ჯერ მდინარისპირა ჭალებს დაუარა.
ყველა ნაკვეთი სათითაოდ დაათვალიე-
რა. კოლმეურნეები წაქცეულ სიმინდს
ფეხზე აყენებდნენ. საღამოს ოთხი საა-
თი იყო, როცა ანდრო შარავზაზე გა-
მოვიდა, ტყისგანა ყანებისაკენ უნდო-
და წასვლა, მაგრამ გაძლიერებულმა
ზენა ქარმა ჩააფიქრა. ცაზე ღრუბელი
ამლილიყო. მთებში ელავდა. ტელე-
ფონის მავთულებზე ქარი შემზარავად
ზუზუნებდა. გზაზე, მტვერის კორიან-
ტელი იდგა.

ანდროს ზღვაში გასული მეთევზეები
მოაგონდა და მდინარისაკენ გადა-
უხვია.

ამ დროს ორლობეში ხმაური მოესმა.
კოლმეურნეებს წინ თამაზი მოუძ-
ლოდა. ნახევრად თვალდახუჭულნი ქა-
რის წინააღმდეგ ძლიერ მოაბიჯებდ-
ნენ.

¹ საურა — ცარიელი ნავეების დასამძიმებლად
საკვსთან ჩაყრილი ტვირთი — უმეტეს ნაწილად
ქვეს ჰყრიან.

— თამაზ! — მიმართა ანდრომ, — რა ამბავია ყანებში?

— ქარი არ ცხრება, დაგვეკარგა მთელი ღღის შრომა, ქარი ისევ დააწვეს სიმიწის. — უბასუხა თამაზმა.

— სიმიწი ჯანაბას, ხალხი ზღვაში გასული!

— ზღვაში? — გაისმა შიშნარევი ხმები.

— ზღვაში და ისიც იაღქნიანი ნავებით. თამაზ, ვიჩქაროთ, უნდა მივეშველოთ.

ისინი ხმამაღლებლივ მიდიოდნენ დიდხანს.

მდინარეს მიუახლოვდნენ. ქარი მატულრბდა. ზღვის გუგუხი აყრუებდა იქაურობას.

— ზღვაზე მაგარი ღელვაა, — უთხრა თამაზმა ანდროს.

ნავმისადგომთან მთელი სოფელი შეგროვილიყო. ზოგი ციხის ნანგრევებზე ასულიყო და აღელვებულ ზღვას გაცქეროდა. მესაზღვრეთა სათვალთვალ პუნქტიდან გულშეგები ღურბინდით გასცქეროდნენ ზღვას. ხალხი სასოწარკვეთილებას მოეცვა. მეთევზეთა დედები ლოყებს იკაწრავდნენ. ცოლები ჩუმად მოსტყვამდნენ. ტიროდნენ ბავშვები.

— მოსჩანს ნავები? — ასძახა ანდრომ ციხის კედელზე მდგარ ყმაწვილს.

— არცერთი, — ეყო პასუხი.

— ანთიმოზ! აღმასხანი! აქა ხართ? — იკითხა ანდრომ.

— აქა ვართ!

— კატარღები მოამზადეთ.

ანთიმოზი და აღმასხანი უსიტყვოდ შებრუნდნენ.

— ზღვაში გასვლა არ იფიქრო, — მიმართა ანდროს მელიტონმა. იგი, თითქოს მიწიდან ამოძვროა, მოულოდნელად გაჩნდა თავმჯდომარის გვერდით — ბოლახში ახლა თევზიც ვერ გაძვრება, — ჩიბუხის ტარით ნიკაპი მოიღებანა და ზღვას გახედა.

— მაშ გულხელდაკრეფილი ვუყუროთ უბედურებას?

— სულერთია, ვერ გახვალთ და... თუ იმათ ჭკუა აქვთ, ნაპირისაკენ უნდა გამოსწიონ. ქარმა მიმართულება იცვალა კარგი დრო აქვთ. თქვენ კი ტყუილად იგდებთ ხიფათში თავს, — თქვა ეს და მელიტონმა ანდროს ზურგი შეაქცია.

თავმჯდომარეს ხმა არ ამოუღია.

ხალხს იჩქარებით მომავალი, ვაფთხებული ტერეზა და თვალმწიფი ბული მედეა შემოვიწყნდნენ.

— რას ფიქრობ, ანდრო? ან თქვენ გააკეთეთ რამე, ან ფოთს შეატყობინეთ, იქნებ ისინი მაინც მოგვეშველონ, — უთხრა ქმარს აღელვებულმა ტერეზამ.

— მივეშველებით, აბა რას ვიზამთ — უბასუხა ანდრომ დაბნევილ და აღმასხანს მიუბრუნდა: — ცოტა ხანი მოვიცადოთ, რაზან ქარი შებრუნდა, შეიძლება ნავები ნაპირზე ამოაგდონ.

— განა ვერ იცნობ ჩვენებს? ისინი ქარიზხლამდელ მოასწრებდნენ უკან დაბრუნებას, მაგრამ სანამ უკანასკნელ ბადეს არ ამოიღებდნენ, დაბრუნებაზე არც კი იფიქრებდნენ. თევზსაც არ გადაყრდნენ, თორემ სხვას თავი დაანებებ. ასეთი ხალხი ნავებს დასამტყრევად ნაპირზე მიუშვებს?

— ასეთი გაჭირვების დროს სხვა რა უნდა ქნან? — ჩაურთო სიტყვა თამაზმა.

— ეჰ, ვიცი, ვიცი, რა თავქარიანი ხალხია გასული ზღვაზე. — ანდრომ, ხელი ჩაიქნია და ტარასის მიუბრუნდა — ტარასი! მესაზღვრეებთან ვაიქეცი, ხედავ, სათვალთვალ პუნქტზე წითელარმიელი რომ დგას ღურბინდით ხელში, ჩვენ მეთევზეებს დაეძებს. ჰკითხე, ხედავს რამეს?

ტარასი მესაზღვრეთა კომპურასაკენ ვაიქეცა. ამ დროს ანთიმოზი მოიჭრა ანდროსთან.

— ყველაფერი მზად არის. თუ წასვლაა, უნდა ვიჩქაროთ, — სულმოუთქმელად მიმართა მან თავმჯდომარეს.

— მოიცადე ცოტახანს, აღმასხანი მესაზღვრეებთან წაიღია. იქნებ ისინი ხედავენ რამეს ზღვაში.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქარი ღრუბლებს აღმოსავლეთისაკენ ერეგებოდა.

უკან გამობრუნებული ტარასიც გამოჩნდა.

— რა ვითბრებს? მოსჩანსო რამე? — დაუძახა თამაზმა.

აღმასხანმა უარის ნიშნად ხელი გაიქნია და უბასუხა. — არაფერი არ სჩანსო.

ანდრო ხალხს გამოეყო და ჩქარი ნაბიჯით კატარღებისაკენ გაემართა. ხალხი თავმჯდომარეს გაჰყვა.

ანდრო, წინაკატარლასთან ვაჩერდა და ხალხს გადახედა.

— ვინ წამოვა ჩემთან? — მიმართა მან გარსშემოხვეულთ.

— მე მოვდივარ, — უპასუხა ანთიმოზმა.

— მე, — მოისმა ალმასხანის ხმა.

— არც მე დავრჩები, — მიმართა თამაზმა ანდროს და გვერდში ამოუდგა.

— შენ დარჩი, თამაზ! ზღვას შეუჩვეველს ცული დღე დაგადგება, — მიუგო ანდრომ აგრონომს.

— აქ უარესი დღე დამადგება, მეც წამოვალ, — შეევედრა თამაზი თავმჯდომარეს.

— მე გაფრთხილებ და...

— რადგან ჰსურს, წამოვიდეს, რა უყოთ რომ მგზღავთ არ არის, ივლისს და შეერჩევა, — წამოიძახა მელიტონმა.

— შენც მოდიხარ, მელიტონ? — ჰკითხა ანდრომ მოხუცს.

— ვაპირებ. ზღვა ხომ არ მაწყენს, თუ იცი? — ჩაიციხა ღვირძლიანად მელიტონმა და თავის კატარლისკენ წავიდა.

— შენ უკან მომყევი, „წითელ მონადირეში“ ჩალი და საკეცს დაეპატრონებოდახში გზას თუ გაეცვლევ, ისევ მე, სხვისი იმედი არა მაქვს. — მიმართა მელიტონმა ანდროს და „შევარდენთან“ მდგარ მუზღავურებს მიუბრუნდა. — აბა! ჩადით, რაღას უდგებართ?

მოტორები აგუგუნდა. ანთიმოზი მელიტონს აჰყვა „შევარდენზე“. თამაზი და ალმასხანი „წითელ მონადირეზე“ ავიდნენ. მელიტონმა ქურთუკი გაიხადა, საკეცთან მივიდა, და უკანა კატარლას გადახედა. ანდროც საკეცთან იდგა და წინა კატარლას მისჩერებოდა. მელიტონმა ხელი ასწია. ორივე კატარლაზე ლუზა ასწიეს.

— გზა მშვიდობისა!

— მშვიდობით დაბრუნება!

— აბა! თქვენ იცით! — გაისმა ხმები ნაპირზე.

საკეცთან მდგარ მელიტონს ჰქალარა თემებს ქარი უფრიალებდა. როცა კატარლები ციხის ნანგრევის კედელს მიეფარა, დიდი და პატარა ზღვის ნაპირისკენ გაიქცა. ზალბი ციხის ნანგრევთან შედგა. ყველას უნდოდა კედელზე ასვლა, რომ ზღვაშიგასულებისთვის ეცქირნათ.

„შევარდენი“ ბოლახს მიუახლოვდა, ათამაშდა. მელიტონი საკეცს ღონიერად ჩაეჭიდა. ბოლახში, ზღვის ტალღები

ყალყზე დგებოდა და ჰაერში ხისლად იხნეოდა. მელიტონს, იმ ვიწრო გადასავალისკენ მიუყვება ნავერქოშმელიც მას მარცხენა ნაპირთან დასდებულ ნავერქოშმელს. კარგად ესმოდა მელიტონს: საკეცს ოდნავ ზედმეტი გადაწევა და კატარლას დაღუპვა არ აცდებოდა. მელიტონი თვალებს არ ახამხამებდა, მიუხედავად იმისა, რომ ტალღების მხეფეები სახეში სცემდა და ძლიერი ქარი სუნთქვას უზუთავდა. „შევარდენი“ ჯერ პირველ დაჯახებულ ტალღას შეება, ერთი წამი და თითქოს ფრთები შეესხაო, ელვის სისწრაფით ზედ მოექცეა და შემდეგ მოწყვეტით ნაშაშში ჩაეშვა. „წითელი მონადირეც“ თითქოს „შევარდენი“ ბამავსო, ისიც აუხტა აღრიალებულ ზვირთს და გაუჩინარდა.

ხალხის მთელი გულისყური ბოლახს იქით იყო მიპყრობილი. ყველა ერთ ადგილს მისჩერებოდა, ერთ წერტილს, რომელზედაც „შევარდენი“ და „წითელი მონადირე“ უნდა გამოჩენილიყო. დრო გადიოდა, მაგრამ ბოლახს იქით მხოლოდ აქაფებული ტალღები მოსჩანდა.

ციხის ნანგრევთან მსუბუქი აეტომანქანა ვაჩერდა და ორი მგზავრი გადმოვიდა.

— ანდრო სად არის? — ასძახა ერთმა ახალმოსულმა გალავანზე ასულ ხალხს. პასუხი არავის არ გაუცია.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე გვინდა, არ გესმით? — ხალხი ღუშდა. სულგაქმენილი ყველა ბოლახს გასცქეროდა.

— ერთი! — დაიყვირა ვიღაცამ.

— შერეც! — იყვირა ქალმა და ხალხში სასიხარულო შეძახილები გაისმა.

— მადლობა დმერთს!

— ვადაჩინენ!

— სამშვიდობოზე გავიდნენ კატარლები.

— ექვი არ მეპარებოდა, რომ გავიდოდნენ!

— ვაშა, მელიტონ, მართლაც რომ ზღვის მგელია! ისმოდა ხალხში.

ხალხმა მხოლოდ ახლა დაინახა მანქანით მოსულები. რაიკომის მდივანი და სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ციხის კედელთან იდგნენ.

გალავნიდან რამდენიმე მამაკაცი გადმოხტა, და სტუმრებს მიეგება.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! როგორაა საქმე? გავიდნენ კატარლები? — შეეკითხა მათ რაიკომის მდივანი.

— გავიდნენ, ამხანაგო გიორგი, ესეცა მელიტონ დარასელიამ გაიყვანა ბოლახში.

— დამშვიდდით, არაფერს გაუჭირვებთ მეთევზეებს. ფოთს შევტყობინე ისინი უკვე გავიდნენ ზღვაში. — უთხრა რაიკომის მდივანმა ხალხს და მერე სოფსაბჭოს თავმჯდომარეს მიუბრუნდა.

— ამხანაგო ევგენი! წამოდით ჩვენთან. — რაიკომის მდივანმა საბჭოს თავმჯდომარე გაიყოლია და მესაზღვრე რაზმის სადგომისკენ გაემართა.

ხალხი კვლავ ბოლახს გასცქეროდა. კატარღები უკვე შორს იყვნენ.

— ოთარი სად არის, რატომ არ მოვიდა? — ჰკითხა აღმასხანის მეუღლეს, ეფემიას ტერეზამ.

— ოთარი? ოთარი არ იცი, რომ ავად არის? — მალალი სიცხე აქვს. არ იცოდით? მიკვირდა რომ არ ინახულეთ. არც შედეა მოსულა.

— არ ვიცოდით, როდის გახდა ავად? რატომ შედეას მაინც არ შეატყობინეთ? — უთხრა ტერეზამ ეფემიას და მომორდა, შედეას დაუწყო ძებნა.

რაიკომის მდივანი და ევგენი მალე დაბრუნდნენ.

— ამხანაგებო, ესეცა ფოთს ვეღაპარაკე. — მიმართა მან ხალხს. — ფიტიფრინაეებიც გაუგზავნიათ. თურმე სამხრეთის დინებას გაუტაცია ჩვენი მეთევზეები, კატარღებმაც სწორად აიღეს გეზი.

ხალხს იმედი მიეცა.

— ამხანაგო, ევგენი, — განაგრძობდა მდივანი, — თქვენ ისე მოიქეცით, როგორც ვითხარით... უველა დაიხმართ.

— რა გავაკეთოთ? — გაისმა ირგვლივ.

— ბოლახის თავთან ცეცხლი უნდა ენთოს მთელი ღამე, რომ ნავემამა მდინარეში შემოსასვლელი გზა გაიკვლიონ.

— აბა, სწრაფად, სანამ არ დაბნელებულა, ვინჩართო, ბევრი ფინიხი დაგეჭირდება. — მიმართა ხალხს ევგენიმ.

ხალხი ჩამოიშალა, და ევგენის გავცვა.

ოთარი მარტო იწვა თავის ოთახში და მთელი ღღე მომაკვდავივით ბორჯავდა. შუალამეზე როგორც იქნა, ჩაიფინა მკვრამ სულ მალე, არაჩვეულებრივმა ხმაურმა გამოაღვიძა.

კვლავ ამოვარდა ქარი, საღდაც ახლოს ისე ძლიერ იქცა, რომ აღმასხანის დიდი ოდა, — შექანდა, შეიჯღრია. ოთარი წამოდგა. სინათლე აანთო. საათს დახედა. თორმეტს ათი წუთი აკლდა. სახლში არავინ იყო. ტანზე ჩაიცვა და პირზე წყალი შეისხა. სული ეხუთებოდა ჩაქეტილ ოთახში, იფიქრა, წაყალო, ზღვაში გასული ხალხის ამბავს გავიგებო. აივანზე გავიდა თუ არა, ანთიმოზის სახლის სახურავზე ავარდნილ კვამლსა და ცეცხლს შეჰკიდა თვალი.

— მეზი დაცემია, — გაუელვა თავში და ცეცხლწაქიდებულ სახლისკენ გაეშურა.

ანთიმოზის ეზოში არავინ იყო. არც სახლიდან ისმოდა ადამიანის ხმა.

ოთარმა აივანზე აირბინა და კარებს დიღხანს ურტყა მუშტი, მაგრამ პასუხი არავინ გასცა.

ბავშვის ტირილი მოესმა ოთახიდან. ფანჯარას ეცა, შეამტვრიო და ოთახში გადახტა. თამაზის მაგიდა დაინახა, მოაგონდა პორტფელი, რომელშიც თამაზის შრომა ინახებოდა.

— „სიმდიდრე... ქონება...“ — გაუელვა თავში და მაგიდასთან მიიჭრა.

როცა ოთარმა თავის საწოლ, ოთახში შეირბინა და თამაზის პორტფელი ლეიბქვემ ამოღდა, საღდაც ზედიზედ გავარდა თოფი. აღბათ ცეცხლი შენიშნეს და სოფელს ატყობინებენ გაიფიქრა და შეეკრთა, აივანზე გამოვიდა, ოფლით გაცვარულ შუბლზე ხელი გადაისვა, აცახცახებული სხეულით სვეტს მიეყრდნო და მძიმედ ამოიხრა.

„რა ჰქენი, რა ჩაიღინე, ოთარ?! თითქოს ვილაკამ ჩასძახაო, წელში გასწორდა, თავი აწია და ცეცხლის აღში გახვეულ სახლს შეხედა. ისე შემოფოთდა, თითქოს პირველად შეხედაო ხანძარს. ოთახში დარჩენილი ბავშვი გაახსენდა. „ეს რა ჩავიღინე, ბავშვი მივატოვე ცეცხლმოკიდებულ სახლში“. თავზარი დაეცა. რამ გაახსენა პორტფელი, როცა ბავშვს საშინელი სიკვდილი მოელის“. აივანიდან გადახტა და სირბილით გასწვია ანთიმოზის სახლისაკენ.

აქვნების ოსტატი



ომის შემდეგ ნინოშვილის ქუჩა ქუთაისში ორმა დიდმა მაგისტრალმა გადასჭრა. ერთი იქ, სადაც წინათ ამ ქუჩის მეათე შესახვევი იყო, მეორე — სულ ბოლოში. პირველი ქუჩა ახალი სტალიონისკენ ლარით გაშართეს, მეორე კი ტროლეიბუსების ხაზისათვის მოამზადეს. სწორედ იქ, სადაც პირველი მაგისტრალი თავს იდგამს ნინოშვილის ქუჩაზე, ცხოვრობს ოსტატი ივანე სვანიძე.

ივანეს სახელოსნოს წინ, ყოველთვის ახალი ავეანი იდგა. ქვემო იმერეთის სამხრეთით მდებარე სოფელიდან წამოსული კოლმეურნეები ყოველთვის მისი სახელოსნოს წინ გამოვიდნენ. აქვანიც დგას ყველას თვალგასახარად. მგზავრები ისეთი ღიმილით გადახედავენ ხოლმე ავეანს, თითქოს ყველა ოჯახის ბედნიერება ამ ავენიდან იწყებოდეს.

ივანეს ავენები არ ჰგავდა სხვა არც ერთი ოსტატის ავეანს, ივანე ზოგი ავენის რიკულზე მხეს ამოსჭრიდა, ზოგზე მთვარეს. ხან კიდევ ბარტყებით საესე მერცხლებს ბუდეს, ან შვის სხივებში აფეთქებულ მტრედებს. რამდენი შეიქცია ივანეს ოსტატობა. ერთმა ისიც უთხრა, შენი ავენის რიკულზე ამოჭრილმა მტრედმა ჩემს ბავშვს ღიმილიც კი ასწავლა.

იცნობენ ოსტატს და უღიმიანო, — ხუმრობდა მოხუცი.

ძველი კაცია ივანე. თეთრი წვერი ქამრამდე წვდება. არც თუ ისე მალალია, მაგრამ ერთობ ჩასკვნილი, ფართო მხარბეჭიანი. მსხვილი თითები ისე აქვს სახსრებში მოხრილი, თითქოს არასოდეს არ გაემართოს, შალაშინსა და ჭობოსანს თავისი კვალი დაუსვია. მატარა საღურგლო ნაჯახი მის ნაფიქრს კალმის წვერივით ემორჩილება.

მოხუცს შეუძლია მთელი დღე გატაცებით გესაუბროს ხის სხვადასხვა ჯიშებზე.

— ხე, შვილო, ადამიანითაა, სიცოცხლის წყურვილით საესე და გამოუღ-

მებით შრომამი მყოფი. ავადმყოფობაც ბევრი იცის ხემ. ბატონებიც იცის წითელას მსგავსი. ტანი ისე გაუწითლდება ფიქვს, თითქოს წითელ ღვინოში ამოავლესო, ზეზეურად ხმება, თითქოს ქლეტი შებარეოდეს. ასეთ ხეს შალაშინი არ ეკარება, ნაჯახქვეშ იქერცლება, თუთუნის სენიც იცის ხის ტანმა. ხელის გულზე მოფშენილ თამბაქოს მტკერივით გაუხდება გულბოყვი. ხის მოჭრას თავისი დრო აქვს. დროზე მოჭრილი ხე კარგი და მაგარი თვისებებისაა. ნორჩი ხე ლორთქოა და რბილი, დროგადაცილებული კი მობერებულია, სიცოცხლისაგან გამოფიტული. კარგი ავეანი ცაცხვისაგან კეთდება. რამდენად დრო გადის, ელვარება და სილამაზე ემარება. რწვევის დროს რბილხმიანი, ხაიერლოვანი, დედის ნანასავით ტკბილმოუბარია. არტახების დასაქვანი თითები კი სხვა ხისა უნდა, რომ მუხბო არ დაუღმომოს ბავშვს. თელაც კარგია სააკვნოდ, მაგრამ კილი უჩნდება. ეს ხის ჭიაა შემძერალი ავენის გამხმარ სხიულში, ზრავს და ზრავს თელასაგან ავენად ნაქსოვ მასალას. ბავშვიც სწუხს და არ ეძინება. ცაცხვის მასალას ჭია არ ეკარება. მისი საოცრად მაგარი ყბები უღონოა ამ ხის ქსოვილთან. ამიტომ არის ცაცხვის ავეანი კარგი.

ომმა გატეხა მოხუცი. მოაკლდა ავენის მუშტარი.

ვაკაცები ოშში იყვნენ, ხოლო ქალები კოლმეურნეობებსა და წარმოებებში მუშაობდნენ.

იჯდა მოხუცი სახელოსნოს წინ სანფეხა მატარა სკამზე და მოწყვნილი სახით გააყურებდა ქუჩას.

გამოცივდა ივანეს დუქანი. ზამთარში ციციხლის დასანთები ბურბუშეგლაც აღარ გააჩნდა. წინათ მეზობლებს ეხვეწებოდა — წაიღეთ, ოჯახში გამოიყ-

ნებთო. ომის დაწყებამდე ამ ქუჩის ყველა ბავშვი მისი სტუმარი და მეგობარი იყო. ზოგს პატარა ჩაქუნს გამოუთლიდა, ზოგს ნავს, ზოგს კიდევ დედოფალას ჩასაწვევ აკვანს. ახლა მასთან მეზობლებიც და ბავშვებიც იშვიათად შემოდისდნენ.

სახელოსნოს ახლოს ერთი გაიძვერა მეზობელი ცხოვრობდა. ყოველ დღით უთენია გარბოდა ქალაქის სხვადასხვა უბნებში. პირველად იგი გაიგებდა შაქარი სად რაგდებოდა და ცხობი. ერთი კილოს მაგივრად ოთხს იშვინდა. მეზობლებში სისხლის ფაზად ყიდდა. თუ ვინმეს შიში ჰქონდა, ფასს დაუკლებდა და თან დააყოლებდა, — კარგი მეზობელი ხარ, ეს ჩემთვის ძლივს ვიშვინე, მაგრამ მაინც დაგიტომბ, თუ ძმა ხარ არსად თქვა, თორემ, შენც მარში ჩაივლებ თავს და მეც დამლუპავო.

ერთ დღეს ეს მეზობელი სახელოსნოში შემოვიდა.

— სკამები არ მაქვს, ჩემო ივანე, შენი პირიმი, გამიკეთე. შემდიგში, იქნებ, შიფონერიც გაგაკეთებინო.

ოფლში იჭურებოდა მოხუცი. ხუთი დღის საქმე სამ დღეში მოათავა. მეტორმეტე სკამს რომ აკეთებდა, კვლავ ესტუმრა მეზობელი. გაკეთებული სკამები შეათვალერა. ხელით სინჯაიდა, ცალ-ცალი ფეხით ურაკუნებდა იატაკზე, მხოლოდ ახლა შეინიშნა, რომ სკამების მეტი აღარაფერი იყო სახელოსნოში. ივანემ გულისტკივილით აუხსნა მიზეზი.

— ომია, შეილო. უკაცოდ დარჩენილ ოჯახებს აბა რა ეშმაკად უნდათ აკვნები!

— შერე, შეკაცო, რატომ სხვას არაფერს არ გააკეთებ. აი, თუნდა კუბოებს. ივანეს თათქოს ურო დაარტყვისო.

— რა თქვი?! — შესძახა გაოცებული.

— რა ვთქვი და, რატომ კუბოებს არ აკეთებ შეთქი?

— რამ გათქმევინა ეს, შე კაციკო!

— რატომ ვაგიკვირდა, ფულის საქმეა, აღამიანო!

— მე მთელი ჩემი სიცოცხლე აკვნებს ვყიდდი და ახლა სად წავიღო კუბოში აღებული ფული?

— ეი, შე კაცო. თუოფილე სინაურისის შვილის ამბავი ხომ ვაიგი? მოუკლავთ, ხომ ხედავ. ომია.

— მე კი იმ ბიჭის შესახებ არაფერი ვიცოდი, — ყრულმა ჩაქუნმა მოხუცმა და, ერთხანს ქუჩის ყველამ, ფიქრში წასული, მერე ნელა წამოდგა, მეზობელს მძულვარედ შეანათა თვალები და წყნარად, მაგრამ ზიზლით უთხრა:

— შერე იცი, ვის გაკეთებულ აკვანში იწვა ი ბიჭი?! იცი, მე და მამამისს რამდენი ღვინო შეგვისვამს, სანამ იგი აკვნიდან ლოგინში გადაწვებოდა?! არა, მეზობელი აკვნების ოსტატი კუბოებს ვერ გააკეთებს. — ჩაფიქრდა მოხუცი და თვალბანთებულმა განაგრძო. — არა, ბიძო, მე აკვანს ვაკეთებ, სიცოცხლის ბუდეს ვქარაფე. რამდენი ბავშვი იბადება, იმდენი ჩემს სიცოცხლეს ემატება რაღაც ბედნიერი ნაწილი. კუბოები კი, — მრისხანედ აენთო მოხუციის სახე. წამოდგა. — ახლა მე ლუქანს ვკეტავ, შენთვის არ მცალია, საქმე მაქვს, საჩქარო საქმე. — უთხრა მეზობელს. დარაბები და კარები ერთბაშად მიხურა და გაოგნებული მომტრის ცხვირის წინ ბოქლომი სახელოსნოს ისე დაადგა, თითქოს სამუდამოდ დაეხუროს იგი.

ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის გაზაფხულზე გეგუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გაქაფული ცხენი მოაგდო ივანეს სახელოსნოს წინ.

— ბიძია ივანე, — უთხრა თავმჯდომარემ ოსტატს, — დიდი დავალება მომცეს ჩემმა სოფლელებმა შენთან. ოცდაათი აკვანი უნდა გამიკეთო, მაგრამ ძველმეურნი აკვნები კი არა, პატარა საწოლები. სისხლმა რომ თავისუფლად იჩქრილოს ბავშვების სხეულში. მალე უნდა დამიშვადო, იცოდე.

ორი აკვანი ბევრჯერ დაუკვირთიათ ივანესათვის. მაგრამ ოცდაათი აკვანი ერთ დღეს, ერთ ადამიანს რომ მოეთხოვოს, ეს ამბადაც არ გაუკონია არასოდეს. თავმჯდომარემ მოხუცის გაოცებულ სახეს ღიმილით შეხედა.

— რა, ვაგიკვირდა?! არაფერია. სტუმრად მოხვალ და ნახავ, — უთხრა თავმჯდომარემ მოხუცს, — როგორც კი დაამზადებ საწოლებს, შემატყობინე და მანქანას გამოვგზავნი.

კოლეჯერეობის შოფერმა მოსაწყვე-
ვი ბარათი მაშინ მისცა ივანე სვანა-
ძეს, როცა მანქანა აყვებით დატვირ-
თა. ეს იყო ხუთშაბათი დღეს. კვირას
გველეთში საბავშვო ბავის სახეიშო გახ-
სნა იყო დანიშნული.

იმერეთის ზაფხული იმერელივით
ფიცხია. ეს დღეც ელვარე და მცხუნჯა-
რე გათენდა.

მოხუცმა ოსტატმა წვერი ჩამოივარ-
ცხნა, ქამარი შემოირტყა და შავი ბო-
ნობი დაიხურა. ხელჯოხივ მოიმარჯვა,
მაგრამ ქიშკრიდან უკანვე გადმოაგდო,
ამ ბედნიერ დღეს გველეთში ჯოხ-
დაბჯენილი მისვლა სასირცხვოდ მიიჩ-
ნია, ქიშკარი მიიხურა და ნინოშვილის
ქუჩას დაადგა.

მანქანები სწრაფად გარბოდნენ მან-
ქანათშენებელ ქარხნისაკენ.

ივანე დინჯად მიყვებოდა ქაფი-
ნისს,

ხელმარჯვენე დიდმა და ფართო მა-
გისტრალურმა ქუჩამ შემოანათა მო-
ხუცს. შორს, ქუჩის ბოლოში, უზარმა-
ზარი ნაგებობები მოსჩანდა. სწორედ
აქ უხვევდნენ დატვირთული მანქანები
გველეთისაკენ.

რკინის ბოძებზე ტროლეიბუსისათ-
ვის გაკვიმული მავთულები საოცრად
ბრჭყვიალებდნენ. ბოძებს გასაფრენად
მომზადებული ორბებივით გაეშალათ
ფრთები.

გზა შესანიშნავად იყო მოკირწყლე-
ლი. ახლადდათხრილი ხის ფესვები, მო-
რების გადნაპერი ნარჩენები თუ უზარ-
მაზარი, ფიცრისაგან შეკრული მავ-
თულობს დასახვევი მორგები აქა-იქ
გზის რას იყო მიყრილი.

ივანეს ბავშვივით ახარებდა ტრო-
ლეიბუსების ხაზის გაყვანა. ან როგორ
არ გაეხარებოდა! მისი სახლიდან
მწვანე ბაზრამდე ერთ საათს უნდებო-
და მისვლას მოხუცი. ახლა კი, რამდენ-
იმე წუთში შეეძლო ამ მანძილის
გავლა.

როცა სტალინის ქუჩაზე ტროლეი-
ბუსების პირველი ხაზი გაიყვანეს, ივა-
ნე ერთი-ერთი პირველი ჩაჯდა ტრო-
ლეიბუსში.

სუფთად ჩაცმულმა კონდუქტორმა
ლიმილით ახედა მოხუცს:

— რაო, ბაბუა, მოგვონს?

ივანემ ხმა არ გასცა. იგი საყარძელ-
ში ჩამჯდარი, ჩუმად, სათუთად სინ-
ჯავდა რბილი ტყავის საყარძლებს.

„კარგი ოსტატები ყოფილან! — ფი-
ქრობდა მოხუცი; — მაინც, როგორ აყ-
ვანივით ირწევა ეს დალოცვილი...“

ბროწეულას სადგურიდან წინაველი-
საქენ გადაუხვია და რკინიგზას სადგურ
რონის მიმართულებით გაჰყვა. გელ-
ეთისა და ვოლოგნის გორაკებზე მზის
შუქი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა.
რკინიგზის გადაღმა, გველეთის მხარეზე
გადაიხედა, ახალ შენობებს შეხედა და
გაოცდა. მოხუცმა კარგად იცოდა, რომ
აქ გასულ წელს ერთი სახლიც არ იდგა.
ახლა კი უზარმაზარი ფართობი ლამა-
ზად შემოერაგავათ, შიგ ტრაქტორები
და მანქანები დაქოთქოთობდნენ. ახ-
ლადამენებული სახლების გვერდით ხა-
რაილების მთელი ტყე მოსჩანდა.

მოხუცმა მკლავებაკაბიწებული ახალ-
გაზრდა შეაჩერა:

— რას აცეთებთ, ბაბუა, აქ?

— აქ ბაბუა, ტყის საცავის საჩერ-
ება, — უბასუბა ყმაწვილმა. — აქედან
ახალი ტყეების სხვადასხვა ჯიშები
უნდა გავრცელდეს მთელ ამ ვილზე.

მოხუცი ღობეს მიუახლოვდა, ნარგა-
ვებს დახედა. ფოთლებს დააკვირდა.
თელა, ფიჭვი, კაკალი... რა კარგი გქე-
ნი, რომ აქეთ წამოგვიდო, — ფიქრობ-
და მოხუცი. ტყე ხომ სიცოცხლეა, ტყე
ხომ ამინდია.

თამარის ნადარბაზევამდე თავი არ
აუწყვია მოხუცს. იგი ისევ ტყეების
უზარმაზარ ფართობებზე ფიქრობდა.

წყალი მოწყურდა.

ნადარბაზევისაკენ გადავიდა. ომის
დროს გველეთელებმა წინაველი შუაზე
გაკვეთეს და ყანებისათვის მომცრო
არბი გასჭრეს. ივანემ წყალი პეშვით
შესვა, სველი ხელი წვერზე ჩამოისვა.

მის თვალწინ თამარის სასახლის ნაწ-
გრევი მთელი თავისი დიდებულებით
იდგა. გადმონგრეული ქვები გროვად
ეყარა მინდორზე. თურქების ვიღორი
ხელით გუმბათჩატეხილი ნადარბაზევის
კედლები ხავსმოკიდებული გამოიყუ-
რებოდა, კოლმეურნეებს დარბაზები
გამოეხვეტათ და მონგრეული ქვები
ერთად შეეგროვებიათ. აქედან ისევ
მოსჩანდნენ ტყის საცავ ზონის ფარ-
თობში ქალი-ვყები. ისინი მწკრივში
რგავდნენ ხეებს. მოხუცმა ისევ მიიხე-
და ნადარბაზევისაკენ და ჩაფიქრებით
თქვა:

— დიდნი იყავით ჩვენო წინაბრებო, დიდნი. აშენებდით და ამაგრებდით ქვეყანას. მაგრამ ახლა ჩვენს მიწა-წყალზე სხვა დიდი ადამიანები დაიბადნენ, ახალ ქვეყანას აშენებენ.

გვეგუთის კოლმეურნეობა „ახალი სხივის“ საბავშვო ბაგის შერობა უღუ-მაზესი იყო მთელ სოფელში: ლამაზად მოხარატებული აივნის მოაჯირით, ამოქარგული სვეტებით, წინ — ფართო ეზოთი.

აივანზე ხალხი შეკრებილიყო. ყველა საღვთისწამულად მორთულიყო. სუფთად და ლამაზად ჩაცმული ახალგაზრდა დედები, რომელთაც თავიანთი ჩვილები ეჭირათ ხელში, ბედნიერებით სავსე თვალებით შესცქეროდნენ ახალ-მოსულ სტუმრებს.

რაიკომის მდივანი მეზობელ რაიონების წარჩინებულ ადამიანთა მიღწევებზე ესაუბრებოდა. ივანეს ყველა პატივისცემით შეხვდა. რაიკომის მდივანი ეზოში ჩამოეგება, მიესალმა და აივნისკენ წამოიყვანა. კიბეზე ასკლისას ხელი მოკიდა მკლავზე, მაგრამ მოხუცმა ხელი არ დაანება. წილგამართული ამოვიდა და გვეგუთელებს მიესალმა.

ხალხი მილაგ-მოლაგდა, ლამაზად მოხარატებული საწოლების გვერდით გაღებულ კარებში ოცდაათი დედა იდგა. საწოლების რიკულზე ამოკვეთილ სხვადასხვა სახეებზე დიდები სიხარულით დასცქეროდნენ.

თავმჯდომარემ მიტინგი გახსნა. ილაპარაკა საბავშვო ბაგის მნიშვნელობაზე. შემდეგ მშვიდობის მოწოდებაზე ხელსმოწერისათვის მომხსენებელს სიტყვა მისცა.

მომხსენებელი უყვიბოდა ხალხს მესამე მსოფლიო ომის საშინაოობის შესახებ. მოკლედ, მაგრამ მთელი საშინელებით გადაშალა წარსული ომის გამანადგურებელი სურათი და განაგრძო:

— ამჟამად, ომისგამაჩღებლები — ახალი ომის აუცილებლობას ქადაგებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ დღეამიწა უძღურია მრავალი ხალხის გამოკვებისათვის. ამიტომ, მათი აზრით, საჭიროა ხალხის გაყვანა. ჩვენ საბავშვო ბაგებს ვაშენებთ, აკვნივს ვაკეთებთ, ისინი კი სიყვდილზე ფიქრობენ...

მოხუცი ოსტატი რაიკომის მდივნის გვერდით იდგა. დაფიქრებულ უსმენდა მომხსენებელს და როცა მან სიტყვადამთავრა, წინ წამოდგა და ყრუდ თქვა: — სათქმელი მაქვს, მეც მომისმინეთო.

ყველა გაინაბა.

— მალე ოთხმოცი წელი შეგისრულდება, — დაიწყო მან. — არასდროს კრებაზე სიტყვა არ მითქვამს, — მოხუცი ღელავდა. სახე ოდნავ გაფითრებოდა, ცალი ხელით მოაჯირს ჩაჰიდებოდა მუხსავით იდგა. — ის ავაზაკები, რომლებიც ხალხის მოსპობაზე ფიქრობენ, ანგარიშში სცდებიან. ბიძიებო და შვილებო! ხალხი ბევრს მოითმენს, მაგრამ საზღვარიც იცის. ხალხის რისხვა აღელვებულ ზღვაზე უარესია. მე არასდროს, ქათამი არ დამიკლავს, მაგრამ... — მოხუცმა თვალბრუნებითა საწოლებს მიაყრო, დედებს შეხედა. — აი, შეხედეთ, — განაგრძო მან, — ამათვის ცეცხლსა და მახვილს ამზადებენ ისინი. თავს გვეგუთელები მიმხევენ. მე ერთი საზიზარო მეზობელი მყავდა ომის დროს, მირჩია, აკვნიების მაგივრად კუბოები აკეთეთ. დეკანიდან გამოეგდეთ. ახლა ის ამერიკელი ავაზაკები, მთელ ქვეყანას კუბოში ჩაწვენას უპირებენ. არა, ბიძიებო, ასეთ ავაზაკებს თავისი ადგილი უნდა მოუხსნოს ხალხმა. ჩვენი მთავრობა დიდებს აჯილდოებს მრავალშვილიანობისათვის, იქ კი შვილებისა და დედებს დახოცვას ქადაგებენ თურმე. — ივანი ჯერ რაიკომის მდივანს მიუბრუნდა და მერე ისევ ხალხს. — არა, ხალხო, ჩვენი ცხოვრების დიდი ოსტატი, ჩვენი მამა და მასწავლებელი არ მისცემს მათ ნებას დაღვარონ პატიოსან ადამიანთა სისხლი, — მოხუცმა გაბრწყინებული თვალები მიანათა ყვავილებში ჩამჯდარ ბელადის სურათს და უფრო ხმამაღლა განაგრძო. — ბევრი გმირი გაზრდილა ჩემს აკვანში, ხალხო, ბევრი დიდება და გამარჯვება მოუტანეს მათ ჩვენს დიდ სამშობლოს, არასოდეს არ შეურცხვენია ქართულ აკვანს სამშობლო და არც მომავალში შეარცხვენს.

ხალხი სულგანაბულ უსმენდა მოხუცს.

ორთობა



ბარაქიანი მუშაობა იცოდა ნიკამ, თავს მოიკლავდა და წინ არავის გაუმეგებდა. ეს ჩვეულება ბავშვობიდან დასჩემდა. ყოველგვარ თამაშობაში პირველობდა ხოლმე. ჰოდა, ნათქვამია: ხსენს ჩაყოლილი, სულს უნდა ამოკვესო. სანამ პერანგის ტარება შეუძლია, ხელს ვერ გააჩერებს ნიკა. არავის ათქმევინებს: მუშაობა აღარ შეუძლიაო. მართალია, წლოვანებამ თავისი დაღი დასვა, მაგრამ ნიკას მოტეხა მაინც ვერ შესძლო.

წელს თავის ნაკვეთზე ბლომად შეიტანა ნაკელი და მზრალად მოხნა, ადრე გაზაფხულზე დაფარცხა, ბელტიანი მიწა გააფხვიერა. მეორე დღეს დათესა და წყალი მიუგდო, ორ ფოჩზე რომ ამოვიდა სიმინდი, გათოხნა, სადაც სქელი იყო, შეათხელა.

დღეს ნიკა მეორედ თოხნის. გულდაგულ მუშაობს. ხალისი დიდი აქვს და აბა რა დაღლის, ან კი რა წაართმევს ხალისს, როცა ზღვასავით აღელვებულ სიძინდს უყურებს? მუშაობს ნიკა, თან დილინებს, თვითეულ სიმინდს ეალერსება, სადაც ნაბარტყია ათხელებს.

შარშანაც კარგად იმუშავა ნიკამ, ბელელი ჰქირახულით აქვს სავსე და ქვევრები — ღვინით. მაშ, რატომ არ ექნება მუშაობის ხალისი? შეილზე დარდი არ ასვენებდა წინათ, ახლა აღარც ეს აწუხებს. წერილი მიიღო, ორ კვირაში მანდ ვიქნებიო.

— თუ ბედმა გამიღიმა და ჩამოვიდა! აბა, სიხარული მაშინ იქნება, ის რომ მომივა, სამ დღეს უნდა ვილხინო და

ვალხინო ხალხი! — ამბობდა მოხუცი და დღენიადაც გზას გაკყურებდა.

შალვა სადგურიდან მოკლე გზით წამოვიდა. ბარგი ჰქონდა და ნელა მიდიოდა.

შეთეთრებულოყო ყანები, შრიალებდა სიმინდი, ღელავდა შაქრის კარხალი. შალვას გაეხარდა, მოსავალს კარგი პირი უჩანსო, სახეზე სიამოვნების დიმილმა გადაურბინა. თვალს ვერ ამორებდა ველს. სიმინდი კაცს მუხლამდე სწვდებოდა, მეორედ იყო სათოხნი. მინდორს ხალხი შესეოდა, ზენაქარს მათი ყრიაშული მოჰქონდა,

შალვას გულმა წრეში გასულ მოკიდავესავით დაუწყო ცემა. ერთხანს იფიქრა, მივალ ხალხთან, ვინმეს თოხს გამოვართმევ და ერთ საათს მაინც წავიძიმეშავებო, მაგრამ თვალწინ რვა წლის უნახავი მშობლები დაუდგა და გზა განაგრძო, ყანებს შორის გაჭიმულ ვიწრო ბილიკისკენ გადაუხვია.

ნაცნობი ადგილების ნახვით გული უჩვეულოდ უცემდა. რამდენჯერ უძოვებია გუთნეული ამ მინდორში, რამდენჯერ დაურტყამს თოხი ამ მიწისათვის, როცა ჯანმავარ ბიჭებისაგან შემოგარ რგოლს ხელმძღვანელობდა, მაინც რა ვაჟაკები იყვნენ მის რგოლში! მთას გადააბრუნებნო, იფიქრებდა მათი მნახველი. აგერ მუხიანის მიწაც. სანამ ჯარში წავიდოდა, მის რგოლს ეკუთვნოდა ეს ნაკვეთი. მაშინ ასე ეგონა, მზე კავთისხევეში ამოდის და კავთისხევეშივე ჩადისო. ახლა კი... შალვას უღვაშებში ეღიმება. სად რა არის, ახ-

ლა ყველაფერი იცის. კეთისხეველმა ბიჭმა მთელი დუნია შემოიარა.

ბარგის სიმძიმემ დალაღა, შესასვენებლად მუხიანის მიწისაყენ გადაუხვია. ვეება მუხის ქვეშ ორი თოხი დაინახა.

მამას ყანაში ორი თოხი დაჰქონდა, ერთი რომ გამიტყდეს, სანამ მეორეს ჩამოვიტანდე, დიდი დრო გავაო. ამიტომ სოფელმა სახელად ორთოხა შეარქვა.

გაეღიმა შალვას. სიხარულით აუჩქროლდა გული. მიმოიხედა, მამა არ ჩანდა.

— მამი, ჰაი, მამი! — გადასძახა ყანებს.

„ბრიგადირთან თუ გადავიდა, ან იქნებ წყაროზე წავიდა“, — გაიფიქრა შალვამ, პასუხს რომ ვერ მიიღო. მერე მამის ნაკვეთს გადახედა. ყველა ნაკვეთში გამოიჩინებოდა მისი სიმიანი: მსხვილი ღერო, ვანიერი ფოთლები და მუქი ფერი, ზავერდივით ლივლივებდა ყანა.

„მამი, მამი, რვა წელიწადია არ გედექი მხარში, — ფიქრობდა შალვა, — ვაი თუ ქედი გაგიცვდა, ბებერთ კამეჩო. მარტო არ იყავი, მაგრამ შეილი მაინც სხვაა, მამი“.

შალვასაც მამის ნიჭი და მონღომება დაჰყვა. ამყობდა ნიკა შეილით. ცხრა-მეტი წლის ქაბუქმა შორს გაუსწრო მამას საქმეში. შალვა კოლმეურნეობაში მერგოლურთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. ომის დაწყების წინ ბრიგადირად უნდა გადაეყვანათ, მაგრამ ჯარში წავიდა და, შრომასა და ყანას მონატრებული, ახლა ისევ აქ არის, მშობლიურ მიწაზე. მშობლიურ სოფელში. კვლავ გაუწია გულმა თოხისაყენ, დასწედა, მოიმარჯვა და სიმინდში შეაბიჯა. ნაპირიდან ვანიერი სვე დაიჭირა. დაჰკრა თოხი მიწას და გაჰყვა კვალს. მამის წამოწყებულ სვეს რომ გაუსწორდა, გზას გახედა. ნიკა არ ჩანდა.

მკლავი მოისვა სახეზე შალვამ, ხალთი გაიძრო და იქვე მასწავლა.

წყაროდან მომავალმა ნიკამ სახეს ნაკვეთში მომუშავე რომ შენიშნა, თვალი მოიჩრდილა: ჩვენებიანთ თედო იქნებაო, — გაიფიქრა.

თედო ჯარიდან ახალდაბრუნებული იყო. კრილობები ჯერ არ მოშუშებოდა და ამიტომ მუშაობის ნებას არ აძლევდა კოლმეურნეობა, უსაქმობას ვერ იტანდა ქაბუქი. ხან ვის წაახმარებდა ხელს და ხან ვის.

ნიკამ შორიდანვე შენიშნა მთოხნავს მარჯვე მუშაობა და მოეწონა, შეილი მოაგონდა. „ჰაი, შალვა, შალვა, სადა ხარ, ბიჭო? როდის ჩამიდგები ყანაში, როდის გაახარებ მამის გულს, შეილო?“

შალვა ზურგით იდგა ნიკასაყენ. მუშაობით გართულს არ შეუნიშნავს, როგორ მოახლოვდა მამა.

ნიკამ წყლით სახე დოქი მუხის ძირას დადგა და, ის იყო თოხს დაწვდა, რომ ბარგი შენიშნა.

— რა ჯენა! — წამოიძახა და მთოხნელისაყენ სწრაფად მობრუნდა, — შეილო! — შესძახა და მეტი ვერაფერი თქვა. ვერც ადგილიდან დაიძრა. გახვევბული იდგა და გამტერებით შესტყეროდა მისკენ სწრაფი ნაბიჯით მომავალ შეილს.

„დავავაყებულა, კაცი გამხდარა ბიჭი“, ფიქრობდა ნიკა.

— მამი! — შედგა შალვა ნიკას წინ.

— ვანიერი სვე აგლია, ბიჭო, ეს ორი კაციისაა.

გაეღიმა შალვას, უნებლიედ თავის სვეს გადახედა:

— ორისაა, მამი, მაგრამ ახლა ესეც ცოტაა.

— მამა შემოგველოს, შეილო, — გაშალა მზისაგან ვაშავებული მკლავები ორთოხამ და შეილის ვანიერ მხრებს მოეხვია. — ხომ ვთქვი, კაცი დამდგარა-მეთქი ბიჭი. — თქვა ჩურჩულით და მკერდზე მიიკრა შეილი.

ახალი ნიალჰარი*



II

დილით სერგეი ლუკა მიტროფანოვი-ის დაეამ გააღვიძა.

— იოლი სათქმელია, როგორ კატასავით მომამწყვდიეს ტომარაში და ახლა კი მაგინებენ. ყველა ლესიაზე მითითებს, ის სამი წელიწადია თავმჯდომარედ ზის. აქ კი არივდარიეს, ჩააოხრეს ყველაფერი და ახლა როგორც გინდა, ისე გამოასწორე. ეშმაკმა იცის, რა უნდა დაიგეგმოს! ისინი ყველანი მცოდნენი და განათლებულნი არიან, მათ რა უშავთ! მე კი არ ვიცი მოგება სად წავიღო და წაგება როგორ ჩამოვწერო. გადაიწვა და ახლა კიდევ ცვივა. დილიდან საღამომდე უნდა ირბინო, იყვირო; ითხოვო. რა მეგეგმება! აბა, თუ ვინმე მოვიდეს და მომეხმაროს. გარდა ამისა, ხალხსაც რომ თხოულობენ! მე რა შრომის ბირცა ხომ არა ვარ?

ლუკა მიტროფანოვიჩმა მკერდზე მუშტი დაირტყა, ლურსმანზე ქუდი ჩამოგლიჯა და თავზე ჩამოიფხატა.

სერგეიმ თვალებით დაუწყო ძებნა ბიძის თანამოსაუბრეს, მაგრამ ვერავინ დაინახა. ეტყობოდა ბიძია აზრად წარმოდგენილ მოპირდაპირეს ეკამათებოდა. სერგეის გაეღიმა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ლუკამ ოთახიდან გაეარღნა მოასწრო.

შემოვიდა ბიცოლა ევლოკია, სერგეი რომ გაღვიძებული ნახა, შეწუხდა:

— იძინე, იძინე, ალბათ, შენმა მოუსვენარმა ბიძიამ გაგაღვიძა.

სერგეის აღარ ეძინებოდა.

სადღესასწაულო, სასიამოვნო განწყობილებით მან ჩემოდანი გახსნა და მწვანე, მაგარპაგონებიანი კიტელი ამოიღო. როცა მომტრო სარკის წინ იდგა და პრიალა ლილებს იბნევდა, უცერად ლესია მოაგონდა. სერგეის უკვე ბევრი საქმე გაუჩნდა, მათ მოწესრიგება ესაქიროებოდა.

ამ განწყობილებითა და აზრებით ის შეუმჩნევლად მივიდა მტს-ის ეზომდე.

კიშკრიდან პატარა ავტომობილი გამოვიდა. ეტყობოდა ის სხვადასხვა ნაწილებისაგან იყო აწყობილი და საშინლად რახრახებდა. საჭესთან შეთმინი ქაბუცი იჯდა. ავტომობილიდან გადმოხრილი რაღაცას უყვიროდა გასასვლელ ჯიხურთან მდგარ მოხუცს. ალბათ, ისეთ სამხიარულო და სახუმარო რამეს ეუბნებოდა, რომ მოხუცი ხელის ქნევით იგერიებდა მას და იციწოდა.

სერგეიმ იკითხა, თუ სად შეიძლება ფედორჩუკის ნახვა. ქაბუცმა ხელით ანიშნა. სერგეი სახელოსნოს მარცხენა მხრისაკენ წავიდა.

ვანიერი, ოდესღაც წითლად შენადები, კიშკრის მსგავსი ფიცრულა კარები ფართოდ გაეღოთ. დილის სინათლით მკრთალად გაშუქებულ ვრცელ სადგომში ყველაფერი ბენზინითა და ზეთით იყო გაქლენილი. იატაკის შუაგულში, სწორკუთხოვან მოცემენტებულ ორმოზე ტრაქტორი იდგა.

ძრავთან კომბინეზონით გამოწყობილი მალალი ქალიშვილი მუშაობდა. თავი ყვაისფერი თავსაფრით ქონდა წაგრული. თავსაფარი მთლიანად ვერ უფა-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 11, 1950 წ.

რავდა სქელსა და ქერა თმას და ეულუ-
ლები ხანდახან თვალებზე უცვივოდა.
ქალიშვილს ზეთით გასვრილი ხელის-
გული მოშორებით ეჭირა და დროდა-
დრო იდაყვეში მოხრილი ხელით იშო-
რებდა სახეზე ჩამოშლილ თმას. ტრაქ-
ტორზე ახალგაზრდა ვაჟი იჯდა, დაახ-
ლოებით თურამეტი წლისა და გულმოდ-
გინედ მუშაობდა საქეზე. მეორე ჭაბუ-
კი, ამავე ხნისა, აწეულ ფრთასთან რა-
ღაცას აკეთებდა. მესამე კი, უხერხუ-
ლად თავადერილი, იჯდა. სერგეი მხო-
ლოდ მოლურჯო ძარღვებდაჭიმულ კი-
სურსა და კომბინეზონის ნაწილს ხე-
დავდა.

სერგეი კარებში შეჩერდა, ამ დროს
კუთხეში რაღაც გარახუნდა, აჭრიალდა
და წერილი ხმა მოესმა:

— აა, ამხანაგო მაიორო, მოხვედი?!
მისალმებამი გულწრფელი სიხარული
იგრძნობოდა.

სერგეი მიტრიალდა და ფედორჩუკა
დაინახა: შუატანის, გამხდარი და კუნთ-
მაგარი, ის პროთეხის კრაქუნითა და
მხიარული ღიმილით სერგეის შესახ-
ვედრად მოდიოდა.

ფედორჩუკი ლეღავდა და, მღელეა-
რება რომ დაეფარა, წამოიძახა:

— კომკავშირლებო, სმენა! ამხანაგო
გვარდიის მაიორო, უფროსი ლეიტენან-
ტის ფედორჩუკის ბრიგადა შეკეთებზე
მუშაობს!

კომკავშირლები — სამი ჭაბუკი და
ერთი ქალიშვილი რიგში ჩადგნენ და
პრომდმარე სახეებით სერგეის შეა-
ჩერდნენ.

— თავისუფლად! — სიტყვა სერგეიმ
და ფედორჩუკს სახუმარო კილო ჩამო-
ართვა.

ფედორჩუკმა ხელზე ხელი მაგრად
მოუჭირა სერგეის, შეატრიალ-შემოატ-
რიალა და ყურადღებით შეათვალიერა.
შემდეგ კვლავ თავისკენ მიიზიდა და სამ-
ჯერ მაგრად გადააკოცა.

— მაშ, ჩამოხვედი! საუცხოოა, პა-
ტიოსან სიტყვას გაძღვე, საუცხოოა!
დაჯექი!

სერგეის არც კი შეუმჩნევია როგორ
გაჩნდა სკამი მასთან.

— დაჯექი და მომახსენე! — მსჯელობა-
დის, როგორ და საით? — ფედორჩუკი
ბორბალზე ჩამოჯდა და მოსასმენად მო-
ეშხადა. მასში, ისევე როგორც ლესიაში,
კვლავ კომკავშირული კილო გაისმოდა.
სერგეიმ თამბაქო მოსწია, გამოუშვა და
იმავე ტონით უპასუხა:

— სამ ფრონტზე ვიბრძოდი. როგორ
ვიბრძოდი არ ვიცი. ჩამოვედი ახალ-
ნიაღვარში.

ფედორჩუკმა მალაღმბიანი წკრიალა
ხმით გადაიხარხარა.

— როგორც გიბრძოლია, თვითონ
ვხედავ. — თქვა მან და ლენინის ორ-
დენს დახედა, თანაც გვარდიის ნიშანს
ხელი შეავლო. — არტილერისტი ხარ,
თუ ტანკისტი?

— რაღაც საშუალო მეთვითმავლე.

— შეიძლება ითქვას, ჩვენი ყოფილ-
ხარ. მეთვითმავლე იგივე ტანკისტია.
ჯანზე როგორა ხარ? ცოლი შეირთე?

— მზითვიანი საცოლე კაცი ვარ,
მკერდში ნაღმის ნამსხვრევი მიძევს. შენ
ოოგორა ხარ? მოხუცო, კრიალებ?

— ეჭრიალებ...

— ცოლი გყავს?

— დიახ. გალინა გახსოვს? აი ის შე-
ვირთე. რვა წლის ვაჟი მყავს, გვარდიე-
ლია!

— ფეხი სად დათესე?

— ალბებში, რუმინელებს დაეუტოვე
სახსოვრად...

— ტანკისტი ხარ?

— ოღონდაც! მხოლოდ, ამობილო,
უკვე გამომრიცხეს. კომკავშირელთა
გვარდიას ვეთაურობ, მთელი ბრიგადა
კომკავშირულია.

— ვხედავ, თქვენი ბრიგადის ერთ
წევრს ტრაქტორი მე შევუყეთე.

ამ სიტყვებში ფედორჩუკს დაცინვა
მოესმა. ის აწრიალდა და თითქოს ეწყი-
ნა კიდეც.

— შენ რა ეკვი გეპარება? მაშ, აბა, მარუსია ჩტზ-ის ნაწილების სრულ-ურთიერთმოქმედება! ჩქარა!

ქერა ქალიშვილმა შუბლიდან თმა უკან გადაიყარა, შეხედა სერგეის და გაიღიმა. მისი გრძელი წამწამები სრულიად ოქროსფერი იყო, თვალები კი—დიდრონი, ნაცრისფერი, სერიოზული. როცა იღიმებოდა, ლოყები ოდნავ ეკუჭებოდა:

— ახანავ მაიორს, ალბათ, სრული-დაც არ ეინტერესება.

ფედორჩუკი გაჯავრდა:

— როგორ თუ „არ ეინტერესება“. ახანავმა მაიორმა ტრაქტორი ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, როცა შენ დედოფალს ათამაშებდი. ახანავი მაიორი ტანკისტია!

ფედორჩუკს უყვარდა მანქანა და ვერ წარმოედგინა, რომ მასზე ლაპარაკი ვინმესთვის საინტერესო არ ყოფილიყო. ამასთანავე, სელას ის ყოველთვის კოზირით იწყებდა. სერგეიმ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა სრული ურთიერთმოქმედება. შეიძლება გამოცდილება ჯარისკაცმა თვალდახეჭულმა დაშალს და ააწყოს შაშხანა, მაგრამ მისი ნაწილების ურთიერთმოქმედების ახსნა-განმარტება ყოველთვის კარგად ვერ შესძლოს. აქ კი საქმე ტრაქტორთან ჰქონდათ.

მარუსიამ ტრაქტორის ფრთას ხელი დაადო და შეუცდომლად დაიწყო:

— აი, ჩტზ-ის სისტემის ტრაქტორი. მოტორს ავამუშავებთ გასაშვები სახელურით. — და მარუსიამ დაწვრილებით ასწერა მოტორის პროცესი და მისი დეტალების ურთიერთმოქმედება.

სიმართლე რომ ითქვას, ტრაქტორის დეტალების ურთიერთმოქმედება არ იყო საინტერესო თემა ძველი მეგობრების პირველი შეხვედრისათვის, მაგრამ სერგეის მოსწონდა ის, თუ როგორ ცხარობდა და როგორი გატაცებული იყო ფედორჩუკი. ხოლო სიტყვა „ურთიერთმოქმედება“ ანათესავებდა ფედორჩუკსა და ამ ახალგაზრდებს მოქმედი არმიის ჯარისკაცებთან. თითქოს ახალგაზრდა ჯარისკაცი უკეთებდა მოხსენებას თავის მეთაურს შაშხანის, ან ტყვიამფრქვევის ნაწილების ურთიერთმოქმედების შესახებ. ის იარაღი, რომლითაც საბრძოლველად მიდიხარ, უთუოდ კარგად უნდა იცოდე და გიყვარდეს. სწორედ ეს იგრძნობოდა ფედორჩუკის ბრიგადაში.

— აბა, რას იტყვი? ხომ უმაღლესი კლასია! შენ კი ლაპარაკობ! — ღიმილით თქვა ფედორჩუკმა, როცა მარუსიამ დაამთავრა თავისი ახსნა-განმარტება.

— არაფერსაც არ ვლაპარაკობ! რას ამბობ? პირიქით! შენი ბრიგადელები ძალიან კარგები არიან. პატიოსან სიტყვას გაძლევ, ყოველმა ჯარისკაცმა ასე რომ იცოდეს შაშხანის ნაწილების ურთიერთმოქმედება, როგორც მარუსიამ ტრაქტორი...

ეს უდიდესი ქება იყო. ფედორჩუკს სიამოვნებისაგან სახე გაუბრწყინდა.

— ოღონდ გაქანების საშუალება გვეძონდეს და ჩემი კომკავშირლები, ვისაც გნებავთ, ორივე ბეჭით დასცემენ. შენ რა გგონია, გრიციუკი უკვე აგულიანებდა მარუსიას რომ მასთან გადასულიყო. ეუბნებოდა: ჟურკოვკაში ჩამოდი, მექანიკოსად აგიყვან: ბინა, ხელფასი და პირველი კატეგორიის ულუფა გეძნებაო, აბა!

სერგეიმ არ იცოდა ვინ იყო გრიციუკი, მაგრამ მიხვდა, რომ რაიონში იგი მეორე მტს-ის დირექტორი, მექანიკოსი იქნებოდა.

— ისე, საერთოდ, როგორ ცხოვრობთ?

— როგორ ვცხოვრობთ? აბა, რა გითხრათ! ისე, ჩვეულებრივად. ამემადა, თვითონ ხედავ, ბევრი სამუშაოა, თიხვის დროა. საერთოდ კი ცუდათ არ ვმუშაობთ. შეიძლება უკეთ გვემუშენა, მაგრამ ვერ ვასწრებთ. რა თქმა უნდა, ნორმებს მთლიანად და გადაჭარბებითაც ვასრულებთ, მაგრამ შე-

დღეებს კი ყოველთვის ვერ ვხედავთ. მიეჩვევი თუ არა კოლმეურნობას, გადაგისვრიან! კულნიცი ყვირის — მეორე ადგილას გადადიო, დირექტორი კიდევ სხვაგან გერეკება, ვორონოვი კი უცებ დაგვეცემა თავზე და მესამე ადგილას გიკრავს. თავს, ზოგჯერ ტრაქტორებს ისე დაგვაფანტვინებენ კოლმეურმეობებში, რომ შემდეგ მათ მთელ თავს ვეღარ შეაგროვებ. იქ დაიწყე, აქ ვეღარ მოათავე... ვეღარც კი ხედავ, როგორ იზრდება ჩვენს შემდეგ, ან ვინ არის ამაში დამნაშავე — მე თუ სხვა ვინმე. ყოველნაირად ვცდილობ, მაგრამ ვერ მივაღწიე იმას, რომ ბრიგადა განსაზღვრულ კოლმეურნეობებს მიამაგრონ. ოდესმე კი მაინც მივაღწიე! ვინმე შეამჩნევს ზევიდან. მე ხომ მოჯამაგირე არა ვარ, რომ მოვხნა და შემდეგ აღარაფერი მესაქმებოდეს! მე პასუხს უნდა ვაგებდე მუშაობისათვისაც და მოსავლისათვისაც. მე, მართალია, ვიბრძვი, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომელთათვისაც სულერთია ყველაფერი. ბრაზი მახრჩობს, როცა ამას ვხედავ. კულნიციმ ხომ სული ამოძარტვა, ასეთებს კიდევაც აქებენ. ძალიან მოსწონს მას ის, ვინც უჯერებს; მე კი ყოველდღე ვეჩხუბები და ცოტა რამეს მაინც ვახერხებ. ლუკა მიტროფანოვიჩის მარტო ჩემმა ერთმა ბრიგადამ ასი დესეტინა ნასვენი მიწა მოუმზადა. ჩვენ თვითონვე დავთესავთ. ნასვენი, უნდა გითხრა, საჩაქებოა! იმ ნასვენის თვითეულ ჰექტარზე თუ თოთხმეტ-თვრამეტ ცენტნერს არ აიღებს მოხუცი, თავი მომჭერით.

— ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ აი სწორედ ურთიერთმოქმედება გავლიათ, — გაიღიმა სერგეიმ და ლესია და ლუკა მიტროფანოვიჩი გაახსენდა.

— სწორედ ურთიერთმოქმედება, — მხიარულად დაეთანხმა ფედორჩუკი.

სერგეი უსმენდა ფედორჩუკს და თან ფიქრობდა, რომ საჭიროა კულ-

ნიციის ნახეც — დიდი ხნის, სკოლის მეგობარია. სალბათ, ვორონოვთანაც მოუხდება ლაპარაკი, თვითონ მან თხრავა სერგეის. ახლა კეთილი ინიბოს და მოუხმინოს.

— მართლა, კულნიცი მიწადმოქმედების განყოფილებაში მუშაობს?

— დიახ! მიწადმოქმედების განყოფილებაში, უფროს აგრონომად ეშმაქმა წაიღოს მისი თავი!

— მოსავალი როგორია რაიონში?

— ბევრი არაფერია, სერგეი. გვალვამ გაგვანადგურა. მართალია, გვალვას ყველგან ერთნაირად არ უმოქმედნია. აი, მაგალითად, ლარისა დიმიტრიევნას საქმე ცუდათ არა აქვს. შენ ის უკვე ინახულა? — ფედორჩუკს გაეღიმა. — ალბათ, როგორც კი სოფელში ფეხი შემოდგი, მაშინვე მასთან გაიქეცი. რაც არ უნდა თქვა, ძველს ვერ დავივიწყებ... ჰოდა, იმას ვაცილებით უკეთესად აქვს საქმე, მაგრამ ასეთი კოლმეურნეობები რაიონში ბევრი არ არის. — ახლა ლესიას ფედორჩუკიც ლარისა დიმიტრიევნას ეძახდა.

წელს ლარისა დიმიტრიევნა, შეიძლება ითქვას, პირველ ადგილზე გამოვიდა. აგროტექნიკა — აი რაშია ძალია. — თქვა ფედორჩუკმა და საჩვენებელი თითი მნიშვნელოვნად გააქნია. — მან მოახერხა დაეგროვებინა თოვლი, შემოენახა ტენი და, როგორც წესი და რიგია, ისე დაემუშავებინა მინდვრები, მაგრამ მთავარი ძალია მაინც, ხალხია! მის კოლმეურნეობაში კი ხალხი მეგობრულადაა განწყობილი, ახალგაზრდობაც მარჯვე ყავს. მათ მოროზს იცნობდი? თუმცა, რა გასაკვირია: ოცდაათში ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ახლა კი რაიონში პირველი ბრიგადირია. სიმინდზე მუშაობს. ხომ გინახავს მდინარესთან რომ ყანაა? ნახე? ჰოდა აი ის არის მოროზის სიმინდი! გვალვა ვითომ არც კი ყოფილიყოს! საოცარია, თუმცა საქმის შინაარსს თუ მივხედავთ, არავითარი საოცრება აქ არ

არის. ხალხი კარგად მუშაობდა, ისე, როგორც წესია დაიჯერებ, ყოველდღე თერმომეტრით ზომავდნენ მიწის ტემპერატურას! აგრონომები ამბობენ, თათო ჰექტარზე ას-ას ცენტნერს აიღებ-სო. საერთოდ კი მათს კოლმეურნეობაში თვითვე ჰექტარზე ათ-თორმეტ ცენტნერ მარცვლულს მიიღებენ.

ლუკა მიტროფანოვიჩის საქმეები კი ცუდათაა. ჰექტარზე სამი-ოთხი ცენტნერიც რომ აიღოს, ისიც კარგი იქნება. ბევრ რამეში ლუკა დამნაშავე არ არის, ის თავმჯდომარედ მხოლოდ ამ გაზაფხულზე აირჩიეს. მის არჩევამდე კი მის კოლმეურნეობაში ოქტაბრის შემდეგ გასულ წელთა რიცხვზე მეტი რაოდენობის თავმჯდომარე გამოიცვალა.

რა თქმა უნდა ლუკა მიტროფანოვიჩსაც მიუძღვის დანაშაული... მაინცდამაინც თავმჯდომარეობაზე გული არ მიუღის. მას ბოსტნები უფრო იზიდავს. გარდა ამისა, ბევრი სისულელეც ჩაიდინა. მორიზს უნდოდა დახმარებოდა, ურჩევდა, თუ რა სჯობდა სიმინდის დამუშავებისათვის; ლუკამ კი არ დაუჯერა და ძალიან ადრე დათესა. სიმინდს ყინვებმა დაკრა. ახლა მათე რომ გაახსენებს ამას, ლუკას გული მოსდის. ამბობს: კომკავშირმა ომი გამომიცხადაო. ოც ჰექტარამდე საშემოდგომო ნათესი მოეყინა. ურჩიეს ხელახლა დაეხრა და ფეტვი დაეთესნა, მაგრამ ის ამ საქმეს აჭიანურებდა, წვიმას ელოდებოდა. ამბობდა, წვიმის შემდეგ ქვავე გამოსწორდებაო. წვიმა სულაც არ მოსულა და მთელი საშემოდგომო ნათესი ამოიწვა. საგაზაფხულო ნათესმა მიწა ძლივს დაფარა. თავთავი ასე თუ ისე, აქა-იქ მოიანს, მაგრამ ღერო მიწას ორი გოჯითაც კი არ ამორებიან. კომბაინის გაშვებაც კი არ ღირს. ახლა კი მოხუცს ყოველი მხრიდან კბენენ. მისივე ხალხია უკმაყოფილო უპუროდ რომ რჩება. ერთმანეთს ეჩხუბებიან, ხოლო ზოგიერთები ჩუმჩუმად

სამუშაოსაც კი არიღებენ თავს. საჩუქრ-მწიფოსაც ვერ გაუსწორებენ ანგარიშს. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები კი მათზე თითოთი ახევენ: უქნარები, მთელი მოსავალი დალუპეს, ახლა კი ჩვენ უნდა დაეხმაროთო. ერთი სიტყვით, ურთიერთმოკმედება აკლიათ.

მართალია ჩვენს ლუკა მიტროფანოვიჩს ბოსტანი კარგი აქვს, მისი კარტოფილი მთელ რაიონში სანაქებოა, რამდენიმე ათეული ძირი ამოთხარეს, აწონეს, ინგარიშეს და ნახეს, რომ ჰექტარზე ორას ორმოცდაათი ცენტნერი მაინც უნდა მოვიდეს. მაგრამ რა, კარტოფილი სულ მხოლოდ ოთხი ჰექტარია. მოხუცს ვერც ბოსტანმა უშველა. ქების ნაცვლად იმას ამბობენ, რომ მოხუცმა ზორბალი კარტოფილს ანაცვალაო. ეხ, ცუდათაა ლუკა მიტროფანოვიჩის საქმეები.

ფედორჩუკს მაინცდამაინც სასიამოვნო ამბები არ უთქვამს, მაგრამ სერგეის მისი ლაპარაკი მაინც ახარებდა. ამ ორ დღეში აქ ახალნიღვრებში სერგეი ბევრ ხალხს შეხვდა: ლესიას, ლუკა მიტროფანოვიჩს, იაგორს, ტოლიას, მარუსიას და ფედორჩუკს. არც ერთ მათგანს არ უამბნია და არც შეუნივლია თავის პირად, ოჯახურ ბედნიერებასა თუ უბედურებაზე. ეს ხალხი ფიქრობდა და ოცნებობდა არა თავის ვიწრო ინტერესებზე, არამედ კოლმეურნეობაზე, კოლექტივზე, პასიურად კი არ ხედებოდნენ ცხოვრებას, არამედ იბრძოდნენ, მის გასაუმჯობესებლად. ბევრი დაბრკოლება ელოდებოდა მათ ამჟამი, მაგრამ ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ გაიმარჯვებდნენ და სწამდათ, რომ ის დღევანდელზე უკეთესი იქნებოდა, და ყველა მათგანი — ლესიაც, მორიზოვიც, ფედორჩუკიც თავისი ნასვენ მიწით და ლუკა მიტროფანოვიჩიც კი თავისი კარტოფილით, თავისებურად იმარჯვებდა ბუნებაზე ამ გვალვიან ზაფხულში.

თითქოს სერგეის აზრების დასადასტურებლად, ფედორჩუკი ადგა და უკევა:

— ეხ, ერთ ორ წელიწადს არ მახლებდნენ ხელს და მიმამაგრებდნენ ორ-სამ ისეთ კოლმეურნეობაზე, როგორც ლარისა დიმიტრიევნას, ან ლუკა მიტროფანოვიჩის კოლმეურნეობაზე, მე მათ პირდაპირ სამოთხედ ვაქცევდი!

სერგეის უეცრად თითქოს ცოტა შემურდა კიდეც. აი, ეს ხალხი მუშაობს, დელავს, დეობს და ის კი მხოლოდ ისვენებს. ისიც კი შემურდა, რომ მარუსია მონდომებითა და დაკვირვებით სწმენდა ჩვართ ტრაქტორის მოტორს.

ქიშკარში ძველი პატარა ავტომობილი რახრახით შემოვიდა.

ფედორჩუკმა გაიხედა მისკენ.

— პირდაპირ სული ამოვიდა, — უკმაყოფილოდ თქვა ფედორჩუკმა.

— აი რა... — ფედორჩუკმა მიუთითა ტრაქტორზე, რომელიც ორმოსთან იდგა, — ეს ტრაქტორი რაღაცას პირვეულობდა და გადაეწყვიტეთ თესვის წინ მოგვეწესრიგებინა. მაგრამ მთავარი აი რა არის: ხომ ხედავ ამ ნაწილებს? ჩვენი პარკი საკუთარი ძალებით გვინდა შევაესოთ. ტრაქტორი ეზოში დიდხანს იდგა; დეტალების ნაწილი დაიტაცეს, ნაწილი დარჩა. მოტორი არ ვარგოდა და მე გრიციუქს ვარგისი გამოეტყუე. დეტალებს თავი მოუტყარე. ორ თვეს ვმუშაობდით თავისუფალ საათებში. ახლა უკვე ყველაფერი გვაქვს, მარტო აწყობაა საჭირო. სწორედ დღეს ვაპირებდი აწყობას: ბიჭებიც თავისუფალი არიან და მეც თითქოს თავისუფალი ვიყავი. მაგრამ ხომ ხედავ, ძუკოვკაში რაღაც მოხდა და ახლა იქ უნდა წავიდე. შენთან ლაპარაკითაც ვერ ვიჯერებ გული. ბოლმა მახარობს! იცი, რა? შენ აქ დამიცადე ანდა, თუ გინდა, ერთად წავიდეთ. შემდეგ გაებრუნდეთ და ჩემსას წავიდეთ, ვისადილოთ და ძველი ამბებიც მოვიგონოთ.

— მართალი ვითხრა შეც მინდა კიდე შენთან ლაპარაკი. ეცე, რა? ამ მზეში შენს ჯაბახანაზე ვფიქრობდი შემიძლია. უკეთესია, აქ დაგელოდები. სანამ შენ დაბრუნდები, მე შენს კოპკავშარლებს დავეხმარები. თანახმა ხართ?

სერგეი უკვე კიტელს იხდიდა და თვალთ ეძებდა დასაყიდებელ ადგილს.

— ძალიან კარგი! კარზე ჩამოკიდე...

სერგეიმ თეთრი პერანგის სახელოები იდაყვის ზევით აიკაბიწა, ისევე როგორც მარუსიას ჰქონდა აკეცილი. ტრაქტორის ფრთიდან ფრანგული ქანჩსალები აიღო და კარტერის ქანჭივზე მოსინჯა.

მარუსიამ თავი შალა აიღო, გვერდზე გაიწია, სერგეისათვის რომ ადგილი მიეცა და თან გაიღიმა, თვალბში კი ისევ სერიოზული გამომეტყველება შემრჩა. მხოლოდ პირთან გაწოლილი წერილი ხაზები უფრო გაღრმავდა. სერგეიმ სითბო და სიხარული იგრძნო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უკვე რამდენიმე წელიწადია იცნობდა მარუსიას და აქაც დიდი ხანია, რაც მუშაობს. მარუსიას ღიმილმა და წამწამების რხევამ სერგეის ლესია მოაგონა, ისეთივე როგორც ის შაშინ, იმ გაზაფხულზე იყო...

III

შეორე დღეს, დილით, სერგეი კოლმეურნეობის გამგეობაში შევიდა და იქ ლუკა მიტროფანოვიჩი ნახა. მოხუცი შუა ტანის, მსუქანსახიან ქალიშვილს ედავებოდა; ქალიშვილი დაახლოვებით თვრამეტი წლისა იქნებოდა. ლუკა აღელვებული და გაბრაზებული იყო. ლოყებაწითლებული ქალიშვილი გამოროტებული თვალებით უყურებდა მას და ცხვირის ნესტოები უთრთოდა.

— მე კი გეუბნებით, რომ უნდა გააფორმოთ და მომცეთ! — თითქმის ყვირილით ამბობდა ქალი.

— არაფერსაც არ მოგცემ და არც გაგიშვებ! — ცხარობდა ლუკა მიტროფონოვიჩი.

— არა, გამიშვებთ!

— არ გაგიშვებ. ყველას სადღაც გაქცევა უნდა, თითქოს კოლმეურნეობას ხალხი არ ესაჭიროებოდეს.

— უჩემოდაც საკმარისი ხართ.

— სულერთია, საბუთებს არ მოგცემ.

— ბოიკოსთან გიჩივლებთ. ერთი კვირის შემდეგ უთუოდ უნდა წაივლიდ.

— რა ჩემი უფროსია შენი ბოიკო?

— კომკავშირის რაიკომმა იმას დაავალა ყველაფერის ორგანიზაცია.

— ჰო და, შენც კომკავშირის რაიკომში წადი.

— იქ უთქვენოდაც წავალ, ჯერ კი თქვენთან მოვედი.

— მე კი არ მოგცემ.

— უნდა მომცე. — დაჟინებით ამბობდა ქალი. თვალბზე ცრემლი მოადგა.

დავაში სერგეი ჩაერია.

— რა მოხდა ლუკა მიტროფონიჩი?

— ერთი შეხედე და დასტკბი, იოლი პურის ჭამა და ბევრი ფული მოსურვებია. თითქოს კოლმეურნეობაში სამუშაო არ იყოს, დონბასში წასვლა განურჩავს. საბუთები მიართვი!

— დონბასში იოლი სამუშაო არ არის, — თავშეკავებით უპასუხა სერგეიმ.

ლუკა მიტროფონიჩიმა ყურები ცქვიტა და ხმას დაუწია. ქალმა სერგეის იმედით შეხედა.

— დონბასში უთუოდ უფრო ძნელია მუშაობა, ვიდრე კოლმეურნეობაში. ბევრი ფულის შოვნა კი მხოლოდ მძიმე შრომით შეიძლება. ისე რომ თქვენ ნუ ცხარობთ, ლუკა მიტროფონიჩი!

— მე რა, მე თვითონაც მესმის, მაგრამ კოლმეურნეობაში ვინმემ ხომ უნდა იმუშაოს? განა ხალხი აქ საჭირო არ არის? ისედაც ვერაფერს ვასწრებთ.

— ხალხი ყველგან საჭიროა. — მშვიდად უთხრა სერგეიმ. — თუ კი მაგას სურვილი აქვს, რად უნდა დაავუო? ხალხი იქაც საჭიროა და აქაც. შეიძლება იქ უფრო მეტად იყოს საჭირო. თქვენთან სამუშაოზე თუ ყველა გამოვა და წესიერად იმუშავენს, ხალხი უმაგისოდაც გეყოფა. ეს კი უნდა გაუშვა. — თქვა მან და ქალს შეხედა. — ამისგან უთუოდ მეორე სტახანოვი და ლუკიევიჩი გამოვა. მიეცით ქალიშვილს ცნობა.

ქალიშვილმა გაიღიმა, მის სახეს გაჯაერებული გამომეტყველება მოშორდა და თვალბში მხიარული და ეშმაკური ნაპერწკლები გაუბრწყინდა. ლუკა მიტროფონოვიჩი მაგიდას მოშორდა და მოშორებით ჩამოჯდა. წუთით-დაბლვერილი იყო და უღვაშებს იწიწნიდა.

— აი მიეცემ! — თქვა ურყევად და ხელის გული ისე დაჰკრა მაგიდას, თითქოს თავის სიტყვებს ბეჭედი დაარტყაო.

— როგორ? — გაუკვირდა სერგეის. — რას ამბობთ ლუკა მიტროფონიჩი!

— არ მიეცემ, ვთქვი და გავათავე. — უკვე ბრახმორევით თქვა მობხეცმა.

სერგეიმ იგრძნო რომ სიბრაზე მასაც ერეოდა.

— თქვენ გესმით რაზეა ლაპარაკი? — ჰკითხა სერგეიმ თავშეკავებით, — თქვენ გგონიათ, რომ ეს ამ ქალიშვილს პირადი საქმეა? ხომ იცით, რომ კოლმეურნეობები თხოულობენ უფასოდ და უფრო მეტ ტრაქტორებსა და მანქანებს. ქარხნები და ფაბრიკები აღსადგენია. ამისათვის საჭიროა ნახშირი. ნახშირი კი დონბასშია. დონბასი დანგრეულია. ვინ უნდა აღადგინოს ის? უცხო მია ხომ არ მოვა და არ აღადგენს? ეს საქმე სახელმწიფო საქმეა ლუკა მიტროფონიჩი!

— მე რაღა მაქვს? საკუთარი მეურ-

ნეობა ხომ არა მაქვს? კოლმეურნეობაც ხომ სახელმწიფო საქმეა.

— ყველაფერი სახელმწიფოსია, ყველაფერი ჩვენია. მაშასადამე, ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ძალები თანაბრად განაწილდეს, რომ ჩვენი საზოგადოების ყველა უბანმა შეთანხმებულად იმუშაოს ისე, როგორც კარგი საათი მუშაობს.

— რა შენი აგიტაცია მჭირდება, ყველაფერი თვითონაც კარგად ვიცის მაგრამ მე რაღა ვქნა? — ყვიროდა მოხუცი. — რა გგონია, განა მართო ეს არის? არ შემძლია, რომ ამ გაცხარებულ დროს, თიბვის დროს, კოლმეურნეობიდან შეიდი კაცი გავუშვა. არ შემიძლია მორჩა და გათავდა.

— უთუოდ უნდა გავუშვა. აუცილებელია ყველაფრის ისე დაგეგმვა, რომ ხალხი წავიდეს, და მათმა წასვლამ კოლმეურნეობის მუშაობაზე არ იმოქმედოს. ყველაფერი ორგანიზაციანებად მოიკიდებულა.

— მაშასადამე, შენი თქმით, მე ორგანიზაციის უნარი არა მქონია?

— არ ვიცი, მაგრამ, შე გგონია, რომ კოლმეურნეობაში ყველა ადამიანი სრულიად არ არის დატვირთული.

— იპ, რამდენია ჩრდილში მხართეძოზე წამოწოლილი! — ჩაერია ლაპარაკში ქალიშვილი.

— წამოწოლილი! — ფეხზე წამოხტა ლუკა მიტროფანოვიჩი. — წადი და უთხარი რომ მათ იმუშაონ შენს მაგვირად.

— ეს თქვენი საქმეა!...

— თქვენი საქმეა!... ყველაფერი ჩემი საქმეა. სხვებს კი რა ესაქმებათ! შუაზე ხომ ვერ გავიჭრები? არ გავუშვებ, მორჩა და გათავდა!

სერგეის სიბრაზე მოერია.

— რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი? თქვენ კარგად იცით, რომ ვაუშვებთ. სხვათაირად არ შეიძლება. ეს საქმის სულ ზედმეტი გაკიანურებაა.

ლუკა მიტროფანოვიჩმა აჩქარებით იწყო ოთახში სიარული.

— გავუშვებ? მაშ, კარგი. შველას გავუშვებ ყველას. ქერიც, ცხენიც, ციციც, თუ გინდ, ყველას წაგვადგინებს. ამხანაგო გაპონენკო, — დაუძახა მან მოანგარიშეს, — დაუწერეთ ამას ცნობა! ყველას დაუწერეთ! — დაიყვირა ლუკამ და კარების ჯახუნით გაეარდა კანცელარიიდან.

კანცელარიაში სიჩუმე ჩამოვარდა. მოანგარიშე რაღაც ქაღალდებს არჩევდა. კარებთან თავჩაღუნული ქალიშვილი იდგა. სერგეიმ უხერხულობა იგრძნო. — ესაა შეხვდა ლუკა მიტროფანოვიჩის და უკვე წაეხუბა. შეიძლება არ იყო საჭირო მისი ჩარევა? მოხუცსაც უჭირს. „დამშვიდდეს ბიძაჩემი და მერე მოველაპარაკები“, — გაიფიქრა სერგეიმ.

თავი მეოთხე

ლუკა მიტროფანოვიჩი მართლაც დიდ გაჭირვებაში იყო.

ჯერ კიდევ დამით გაეღვიძა მას. პორიზონტისაკენ გადახრილი მთვარე გავარვარებული რკინის ნატეხივით ლაღლაკებდა.

ველარ დაიძინა ლუკა მიტროფანოვიჩმა, მძიმე ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ. ქერი უკვე შემოვიდა, მაგრამ კომბაინით მისი აღება მოუხერხებლად ეჩვენება, რადგან დაბალია და შეიძლება ხედერმა მხოლოდ თავთავები წააჭრას. ხელით, ნამგლით უნდა მოამკევიროს, მაგრამ ამდენი ხალხი საიდან მოიყვანოს? ეს წყუთლი სიცხეც სულ მეტად წვაფს და წვაფს! პატარა წვიმა მაინც მოსულიყო! აქ კიდევ სამიწათმოქმედო განყოფილებიდან დირექტივი გამოუგზავნეს; წლეულს, მგონი, მესამედ უგზავნიან, ეკითხებიან — როდის დაამთავრებს, ბოლოსდაბოლოს, კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის შედგენას. ეშმაკმა იცის, როდის იქნება მზად! თავი ველარაფრისთვის გაურთმევი!

ლუკა მიტროფანოვიჩი ადგა, სერგეი რომ არ გაეღვიძებინა, ფრთხილად ჩაიცვა, კარი წყნარად გაიხურა და ეზოში გავიდა. ზეცას შეხედა — ღრუბლის ერთი ნაკერიც არსად ჩანდა. ამოიხვნეშა და კოლმეურნეობის თავლისაკენ გასწია. თავლასთან დამის დარაჯი — სემიონ ბელოზუბი იდგა; ის გაზეთის ქაღალდში მსხვილად გახვეულ თამბაქოს ეწეოდა და თავისფერ, მეჩხერ წვერზე ხელს ისვამდა.

— გამარჯობა, მოხუცო, — მიესალმა მას ლუკა მიტროფანოვიჩი.

— გაგიმარჯოს, რა მოგსვლია? ეშმაკები ჯერ კიდევ ფერხელს უვლიან, შენ კი უკვე ამდგარხარ.

— არ მეძინება... მოდი, ერთი თამბაქო მოფწიოთ — ლუკა მიტროფანოვიჩმა ნაფაზი დაარტყა და ცას ახედა.

— წვიმისას არაფერი უგავს, მოხუცო, ა?

— არაფერი უგავს.

— კატუშა გამომიყვანე.

სიმონი წავიდა და ხველებ-ხველებით გამოუყვანა თავლიდან კარგად გამოძლარი და დაბალტანიანი ცხენი. ლუკამ ის ორთველაში შეაბა და მინდვრისაკენ გასწია.

მთვარის შუქზე ყანა ქაღალდის დიდი ფურცელივით იყო გადათეთრებული. მეჩხერი და დაბალი ქერი, ხუთიოდე გოჯით თუ ასცილებოდა მიწას, მაგრამ ოთხ-ოთხი ცენტნერის აღება მაინც შეიძლებოდა.

სანამ ცხენი გზისპირას ბალახს ძოვდა, ლუკა მიტროფანოვიჩი შუაგულ ყანაში შევიდა, თავთავი მოწყვიტა და ხელის გულზე მოფშვნა. ღერო გამხმარი და მწიფე იყო, მარცვალი — გამოშშრალი და დანაოკებული. კიდევ ერთი-ორი დღე და უკვე დაცვენას დაიწყებდა. კომბაინის შესახებ, რა თქმა უნდა, ფიქრიც არ შეიძლებოდა.

გამრავებულმა ლუკა მიტროფანოვიჩმა, წყნარად მძღარ ცხენს მათრახი გადაჰკრა. მოულოდნელობისაგან ცხე-

ნი განზე გაბტა და ხელნა გატეხა. ლუკა დიდხანს ილანძღებოდა ფეფურცელილობდა აღვირით როგორმე შეეძლოდა ტეხილი ხელსა, შემდეგ კი ფრთხილად და ნელ-ნელა წავიდა სოფლისაკენ, ისე რომ ქერის გადარჩენის საშუალება ვერ გამოჩანა.

სახლში საუზმეს ხელიც არ დაიკარა. დღეს არაფერი არ მოსწონდა და ძალზე აღრენილიც იყო. კანტორაში საბუთებისათვის რომ ქალიშვილი მივიდა, ჯავრი იმაზე იყარა. ლუკას განსაკუთრებით ის წყინდა, რომ მათ დავაში სერგეი ჩაერია, და თავგზააბნეულმა რა არ აჯადრა სტუმარს. ამის შემდეგ მთელ ნახევარ საათს მოუსვენრად შფოთავდა: სამქედლოდან სადურგლოში გარბოდა და სადურგლოდან — ფერმაში, მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა და ხელახლა კანტორაში დაბრუნდა. კანტორაში აღარც სერგეი იყო და აღარც ქალიშვილი. მონაგარიშვეც კი სადღაც წასულიყო. კარები სულ ღია დაეტოვებინათ. მხოლოდ კოლმეურნეობის შიკრიკი, „ლიპკურიი“, როგორც მას ეძახდნენ, შავი და ფოლაქივით მრგვალი თვალებიანი, ლოყა წითელა, ცამეტი წლის ვალოდკა, გულმოდგინედ ხვეტავდა წყლით მოსხურებულ იატაკს. ვალოდკა წესიერი და ყოჩაღი, მაგრამ ცნობისმოყვარე ბიჭი იყო და ხშირად ერეოდა სხვის საქმეში. ლუკა მიტროფანოვიჩი რომ დაინახა, ხვეტას თავი დაანება და წელში გაიმართა.

— დილა მშვიდობისა, ვლადიმერ იგნატჩი! — მიესალმა ლუკა მიტროფანოვიჩი. — არავინ ყოფილა?

— გამარჯვებით, ლუკა მიტროფანოვიჩი! არავინ ყოფილა. ასე აღრიანად რად შეწუხებულხარ?

— ყველაფერი რომ გაიგო, მალე დაბერდება.

— იცით, ლუკა მიტროფანოვიჩი, გუშინ ლარისა დიმიტრიენას ქვაგი, აი იქ, ტყისპირას რომ თესია, სასინჯად ერთ ჰექტარამდე გაღვწეს.

— შერე?

— თორმეტი ცენტნერი გამოვიდა.

— შერე შენ რა გესაქმება ლარისას კუავთან? — რატომღაც გაბრაზდა ლუკა მიტროფანოვიჩი. — შენ ყველაფერში უნდა ჩაერიო...

— მე ისე, ტყუილებრალოდ ვთქვი...

— ტყუილებრალოდ! აი რა, ვალოდია, შენ ახლა თავი დაანებე დალაგებას და პირველ ბრიგადაში გაიქეცი; კოვალჩუკს უთხარი, რომ ახლავე გაგზავნოს ხალხი შავი ხევისაყენ ქერის მოსამკეულად. აბა, ჩქარა! ერთი ფეხი აქ რომ გექნეს, მეორე იქ დაჰკარი...

ვალოდიას განმეორება არ სჭირდებოდა. არც ის იყო საფიქრებელი, რომ მას რაიმე აერეოდა. ყველაფერი ახსოვდა და ყოველთვის სიტყვა-სიტყვით გადასცემდა დანაბარებს. ზოგჯერ თავისასაც დაუმატებდა, რადგან ყველაფერი იცოდა, რაც კოლმეურნეობაში ხდებოდა: სად რა იდგა, სად რა იყო დათესილი, რა იყო გაყეთებული და რა არა. ახლა კი, ნაცვლად იმისა, რომ კარებისაყენ გაქცეულიყო, შუაგულ ოთახში იდგა ცოცხით ხელში და ისე გაცხებული შეპყურებდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, თითქოს მას წარმოუდგენილი სისულელე ეთქვას.

— ლუკა მიტროფანოვიჩ, გუშინ თქვენ თვითონ არ მიეცით დავალება კოვალჩუკს, რომ შვრიაზე წასულიყო?

მართლაცდა, როგორ დაავიწყდა? ამ ამბავმა ლუკა კიდევ უფრო გააბრაზა.

— ნუ იცი ყველაფერში ცხვირის ჩაჩრა... რასაც გეუბნებიან. ის გააკეთე! — და, თითქოს თავს იმართლებსო, დასძინა: — შვრიას ეშმაკიც ვერაფერს დააკლებს, ის ჯერ კარგად მოსულიც არ არის, ქერი კი უკვე დაცვენას იწყებს, აბა, მოჰკურცხლე!

— საით მოვკურცხლო? კოვალჩუკი თავისი ბრიგადით ჯერ კიდევ გათენებამდე წავიდა შვრიის სამკელად!

— აი ესეც უბედურება!

ლუკა მიტროფანოვიჩი დაიბნა. „კარგი, ერთ დღეში მგლები უკომარე შეგქმენ, დეე ხვალიდან ქერტაშეფუდგენენ...“ კარებში გასვლისას თქვა:

— ვალოდია, თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, რომ კალოზე წავედი და სადილობისას დავბრუნდები. მოანგარიშეს გადაეცი, რომ ყველა საბუთი დაამზადოს.

— შესმის! — უპასუხა ვალოდიამ თავაუწევლად.

დღეს მანქანების საქმეც ვერ იყო მოწესრიგებული. ტრაქტორის ამბრავი დვედი გაწყდა. მემანქანე იჯდა და აკერებდა მას, ლუკა მიტროფანოვიჩი ილახდებოდა, მემანქანე კი მსხვილი სადგისით ხერტდა ტყავს, შიგ გაყრილ გრძელ და თეთრ თასმას კბილებით ქიშავედა და თან მკვახედ პასუხობდა:

— მე თქვენ არ გაბრკოლებთ.

— როგორ თუ არ მამბრკოლებ? გახედე, მზე სად არის!

— თქვენი ხალხი სადღაა?

ხალხი ჯერ მართლაც ცოტა იყო. ლუკა მიტროფანოვიჩმა განკარგულება გასცა აემულშავებინათ მანქანა, კალოს გამგე მაგიდასთან დააყენა, მწონავს მხების მოწოდება უბრძანა, თვითონ კი ხელში ხის ორკაბი აიღო ქალიშვილთან ერთად ჩაღის განზე გადაყრა დაიწყო.

ჩალა ბევრი გამოდიოდა. ლუკა მიტროფანოვიჩი მას ორკაბით იღებდა, რამდენჯერმე შეარხევდა და მძლავრი მოქნევით პირდაპირ კაბლაზე ისროდა. მის გვერდით მდგომი ქალიშვილიც ღონივრად და ნაცადი ხელით იღებდა ჩალას. დაძაბული და მონღოიმებული მუშაობა ლუკა მიტროფანოვიჩის თითქოს მდგომარეობას უადვილებდა და ამშვიდებდა. სიმართლე რომ თქვას კაცმა, ეს მუშაობა უფრო ოილი იყო მისთვის, ვიდრე ქერზე, შვრიაზე, პურის დამზადებასა და გეგმებზე ფიქრი...

მზე ჯერ კიდევ დაბლა იყო, მაგრამ უკვე ცხელოდა. ლუკა მიტროფანოვიჩს

აერანგი ზურგზე დაეკრა და კეფაზე ქული დაუსველდა. მთლად გამტკვრიანდა, მაგრამ ამას ვერ გრძნობდა, ქვეყანაზე ყველაფერი დავიწყებოდა და აჩქარებით მუშაობდა ორკაპით. ერთი საათის განმავლობაში ხალხი კიდევ მოემატა. ლუკა მიტროფანოვიჩი შეცვალეს. ორკაპის ხელიდან გაშვება არ უნდოდა. კიდევ დიდხანს იმუშაებდა სიამოვნებით, მაგრამ სამკედლოში უნდა წასულიყო და შეემოწმებინა, როგორ მიმდინარეობდა სათესი მანქანებისა და ფარცების შეკეთება, უნდა დაეთვალეოებინა ღორები და უნდა მიეკითხნა კოვალჩუკისათვის შვრიაზე. და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ იყო გასაკეთებელი... მუშაობის შემდეგ ლუკა მიტროფანოვიჩის გულზე ცოტა მოეშვა და დამშვიდდა. ნახორშეფრქვეული დამტკვრიანებულ ულვაშებითა და წარბებით გასწია მან სოფლისაკენ.

სოფლისაკენ მიმავალმა ლუკა მიტროფანოვიჩმა ვერ მოითმინა, თითქოს შემთხვევით, მარცხნივ, სათიბებისაკენ გადაუხეია და „მოულოდნელად“ ბოსტანში შევიდა. წყლისპირას, ვაზებს იქით, ტანსაცმელი გაიფერთხა, პირი დაიბანა, გაგრილდა და მომწვახო ფერას კომბოსტოს თავებს შორის გაიარა.

აქ ლუკა ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში, მის ყურადღებას არაფერი არ ეპარებოდა. როცა თვალი გადაავლო ბოსტნის მუქ-მწვანე მართკუთხედს, შეამჩნია, რომ კარტოფილის ორ ბუჩქს ვილაცის ურემი წამოდებოდა და გაეთელნა. კომბოსტო ამ დილით მოკრწყოთ, მაგრამ ცუდად: მდინარესთან ახლოს მდებარე კვლები კარგად იყო მორწყული, მოშორებით მდებარე კვლებში კი მიწა უკვე გამხმარიყო. გუშინ ქალიშვილებს პამიდორის მოკრეფისას ორი დიდი ტოტი მოეტეხნათ, ხოლო ერთი ბუჩქი მთლად ფეხქვეშ გაეთელნათ. ფხვიერ მიწას ვილაცის ფართო ტერფის ღრმა კვალი აჩნდა. თურქული ფეტვი უკვე მზად იყო

და მისი მომკა შეიძლებოდა. სტაფილო კიდევ უნდა გაზრდილიყო და მოღონიერებულიყო. წითელი წიწკა წიწკს კარგი ვერ იყო. აი ის ნესვები უკვე მოსაწყვეტია — დამწიფებას ფარდულში დამთავრებენ.

გორაკზე წამოდგმული კარივდან ლუკა მიტროფანოვიჩი ბარბალემ შეამჩნია და შესახვედრად წამოვიდა. ის ფრთხილად მოდიოდა, ადგილს არჩევდა, თუ სად უნდა დაედგა ფეხი. ბარბალე მსუბუქად მოარხევდა თავის ზორბა და მკვრივ ტანს, მსუქან ტუჩებზე ღიმილი დასთამაშობდა, პატარა შავი თვალები კი მზის სხივებზე ეკუთვებოდა. ლუკა მიტროფანოვიჩისათვის ყოველთვის სასიამოვნო იყო ბარბალესთან, მის საუკეთესო მოწაფესთან შეხვედრა. ლუკა მიტროფანოვიჩი ბარბალესთან ერთად ხელახლა შეუდგა ბოსტნის დათვლიერებას, თან რჩევა-დარიგებას აძლევდა. ბარბალე ჩუმად და ყურადღებით უსმენდა. დამოუკიდებელი მეზობტნე იგი მხოლოდ წლეულს გახდა და ლუკა მიტროფანოვიჩის ავტორიტეტს თავყანს სცემდა.

ლუკა მიტროფანოვიჩი სოფლისაკენ მდინარის ნაპირს გაჰყვა. ბოსტანი რომ განვლო, მოროზის სიმიდთან გავიდა. ხშირი და მწვანე სიმილი ადამიანის სიმაღლისა იყო, ხოლო ზოგან უფრო მაღალიც. ღეროებზე ღამაზად მოჩანდა დიდი და მოხარატებულივით მრგვალი ტაროები. ეს სიმილი ლუკა მიტროფანოვიჩის გალესილ დანასავით ესობოდა გულზე. მის ყოველ დანახვაზე ხასიათი უფუქტებოდა — მოროზისთვის რომ დაეჯერებინა და მაშინ დაეთესა, როცა ის ურჩევდა, მისი სიმილიც ასეთივე იქნებოდა. ლუკა მიტროფანოვიჩი ისე ჩაფიქრდა, რომ ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ წაადგა თავს მატვეი მოროზს და მოულოდნელობისაგან უკან დაიხია. მატვეის გაცინა:

— მონადირეს ხადირი არ გამოვლევია. გამარჯვებით, ლუკა მიტროფანოვიჩი რა დაგემართათ, თქვენიანებიც გამინებენ?

— გაემართათ, მატყვი ტერენტევიჩი! მე ვერც კი შეგამჩნევთ.

მატყვი მხოლოდ ოცდახუთი წლისა იყო, მაგრამ რაიონში მას ყველა თქვენივით მიმართავდა და მატყვი ტერენტევიჩის ეძახდა. მისმა კომკავშირულმა ბრიგადამ ამ გვალვიან წელიწადს სარეკორდო მოსაგალი აიღო. წელს მოროზი კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრად აირჩიეს. დაჯილდოებული იყო: დიდებისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და რამდენიმე მედლით. ის მხოლოდ გასულ გაზაფხულზე დაბრუნდა ჯარიდან.

ძნელი სათქმელია, რატომ მაინცდამაინც სიმინდმა მიიზიდა მატყვი. შესაძლოა მას აინტერესებდა არა სიმინდი, არამედ თვით ის ადამიანი, რომლის ხელითაც ყოველი საქმე წინებულად კეთდებოდა. მატყვიმ ფრონტიდან დაბრუნებისთანავე დნებროპეტროვსკიდან მისწერა წერილი მარკ ოზერნის და რჩევა სთხოვა. ოზერნიმ დაუყოვნებლივ უპასუხა. მოროზმა ისე დაიწყო შესაობა, როგორც უფროსი და გამოცდილი ამხანაგი ურჩევდა, და წელს იგი თითო ჰექტარზე სულ ცოტა ასი ცენტური სიმინდის აღებას მოელოდა.

მოროზი ლუკა მიტროფანოვიჩის გვერდით მიყვებოდა მოკლე, მაგრამ მტკიცე სამხედრო ნაბიჯით. მისი შეკრული და მკვრივი ტანი თითქოს დაუშრეტელ ენერჯიას ამჟღავნებდა. ეტყობოდა დღევანდელი დღე მოროზს თავისუფალი ჰქონდა. ლუკა მიტროფანოვიჩმა შეხედა მას და სინანულით გაიფიქრა: „ყველაფერს ასწრებს ეს ადამიანი; სამუშაო აღარებელია, თიბვის დროა, ამას კი თავისუფალი დროც რჩება“.

— შე კი თქვენთან პრეტენზია მაქვს, — თქვა მატყვიმ.

— რა პრეტენზია?

— ახლაც დაინახათ.

სიმინდის ყანას შემოუარეს ტახტრიდან ნაწვერალზე გადაუტყველეს სიმინდი კიდევ უფრო მაღალი და კარგი იყო. ბოლო მწკრივში ლუკა მიტროფანოვიჩმა სამი გადატეხილი ღერო დაინახა, ხაწვერალზე კი თეთრად მოჩანდა გადაღრღნილი და ჯერ კიდევ რძიანი ნედლი ტარო.

— ხომ ხედავთ, ლუკა მიტროფანოვიჩი?

— მერე რა?

— დღეს თქვენს ნახირს მოერეკებოდნენ და ჩანს ძროხა გადასულა.

— ეს დიდი უბედურება არ არის, მატყვი ტერენტევიჩი. ეს ზარალი მე შემძლია ავინაზღაუროთ.

— საქმე ანაზღაურებაში როდია. ხომ ხედავთ როგორი სიმინდია! სპეციალურად სათესლედ მაქვს. შეიძლება თქვენც დაგვირდეთ.

აქ მთელი ერთი ჰექტარია სათესლედ გამოყოფილი. ვფიქრობ, ას ოცდაათ ცენტნერს მაინც ავიღებ. ძალიან გთხოვთ ლუკა მიტროფანოვიჩი, მწყემსს უბრძანოთ, რომ ფრთხილად იყოს. თორემ ასე შეიძლება მთელი სიმინდი მოვთვლოთ.

— კარგი, მატყვი ტერენტევიჩი! ისე ეუბრძანებ, რომ ნახირს ახლოსაც აღარ ვაბატარებს.

— ძალიან მაღლობელი ვიქნები.

ისინი მოთიბული მინდვრით მიდიოდნენ. ლუკა მიტროფანოვიჩი სდუმდა. მოროზი ცდილობდა მოხუცს ფეხდაფეხ მიჰყოლოდა. მან პირველმა დაიწყო:

— რატომ არ გინდათ, ლუკა მიტროფანოვიჩი, სიმინდი თქვენც სინჯოთ? — ლუკა მიტროფანოვიჩი შეკრთა. მატყვიმ ეს შეამჩნია. — არა, საწყენად როდი ვამბობ, სერიოზულად გელაპარაკებით. სხვა რომ არა იყოს რა, მოსაწყენია როდესაც არავინ არის რომ შეეჯიბრო. მეც უფრო გაემზიარულდებოდი. სათესლეს მოგცემდით... ასე, თქვენ-

თვის — ერთ ხუთ ფუტს. თქვენც გამო-
ძიოფდით ვინმე თქვენგანს პრაქტიკა-
სათვის. აი, ეთქვათ, გალია საროჩენკოს.
იგი ახალგაზრდა და მუყაითი ქალიშვი-
ლია. ზამთარში შეგასწავლიდი ამ საქ-
მეს, გაზაფხულზე კი თქვენ უკვე საკუ-
თარი ბრიგადაც გეყოლებოდათ.

— თქვენ გალიას ისე ასწავლით, რომ
შემდეგ, ალბათ, ქორწილის გამართვაც
დაგვეპირდება, — გაეცინა ლუკა მიტრო-
ფანოვიჩს.

— ქორწილიც არ არის ურიგო საქ-
მე. კარგი ქალიშვილია, მზითევს კი,
თქვენი სიღარიბის გამო, არც კი მოგთ-
ხოვდით. მაგრამ მე სერიოზულად ვლა-
პარაკობ. ასეთ მოსავალს ყველა კულ-
ტურა როდი იძლევა.

ლუკა მიტროფანოვიჩს მოეჩვენა, რომ
მატვეი ცოტათი ტრამბახობდა. რა თქმა
უნდა, სატრამბოც ჰქონდა. მაგრამ
ლუკა მიტროფანოვიჩიც ზომ ცოცხალი
აღამიანია. მასშიაც გაიღვიძა სურვილმა
თულფს ჩასულიყო, მაგრამ ეს თულფი
არ გააჩნდა. მართალია, მის კარტო-
ფილს წელს კარგი პირი უჩანდა, მაგ-
რამ ის რა სახსენებელი იყო. სულ ოთხი
ჰექტარი თუ ექნებოდა. წატრამბახება კი
რითიმე მაინც უნდოდა. და ლუკა მიტ-
როფანოვიჩმა მოულოდნელად თქვა:

— ჩემთან ჩემი დისწული ჩამოვიდა.
დემობილიზებულია.

- განა თქვენ დისწული გყავთ?
- როგორ არა! სერგეი რუდენკო.
- სერგეი რუდენკო? რალაც არ მახ-
სოვს.
- პეტრე რუდენკო გაგიგონიათ?
- როგორ არა!
- ჰოდა, სერგეი იმის შვილია, ჩემი
კი — დისწული.
- მაშ საქმე ასეა. როცა ის აქ კომ-

კავშირს ხელმძღვანელობდა, მე ისე პა-
ტარა ვიყავი, რომ მაგიდის ქვეშ დავმე-
რებოდი. ძლივს მაგონდებდა.

— დიახ, ჩამოვიდა, — თქვა ლუკა მი-
ტროფანოვიჩმა. — გვარდიაში მსახუ-
რობდა. მაიორია. ლენინის ორდენი
აქვს.

კმაყოფილ მოხუცს ეგონა, რომ ამით
საბოლოოდ მოულო ბოლო მოროზს,
შეჩერდა და ხელი გაუწოდა:

— კარგად ვნახეთ, მატვეი ტერენ-
ტიევიჩ!

— ნახვამდის, ლუკა მიტროფანო-
ვიჩ.

მოროზი გორაკს აყვავა სიმინდის გას-
წვრივ. ლუკა მიტროფანოვიჩმა კი
ნახნავე პირდაპირ გადასერა და სოფ-
ლისაკენ გაეშურა. კოლმეურნეობაზე
და იმაზე ფიქრმა, რომ მას არ ძალუძს
თავი გაართვას მეურნეობას, კვლავ
მოიცივა მისი გონება. ეხ, პეტრე რომ
იყოს ცოცხალი! ის გაუძღვებოდა
კოლმეურნეობას... მოილაპარაკებდნენ,
მოითათბირებდნენ... ლუკა კი ბოს-
ტანს მოჰკიდებდა ხელს. ახლა კი გა-
ნაწესები უნდა წეროს, დირექტივები
შეისწავლოს, ხალხს უხელმძღვანელოს
და გეგმები შეადგინოს. რა გაეგება ამ
გეგმებში? არა, ეს დიდი ამბავი მისი
საქმე არ არის. მარტო მიწაა ორი ათას
ჰექტარზე მეტი! ახლა ფერმა, სახე-
ლოსნოები!.. სერგეი მაინც დარჩებო-
დეს დიდ ხანს. კარგი იქნებოდა სერ-
გეისთანა კაცი რომ ყოფილიყო კოლ-
მეურნეობის თავმჯდომარედ. მას ეცო-
ლინებოდა, რა უნდა გააკეთოს. სერ-
გეისთან მოლაპარაკება საჭირო, თუმ-
ცა უხერხულია — სტუმარია, მაგრამ
გეგმების შესახებ მაინც უნდა მოე-
თათბიროს მას.

თარგმანი რაჟდენი გვანაძიძისა.

(გაგრძელება იქნება)

სოლომონ ხაშიშვილი

რაუილ ერისთავი

ბარდაცვალებიდან 50 წლის უმსაზღვრეს გაცოცხლებიდან



რაფიელ ერისთავი იყო ქართული მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო ოსტატი, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების კარგი მცოდნე და ამსახველი, ქართული თეატრის მესვეური, დიდი რუსი მწერლების — პუშკინისა და კრილოვის მთარგმნელი, მგზნებარე პატრიოტი. რაფიელ ერისთავი უმწიკვლოდ ემსახურა ქართულ კულტურას თითქმის სამოცი წლის განმავლობაში, თავისი დიდი თანამედროვეების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გვერდით.

რაფიელ ერისთავმა ქართველ ხალხში მოაბოვა დიდი სიყვარული თავისი გრძნობით სავსე ლექსებით, რომელნიც ქართული ეურნალ-გაზეთებისა და ი. ვოგებაშვილის სახელმძღვანელოების მეშვეობით ვრცელდებოდა მოზარდ თაობასა და მოსახლეობაში. ამ ლექსებში პოეტი გულისტკივილითა და თანაგრძნობით ხატავდა ქართული გლეხობის მდგომარეობას, ბერუას, სესიას და დემეტრეს მოთქმას, მათს ჭირებარას. ქართველი ახალგაზრდობა გატაცებით იზებირებდა ლექსს „სამშობლო ხეყურისა“, რომელშიც ძლიერი პოეტური უმუთავლობითა და გულწრფელობით არის გამოთქმული სამშობლოს სიყვარულის უმადლოესი გრძნობა.

რ. ერისთავის პოეზიის უორამესი ხალხური საწყისები, მისი ნათელი და გამჭვირვალე ფორმა დიდად უწყობდა ხელს პოეტის პოპულარობას.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა 1895 წელს პოეტს გადაუხადა იუბილი, მისი მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავად. საქართველოში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საზოგადო მოღვაწეს იუბილი უხდინდნენ. მეფის ხელისუფლების დროს ეს არც ისე ადვილი საქმე იყო.

იუბილეს დღეებში, 1895 წლის 29 თებერვლის „ივერიაში“ დაიბეჭდა ლექსი „თ. რ. ერისთავს“, რომელშიაც პოეტი დახასიათებულია როგორც ქართველი გლეხობის ვაჟით აღსავსე ცხოვრების მხატვარი, ერისთავის თავდადებული მოღვაწე, რომელსაც მშობელი ხალხის დარდი და სიხარული საკუთარ დარდად და სიხარულად მიიჩნია, ლექსის ავტორს შესანიშნავად ესმოდა რაფ. ერისთავის პოეზიის აზრი, იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პოეტურ სიტყვას ხალხის გონების განვითარებისათვის, იცოდა, რომ „სამშობლო ხეყურისა“ იყო წრფელი, ადამიანი პატრიოტული გრძნობის გამოვლინება. ლექსს ხელს აწერდა „სოსელი“. თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე, 16 წლის ქაბუჯი — იოსებ ჯგულაშვილი.

ქართველი ხალხის მადლობა გამობეჭდილი იყო იმ წერილში, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სახელით მხტოვან პოეტს იუბილზე მიართვა ილია ჭავჭავაძემ: „დაუეწიყარო მგოსანო! — ეწერა ამ წერილში, — დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან მომართულია თქვენდამი საერთო გრძნობა სიხარულისა და მადლობისა. თრმოცდაათმა წილმა განვლო, რაც თქვენ, ჩვენო სასიყვარულო, დაუღალავად მოღვაწეობით სალოტერატურო ასპარეზზე, გვიხატავთ მშვენიერს ლექსით ქართველთა ცივი სულისა და გრძნობის მოძრაობას. ვანკოვრე ჩამნი და ბეგრე ავიც და კარგიც ცხოვრებიდან მიეცემა დაეწიყობასა, მაგრამ თქუნი ჯალმის ქმნილებანი კი ქართველის გულში დარჩებიან სამუდამოდ...“ წერილს ხელს აწერდნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ცხვიდაძე, იაკობ ვოგებაშვილი...

ილია ჭავჭავაძემ საზეიმო ნაღიმზე სადღეგრძელო უთხრა იუბილარს და

აღნიშნა: „ჩვენ სახელგანთავსებულ პოეტს შესანიშნავი ალბომი უჭირავს ჭარბულ პოეზიაში. მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური გრძნობით. ის ღრმად შეეხო ჩვენი მუშა ხალხის ცხოვრებას და არის მომღერალი მის გულნადებნისა. ამან შექმნა თავისი საკუთარი „სკოლა ხალხური პოეზიისა“...“

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი აღნიშნავენ რაფიელ ერისთავის შემოქმედების დიდ საზოგადოებრივ და ეროვნულ მნიშვნელობას. რ. ერისთავის შემოქმედება გამსჭვალულია პატრიოტული და დემოკრატიული მოტივებით, რაც მთელი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი მოტივები იყო.

რაფ. ერისთავმა ბევრ თავის შესანიშნავ ლექსში გამოხატა საშობლოს სიყვარულის გრძნობა. პრაფ. ალ. ხახანაშვილი სრულიად სამართლიანად რაფიელ ერისთავს, როგორც პატრიოტული მოტივების მომღერალს, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლის გამგებელად თვლის.

პოეტი ხატავს საქართველოს გმირულ წარსულს თავის პოემაში „ასპინძის ომი“. წარსულის გმირული ტრადიცია პოეტს მიანიჭა იმ ძვირფას განძად, რაც მომავალმა თაობამ მტკიცედ უნდა დაეცვას და განაეითაროს. პოემაში აღწერილია 1770 წლის ასპინძის ომი, როცა გენერალმა ტოტლებენმა მიუღო ერიკლი მცირე ჯარით შიპოკა ოსმალთა და ლესკო გამძვინვარებული ძალის პირისპირ და როცა გმირმა ქართველმა ეპიკოსებმა, ერიკლეს მეთაურობით, სასტიკად დაამარცხეს რიცხოვნობიდან დაცილებით მერე მტერი.

პოეტი გატაცებით უმღერის საქართველოს სიტუარფეს:

„ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს,
სამხრეთისაკენ ედგმა,
ეფრატის გაღმა გავხედი გადარბიულ-
სა ქედებსა,
ამ ვერ ვხედავდი ევასებრ
მშვენიერებსა დედებსა,
არც სად ხეხილსა, არც წყალში ამაყსა
თეთრსა გედებსა.
შევკრთი, რომ ვნახე ქვეყანა უდაბური
და მწირია.
მოვბრუნდი, მხარი ვიცვალე,
ჩრდილოსკენ ვქინე პირია.
აგერ მოვედი და შევხედი სანატრელს
ნეტარებსა,

ვიპოვე იგი სამოთხე, ვინ მოსთელის
იმის ქებასა,
გადაქიმულა წალკოტად, შეხედილთ...
ღუფთისა ნებასა,
ეს საქართველო ყოფილა“...

პოეტის აზრით, ბიბლიური სამოთხის ძიება ამაოა; აქ, დედამიწაზე არის ედგმის მსგავსი ქვეყანა, ნაყოფიერი და მდიდარი ქრთული მიწა-წყალი. ამ ქვეყნის გმირი შვილები თავდადებულად იცავენ დედა-სამშობლოს, მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით აღფრთოვანებულა პოეტი:

„ვიმ, რა ხალხია, რა ტურფა,
რა გულოვანი, მოყვასი...
რა ქვეყანაა, რა მშვენიის,
დამატებობელი სულისა,
გახი ვარდს გადახვევია, გამალღებელი
გულისა“.

რაფ. ერისთავმა ამ ისტორიულ პოემაში დახატა არა მარტო ერიკლი მეფის სიმტკიცე, გმირობა და გამტკიანობა, არამედ მთელი ქართველი ხალხის გმირობაც. პოეტს ბოროტებად მიანიჭა ერთი ხალხის მიერ მეორეს ჩაგვრა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს — 1876 წელს დაწერილ ერთ-ერთ თავის თხზულებაში პოეტი ასახიანებდა ბარბაროსულ ოსმალეთს, რომელსაც ბულგარეთი დაუპყრო, იჭაურობდა აუობრებია და ბულგარელი ხალხის ეროვნული ღირსება გაუთელია. პოეტი ძალადობით შეჭირვებული ხალხის მტრად ცოცხალ სურათებს ხატავს. ამ ნაწარმოებში ასახული ვითარება რამდენიმედ ეხმარება ჩვენს ეპოქას. მტაცებელი, დამპყრობელი საფლგმწიფოს მიერ პატარა ქვეყნის აოხრება, გაპარტახება და გადამბუჯვა მოგვიკონებს ამერიკის იმპერიალიზმის სისხლიან საქმეებს კორეაში. პოეტი წერს:

„რას ვხედავ, რა იბუგება, რას ასდის
კორიანტელი?
რა იფუფქება უწყალოთ, რა იწიის
როგორც სანთელი?
რა იმეხის, ვისი კენესაა, ვინ გმინავს
საწყალობელი?
ვისი გლოვია უწყალო, შვილს თუ
დასტირის მშობელი“.

ერთადერთ მხსნელად ბულგარელ ხალხს რუსეთი მოვლენია, სხვა ქვეყ-

ნებს კი ხელი მიუშვიათ ოსმალთა ვი-
ლურ ბრბოსათვის, რომელიც დაუნდო-
ბლად ანადგურებს ბულგარულ ხალხს,
პოეტმა თავიაი სამშობლოს გამოცდი-
ლებით კარგად იცის, თუ რა უბედურე-
ბაა მტრის თარეში. ამიტომ თურქების
მიერ დაჩაგრულ ხალხს იგი თავის მოძ-
მედ თელის და თანამედროვეებს მი-
მართავს:

„ჩვენცა ვყოფილვართ ამ დღეში
უსჯულოთაგან წყალოვითა,
მამ მოვეხმართ მომშეთა სისხლით,
ნიჭით და ფულითა“.

რაინდული და მაღალადამიანური იდე-
ალებით არის შთაგონებული პოეტი.
მისი მგზნებარე სიტყვები მოწოდებაა
მშვიდობიანი ცხოვრებისაჲნ. ეს მოწოდ-
ება დღესაც ეხმაურება ხალხთა მშვი-
დობიან მისწრაფებებს. რაფიელ ერის-
თავეა ამ ლექსს უწოდა „მომშეთადმი“.

პოეტის აზრით, ვაჟკაცურად მხოლოდ
ის იწოდება, ვინც იცავს შეურაცყო-
ფელ მოძმეს, იცავს დედის მანდილს,
უსუსურ ბავშვებს. ლექსში „რას ერ-
ჩი მაგ ბიქს, თათარი? (თემურლენგის
დროისათ — წერს ავტორი) რაფიელ
ერისთავი უმღერის მამულის თავისუფ-
ლებისათვის მებრძოლ, ომში დაკოდილ
ვაჟკაცს: პოეტი აღწერს მტრის გერაგო-
ბას, შანთით ნაწამებ ქართულ ქალს,
ხმლით აქუწულ უმწეო ბავშვებს. ქვიფ-
ნისათვის თავდადების უმწიკლო
გრძნობას პოეტი გამოხატავს ლექსში
„ნეტა რას სტირი, დედილოა?“, სამ-
შობლოს თათარი შემოსევა, წვავს და
აოხრებს ქვეყანას. ამისთანა დროს საე-
ლოვი არ არის შვილი, რომლის პერან-
გი ტყვიას ორგან გაუხერხტია. დეი-
შვილი მოკლეს ბრძოლის ვიღზე,
იღონდ მტრის სახსენებელი მოისპოს
სამშობლოში, სამშობლოს ღირსების
დამცველი ვაჟკაცი არ უნდა გასტეხოს
გაჟირებამ, არ უნდა დაღაწრდეს. ასე-
თია პოეტის რწმენა. ტყვედ ჩაყარდნი-
ლი გულადი ქართველი მებრძოლი ასე
შეედაიბა ყვინს:

„რაზე მიწყრები ყვინო? ვიბრძოდი
ქართლის ჯარშია,
დღეს შენი ტყვე ვარ, ხელთ დაგრჩი,
რაკი დავიჭერ მხარშია.
მამულისათვის ვიბრძოდი, რამე
შემწამე რაღატი?“

რაც უნდა სასჯელი მიაყენოს ყვენმა,
ქართველი ვაჟკაცი არ უმეფტყვენს
ღირსებას, თავიც რომ მოსტყვენს მტრ-
ვეც რომ მოჰყვეთონ, იგი არ უღალა-
ტებს სამშობლოს. მხოლოდ ერთ რამეს
სთხოვს იგი ყვინს:

„მაგრამ ყელს ვაწვი, ყვინო, — შენი
შვილების ღვინასა,
ისმინე ჩემი ვედრება — დღეს მე ნუ
მომჭრი ენასა.
მინდა მოკითხვა შევეთვლო,
ვილაპარაკო ქართული...“

დედაენის ეს უწმინდესი სიყვარული
ქართველი ვაჟკაცის გმირული ბუნების
შესანიშნავი თვისებაა.

პოეტური სიცხადით, ცხოვრების
ცოდნით და ადამიანის სულის სიღრმე-
ში ჩაწვდომით არის დაწერილი ლექსი
„მოკითხვა“. სამშობლოს დასაცავად —
სამართლიან ომში მიმავალ მებრძოლს
მიზანი გააჩნია, მან იცის, რას იცავს,
რისთვის, ღერის სისხლს, რა აზრი აქვს
მის ბრძოლას. იგი მოკითხვას უთვლის
დედას და თან თხოვს:

„თუ მეზობლისას მიხვიდე, ჰკითხე
თამრუა გოგოსა,
ქისას დამპირდა — რა უყავ? ჩემთვის
არ დაიზოგოსა“.

ამ „თამრუა გოგოს“ სიყვარული უტა-
რებია მებრძოლს და გამხნეებულს
მტერი უკათავს. „მორიგი ჯარი რომ
მოვა, ხომ დამითხოვენ მამინა, ფიქს
დაეკრავ, გამოეჩანლებიო“ — პირდება
იგი თავის დედას და სატრფოს.

უბრალო ადამიანები არიან აღმასა-
ნთ ბერო და თამრო გოგო, მაგრამ მათ
ადამიანურ არსებას აკეთილშობილებს
მშვენიერი გრძნობები. ბერო ომშია
სამშობლოს დასაცავად და მას სწამს,
რომ სამშობლოს დაცვა ეს არის დაცვა
დედის მანდილისა, დაცვა სატრფოს ღი-
რსებისა, და ამ გრძნობით გამსჭვალუ-
ლი გული რკალზე უმტკიცესია, ასეთ
გულს მტრის სატევიარი იოლად ჯერ
დასტრის, ბერო თავის სატრფოს
სწერს:

„რას სტირი, გულის ჰირიმე,
რად ითხრი მაგ შავ თვალებსა,
ჩემდა ნუ სტირი, მოვივალ, აბა, რა
გავალალებსა.“



შენგან დაქრილი გულშია, მტერს
რალას შევიპოებნი,
ან მოვკლავ, ან შევაჯვადებნი,
ისე არ დავეთხოვებნი!

ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს
მიყვარს სამშობლოს მეტყველებსა.

პოეტის აზრით, ადამიანის მალალ მოქალაქეობრივ დანიშნულებას შეადგენს მოყვასისათვის თავდადება, დანაგრეულის დახმარება, ქვერივ-ობლისათვის ცრემლის მოწმენდა, დაერდომილთა აღდგენა და სამშობლოს უზუალო სიყვარული. ეს ღრმა პატრიოტული და პუმანური შეხედულებები პოეტმა გამოთქვა ლექსში „კაცი ის არის“, რომელიც დაწერილია 1886 წელს. პოეტი ადამიანის ღირსებას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობით ზომავს. იგი წერს:

„კაცი ის არის, ვინც მისდევს
ღიდის მოძღვრისა მცნებასა,
ვინც მოამებს გულსა გაუსხნის,
თავს აუცილებს ენებასა,
ქვერივ-ობლებს ცრემლებს მოწმენდავს,
მოუსპობს გაჭირვებასა,
იბრძვის და იბრძვის ერისთვის,
ქვეყანას მისცემს შევებას!
კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შეილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი — სამსხვერპლო წილადა,
ქვეყნისა ცრემლი წილად უჩნს,
მისი ღამილი — ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს, მას
შამოავლებს ფთილადა“...

დღეა ენის სიყვარული, მისი დაცვა და აღორძინება პოეტს სამშობლოს ყოველი ერთგული შვილის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია. დღეა ენის დიდული ჯილდოა ადამიანისა, იგი განძია, რომელსაც მოვლა-შენახვა უნდა, რაფიელ ერისთავი თავგამოდებით იცავდა დღევნილ ქართულ ენას, ნერგავდა ხალხში მის სიყვარულს:

„მიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა,
რომლითაც ნანას მეტყვოდა ისა,
აღურსს მავონებს დიდისა ტკბილსა,
ჩემის ტოლების—მღერა-ქლივილისა..
ნუ გრცხვენის, ძმაო, როცა გაქვს
წიქნა,
მშობელ ენაზე მოთქმა, ცრემლთ
ღენა...
აყვანს და საფლავს ნუ ჰპარავებ შენა,
თორემ დავწვივლის შენ დღეა ენა!

რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში გამოხატულება პოეტი მისი დროის მწვერველ სოციალურმა პრობლემებმა, განსაკუთრებით ქართული გლეხობის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებმა. პოეტი კარგად იცნობდა ბატონყმობის წინა და შემდეგი პერიოდის ქართული გლეხობის ყოფა-ცხოვრებას. ბევრად ადრე, ვიდრე ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“ გამოქვეყნდებოდა, ვიდრე დანიელ ჰონქაძის „სურამის ციხე“ დაიბეჭდებოდა, რაფიელ ერისთავმა დაწერა ლექსი „მთხოველი მსაჯულისღამი“. ეს მთხოველი დედაა, რომლისთვისაც მოძალადე ბატონს შვილი წაურთმევიდა. ეს ბატონი ადამიანი კი არა, სჯავია, მხოლოდ სკავს შეუძლია მოპლიჯოს დედას მკვრიდიან შვილი. საბრალო დედა მსაჯულთან იძიება სამართალსა და სიმართლეს, მაგრამ ბატონყმობის დროს, როდესაც უმადლოესი კანონი მხოლოდ ბატონის ნება-სურვილია, არ შეიძლება არსებობდეს რაიმე სამართლიანობა და განსჯისა. მართალია, გვიან, 1882 წელს, მაგრამ მაინც ამავე თიანზა დაწერილი „სამზითო“. ეს ნაწარმოები იმას გვიჩვენებს, რომ ბატონყმობის გადაიარდნის შემდეგაც გლეხობის მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. გამწარბულია თვითღარი, რადგან მისთვის შვილი წაურთმევიდათ და ისიც „ჩასცქერის დიდამიწასა, ბენავს ხმა ჩაუკმენდია, თხრავს და გმინავს ხამუშად, გამშავებია ბილია“.

რაფიელ ერისთავი გლეხთა ღუბჭობი მდგომარეობის, მათი ჰირ-უარამის, მათი სოლოიერი ტვივილების შესანიშნავი მხატვარია. პოეტი კარგად ხედავს გლეხობის მწავგრელ ძალებს — შეშამუღლებს, სხვადასხვა ჯურის მძარცველებს, ჩარჩ-ვაჭრებს, სტიქიურ უბედურობებს, მაგრამ ვერ ხედავს გლეხობის განთავისუფლების გზას. პოეტის მთელი თანაგრძნობა დანაგრეულ გლეხთა მზარზოა, მაგრამ მას ვერ უბოვნია გზახსნისა, ამიტომ მისი გლეხები პასიურია, ბედთან შერიგებული ადამიანებია. სიხარულს, რომელიც ზოგჯერ ათილევებს ამ დანაგრეულ ადამიანთა ცხოვრებაში, არ გააჩნია მტკიცე საფუძველი. პოეტის მიზანია მოგვეცეს ცოცხალი სა-

ხეები გლეხებისა და მათი ცხოვრებისა. მართალია, ისინი არ არიან შეამბოხენი, ისინი არ გამოსთქვამენ რევოლუციურ პროტესტს მხაგრელთა მიმართ, მაგრამ მათი ტანჯვა, მათი ტკივილები მკითხველში იწვევს აღშფოთებას და მას დაჩაგრული ხალხის მხარეზე აყენებს.

რაფიელ ერისთავის გლეხები ისე არიან პოეტურად გამოქრწინილი, რომ მკითხველი პირდაპირ ხელშესახებად განიცდის მათ, განიცდის მათ გულისტკივილს. მკითხველი ხედავს თანდობას, რომელიც მიწას ჩაბუტბუტებს, ხედავს მწარედ დაფიქრებულ სესიას, რომელსაც ვერ გადურჩენია წლის სარჩო და ვერ გამოუძლია კუჭი. მისი ხვალისდელი დღე უიმედოა, ბურჟუაზიანი და ულიბლამოა, აგერ ტუტია მოსთქვამს იმის გამო, რომ „დასაქცევმა სეტყვამა“ კარს მიაყენა შიმშილი ბეროვაც იმას ჩივის, რომ ყველა მას ჩამოჰკიდებია — მამასახლისი, გზირი, გეო ვაჭარი. ასევე გამწარებულია გოგონა ნინუა, რომელსაც ქმარიც ავადა ჰყავს, დედამთილიც, თვითონაც კვნისის და მჭადან გამომცხობიც აღარაიან ჰყავს. პოეტს კი მხოლოდ ის-ღა დარჩენია უთხრას გლეხს — „ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“.

რაფიელ ერისთავის მრავალი ლექსი ხალხში სასიმღეროდ არის გადასული.

პოეტის პოპულარობას ისიც უწყობდა ხელს, რომ მან შესანიშნავად შეიცოდა ხალხური ენა. რაფ. ხუციშვილის ენა მსუბუქი, მარტივი და ხატოვანია. პოეტი ლირიკულ ლექსებშიაც გმირებს ალაპარაკებს, მაგრამ ბეროვას, სესიას და სხვათა ენა არაა გაუბრალოებული. პოეტს შეუძლია ქართული ენის მდიდარი მარაგის გამოყენებით გადმოგვიღოს ადამიანის მრავალგვარი განწყობილება. ვინ არ იცის, თუ რა ადვილი დასამახსოვრებელია მისი ლექსები: — „ეს რა ჩიტი მოფრენილა“, „გაზაფხული გავვიფრინდა“, „ყურძენი დამწიფებულა“, „ბიჭო, პური შემოსულა“, „ღზევენს წასვლა“, „გიგლა სწავლობს, ტიტინა“ და სხვ.

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. პუშკინისა და კრილოვის თხზულებათა თარგმნის გარდა, მან შეადგინა და გამოსცა ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ილია ჭავჭავაძისთან ერთად დაბეჭდა ხალხში შექრებილი სიტყვიერების მასალა, გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, იგი ეხმარებოდა გაბრიელ სუნთოიანს „პეპოს“ ქართულად თარგმნაში და სხვ.

რაფიელ ერისთავის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული კულტურის განმტრში.

ლიგიაგურა და სინამდვილე*



ბურჟუაზიულ რეალიზმსა და სოციალისტურ რეალიზმს შორის ძირითადი განსხვავებაა, პირველი შეზღუდულია ვიწრო ჩარჩოებით, მეორე უსაზღვროა თავისი შესაძლებლობით. აქ საჭიროა განსაკუთრებით გაეცინას ხაზი იმას, რომ საქმე იმაში კი არ არის, ეკუთვნის თუ არა მწერალი პარტიას, არამედ იმაში, თუ როგორია მწერლის მსოფლმხედველობა — ამ სიტყვის მეტად ფართო მნიშვნელობით.

„ამერიკულ ტრაგედიაში“ თეოდორ დრაიზერმა გვიჩვენა ამერიკის წყრილი ბურჟუაზიის ცხოვრება და მორალი ოციან წლებში. ეს წიგნი დაწერილია განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით, რითაც ყოველთვის განსხვავდება დრაიზერის შემოქმედება, დაწერილია ღრმა სიყვარულით ხალხისადმი და ყურადღებით მისი ტანჯვისადმი. მაგრამ ამ წიგნში დრაიზერმა მაინც ვერ შეძლო ბოლომდე დაეძლია თავისი იდეალისტური შეხედულებები. მან გამოხატა სამუალო კლასის ცხოვრება; მან გამოიკვლია იგი; თავისი გმირების ქვენაგრძობებისა და სურვილების იქით შესძლო დაენახა ადამიანის სული. მან გვიჩვენა მათი ცხოვრების წარმართული გარეგნული გარემოებანი, მაგრამ ვერ შეძლო შემეცნება სიმაართლისა მის წარსულსა და მომავალთან დაკავშირებით. ვერ შეძლო ამ გარემოებათა კლასობრივი აზრის გარკვევა; ამიტომ მისი წიგნი შეზღუდულია.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს დრაიზერს — როგორც მწერლის მნიშვნელობა, რადგან კლასობრივ საზოგადოებაში ყველა დიდი მხატვარი პროშეთესა ჰვავს: შებოქვილნი, ისინი თავისი გინების მთელი ძალით იბრძვიან მეშინობის ბორკილების წინააღმდეგ, რაც ბორკიან მათ. როგორც თავისუფლებას მოწყურებული მონები, ამბობენ

ბულნი, სპარტაკის მეთაურობით, ისინი დრო და დრო თავა აღწვიენ თავისი დროის ვიწრო ჩარჩოებს — და ხედებიან, რომ მომავალი, რომელსაც ისინი ეძებდნენ, ჯერ კიდევ არ დადგარა.

მაგრამ დღეს ეს მომავალი უკვე არსებობს, და სოციალისტური რეალიზმის სათავე უკვე დადებულია.

მწერალი, რომელიც იყენებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, ხედავს სამყაროს შეცვლის პროცესს მთელ მის ერთობლივობაში. ადამიანი შეიძლება ერთს პროლეტტი არა მარტო კლასობრივი საზოგადოებისა, არამედ სოციალისტური საზოგადოებისაც. წარსული, აწმყო და მომავალი არსებობს არა მარტო ერთ სამყაროში, არამედ ერთი ერის ჩარჩოებშიც. ცხოვრების ყოველ მოკლენა დაკავშირებულია ერთმანეთთან მოქმედებისა და საწინააღმდეგო მოქმედების განუწყვეტელი პროცესით. არ არის გამოწვეული ამ პროცესისაგან და მისთვის არ არსებობს შინაზარეული ფორმულები. პროლეტარული ლიტერატურა მასალას იღებს არა მარტო პროლეტარიატის ცხოვრებიდან, როგორც ეს ესმოდა ოცდაათიან წლებში ზოგიერთ გონებაშეზღუდულ სექტანტს. პირიქით, პროლეტარული მსოფლმხედველობის მწერალმა უნდა განიხილოს ცხოვრების ყველა მხარე, როგორც მასალა თავისი შემოქმედებისათვის. როგორც მასალა და არა როგორც ბორკილი. რადგან სოციალისტური რეალიზმი იყენებს ახალ კრიტერიუმებს და გამოჰყავს ეს კრიტერიუმები ახალი ეთიკური ნორმებიდან. კარგა ის, რასაც ადამიანი მიჰყავს უკეთესი ცხოვრებისაკენ. რაც მას უმსუბუქებს ტანჯილასა და აახლოვებს მის განთავისუფლებას ტანჯვისაგან იმ განთავისუფლებას. რაც ემსახურება შიშის, უიმედობის, სიმაცხის, მასობრივი მკვლელობის, შიმში-

ლის, ავადმყოფობისა და ექსპლოატაციის მოსპობის საქმეს. ამ დროს ბორტების მოსპობის სურვილი (ეს არის სწორედ ახალი ეთიკის საფუძველი) აბსტრაქტული იდეალისტური ჰუმანიზმი კი არ არის, არამედ პრაქტიკული სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის. ადამიანმა უნდა მიიღწიოს უკეთეს ცხოვრებას არა სხვა საშუაროში, არამედ ამ ქვეყნად, დედამიწაზე.

ამ თელსაზრისით უნდა შემოწმდეს ყველაფერი. მთელი წარსული ისტორია უნდა გადისინჯოს. უნდა მოისპოს მორალის ძველი კოდექსი, რასაც გმირებად გამოჰყავდა მკვლელები, წმინდანებად — სულელები, კერპებად — მაქანკლები, ფილოსოფოსებად — ბაქონის ლაქები. შოვინიზმი, რითაც მოწამლულია ჩვენი კულტურა, მხილებულ უნდა იქნას როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ადგილოდღიური საშუალება.

ახალი შეფასება უნდა აღმოცენდეს ახალი ჰუმანიზმის საფუძველზე, იმ ჰუმანიზმისა, რომელიც მოიცავს მთელ კაცობრიობას. მშვენიერია მაქსიმ გორკის სიტყვები:

„რევოლუციური პროლეტარიატის ჰუმანიზმი სწორხაზოვანია. იგი არ ამბობს მყვირალა და ტყბილ სიტყვებს ადამიანების სიყვარულზე. მისი მიზანია: გაათავისუფლოს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი კაპიტალისტების სამარცხვინოდ, სისხლიანი და ვეჯუნი უღლისაგან, ასწავლოს ადამიანებს ის, რომ თავისთავი არ ჩასთვალონ საქონლად, რასაც ჰყიდნიან და ყიდულობენ, არ ჩასთვალონ ნედლეულად, რისგანაც ამზადებენ ოქროსა და ფუფუნების საგნებს მეშინებისათვის. კაპიტალიზმი აუპატიურებს ქვეყანას ისე, როგორც მიხრწნილი ბებერი — ახალგაზრდა, ჯანმრთელ ქალს; მას უკვირ არ ძალუქს მისი განაყოფიერება, მხოლოდ ბებრის სწეულებანი შეუძლია გადასდოს. პროლეტარული ჰუმანიზმის ამოცანა არ მოითხოვს ლირიკულ ამღვრებას სიყვარულზე. — იგი მოითხოვს იმას, რომ ყოველმა მუშამ შეიგნოს თავისი ისტორიული მოვალეობა, თავისი უფლება ქვეყნის მართვა-გამგეობისა, თავისი რევოლუციური აქტივობა, რაც განსაკუთრებით საქირთა ახალი ომის წინ, ომისა, რომლის განაღდება სურთ კაპიტალისტებს საბოლოო ანგარიშით ისევე მოშის წინააღმდეგ.“

პროლეტარიატის ჰუმანიზმი მოითხოვს ჩაუქრობელ ზიზსს მემანობინადმი, კაპიტალისტების ბატონობისადმი, მისი ლაქებისადმი, ფაშისტებისადმი, მუშათა კლასის მოღალატეებისა და ჯალათებისადმი, ზიზსს ყოველივე იმიინადმი, რაც აღამიანთა ტანჯვის იწვევს. ზიზსს იმიინადმი, ვინც აყუღლი მლიონი ადამიანი ტანჯვის ანგარიშზე ცხოვრობს.“

აი ის ახალი საზომი, რასაც უნდა იყენებდეს ის მწერალი, რომელიც ისწრაფვინ მართლად ასახოს დღევანდელი საშუარო.

თითქოს სისულელეა ლიტერატორის კლასობრივი საფუძვლის უარყოფა. მაგრამ სწორედ ასეთი პოქნიცია უკირავს დღეს ამერიკელი კრიტიკოსების დიდ უმეტესობას. ეს ადვილია გასაგებია, თუ მოვიგონებთ, რომ ამერიკელი რეაქციული პროპაგანდის ძირითადი ხაზია საზოგადოების კლასობრივი საყრდენის უარყოფა საერთოდ და ამერიკის მუშათა კლასის არსებობის უარყოფა კერძოდ. ამერიკელი კრიტიკოსები არასდროს არ იჩენდნენ დამოუკიდებელი აზროვნების მიდრეკილებას, და ახლა უცნაური იქნებოდა, რომ ამ შემთხვევაში გამოეჩინათ ასეთი მიდრეკილება.

მაგრამ რაც უნდა ამტკიცოს ამერიკულმა კრიტიკამ, ამერიკის ლიტერატურა კლასობრივი ლიტერატურა არის. პროფესორი ჯ. დ. ბერნალი იქონალ „მოღერნ კოოტერლი“-ში დაბეჭდილ წერილში ამბობს:

„გავრცელებული აზრის თანახმად. მეცნიერება თავისი ბუნებით პოლიტიკურად ნეიტრალურია, და ფაქტი არის ფაქტი. ვინც არ უნდა აღმოაჩინოს იგი და რა მიზნითაც არ უნდა აღმოაჩინოს. მაგრამ მეცნიერების ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს სწორია მხოლოდ კერძო შემთხვევების მიმართ. ფაქტების ურთიერთდაკმირის, მათი მნიშვნელობის და ბუნებასთან ბრძოლაში მათი გამოყენების შესაძლებლობის გაგება დამოკიდებულია საერთო თეორიული წინამძღოელებისაგან. უკანასკნელს, თავის მხრივ, განაპირობებენ ფილოსოფიური და რელიგიური ტრადიციები, რომლებიც იცვლებიან არსებული პოლიტიკური და ეკონომიური პირობების შესაპისადა.“

ეს ერთნაირად სიმართლიანია მეცნიერების მიმართაც და ლიბერატორის მიმართაც, სინამდვილის შემეცნებისაკენ მივდივართ არა სწორი და იოლი გზით, არა ელექტრონის სინათლით გაკამკამებული და მანიჟინგებლობით გაწყობილი გზატკეცილით. სინამდვილის შემეცნება ეს არის ლაშქრობა გამოუკვლეველ სფეროებში, სადაც გაუკვალავ გზებზე ისე ბეერი საოცრებაა, რაც ჯერ არ უხახავს ქვეყნიერებას; მაგრამ ეს გზები მწერალმა უნდა გაიკვლიოს ბრძოლაში, მამაცურად და რწმენით.

ასეთი მამაცობის კარგ მკვლელს ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა უილსონი მწერლის გვინი ტომასის შემოქმედებაში.

თავის რომანში „ფოთლები ქარში“, რომელიც 1949 წელს გამოვიდა, ტომასი აღწერს ფოლადჩამომსხმელი ქარხნების უფსუსელ მუშათა სტიქიურ გამოსვლებს. მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, ეს წიგნი დიდი ნაბიჯია ისტორიის რეალისტურად გაგების გზაზე.

ტომასი გამოდის იმ წანამდვირიდან, რომ თუ უფსუსელ მუშებში 1830 წელს იყო ჩანასახები მუშათა კლასის მძლეობის მოძრაობისა, რაც ჩვენს დროში ამკვიდრებს სოციალიზმს, მაშინ თავისი მისიის შეგნება პოტენციონალურად უკვე მაშინვე უნდა ყოფილიყო ამ მუშებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტომასმა, აღწერა რა უფსუსელ მუშათა მოძრაობა, იმას, როგორც იმ მუშებს გაეგებოდათ მაშინ ქვეყნიერება, მიუძაბა თავისი გაგებაც. ეს არის სწორედ სიმართლე თავისი ღრმა არსით, ისევე როგორც სამდვილი სიმართლე სპარტაკოს მოძრაობის შესახებ არის არა ამ აჯანყების განწირულებამ, არამედ იმ ძაფებში, რომლებიც ამ მოძრაობას უკვე მაშინვე აჯანყებდა კაცობრიობის მომავალ განთავისუფლებასთან (ამ მეთოდის გამოყენება მე ვცადე საკუთარ შემოქმედებაში: მთელი სიმართლე „თავისუფლების გზის“ გმირის — ვიდეონ ჯექსონის შესახებ არ შეიძლება დავინახოთ მხოლოდ მისი პირადი ტრაგიკული დაღუპვის ასპიქტში; ამიტომ მე ვცდილობდი მის თავდასავალში მეჩვენებინა ზანჯი ხალხის მომავალი განთავისუფლება, რაც ჯერაც არ არის განხორციელებული).

მაგრამ მხატვრისათვის არ არის რომელიმე ერთადერთი გზა რეალობისაკენ. ტომასისათვის ასევე უილსონისათვის მისი სამშობლო უილსონის ისტორია და ფოლკლორი; ამერიკაში ახალგაზრდა პროგრესიული მწერლები მიმართავენ სხვაგვარ მასალას და იყენებენ მას სხვაგვარად. სიმართლისაკენ გზა მიმართება იმ მოვლენათა ღრმა გაგებით, რომლებსაც მწერალი აღწერს; თუ ასეთი ღრმა გაგება არ არსებობს, მაშინ ყოველგვარ სტილისტურ სამკაულს მხოლოდ ფორმალისზმისაკენ მივყავართ.

ჩვენმა ერთ-ერთმა ფრიალ ნიჭიერმა ახალგაზრდა პროზაიკოსმა — ალექსანდრე საქსტონმა აგრეთვე შეგნებულად სცადა გამოეყენებინა სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. მაგრამ მან ეს სცადა მარჯ ტენისა და თეოდორ დრაიზერის ტრადიციების საფუძველზე, თანაც გამოიყენა თანამედროვე ამერიკის ჩვეულებრივი მეტაფორა.

საქსტონის რომანი „შუადასავლეთის დიდი რკინიგზა“ მოგვითხრობს რკინიგზელ მუშათა ცხოვრებაზე 1912 წლიდან 1941 წლამდე. მოქმედება წარმოებს დასავლეთის ერთ-ერთი დიდი რკინიგზის — ჩიკაგოს საყუდში, რომანის ცენტრშია სამი გუმის ოჯახის ცხოვრება; რომანის გმირებია — პოლანდიელი დეივი სპასი, პოლონელი ქალი სტეფანია კოვიაცი და ზანჯი მაკ-ალამსი. ავტორი ხატავს რკინიგზელი მუშის, ყოფილი მეზღვაურის, ლინკოლის ბატალიონის ვეტერანის, ამჟამად კომუნისტური პარტიის წევრის — დეივი სპასის როულ სახეს. დეივი მუშაობდა ძირეულ პარტიულ ორგანიზაციაში იმ სამი წლის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებდა თავდასხმას პირლ ხარბორზე.

ავტორმა ოსტატურად დახატა ამ სამი ოჯახის ცხოვრების ტილო, მაგრამ მისი ყურადღების ცენტრშია ჩვენება დეივი სპასის ბრძოლისა რკინიგზელ-მუშათა დასარაზმავად. მკითხველის თვალწინ იშლება ოცდაათიანი წლები მეორე ნახევრის ჩიკაგოს რკინიგზელ მუშათა ცხოვრების ფართო პანორამა. მაგრამ რომანის ფაბულის გმირთა ხასიათების და კომპოზიციის ზედმეტი გართულება საქსტონის წიგნის დიდი ნაკლია. მწერალი გაიტაცა იმის სურვილმა, რომ რაც შეიძლება მეტი ახალი და აქტუალური მასალა გამოეყენებინა,

ამიტომ გადატვირთა თავისი რომანი და თავი ვერ გაართვა ფორმას. მიუხედავად ამისა, საქსტონის დიდი დაძვინჯება იმაშია, რომ მან პირველად ჩვენს ლიტერატურაში შექმნა დადებითი გმირის, — კომუნისტის სისხლსავე და ცოცხალი სახე. კომუნისტის სახის შექმნა — ჩვენი ლიტერატურის ცენტრალური პრობლემაა, და ყოველმა მწერალმა, ვინც ხელი მოჰკიდა ამ ამოცანას, იცის, თუ რა სიძნელებითან არის დაკავშირებული მისი შესრულება.

უკვე ოციან წლებში, როდესაც დაიწყო პროლეტარიატის ცხოვრებისადმი მიძღვნილ პირველ ნაწარმოებთა გამოჩენა, მათელი გახდა, თუ რა დიდი დამბრკოლებები უნდა გადალახოს პროგრესულ ბანაკის იმ მწერალმა, რომელიც ამოცანად დაისახავს კომუნისტის სახის დაბრუნებას, რადგან კომუნისტი ერთდამივე დროს ჩვეულებრივი ადამიანიცაა და განსაკუთრებული ადამიანიცაა, რომლის დამტყვევებელია. ოცდაათიან წლებში ბეგრმა სცადა შეიქმნა კომუნისტის მართალი სახე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს მართალ სახედ.

არ არსებობს ლიტერატურული შემოქმედების უნივერსალური სახელმძღვანელოები; საქსტონისებურმა მწერალმა ნებით თუ უნებლიედ უნდა შექმნას საკუთარი სახელმძღვანელო. საქსტონის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან შესძლო ის, რაც ვერავინ შესძლო ჩვენს ლიტერატურაში, რადგან მან შეგნებულად და გაბედულად დაუდო საფუძვლად კონფლიქტს თანამედროვე ცხოვრების კარდინალური წინააღმდეგობანი — წინააღმდეგობანი სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. ხოლო თემის არჩევა გადაწყვეტილი მომენტია რეალისტური ნაწარმოების შექმნაში. — იგი მიმართულებას აძლევს მთელ შემოქმედებითი განზრახვას.

ჩვენს დროში ყოველი მწერალი, ვინც თავისი ტყავის გადასარჩენად ზურგს აქცევს ცხოვრების წინააღმდეგობას, ვინც გამყიდველი ამერიკული პრესის ცვლადივალ სიტყვა „კომუნისტი“ ხედავს გინებას და ისეთ სახის ობობლობას, თითქოს კომუნისტები არც კი არსებობდნენ. — განწირულია უნაყოფობისათვის.

მწერალს, რომელსაც ტყვეს წაღობნი სურს შექმნას ხელოვნების ნაწარმოები, უნდა შეეძლოს სიმართლის პოვნა ცხოვრების ყველა იმ სფეროში, რომელსაც იგი იცვლევს, და თვითვე სფეროში მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა შეფარდებამი იძულებიან მის მიერ აღწერილი ფაქტები მთელ ისტორიულ პროცესთან. ამავე დროს მისი ამოცანა არა მარტო იმაშია, რომ გვიჩვენოს სიმართლე, არამედ იმაშიც, რომ ამხილოს სიცრუეც; და თუ გაითვალისწინებთ იმას, თუ რა ბეგრი სიცრუეა გაქსელილი ჩვენს გარშემო არსებულ მშვენიერებაში, მაშინ ნათელი გახდება სიძნელე ასეთი მხილებისა.

მე არ ვამბობ, რომ მწერალს შეუძლია სრულ წარმატებას მიადლოს, მაგრამ მან გაბედულად უნდა იმოქმედოს; იგი ცხოვრობს ისეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც კლასობრივი საზოგადოება ადგილს უთმობს უკლასო საზოგადოებას; მის წინაშე დგას ყველაზე ძნელი ამოცანა იმ ამოცანათა შორის, რომლებიც კი მდგარან ოდესმე მწერლის წინაშე. შებლაღვას, რასაც ვანიციდის კულტურა ფაშიზმის დროს, თავის მამუტებით ვერ შეედრება ვერაფერი წარსულში; და კაპიტალისტური საზოგადოების მმართველი კლასის მიწურაფება, რომ შებორკოს კულტურა ფორმალიზმით — რაზედაც მე ზემოთ ვილაპარაკე, — განსაკუთრებით დაიძინებულ ხდება კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის — იმპერიალიზმის დროს. ეს ასე ხდება სწორედ იმიტომ, რომ დაჰკრა უკანასკნელმა საათმა, მოვიდა აღსასრული, მოვიდა დაღუპვა, და კაპიტალიზმს აღარ შეიძლება ჰქონდეს რაიმეს იმედი.

მოვიყვანოთ ჯონ სომერვილის მონაზრება ნატურალიზმზე მისი წიგნიდან: „საბჭოთა ფილოსოფია“:

„ფოტოგრაფიული რეალიზმი ანუ ნატურალიზმი ხელოვნებაში ჰგავს ფორმალურ ლოგოს მქონეობაში, ან მქონისტურ მატერიალიზმს ფილოსოფიაში. იგი ხედავს მხოლოდ მოვლენებს, და ვერ ხედავს მათი ცვალებადობის პროცესს, იგი თითქოს აჩირბს სინამდვილეს და ამით უსპობს მას სიცოცხლეს, ჰკლავს მას. იგი აგროვებს დეტალებს, მაგრამ მხედველობიდან ეკარგება მთელი, ხეიბს იქით ვერ ხედავს ტყეს. მას არაფერი გააჩნია მთლიანი.

მხოლოდ ნაფლეთები მოეპოება. ეს არის ბრმა ემპირიზმი, უნაყოფო სტატიურობა“.

ეს ძალიან კარგად არის თქმული, და თუ ჩვენ კიდევ მოვიგონებთ, რომ ნატურალიზმი ფორმალისმის შებრუნებული მხარეა, მივხვდებით, თუ რა დამბრკოლებას უქმნის მხატვარს თანამედროვე რეაქცია.

ისეთი მწერლები, როგორც გვინიტომასი და ალექსანდრე საქსტონია, კონსერვატივნი ამოცანას — არა მარტო დაინახონ ტყე, არამედ კიდევაც გააყოფონ ის.

არც ერთ კაცს, თვით ჰერცელესაც კი, არ შეუძლია ტყის გაყოფა ცარიელი ხელებით, მით უმეტეს ისეთი ტყისა, როგორიც მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა დაწერა. სოციალისტური რეალიზმი არ შეიძლება განვიხილოთ სოციალისმის არსებობასთან დაუკავშირებლად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოციალისტური რეალიზმი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზღვრების შიგნით. სწორედ პირიქით, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს განმსაზღვრელ მომენტს სამყაროს იმ თვისობრივ ცვლილებაში, რაც შესაძლებელს ხდის სოციალისტურ რეალიზმს. ეს ვგონებ, იმდენად ნათელია, რომ მტკიცებასაც არ მოითხოვს. ზემოთ მე ვამბობდი, რომ ჩვენი დროის ძირითად და გადაწყვეტ რეალობას წარმოადგენს კლასობრივი საზოგადოებიდან უკლასო საზოგადოებაზე გადასვლა; და საბჭოთა კავშირმა ამ გადასვლაში შეასრულა უქცდავი და სასახლო როლი. რამდენადაც სოციალისტური რეალიზმის მეთოდი აღმოცენდა, როგორც ამ ახალი, დიდებული სინამდვილის ანარეკლი, მისი ურთიერთკავშირი სოციალისმის არსებობასთან ამკარაა. არ შეიძლება ვილაპარაკოთ სოციალისტურ რეალიზმზე, თუ არ ვილაპარაკებთ სსრ კავშირზე, საბჭოთა მორალზე, საბჭოთა ლიტერატურაზე.

ამიტომ ყველა, ვისაც კი ესმის ლიტერატურის კრიტიკრიტიკებისა და ეთიკურის კრიტიკრიტიკების კავშირის მნიშვნელობა, მიხვდება, თუ რა ღრმა ხეობრივი პრობლემები დგას თანამედროვე მწერლის წინაშე. ჰერმეტიკად, მორალი — ეს არის შემოქმედებითი პროცესის მარტივი, და მორალური შეფასებ-

ბანი ისე ორგანიზულად არის ჩაქსელური ლიტერატურული ნაწარმოების ქსოვილი, რომ ჩვენ ზოგჯერ ვერც ვაძინებთ ამას. მორალური შეფასებების უიღისოდ ლიტერატურას არ შეუძლია არსებობა; ამხივს თუ არ ამხივს ამახ მხატვარი, მორალური კრიტიკრიტიკა არის სწორედ ის ცემენტი, რითაც ის ერთმანეთთან აკავშირებს განცალკევებულ ფაქტებს, რომლებსაც ის აგროვებს ცხოვრების ფართო პანორამიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი შემოქმედების მამუტაბი, მნიშვნელობა და ღირებულება დიდად არის დამოკიდებული მის პოზიციაზე მორალის საკითხებში. მე მინდა განსაკუთრებით ხაზი გავუსვა იმას, რომ ეთიკური საზომი არ არის რაღაც სუბიექტური, ის არის ობიექტური სინამდვილის ანარეკლი, ამ ობიექტური სინამდვილის გახსნა ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის დინამიკაში.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სოციალისტური რეალიზმი შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს საბჭოთა კავშირი, რადგან სოციალისტური რეალიზმის მორალის საფუძველს წარმოადგენს სოციალისტური მორალის პრაქტიკა.

აქ მე მინდოდა მეთქვა იმ სპეციფიკური ასახვაზე, რომელიც ლიტერატურაში პოეზია ინგლისის მმართველმა კლასმა. თვით ამერიკაშიაც მეცხრამეტე საუკუნის დამლეპი ლიტერატურა არ იყო თავისუფალი ბრიტანული მითის გავლენისაგან ანგლოსაქსური რასის უპირატესობის შესახებ, ხოლო ჩვენს დროში ის ამერიკელი მწერლები, რომლებიც უარყოფენ რეალიზმს, სულ უფრო და უფრო ექცევიან ამ მითის გავლენის ქვეშ.

თუ მე ხაზს ვუსვამ დიდი ბრიტანეთის იმპერიალისტურ როლს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მტრულ პოზიციას ვიჭერ ინგლისელი ხალხის მიმართ, რომელიც ახლა მთლიანად ზღაგს თავისი სისხლიანი, ნავთაღინის სუნით გაჟღერებული მმართველი კლასის ცოდვებს, დე, სურვიან იფიქრებს, რომ თანამედროვე ამერიკული იმპერიალიზმი ინგლისის იმპერიალიზმის იარაღი ან უმკროსი პარტნიორია. სწორედ პირიქითაა, ინგლისური ცრუსოციალიზმი მხოლოდ ნიღაბია, რომლის იქითაც იმალებიან უოლ-სტრიტის ზროვის აგენტები; ამ ზროვას თავის განკარგულებაში აქვს

ისეთი იმპერია, ექსპლოატაციის ისეთი საშუალებები და ისეთი სიმდიდრე, რა-ზედაც დიდბრიტანეთს არასდროს იკ-ვნებაც კი არ შეეძლო. დოლარის იმპე-რიალიზმი იმდენადვე არის გავლენი-ლი სისხლითა და ცრემლებით, რამდენ-მაც კი პლანეტის დროის ინგლისელ კოლონიზატორთა „კეთილშობილება“.

ინგლისის მმართველი კლასის მიერ შექმნილი მითის მდგომარეობს თავისი „ალალმართლობის“ მტკიცება-ში; ცხადია, ამას აკეთებს ყველა ექსპ-ლოატატორული კლასი, მაგრამ ეს ჯერ არსად არ კეთდებოდა ესოდენ წარმა-ტებით ასე დიდა ხნის განმავლობაში, როგორც ინგლისში; და არც ერთ მმარ-თველ კლასს არ შეუქმნია თავისთვის ესოდენ გულმოდგინედ დამუშავებული ლეგენდების სისტემა, როგორც არის მითი ვითომდა ღვთიით მონიჭებულ უბი-რატესობაზე, რაშიაც ასე მკიდროდ გამოიხევიან ინგლოსაქსები. და ეს ჯერ არსად და არასდროს არ გამოხა-ტელა ასე სრულად ლიტერატურაში.

სოციალისტური მორალის თეალსაზ-რისით, ყოველი ექსპლოატატორული კლასის არსებობა უზუნობა და ბორო-ტებაა. სიმდიდრე, უღირსობა, სინა-ტიფი, ზრდილობა, განათლებულობა, სიღარბაისლე — ყოველივე ეს გამოწ-ურულია თავისი ქვეყნის მუშებისაგან და კოლონიური ნახევარმონებისაგან. კრიკეტის მოედნები, ქალაქგარეთ მოწ-ყობილი ვილები, ჩრდილოვანი პარკე-ბი — და მათი ამერიკული იქივებე-ბები — ეს არის სისხლსა და ცრემ-ლის ზღვაში ადამიანთა ძელებზე აგე-ბული კუნძულები. ინგლისის მმარ-თველმა კლასმა, როგორც თქვა უ. ი. დილბუამ, მოიპოვა ეკონომიური ბატო-ნობა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი და არაადამიანური საქმის მეოხებით — აფრიკაში მონათ-ვაჭრობის მეოხებით; ეს ისტორიის ისე-თი ბინძური ფურცელია, როგორც არ იცოდა ქვეყნიერებამ ფაშისზამდე. ამას მოჰყვა აქამდე გაუგონარი გაელერა კო-ლონიური ხალხებისა; ორგანიზებული ამოწყვეტა ზეულესებისა, რომლებიც მხოლოდ შუბებით იყვნენ შეიარაღე-ბული; ამოწყვეტა თითქმის უიარაღო სუდანელებისა; მასობრივი გაელერა ინდიელებისა; მილიონებით ჩინელების მოწყველა ოპიუმით; სოლომონის კუნ-ძელების მცხოვრებთა დამონება; ტას-

მანიის მკვიდრთა სრული მოწყვეტა; აფრიკის საბეგარი მოსახლეობის მბე-ცური ექსპლოატაცია; მონტანაში გა-თავისუფლებისათვის მკვლელობის შემთხვევების მარბაროსული გაელერა; ბენგა-ლიაში შიმშილის ჩამოგდება, რამაც ათეული მილიონი ადამიანი იმსხვერა-ლა; ხოცვა-ელერა ბირმაში; ომი ბურგე-ბის წინააღმდეგ და ასე დაუსრულებ-ლი. მე არ მიხდა ვთქვა, რომ მხოლოდ ინგლისის მმართველ კლასს აქვს ბიწი-ერებისა და უზუნობის მონობოლია, ან რომ ეს თვისებები ახასიათებს ანგლო-საქსებს და ამიტომ მათ უფრო მეტად შეუძლიათ გამოიჩინონ მხეცური სისას-ტივე, ვიდრე სხვა ხალხებს; ეს უმალ იმის შედეგია, რომ ინგლისის მმართვე-ლი კლასი პირველი გავიდა კოლონიურ ბაზარზე. ინგლისელები პირველნი გა-ვიდნენ, მაგრამ მათ კვალდაკვალ მოს-დიდნენ სხვა ევროპული სახელმწიფო-ები; ამერიკამ თავის სიმდიდრეს სათუ-ძველი ჩაუყარა ინდიელთა ტომების გაუგონარი ხოცვა-ელერით და მონათ-მფლობელური სისტემით — მეცხრაზე-ტე საუკუნეში და თავის საკუთარ ტე-რიტორიაზე! ამერიკას არ ესაქიროება არც კოლონიური ხალხების და არც საკუთარი ხალხის ექსპლოატაციის შეს-წავლა, — მაგრამ ინგლისის მმართველ-მა კლასმა მსოფლიო სისხლიანი სა-საყლო შემოსა „სიკეთის“, „უბირატე-სობის“ და „რანლობის“ შარაყანდე-ლით. ამას კი ვსწავლობდით ჩვენ ინგ-ლისელებისაგან; ჩვენ მიგვიუბოდით მათ გზას, ვბაძვდით მათ და ახლა უკვე გა-დავაჭარბეთ მათ. ჩვენ სხვა პირობები გვჭონდა, ჩვენი კოლონიური ექს-პანსია სხეანაირად მიმდინარეობდა, მა-გრამ დღეს ჩვენ ინგლისელებიდან მთლიანად და სავსებით გადავიდეთ მი-თი ინგლოსაქსური რასის უბირატესო-ბის შესახებ.

მოვიფონოთ, როგორ აისახა ლიტერა-ტურაში უდიდესი ხოცვა-ელერა, რაც მოასწავებდა ბრიტანეთის იმპერიის შე-ქმნას. გასული საუკუნის დამლევი ჩვენმა ყველაზე მეტად თვითმყოფმა მწერალმა მარკ ტვენმა „ჩრდილოეთ ამერიკის მიმოხილვაში“ გამოაქვეყნა ნა-რკვევი: „ადამიანს, რომელიც დადის სიბნელეში“, სადაც წერდა:

„ტრესტი „ცვილიზაციის წყალობა-ნი“ — ეს პირველხარისხოვანი დაწესე-ბულებაა, თუ მას ვუხელმძღვანელობთ:

გონივრულად და წინდახედულად. ასეთ საქმეს შეუძლია მოგვეცეს გაცოლვებით შეტი ფული, ტერიტორია, ძალუფლება და სხვა სიკეთენი, ვიდრე რომელიმე აზარტულ სათამაშოს“.

იმავე დროს რედიარდ კიპლინგმა, რომელსაც არ შეიძლება სხვა რამ ეწოდოს, თუ არა ზნეობრივად მახინჯი ადამიანი, — შესძლო დაეწერა იმპერიის სადიდებლად (და როგორ მოსწონდათ ეს!) შემდეგი სისხლმწყურვალი ბოდივა:

ჩვენ ამ მათხოვრებს, ჯანდაბა მაგათ, ვკლავდით ვით ლეკვებს... არც მოვხატავდით და რთაც ტყვია გამოვველია, ჩვენ კონდაბები ავაიმქმევდით. ჯანდაბა თქვენს თავს! ვხა ჩამოვდექით! — ტომმა კი იცის, თუ რას ნიშნავს ხიშტი, კონდაბი!

ხოცვა-კლერის ეს უაზრო შექება, პაულიტერის ფსიქოლოგია, გამოთქმული ინგლისელი პოეტის „რიხიან“ ლექსში, — არ არის არც კიპლინგისა და არც მისი თანამედროვეების მონობილია. იმ დროს, როდესაც მარკ ტვენმა, — მიუხედავად იმისა, რომ იგი ტრაგიკულად იყო მოწყვეტილი ამერიკის მუშათა კლასის ბრძოლისაგან, — შესძლო დაენახა, თუ რაოდენი სიბინძურე და სისხლი იმალებოდა ბრიტანული და ამერიკული იმპერიალიზმის დიდებლის შარავანდელს ქვეშ, — გააჩნდა ინგლისის იმპერიალიზმის მთელი ლიტერატურა, რომელიც თავდაყირა აყენებდა ყველა მორალურ შეხედულებას ლიტერატურულ-დიდოლოგიურ საეულს უყრიდა ჩეენი დღეების ანგქსურ ხეოფაზიზმს.

ვაუჯერებელი ვგონია, რომ კიპლინგის დროს ამ იდიოტური ლაქლაქის გაუთავებელი ნიაღვარი ასე მცირე პროტესტს იწვევდა; მაგრამ ეს აიხსნება იმ უდიდესი გავლენით, რასაც ინგლისის მმართველი კლასის ლიტერატურა და იდეოლოგია ახდენდა ინგლისურ ენაზე არსებულ ლიტერატურაზე.

მორთხობა „კიპი“-ში, რომელსაც ხშირად მის საუკეთესო ნაწარმოებად თვლიან, კიპლინგმა დაასწრო ისტორიას მით, რომ თავისი სამშობლოსა და თავისი ხალხის სიყვარული შესცვალა — დიდი იმპერიის“ გუნდრუქის კმეით; იგი აქებს ამ იმპერიის სასარგებლოდ

გაწეულ ჯაშუშობას, როგორც უმაღლეს ადამიანურ სათნოებას.

როგორც უკვე ვთქვით, კიპლინგის ლიტერატურული მოღვაწეობა რომ ერთადერთი ყოფილიყო თავის გვიანობაში, ის ასეთი ინტერესის საგანი არც იქნებოდა, მაგრამ იგი მხოლოდ ყველაზე ხშიანი იყო ბევრ მის მსგავსთა შორის. იმ დროის მთელ ლიტერატურაში ჩვენ ვპოულობთ იმავე გაზრწილი მორალის გამოხატულებას. უდიდესი პოპულარობა მოიპოვა იმ დროს გამოჩენილმა ახალმა გმირმა: რეფლსმა, ქურდმა-ჯენტლემენმა, სტიფების მტეხელმა. მას ახალგაზრდა მაიმუნის ჭკუა და მაშვანკლის მორალურა თვისებები აქვს, იგი ხბოლავს მრავალთა გულს, — ყველა მისი მანკირება აეჭოროს მიერ სათნოებად არის ქცეული. ჩვენ დიდად წინ წავედით რომინ ჰუდიდან, გლუხთა აჯახყებების გმირიდან. რეფლსიც ართმევს მდიდრებს ფულს, მაგრამ მას ეზიზღება ლარბები და ერთ ჩეთ კამიკსაც არ მისცემს მათ თავისი ნადიდანად. მისი „მორალური აღორძინება“ სრულიად ლოგეკურად ხდება ინგლის — ბურების ომში, სადაც იგი უნაპუსობაში ეჯიბრება ჰაბუკ უინსტონ ჩერჩილს.

ამ დროისათვის ინგლისურმა პოეზიამ უკვე მოასწრო კიტსიდან, შელოდან და ვორდსვორტიდან დაქვეითებულყო ტენისონის იმპერიალისტურ შაირებაში და ბრიჯისის მსგავს აშკარა კაცთმოკლეთა ნაჯღანამდე. ამ უკანასკნელებმა დაფარეს და ჩაახრჩვეს ყოველივე, რაც კი იყო ინგლისურ პოეზიაში პატიოსნური, პუშანური და ნამდვილად მხატვრული. ისეთი უდიდესი რომანისტიების ადგილზე, როგორიც იყვნენ დიკენსი, თეკერეი, — მოვიდა ჰოლსურისი, როდესაც ლიტერატურაში მოვიდა სიმერსეტ მოეგმი, საერთო აღიარებულად ითვლებოდა, რომ „მალამხატვრული“ ლიტერატურის გმირი შეიძლება იყოს მხოლოდ ინგლისის მმართველი კლასის ნაშეირი, რომელსაც სრულყოფილობამდე განავითარა გულგრილი სისასტიკე. თეთი პერპერტ უელსიც, როდესაც იგი სწერს ნოქარზე ან დაბალი ფენის მოსამსახურეზე, გულსამარევე შემწყანარებლობას იჩენს. თეთი სტივენსონსაც, რომელსაც უდიდესი ნიჭი გააჩნია და შეუძლია მართლად, დამაჯერებლად დახატოს გამოგონილი სამყარო, თითქმის არ ძალუძს



რაიმე სათნოება მიაწეროს არაარისტოკრატს. „მდაბალია ის, ვინც მდაბლად არის დაბადებული“ — ეს იქცა ლიტერატურულ მრწამსად, და უხეივობის მთელი ხროვა ანეითარებს ამ ფილოსოფიას ათას წიგნში.

ჯონ ბეკანისგან, მორის ზიულერისგან, ლონ ბირნისგან, ჯილბერტ კ. ჩესტერტონისგან და სხვა მათ მსგავსთაგან — გულისამრევად მოედინება მღვრიე ნაკადი მოკრძალებული ნაჯღანისა, სადაც ათასნაირად არის განდიდებული და შექებული მალაჯვაროვნება, წვერობა იმ რჩეულთა კასტიისა, რომლებიც აფრთხილებული მისცურავდნენ სისხლის ზღვაზე დიდებისა და სიმდიდრისაკენ. ისინი, რომლებიც იპყრობდნენ მსოფლიოს და არასდროს არ დაფიქრებულან სამართლიანობაზე, პირფერულად იკეთებენ „პატიოსანი თამაშის“ პრინციპის წილახს. ეს პირფერული „ჯენტლემენობა“, ასახული ლიტერატურაში — „დახვეწილი“ ორუგლისა თუ გონებასილუნი მეზონის მიერ, — გავრცელებულია გრინგი-ვილუჯიდან სიდნეამდე ავსტრალიაში და პოლივეუდამდე კალიფორნიაში.

ამავე დროს, მხოლოდ ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შელი ასეთი მგზნებარებით და მრისხანებით სწერდა თავის „თავისუფლების ოდას“:

„თავისუფლება გაბედულად
ოჰ, ნეტამე შესწონ —
სახელი „შეფე“ — შვიი ლაქა
დიდების ფურცლის —
— დაუნდობლად, მრისხანებით
ფეხქვეშ გათელონ,
ან დააწირონ სადმე მტვერზე —
რომ წაიშალოს,
სილი და ხრეშით დაიფაროს,
ვით ვეღის კვალი.
გესმით თუ არა გულომისანის
სიტყვა მართალი?
ხელში აიღეთ თქვენ ელვარე
ძღვევისა ხმალი
და ვითა კვანძი გორდიუსის
გაპყვეთეთ იგი.

დღე, აქ ბრძენებმა დიდთა პირობა
ჩირაღდნის შუქით

გაფანტონ ბნელი, რომ სახელი
„ქურუმი“ მალე
წელში მოხრილი დაუბრუნდეს,
ისევ ჯოჯოხეთს
და იქ მოსტუნოს მან სამკვიდრო
ადგილი თვისი“.

შელის მოწოდებას ამაოდ არ ჩაუგულია; ბრძენმა ადამიანებმა აღანთეს ცეცხლი ისეთი ჩირაღდნებისა, როგორიც კაცობრიობამ არ იცოდა წარსულში; დაღვა დასაწყისი დასასრულისა ურჩხულსისათვის, რაც ასე დიდხანს სწოვდა სისხლს კაცობრიობას, ბოროტებად აქცევდა ყოველივეს, რაც კი იყო კეთილი ადამიანებში, და ამსხვრევდა მის საუკეთესო ოცნებას. როდესაც იგარძნეს დასასრულის მოახლოება, მომაკვდავი სამყაროს ბატონ-პატრონებმა შექმნეს ლიტერატურული ფამიზმი, რაც ასახავდა მის სულთმოზობაობას; და ამ ლიტერატურის შემაქაფშირებელ ცემენტად აქციეს დამახინჯება იმ ეთიკური ნორმებისა, რომლებსაც ოდესღაც თვითონვე ქადაგებდნენ, თუმცა არ მისდევდნენ მათ.

და ახლა იმ მწერალმა, ვისაც სურს თავი დაახწიოს დამახინჯებული მორალის წრეს, აუცილებლად უნდა მიიღოს ახალი მორალი, სოციალისტური მორალი. საბჭოთა მორალი ჩვენს დროში იქცა მწერლის აუცილებელ იარაღად.

ამერიკაში ლიტერატურულმა ფამიზმმა მიიღო სხვა ფორმა, ვიდრე ინგლისში, მაგრამ მისი არსი იგივეა. ინგლისელები ექსპლოატაციის მეტად გამოცდილი ოსტატები და ამიტომ წყევლა-კურულეს არ უთელიან შელის, მაგრამ მარკ ტვენის „შეფე არტურის კარზე მყოფი იანკები“ ამ ცოტახანის წინათ განდევნეს ნიუ-იორკის სკოლებიდან კათოლიკური წრეების დაყენებითი მოთხოვნით,

„მალაჯვაროვნების“ მორალი ძნელად თუ დაინერგებოდა ამერიკაში, სადაც ჯერაც არ არის დაფიქრებული წარმოდგენები ჩვენს ქვეყნის დაბადებაზე რევოლუციურ ბრძოლებში ინგლისელი იმპერიალისტების კასტის წინააღმდეგ; მაგრამ იგივე კაცთმოძულერი იგი არსი, იგივე დამახინჯებული ეთიკა დაინერგა სხვა გზით. ინგლისური ლიტერატურის გავლენით ამერიკამ მო-

ახდინა თავისი საკუთარი რაციონალიზაცია სიფილიდისა და სიცრუისა ლიტერატურაში. ჩვენ ინგლისელებიდან ვადმოვიღეთ ჩვენთვის საჭირო ნერგები, მივეციით მათ ნაციონალური ელფერი— და მივალწიეთ იმავე მიზანს. ჩვენი მმართველი კლასი არასდროს არ თვლიდა საჭიროდ კეთილშობილების სამოსში გამოწყობას; იგი უღმობილი, უხეში, ცინიკური და გოროზია, იგი იმუქრება ატომური ბომბით; თანამედროვე ინგლისს იგი აგდებულად უყურებს, როგორც უძლურ უმცროს პარტნიორს; იგი არ ცნობს არავითარ სიფაქიზესა და მოქნილობას, მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ შედეგები. ასევე უღებდა იგი ლიტერატურასაც.

ის ლიტერატურისგან იმსჯელო მოითხოვს, რასაც მოითხოვს ინგლისის მმართველი კლასი, და თუმცა მიზანი ერთი და იგივეა, მაგრამ მიზნისაკენ მიმავალი გზები სხვადასხვაგვარია, ინგლისელებში „შეხედულებით“ ინგლისის დაბალი ფენის კლასები“ შესდგებიან არასრულფასოვანი, მაგრამ თვინიერი და მოთმენი ადამიანებისაგან; სხვა ერთგნებათა ადამიანებიც მენტაკლებად არასრულფასოვნები; ინგლისური რეაქცია და ჩვენი რეაქციაც თანაბრად ამცირებენ ადამიანს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ინგლისელები მას თვინიერ არსებად თვლიან, ჩვენ კი ის ბობოქარ არსებად მივგანხიან. ორივე შემთხვევაში მორალური წარმოდგენები თავდაყირა დაყენებული. სიკეთე იქცევა ბოროტებად, ბოროტება — სიკეთედ. ისევე როგორც კაფკა ადამიანს უტოლებს ფურნის ზოჭოს, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი კლასის მორალი ადამიანს უტოლებს პირუტყვს, გეგართმევს ჩვენ ყოველზევე კეთილს, კეთილშობილს, სულგრძელს, ბრძნულს და ამის ნაცვლად გვიტოვებს ყბადაღებულ მატერიალურ კეთილდღეობას, რაც მტრწილად არსებობს რეკლამებში და არა მუშათა კლასის ცხოვრებაში. განსიდა ახალი „ზეკაცი“ — მაგრამ არა სისხლით. როგორც ის გამოიგონა გერმანულმა ფაშისტმა, არამედ რაღაც ნაბიჭვარი, რომელშიაც უკულმა შებრალებული დემოკრატია შეხამებულია სარეცხი-მანქანებისა და ავტომობილების ფილოსოფიასთან. ნაცადი ინგლისური ნამუშის მიხედვით, ყოველი ანტიდემოკრატიული სისამაგლე კეთდება „ლი-

მოკრატის გულისათვის“. ასეთი სინდნლით მოპოვებულ ყველა უფლებას ართმევენ ადამიანს კვლავ იმავე „დემოკრატის“ გულისათვის. როგორც ერთერთმა მთავარმა მრჩეველმა უთხრა ტრუმენს: „ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი კონსტიტუცია, თუნდაც ამისათვის საჭირო შეიქნეს მისი უკუღებება“.

საესებით ბუნებრივია, რომ ამ პირობებში ლიტერატურა იქცევა უღმობილოდ და უხეშობის რაღაცენაირ აკუმულატორად. ეურნალ „ლაიფის“ სარედაქციო სტატიაში პროგრესი გამოცხადებულია „რუსულ ილუზიად“. მაგრამ ადამიანი იმისათვის არ არის გაჩენილი, რომ ერთ ადგილას იდგეს. თუ მას წინასწავლა არ შეუძლია, იგი უკან-უკან იხევის. თუ მას კეთილის იმედი არ უნდა ჰქონდეს, უნდა აიძულო მიიღოს ბოროტი. თუ საჭიროა გადააქციოთ ის იმ მშვენიერი თავისუფალი სამყაროს მოსახლედ მტრად, რომელიც შექმნილია საბჭოთა კავშირში, — უნდა მთავრონოთ მას ზიზღი ამერიკელი ხალხის ყველა საუკეთესო ტრადიციისა, უნდა აიძულოთ ის თაყვანი სცეს უხეშ ძალას, რათა თვითონაც იქცეს უხეშ ცხოველად.

რამდენადაც ჩვენ შევხებით მორალის საკითხებს, ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ორ ფრიად პოპულარულ ფიგურას. ჯონ სტეინბეკისა და ჯემს კინის სახელებს იშვიათად უახლოვებენ ერთმანეთს ჩვენი კრიტიკოსები. სტეინბეკი ცამდე აჰყავთ, როგორც ესთეტი, რომელიც აგრძელებს ხემინგუეის „ქვეშემეცნების“ ტრადიციას; კინი ითვლება უფრო ნაკლებ უაქიზ მწერლად, მას ზოგჯერ კიდევ უსაყვირდურებენ იმას, რომ იგი პირდაპირ სკრის, თუმცა ფრანკლინ ადამსი, მაგალითად, მას ხემინგუეიზე მაღლა აყენებს. მიუხედავად ამისა, ამ მწერლებს აქვთ ბევრი საერთო; მათი მთავონების წყარო ერთი და იგივეა; საჭიროა უკეთ გავეცნოთ ამ წყაროს.

ათი წლის წინათ სტეინბეკს შეეძლო შეეცნო სინამდვილე მის პროგრესულ განვითარებაში; დღეს იგი ჩამოშორდა სინამდვილეს და სადღაც გზაზე დაკარგა თავისი ოსტატობა. ამ ცოტახნის წინათ გამოვიდა მისი წიგნი „საკონსერვო ქარხანა“. როგორც მოსალოდნელი იყო, კრიტიკოსებმა ზოტბა შეასხეს რომანს იმისათვის, რომ იგი თითქოს შესანიშ-

ნაედ ხატავს კალიფორნიის იმ ნაწილის მცხოვრებლებს, რომელიც „ტიამსის“ ლიტერატურულ მიმომხილველთა კალმის წყალობით გადაიქცა „სტიკინბეისის ქვეყნად“. ხოლო ამ „წარმტაცი“ რომანის გმირებია ზარმაცების, ანუ უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მაწანწალების ბრბო. ეს სიმპათიური ყმაწვილკაცები უმუშევრები არ არიან; მათ უბრალოდ ეზიზღებათ ყოველგვარი შრომა. ისინი საკმაოდ უუნებელი არიან, როცა მათ არ ეჩებიათ, მაგრამ საკმაოა გაჯავრდნენ, რომ უკვე შზად არიან ჩადინონ ყოველგვარი ძალადობა. მათი ცხოვრების სატრაგიკო-ლირიკული მხარე მხოლოდ და მხოლოდ საროსკიბო სახლის კედლებს შორის მიმდინარეობს, მაგრამ მწერალი ცდილობს შთაფონოს მკითხველს, რომ პროსტიტუტკები — უკეთესებია ქალთა შორის, ისე როგორც მაწანწალები შამაჯაკთა უმალესი კატეგორიაა. სტიკინბეისის რომანში გამოყვანილი მაწანწალები ავტორს აძევენ ახალ არისტოკრატიის სიმალღეზე. მუშათა კლასის ყველა „დაბალ“ პრობლემებს ისინი სწავებენ შრომის უარყოფით. მათ გააჩნიათ ისეთი „სეულიერი“ თვისებები, რომლებიც მათ აყენებს ყველა სხვა ადამიანზე მაღლა, და კაცობრიობის იმ ნაწილში, რომელიც ამერიკაში მოსახლეობს, მხოლოდ ამ მაწანწალებმა იპოვეს სამოთხის გზა მაგარი სასიძულეობისა და ხელიგნობის საშუალებით. რომანის ცენტრალური გმირი — აღწერა ღრეობისა, რაც მაწანწალებმა მოაწყეს მეზობელ მეცნიერის სახლში; ამ ღრეობის დროს ისინი ამხევევენ ფოტოგრაფიული ჩანაწერების ძვირფას კოლექციას, რომელიც მეცნიერს ეკუთვნის. მაგრამ რას ნიშნავს კულტურული ღირებულებანი და ცივილიზაცია იმ უმალეს კულტურასთან? შედარებით, რომელიც ცოცხლობს ამ მაწანწალების „ხელმეუხებელ“ სულში?

წიგნის დასასრულს იგივე მეცნიერი უკითხავს ხელიგნებსა და პროსტიტუტკებს სანსკრიტულიდან გადმოთარგმნილ სატრაგიკო ლირიკას. ვანა რომელიმე ცოცხალი ენას, თუნდაც თარგმანში, შეიქმლა დაეკმაყოფილებინა ესოდენ გაფაჩიზებული ყურები? იმის შემდეგ, რაც მეცნიერმა თავის სტუმრებს გაუმასპინძლდა ამ იშვიათი პოეტური კერძით, ავტორი ამბობს:

„ფილის მე სტიროდა დაუფარავად, თვით დორაც კი იშქენდდა ცრემლებს. ხეხელი ისე იყო მოხიბლული სიტყვების ელერით, რომ არც კი ხელგნობა მათ აზრს. მაგრამ ყველამ იგრძნო, როგორ დაპჭროლა მათ ამ ქვეყნის სევდამ. თვითეულმა მოიგონა დაქარგული სიყვარული, დაეწყებული მოწოდება“.

დახეთ! „ორიგინალურია, თავისებურია“ — აღტაცებით სწერდნენ კრიტიკოსები. ასეთივე ორიგინალობით გამოიჩინოდნენ ორიგინალური ჰუმლიტირები ბიტლერული გერმანიის ორიგინალურ ქალაქში.

კეიზი ნაკლებ „ორიგინალურია“. თავის ყველაზე პოპულარულ წიგნში, რომელსაც უდიდესი წარმატება აქვს, — „ფოსტალიონი ზარს ორჯერ რეკავს“ — ის მოგვითხრობს ერთი სიყვარულის ისტორიას, რომელსაც კრიტიკოსები „ჩვენი დროის ყველაზე ამაღლებულ სასიყვარულო ისტორიას“ უწოდებენ.

როგორ არ უნდა იყოს ამალელებელი! „გაქნილი ყმაწვილკაცის“ სტანდარტული ტიპი — თანამედროვე ამერიკული „კულტურის“ გვირგვინი — მოხვდება ერთ სასადილოში, რომელიც დგას კალიფორნიის ერთ-ერთი გზის პირას. სასადილო ეკუთვნის ბერძენს, რომელსაც ცოლად ჰყავს ახალგაზრდა ქალი. ამ ახალგაზრდა ქალს გონება ხუთი წლის ბავშვისა აქვს, ხოლო სექსუალური მიდრეკილება — დიდი ხნით დამწყვედული მოზრდილი კატისა. ბერძენი თავის ცოლზე ხნიერია და „გაქნოლ ყმაწვილ-კაცზე“ ნაკლებ ლამაზი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბერძენი სულგრძელი და კეთილია, — მიიწვევს იგივე ვერება იმისათვის, რომ იგი, როგორც ზრდილობიანად გამოსთქვამს კეიზი, „მსუქანია“.

რადგან გმირ ყმაწვილკაცსა და გმირ ქალს უყვართ ერთმანეთი და სასადილო მათ საარსებოთ უნდათ, ისინი ვადასწყვიტენ ბერძენს მოკლას. რაც ბერძენია და არა ანგლოსაქსი, ის საერთოდ თითქმის არც ადამიანია, ხოლო მისი განაგრძობილი მიწიერი არსებობა ხელს უშლის მათ დასტებენ „სიყვარულო“. კეიზის მიერ დახატული სიყვარული უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ „გაქნილი ყმაწვილკაცი“ თავის საყვარელს ტანისამოსს ახევეს ტანზე. ასეთ ლირიკულ სიყვარულს შეუძლიან აკეთებენ ბერძენის მოკლის სხვა-

დასხვაგვარ ცდებს, რომლებიც ბოლოს-დაბოლოს წარმატებით დაგვირგვინდება.

ორივე ამ წიგნში ავტორები ეძებენ და ცდილობენ მიაღწიონ მკითხველის თანაგრძნობას. ორივე ავტორმა იცის თავისი საქმე, და აღიარებენ თუ უარყოფენ ამას ისინი, — მათი ზნეობრივი შეხედულებანი ეხმარებიან მათი გმირების მსოფლმხედველობას.

სტეინბეკი აშკარად უთანაგრძნობს თავის მაწანწალებს; იგი ამ მაწანწალებზე სწერს მოწონებით და სიყვარულით, ისევე როგორც კენი სწერს თავის კაცისმკვლელებს. კენი თავის გმირს იმდენად მიშვიდველს ხატავს, რომ რომანის წაკითხვის შემდეგ მკითხველმა უნდა გაამართლოს ყოველი მისი საქციელი, თუმცა მკვლელობის სცენა თავისი საზიზღორობით არ ჩამორჩება ამდაგვარი ლიტერატურის ყველაზე ცუდ ნიმუშებს, მაგრამ შორაღმა, რომელიც წარმოშობილია რუსეთის სიძულვილის ნიადაგზე, თავდაყირა დააყენა ყველა ზნეობრივი შეხედულება, და მცნება „არ ჰკლა“ იქცა მცნებად „მოჰკალი“.

სტეინბეკის მკითხველს თვალში ხედება იაფფასიანი ყაღბი ცრემლიანობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ბეკერი თანამედროვე მწერლისათვის, რომლებიც „ჰუმანიზმის“ ნიღაბით ქადაგებენ ჰუმანიზმის სრულიად საწინააღმდეგო რამეს. სტეინბეკისაგან განსხვავებით კენი აბსოლუტურად გულგრილია და ყოველგვარი სენტიმენტალობა უცხოა მისთვის. კენიმ უფრო შეგნებულად, ვიდრე სტეინბეკმა, შეისისხლნო (ყაღბენი დროისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგია გულქვა ძალადობისა, და იგი რამდენიმედ იქცა იმ მწერალთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის ზელმძღვანელად, რომლებიც ძალადობის უმღერთან; ძალადობის თემა ახლა ყველა სხვა თემას სჭარბობს თანამედროვე ამერიკის ლიტერატურულ პროდუქციაში: რომანებში, სცენაზე, კინოსურათებში და რადიოგადაცემებში. კენის ჰყავს უამრავი მიმბაძველი, დაწყებული ისეთებიდან, რომლებიც მასზე ნაკლებ როდი ფლობენ სამწერლო ტექნიკას, და გათავებული მცირემცოდნე მჯობნელებით.

თავის რომანის „პეპელას“ წინასიტყვაობაში კენი წერს: „როცა შევუღიქვი ამ რომანს, მე დაუებრუნდი პირველ-

დაწყებით შთანაფიქრს, მაგრამ არა იმ ნაწილს, რომელიც ეხებოდა მუშათა მოძრაობას, — რადგან მე უკვე დიდხანსა მივედი იმ დასკვნასად, რომ ამ თემა (თუმცა ის მუდამ იტაცებს ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს) არ შეუძლია შთაგონება მისცეს მწერალს, — არამედ დაუებრუნდი ადგილმდებარეობის — ტყიანი მთების, აყაბრა მდინარეების და იმ საამური, სიმპათიური მცენარეულობის აღწერას, რომელთა პატარა ქოხები თითქმის ისეთივე დარჩა, როგორც დენიელ ბუნის დროს იყო“.

ლაპარაკია — არც მეტი, არც ნაკლები — კენეტის ქვანახშირის რაიონზე, სადაც ოცდაათიან წლებში მუშები გააფრთხილეს იბრძოდნენ თავისი უფლებებისათვის; და ამ თემამ „შთაგონება არ მისცა“ კენის, ისევე როგორც მას შთაგონებას არ აძლევს საერთოდ მუშათა კლასის ბედი, შთაგონებას არ აძლევს მუშათა მოძრაობის ძლიერება, უდიდესი კლასობრივი ბრძოლები, ბედნიერი მომავლისაკენ მისწრაფება, სოციალიზმის მშენებელის ისტორიული მოწოდება.

ამის ნაცვლად კენიმ ჰქმნა რიგი „შთაგონებით“ მოკლდა ზელი სისხლის აღრევის სიყვარულის თემა. და არ შერცხება ეთქვა, რომ „მამებს სექსუალურად უყვართ თავისი ქალიშვილები“.

შესაძლოა, კენის შემოქმედება ყურადღების ღირსი არ ყოფილიყო, რომ იგი არ იყოს დამახასიათებელი ამერიკელი მწერლების საგრძნობი ნაწილისათვის, რომელიც ქადაგებს უხეშობას, ძალადობასა და ბოროტმოქმედებას.

ავიღოთ თუნდაც ერთი დილაოგი კენის რომანიდან — „ყოველგვარ უპატიურობაზე მეტი“, რომელიც 1949 წელს გამოვიდა. ეს წიგნი მოგვითხრობს, თუ როგორ გარბის არმიიდან დეზერტირად კონფედერატების ჯაშუქში, რომელსაც შეუუყარა პრინციპულად და რომელიც მისი გულისათვის ხდება პროფესიონალური მკვლელი. და აქაც კენი თავის გმირთან ერთად მიდის ბოროტმოქმედების გზით, აქებს მკვლელობას და უთანაგრძნობს მკვლელს.

წიგნის ბოლოს, მატარებლის წარმატებით გაძარცვის შემდეგ, რომლის

დროსაც ამ დეზერტირმა რამდენიმე კაცი მოკლა, ქალი ეკითხება:

— რატომ მოკვალა ის?

— შე მოვალე სამი.

— ჰო, მაგრამ უკანასკნელი რატომ? ის, ვისი მოკვლაც შენ არ გპირდებოდა. ის, ვინც სულ იმეორებდა, იარაღი არ, მაქვსო; ფოსტალიონი.

— მან დაგვინახა ჩვენ. მას შეიძლო გამოვეცანით.

— როჯერ, შენ სტყუი.

— თუნდაც ასე იყო; მერე რა?

— შენ ის მოკვალა ჩემი გულისთვის.

— დე სიმართლე იყოს, რასაც შენ ამბობ, მე მაინც არ გამოგიტყდები.

— ამრიგად, ჩვენ გველის ერთი ისეთი ღამე როგორც იყო ის, რომელიც ჩვენ გვატარებთ მადარაში, სადაც ჩვენ პირველად გავიგეთ, თუ რა შეიძლება იყოს ცხოვრება.

— ახლა დილაა.

— მაშინ იყოს კიდევ ერთი დილა.

— მომავლოდ შენი ტუჩები.

— მაკოცე... მაკოცე კიდევ..."

ყოველი ნორმალური კაცა, როცა ამ დილაგს წაიკითხავს, გაიცინებს და იტყვის: საეჭვოა, ასეთ უნიჭო აბდალებს რაიმე სერიოზული ზიანის მოტანა შეეძლოსო; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი მოტივები სჭარბობს და განუწყვეტლევ გაისმის ჩვენს ლიტერატურაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წიგნის ბასარზე დედექტიური რომანის უფრო დიდი მოთხოვნები, ვიდრე ყველა ერთად აღებულ სხვა სახის ბელეტრისტულ ნაწარმოებთა. დასავლეთის „კულტურის“ ამ საყვარელ ქმნილებას გულმოდგინედ უკეთებენ რეკლამას როგორც მარადებისა და ამოცანების მაგვარ უწყინარ გასართობს „განათლებული“ მკითხველისათვის. ეს დაღლილი გონების დასვენებაა. პერბერტ პუერტიმა საჯაროდ განაცხადა, რომ მას ძლიერ უყვარს დედექტიური რომანები; და მას შემდეგ ამ ენარს აქებენ ყოველნაირად, როგორც ერთგვარ სამკურნალო მალამოს, რასაც მიმართავენ გამოჩენილი სახელმწიფო პირები მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, მაგრამ თვით ამერიკაშიაც ხომ არ მოიძებნება ასეთი ათასი სახელმწიფო პირი? მაშასადამე, როგორც ჩანს, არა მარტო ისინი არიან გატაცებულნი ამ ლიტერატურული დომხალით.

დედექტიური რომანი სრულიად არ არის უწყინარი ამოცანა; მეტწილად მხოლოდ უსამველო იდიოტს არ შეუძლია ამოიცნოს იგი პირველ ვერდიქტში; მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, როცა დედექტიური რომანი თავისი ფორმით ამოცანაა, თავისი შინაარსით ის არის მოთხრობა მკვლელობაზე, რასაც, მეტი რომ არ ვთქვათ, საფუძვლად უდევს ერთობ უცნაური ფსიქოლოგია. მართალია, დედექტიური რომანის გმირი, ექნება ის პერი მეზონი, ოტეც ბრაუნე, ჯამუში ომალი, ფილო ვანსი, თუ უამრავი სხვა ამგვარი ვინმე, რომანის ბოლოს ყოველთვის ამხელს მკვლელს, მაგრამ ეს მხოლოდ თავაზიანი რეკლამასია „ზრდილობის დაცვის“ სხვადასხვა ორგანიზაციების წინაშე. დედექტიური რომანის ნამდვილი აზრი მდგომარეობს არა სიკეთის საბოლოო გამარჯვებაში, არამედ რომანის შინაარსში.

ხოლო რომანის ძირითადი შინაარსია — მკვლელობა. მაგრამ მკვლელობა 1949 წელს თვით ამერიკაშიაც არც ისე ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა მოსახლეობას შორის დანაშაულებანიზრდება, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების რიგითი მცხოვრები იშვიათად ხედავს მკვლელობას თავისი საკუთარი თვალებით. ამერიკაში გაძლიერებით ინერგება ძალადობის ყველა ნიშნის დაფარვის ხელოვნება, ყოველდღიურ ცხოვრებას გულდასმით უკეთებენ ისეთ ზღუდვებს, რომლებშიც ვერ გააღწევს სიკვდილის გამამკლავებელი სანახაობანი და ხშირი. დედექტიური რომანი არ აშუქებს სინამდვილის რომელიმე მხარეს, არ ხატავს დანაშაულებას, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ მოტივებს. დედექტიური რომანი, რომელშიაც ყოველი მხრიდან მოცივია გვამები, — ყოველგვარი შეფარების გარეშე არის „ცხოვრებიდან გაქცივის“ ლიტერატურა.

ამ ენარის მოყვარულნი და დამცველნი იტყვიან, სიკვდილი დედექტიური რომანში — ნამდვილი სიკვდილი კი არ არის, არამედ პირობითი ხერხია.

მთელი ბოროტბაც სწორედ ამაშია, რადგან იქ, სადაც სიკვდილი მხოლოდ ხერხია, რაღა უნდა დარჩეს სიცოცხლის პარტივისცივისაგან? მე უკვე ვთქვი, რომ ერთსადაიმავე მორალს ქადაგებს მთელი ამერიკული კულტურა, — მხე-

დეკლარაციაში მაქვს ის ამერიკელი კულტურა, რომელსაც ავრცელებს მონოპოლისტური კაპიტალის ხელში არსებული პრესა, კინო და რადიო. განსხვავება მხოლოდ მხატვრულ დონეზეა, ენა და სტილია, მკვლელობის, ძალადობის, მხეცობისა და ადამიანის მასხრად აგდების ორომტრიალი, რასაც ქადაგებენ მილიონობით ჰუმორისტული ჟურნალები და დღეღამეობრივი რომანები, შემოგვცემის ჩვენ „პარტიზან რევიუს“ ესთეტიკა კაბალისტური ენაზე გადატანილი, შემოგვცემის ფაქსისტური პაუნდის ლექსებიდან, იმ პაუნდისა, რომელმაც თავისი შრომებისათვის მიიღო კონგრესის ბიბლიოთეკის პრემია. იმას, ვინც კიდევ დაიქვემდებარება ამაში, ჩვენ ვურჩევთ ჩაისუნთქოს ფილტვებში ჰაერი, ხელი მოიჭიროს ცხვირზე და მიმართოს ჯორჯ ორუელის უკანასკნელ ოპუსს; ჯორჯ ორუელი იმ „განათლებულ“ მკითხველთა საყვარელი მწერალია, რომლებიც უფრო „დახვეწილი“ ლიტერატურის გულისათვის აგდებულად ეპყრობიან „კომიკებს“.

ორუელი ინგლისელია, მაგრამ მის თხზულებებში მთიან ანგლოსაქსონურ რასის უბირატესობის შესახებ არაფრით განსხვავდება უხეში ძალისა და ადამიანისადმი ზიზლის იმ კულტისაგან, რომელსაც ამკვიდრებს ამერიკაში მონოპოლისტური კაპიტალი. ორივე ამ „კულტურამ“, რაც ერთნაირ ბეგინის და პარი ტრუმენის ხელმძღვანელობითა და კურონებით იღლიურად შედგულდა ერთარსებად, მთლიანად და საკვებით მიიღო გერმანული ფაშისმის განტოლება: „ადამიანი უღრის ფურის ხოჭოს“. ერთ-ერთ თავის წიგნში ორუელმა, ალბათ, იმ მიზნით, რომ პლაგიატი არ დაეწამებინათ, კაცობრიობა დაამსგავსა საღორის ბინადართ. ადამიანი ღორია, — და სხვა არაფერი. თავის ახალ წიგნში „1984 წელი“ ორუელი ზაჩავს მომავალ მკვიჩიერებას, რომელშიაც ერთხელ და სამუდამოდ მოსპობილია ყოველგვარი ეთიკა და მორალი. ცხადია, ეს მკვიჩიერება ნამდვირია ისე, როგორც ორუელის გაუწავველ ფანტაზიას წარმოუდგენია უკლასო საზოგადოება; მისი გმირები, რომლებიც გადაჭრით უარყოფენ ისეთ ზედმეტ ხარახურას, როგორცაა ზნეობრივი წესები, — მასისხლე მტრებია

იმისა, რასაც ორუელი გადაჭრულად და სპილოს შესაფერი სიფაქიზით უწოდებს „პარტიას“. მოისმინეთ ქვემოთმოყვანილი მომხიბლველი საუბარი:

— „თქვენ მზადა ხართ მოატყუოლოთ, ითაღლითოთ, გამოსტყუოთ, გაბრუნათ ბევრეთა გონება, მოსწამლოთ ადამიანები ხარკოტიკით, წახალისოთ პროსტიტუცია, გაავრცელოთ ვენერიული სნეულებანი — ერთი სიტყვით, გააკეთოთ ყოველივე ის, რასაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს და შესაუხტოს პარტიის ძლიერება?“

— დიახ, შემოიღია, — დამანჭული დიმილით პასუხობს ორუელის ანტიკომუნისტი.

— მაგალითად ჩვენ რომ დაგვეჩვენეს, რომ თქვენ გოგირდის მტავა შესახებ ბევრს სახეში, მზად ხართ ამისათვის?“

და ამაზედაც ორუელის ბრწყინვალე გმირი პასუხობს დადებითად.

ამ სისაბავლეს, შეთხზულს ტროცკისტის მიერ, რომელიც ინდოეთში ინგლისის პოლიციაში მსახურობდა, — სიამოვნებით ნთქავენ ამერიკელი რეაქციის კულტურტრეგერები. ამ უახრო, მაგრამ მაინც მათე ნაროშვის გავრცელების კომპანიაში ჩაება ამერიკის ყველა „კულტურული ძალა“, „თვის განმავლობაში გამოსული საუკეთესო წიგნის“ კლუბი რეკომენდაციას აძლევდა ორუელის წიგნს; კრიტიკოსები აღფრთოვანებისაგან ღორბლს ყრიდნენ; „რიდერს დიჯესტმა“ შეადგინა ამ წიგნის კონსპექტი; ჟურნალმა „ლიფთმა“ მიუძღვნა მას რვა გვერდი; „პარტიზან რევიუს“ ყველა წერილმა მეზობტემ უმღერა მას დიდების ჰიმნი.

დამახასიათებელია, რომ ყველა რეაქციონერი მწერალი დაჯინებით იღწვის იმისათვის, რომ ხელოვნება გაემიჯნოს პოლიტიკას. ეს საკვებით ეხმატკილება მდარე მოარულ შეხედულებას, რომ ვითომ კომუნისტები ხელოვნებას აქცივენ პოლიტიკის იარაღად. ძნელი არ არის იმის მიხედობა, რომ ასეთი შეხედულებები ხელსაყრელია რეაქციისათვის. ყოველი გონიერი კაცისათვის ცხადია, რომ არაფერი — მით უმეტეს ხელოვნება — არ შეიძლება არსებობდეს უპაერთ სივრცეში, და ასევე ცხადია, რომ ხელოვნება, არ არსებობს თავისთავად, სოციალური სინამდვილისაგან მოწყვეტილად, არა-

შედ პირიქით, იგი არის სოციალური სინამდვილის ახარეკლი. და რამდენადაც პოლიტიკა სოციალური სინამდვილის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ხელოვნების მოწყვეტა პოლიტიკისაგან იქნებოდა ისეთივე სისულელე, როგორც ლიტერატურის მოწყვეტა ენისაგან; იგულისხმება, რომ ეს ჩინებულად ესმით იმ მწერლებს, რომლებიც ხმას აყოლებენ კაბიტალიზმის სიმღერას, თუმცა თვალთმაქცურად სხვა რამეს ამბობენ. ეს ესმის, მაგალითად, იმავე ორუელს — ერთ-ერთს იმ ყველაზე თავგამოდებულ და ჩლუნგ პოლიტიკურ პროპაგანდისტთა შორის, რომლებსაც ოდესმე ხელი მოუვიდიათ კლემინსათვის; ყველა მის საშინ და გახრწნილ ნაბოღარზე აშკარად მოჩანს ნიშანი: „გაკეთებულია უოლ-სტრიტში“.

ეთიკის როლი ლიტერატურაში — განსაკუთრებით სინამდვილისადმი ლიტერატურის დამოკიდებულების საკითხში — არასოდეს არ ყოფილა განსაზღვრული საკმაო სიღრმად. ამის მიზეზი იმაშია, რომ მხოლოდ დიალექტიკურ მატერიალიზმს გამოჰყავს ეთიკური ნორმები კლასთა ურთიერთობისაგან და წარმოების საშუალებებთან ყველა კლასის დამოკიდებულებისაგან; ყველა სხვა თვალსაზრისით ეთიკური ნორმები ჰგონიათ აბსოლუტური და უცვლელი, კეთილი და ბოროტი — იმთავითვე მოცემული, ისინი „მარადიული და ღმერთის მონიშნულია“.

არ არსებობს ეთიკური საზომების ერთიანი წყება. თავის დროზე არც ემერსონმა, არც ტორომ, არც უიტმენმა, არც ზრაიენტმა, არც მარკ ტუენმა არ მიიღეს სამხრეთის მონათმფლობელთა მორალი; თავიანთ შემოქმედებაში ისინი შთავონებულნი იყვნენ სხვაგვარი ზნეობრივი შეხედულებებით, რომლებიც გაცილებით ახლოს იყვნენ საბჭოთა ეთიკასთან, ვიდრე ტრუმენ-ბევისის კოალიციის „ეთიკასთან“. სწორედ იმიტომ, რომ მათ გაჩნდათ სინამდვილის ასეთი გასაღები, მათ თვალსაჩინო ადგილები დაიკავეს ლიტერატურის ისტორიაში, იმ დროს, როდესაც დიდიხანია დაიწყებ-

ბულნი არიან იმდროინდელი ლიტერატურული ქომავნი მონობისა. ჩვენს დროში მორალის არსი შეიძლება გამოითქვას უბრალო ფორმულათ: თაშის მისა და იმპერიალიზმის სიმხრე ხართ თუ წინა აღმდგე ი? არავის არ შეუძლია განზე გადგეს: შუა ადგილი არ არის, მწერალმა უნდა ამოიჩინოს ერთი ან მეორე გზა.

ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის სიცოცხლეა, — ამბობს საბჭოთა მწერალი ოსტროვსკი, — იგი მას ერთხელ ენიჭება, და ის უნდა გაატაროს ისე, რომ მწარედ არ სტყვიოდეს გული უმიზნოდ გატარებული წლებისათვის, რომ სირცხვილით არ იწყოდეს საშინაო და სულდაბალი წარსულის გამო, რომ სიკვდილის ეკამს შეეძლოს თქვას: სიცოცხლე და მთელი ძალები მოვხმარე ყველაზე მშვენიერს ქვიზნიერებაზე — ბრძოლას კაცობრიობის გათავისუფლებისათვის“.

ეს სიტყვები, რომლებშიაც ნიკოლოზ ოსტროვსკი ნათლად გამოთქვა თავისი მორალური მრწამსი, აღებულია მისი წიგნიდან „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რაც ინგლისში გამოვიდა „გმირის დადგინების“ სახელწოდებით. ამ რომანში ოსტროვსკი წარსულის ახალი საბჭოთა ადამიანის წარმოშობის პრობლემას, გვიჩვენებს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ მის დადგინებას, გვიჩვენებს იმ ძალებს, რომლებიც აყალიბებდნენ მას. ძველისაგან იზადებოდა ახალი; პროლეტარი იქცეოდა სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქედ; კაბიტალიზმის ხრწნისა, სიღამბლისა და სიბინძურის ნიადაგზე ჩნდებოდა მომავლის პირველი ყლორტები.

ეს იყო ძნელი ამოცანა; შესაძლოა, მწერლის წინაშე აერ არასდროს არ მდგარა ესოდენ ძნელი ამოცანა. მწერალს უნდა ეჩვენებინა ახალი სინამდვილე, და იმისათვის, რომ ჩასწვდომოდა ამ სინამდვილეს, საჭირო იყო ახალი კრიტიკერიუმები. ძველი კრიტიკერიუმები იმდენადვე გამოუსადეგე, გახრწნილი და გაფუჭებული იყო, როგორც ის საზოგადოება, რომელმაც შექმნა ისინი. არ არსებობდნენ მზამზარეული კრიტიკერიუმები, რომლებიც უპასუხებდნენ დღევანდელი დღის მოთხოვნებს, — იმედსა და ტანჯვაში იჭი-

დებოდნენ ისინი. და ამ ახალ კრიტიკრიუმების საფუძველზე ოსტროვსკიმ შექმნა თავისი შესანიშნავი წიგნი საბჭოთა ადამიანის ზრდისა და მომწიფების შესახებ.

მე არ ვცი ინგლისურ ენაზე არსებულ მთელ თანამედროვე ლიტერატურაში არცერთი წიგნი, რომელიც შეიძლება გაგვეტოლებინა მისთვის.

საბჭოთა ლიტერატურის არსი შეიძლება განვსაზღვროთ ორი სიტყვით: იმედი და სიცოცხლე. დღევანდელი და ხვალისდელი დღის მტკიცე იმედი, მტკიცე რწმენა ადამიანთა ბედნიერების უსაზღვრო პერსპექტივას გვიძლის წინ. კაცობრიობის ისტორიაში მომავალმა პირველად ჩამოიხსნა იდეალიზმისა და მისტიკის იაფფასიანი საბურველი; მომავლისკენ მიმავალი გზა პირველად არის გაყვანილი შეცნიერულ, მატერიალისტურ საფუძველზე. „ხეცური სასუფევლის“ ნაცვლად არსებობს „ადამიანის გონების უსაზღვრო ძიებანი და მიღწევანი“. და ეს არა მარტო ოცნებაა, არა მარტო მომავლის იმედი, არამედ თვით ჩვენი დროის სინამდვილეა. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ეს თვისობრივი განსხვავება.

გორკი წერდა თავის რომანს „დედას“ თითქმის იმავე დროს, როდესაც ჯ.ჯ. ლონდონი წერდა „რაინის ქუჩას“. ერთიც და მეორეც შეგნებულად მიემართო თავიანთი ქვეყნების მუშათა კლასის ავანგარდს: გორკი — რუსეთის სოციალისტურ-დემოკრატიულ პარტიას (რომელიც შემდეგ იქცა კომუნისტურ პარტიად), ლონდონი — ამერიკის შეერთებული შტატების სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთას (მომავალ კომუნისტურ პარტიას). ერთიც და მეორეც იყო 1905 წლის რევოლუციაში რუსეთის მუშათა კლასის დროებითი დამარცხების ძლიერი ვაჯელიანი ქვეშ. ჯ.ჯ. ლონდონმა „რაინის ქუჩაში“ დახატა საშინელი სურათი მომავალი ფაშისმისა, რომელიც იმუქრება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გასარეხას და კაცობრიობის უკან დაწევას საუკუნეებით. გორკი, რომელიც უფრო ახლა იღვა ბრძოლასთან, შეუდარებლად უფრო დიდი იმედით შეჰყურებდა მომავალს.

რომანის „დედას“ გმირი-მუშა პაველი მიმართავს თავის მსაჯულებს და ამბობს:

„ჩვენ რევოლუციონერები ვართ, და ასეთები ვიქნებით, სახამ ერთი მხოლოდ ბრძანებლობენ, გორკინი — მხოლოდ მუშაობენ. გაიუმარჯვებთ ჩვენ, მუშები! ისინი, ვინც თქვენ ნდობით აღგუპურვით, სრულიადაც არც ისე ძლიერებიან, როგორც მათ ჰგონიათ“.

ამჟამად, როცა ჯერ კიდევ ცოცხლებია პავლეს თანამედროვენი, უკვე რომა თათამ ნახა ძალთა სრული გადაჯგუფება მსოფლიოში. კაპიტალისტთა შორის თვით ყველაზე თავგამოდებული ოპტიმისტებს აღარ შეუძლიათ ირწმუნონ თუნდაც მსგავსი რამ ბოდივით „ათასწლიანი მეუფებისა“, რაც პიტლერმა გამოაცხადა. „კაპიტალიზმის ჩასვენება“ — ასე უწოდა უილიამ ფოსტერმა იმ ეპოქას, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ; ამაში თანამედროვეობის ყოველთაგანმსაზღვრელი რეალობაა, საბჭოთა მწერლისათვის ეს რეალობა იმდენად ხელშესახებია და იგი იმდენად ორგანულად არის შესული მის არსებობაში, რომ სიცოცხლე და იმედი მისთვის ისევე ბუნებრივია, როგორც ჰაერი, რითაც ის სუნთქავს, და როგორც წყალი, რასაც ის სვამს. და საბჭოთა საზოგადოების რომელ მხარესაც არ უნდა შეეხოს მწერალი, იგი ყველგან იბოვის სიცოცხლესა და იმედს.

შესაძლოა, ეს არასდროს ისე ნათლად არ სჩანდა, როგორც გამოჩნდა იმ მშვენიერ ლიტერატურაში, რომელიც წარმოიშვა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი ომის ვითარებით. მხოლოდ უგულო ან სულელ კაცს არ შეეძლო ეგრძნო მთელი სიდიადე ამ საშინელი და მრისხანე გამოცდისა, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა მწერალს ჰქონდა მინიჭებული ეხილა სიხარული და რწმენა მომავლისა, რომელიც წარმოიშვა ამ ბრძოლის ციკლში. ეს უკვე ერთიული ხმა კი აღარ არის რევოლუციონერისა, კეთილშობილ მსხვერპლთა — კომუნის წამებულთა დამცველისა; ეს არის ხმა იმ კაცისა, რომელიც იცავდა სოციალიზმს, უკვე არსებულ სოციალიზმს, ეს არის ხმა კომუნისტისა — მომავლს მშენებლისა. თავის მშვენიერ წიგნში — „ველიკოშუმსკის აღება“, ნაპარჯების

ნამდვილ სიმღერაში, რომელიც აღსაყ-
სება მრისხანებით, იმედით და სიმე-
მაცით, ნიჭიერი საბჭოთა მწერალი ლე-
ონიდ ლეონოვი ასე წერს ბრძოლისათ-
ვის გამაზადებულ საბჭოთა ტანკის შე-
სახებზე:

„ორასამესამე მზად იყო საბრძოლვე-
ლად იმ მშობელი მთებისათვის, რომ-
ლებშიც შეეეს მისი ლითონი, იმ ადამი-
ანებისათვის, რომლებშიც შექმნეს იგი,
სტალინისათვის, რომელმაც დააწესა
მისი არსებობა. და თუ ადამიანის ინ-
სტრუმენტი, რომლითაც მოიპოვება
თაობის დამოუკიდებლობა, იმსახუ-
რებს ასეთ სიტყვას, ის იყო მისი უკა-
ნასკნელი მშვიდი ღამე უკვდავი-
ბაში შეჭრის წინ“.

ეს ახლებურად არის თქმული; ასე-
ვე ახლებურად წერდნენ ომზე ერენ-
ბურგი, საბოლევო, ფადეევი, გროს-
მანი, პავლენკო, ვასილევსკაია და ბეი-
რი სხვა საბჭოთა მწერალი. ეს ახალი
შეიძლება გამოითქვას ასე: „მე მომაე-
ლის მოქალაქე ვარ, მე მოვითხოვთ
მთელი კაცობრიობის ახლო მომავალ-
ზე. ჩვენ უძლეველი ვართ, რადგან
ჩვენ ვიანახიერებთ მთელი კაცობრიო-
ბის იმედსა და სასიკეთეს, და ასეული
მილიონი ადამიანები მოგვეყვებიან
ჩვენ“.

ამ მოკლე ნარკვევში მე შევეხე მხო-
ლოდ ეთიკის საკითხს სინამდვილისად-
მი ლიტერატურის დამოკიდებულების
პრობლემასთან დაკავშირებით. მაგრამ
ვიმედოვნებ, თუნდაც რამდენიმედ მა-
ინც შევეძლია გაბათილება იმ შეხედუ-
ლებისა, რომელიც ამტკიცებს, რომ
მხატვრულ კრიტიკიუმებსა და ადამი-
ანის ეთიკას აქვს მისტიკური დამოუკი-
დებლობა. არც მხატვრული კრიტიკიუ-
მები და არც მორალის წესები არ ყო-
ფილან წარწერილნი რომელიმე
ღვთაებრივი ხელით რუჯულის ფიცარ-
ზე; ერთნიცა და მეორენიც აღმოცენ-
დნენ ცხოვრების მატერიალური პირო-
ბის საფუძველზე. მცნება „არ იჭურ-
ბო“ ვერ იარსებებდა კერძო საკუთ-
რების წარმოშობამდე, და ოღონდ, კო-
მუნისტების დროს, არ იქნებოდა ქურდები,
ისევე როგორც არ იქნებოდა ექსპლოა-
ტატორები.

ჩვენ ნათლად უნდა გვევგოთ, რომ
ადამიანის ეთიკა და მხატვრული კრი-
ტიკიუმები აღმოცენდნენ კრიტიკიუ-
მების საფუძველზე. მნიშვნელო-
ვლად არსებობის პირობათა საფუძ-
ველზე, საზოგადოების კლასთა ურთი-
ერთობის საფუძველზე. სინამდვილე კი
არ ასახავს კრიტიკიუმებს, პირიქით,
კრიტიკიუმები ასახავენ სინამდვილას
სხვადასხვა ასპექტს. და როდესაც კრი-
ტიკიუმები სწუდებიან ობიექტურ სი-
ნამდვილეს, ისინი ხდებიან ისეთივე
გაბრწინილი და არაადამიანური, როგო-
რცე თანამედროვე კაპიტალისტური
სამყაროს ეთიკა.

ამრიგად, ყველა თანამედროვე გაბრ-
წინილი თეორია ხელოვნებისა: სიურრეა-
ლიზმი, დადაიზმი, ექსპრესიონიზმი,
ნატურალიზმი, ცრურომანტიზმი ესკი-
პიზმი, „ახალი პოეტების“, „ახალი კრი-
ტიკოსების“, „ახალი მწერლების“ სა-
ბუღრები, ამერიკაში ესოდენ პოპულა-
რული ყველა თეორია, რომლებიც ქა-
დაგებენ ქვეშემეცნებითს, უღმობელს,
ღორულს, ინსტინქტურს და უბრალოდ
ბოღვეურ რამებს, — არსებობენ იმი-
ტომ, რომ ჩვენმა ეთიკურმა კრიტიკი-
უმებმა ყოველგვარი კავშირი გასწყვი-
ტეს სინამდვილესთან.

ბურჟუაზიული ლიტერატურა —
მომავლადი საზოგადოების სარკე —
იქცა დამყაყებულ ჭაობად; ამ ჭაობი-
დან ამოდის ისეთი სიმყარაღე, როგო-
რცე აქამდე არ იცოდა მსოფლიომ. კა-
პიტალიზმის ისტორიაში ბურჟუაზიუ-
ლი ლიტერატურა არასდროს არ დაცე-
მულა ასე დაბლა. ამერიკელ ინტელი-
გენტს ასე ჯერ არასდროს არ უქცე-
ვია ზურგი სინამდვილისაგან. და ეს
ხდება ჩვენს დროში, როდესაც სინამდ-
ვილე ასე საუცხოო, გამაკვიფრებელი,
ახალგაზრდა და დიადია!

ფრანგმა კომუნისტმა პოლ ვიან კუ-
ტურიემ თქვა: „კომუნისტი — ეს ქვეყ-
ნიერების სიჭაბუკეა“; ენგელსი არა-
ერთხელ მითითებდა იმაზე, რომ კა-
პიტალიზმი — ეს არის უკანასკნელი
თავი კაცობრიობის წინაისტორიისა. ცი-
ვილიზაციის განთიადი იწყება, — და
ის საზოგადოება, რომელმაც თავის ათ
მცნებად გაიხადა მასობრივი ექსპლოა-
ტაცია და მასობრივი გაბრწნა, —
ცხოვრების არენიდან გადის. ჩვენ

ეცხოვრობთ დიად ეპოქაში, და ის მოითხოვს დიდ ადამიანებს; ხოლო ხელოვნებისაგან ის მოითხოვს კეთილშობილებას, რომელიც იქნება შესაფერი ახალი ადამიანისა. საჭიროა ახალი ისტორიკოსი, რადგან დაიბადა ახალი სინამდვილე და მოვიდა ახალი გმირი. კაფკასა და სხვა ევრეთწოდებულ მწერლებზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანი უღრის ფურის ხოჭოს, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვთქვათ: მეწყერსაც წაუღიათ! ისინი უკვე ისტორიის სანაგვეზეა გადაყრილი.

კომუნისტური მოძრაობა, რომელმაც შეიწოვა კაცობრიობის ყველა ტანჯვა, ყველა იმედი და სასოება, — ახლა უღიდესი და უძლეველი ძალაა. ოც მილიონზე მეტ კომუნისტს მალა უკირავს კაცობრიობის სანუკვარ ოცნებათა დროსა. აი ახალი გმირები და ახალი სინამდვილე: ბერძნები, უშიშრად რომ უყურებენ თვალში ფაშისტ ჯალათებს; ესპანელები, თავის სამშობლოს მთებში რომ განაგრძობენ ბრძოლას; მილიონობით ჩინელები, წინ რომ მიდიან თავისუფლების სიმირიკებით; ფილიპინელი პატრიოტები; ინდიელები, თავის მრავალტანჯულ მიწა-წყალს რომ იცავენ; ავსტრალიის დოკერები, რომლებიც უარს ამბობენ ფრანკისტული ესპანეთისათვის ვასაგზავნი გემების დატვირთვას; ფრანგი მუშები, რომლებიც ჩემად ლაპარაკობენ დახვრეტელთა პარტიზე¹; ვიეტნამის გამანთავისუფლებელი მოძრაობა; იავის მცხოვრებლები და მათი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის; ამერიკელ ზანგთა მზარდი მრისხანება; უნგრეთის მუშები, ათასწლიანი ჩაგვრისაგან გათავისუფლებები; ამაყი, მამაცი საბჭოთა ადამიანები. კომუნისტს რომ ამენებენ იმ ქვეყანაში, რომელსაც ისინი იცავენონ ისე, როგორც არაგის არასდროს არ დოუკავს თავისი ქვეყანა; და პირქუთი, ბოლშევიკური ამერიკელი მუშები, რომლებიც ემზადებიან ზვალინდელი დღისათვის.

თქვენ ეძებთ გმირებს? — თქვენ ვერ იპოვით მათ კომუნისტის უბედურად გამოძღველ მტერთა შორის, რამდენადაც ასე მყუდროდ გრძობდნენ თავს. დღესაც დელ ამერიკაში, მაგრამ იქ თქვენ ვერ იპოვით ვერც ლიტერატურასაც! ლიტერატურა სინამდვილის განუყოფელი ნაწილია. ლიტერატურა არ არსებობს ცხოვრებისაგან განცალკევებულად, და მხატვარიც არ შეიძლება არსებობდეს მოქალაქისაგან განცალკევებულად. მხატვარს შეუძლია დანებდეს მტერს, მაგრამ როცა დანებდება, ის უკვე აღარ არის მწერალი.

როგორია როლი თანამედროვე მწერლისა? რა მოეთხოვება მას? უნდა იყოს ის გმირი, ან შეიძლება მოეთხოვოს გმირობა მთელ საზოგადოებრივ გულს? ამის საპასუხოდ ჩვენ ვიტყვი, რომ არაგინ არ მოითხოვს მწერლისაგან იმაზე მეტს, რასაც მოითხოვს თვით მისი საკუთარი ნიჭი. „იყავ ერთგული თავისთავისა“ — ეს უფრო საძიგლოა მწერლისათვის, ვიდრე სხვა რომელიმე ადამიანისათვის. თუ მას სურს დღეს შექმნას ლიტერატურა, მან მტკიცედ უნდა დაიკავოს თავისი ადგილი დღევანდელ სინამდვილეში.

ამერიკის მთელ ისტორიაში ჩვენი ლიტერატურა არასდროს ასე იოლად არ იბრებოდა წელში. მწერალთა მთელი ლეგიონი მლიქვნელობს ანტიამერიკული საქმიანობის გამომგვლეჯი კომისიის წინაშე, იუსტიციის სამინისტროს წინაშე; პოლიუფლის სცივარისტები, ფურნალები, ყვითელი გაზეთები, რომლებიც თავისთავს პრესას უწოდებენ, — მთელი საზიზღარი, ლაქლაქი მანქანა, რომელიც დღეღამეზე ავიწყლებს რეაქციული „იდიოლოგიის“ შხამს, ყველა ეს „კულტურის“ მოღვაწენი მუცლით ხოხავენ, სახეს ტალახში მალავენ, რომ თვალის არ მოკრან ცოცხალ სინამდვილეს.

და ისინი ბედავენ ხმა ამოიღონ „მუნდირში გამოწყობილ მხატვრებზე“, „კომუნისტური ხაზის შესახებ ლიტერატურაში“! თვალი მოვაგლოთ თანამედროვე ისოფლიოს: ვინ არიან დღეს გამოჩენილი მწერლები? ყოველ ქვეყანაში — ესენი არიან კომუნისტები. ოკეისი ირლანდიაში, არაგონი საფრან-

¹ ფრანგი ხალხი ასე უწოდებს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას იმ 70000-ზე მეტი ფრანგი კომუნისტის — საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც მოპყლეს ნაცისტებმა. ეს სახელწოდება გვიჩვენებს, თუ რა ადგილი უკავია ფრანგი ხალხის დღეს სიფრანგეთის კომუნისტურ პარტიას. (საჯორის შენიშნა).

გეთმი, ნეკსე დანიაში, ნერუდა — ჩილიში და, თავისთავად ცხადია, უდიდესი ნიჭისა და მამულები საბჭოთა მწერლების მთელი რაზმი.

სავალდებულო არ არის იყო კომუნისტი იმისათვის, რომ გახდეს დიდი მწერალი, მაგრამ აუცილებელია აღიარო კომუნისტური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. უნდა გიყვარდეს კაცობრიობა, ხოლო ობიექტური სინამდვილის გაგების გარეშე, კაცობრიობის ბრძოლის გარეშე არ შეიძლება არც სიყვარული და არც პატივისცემა აღამიანსა. უნდა გიყვარდეს თავისუფლება, იმიტომ, რომ კაცობრიობის ოცნება, იმედი და სასოება განუყოფელია თავისუფლებისაგან. უნდა ხედავდე ადამიანს მთელი თავისი დიდებით, დღევანდელი დღის და ხვალისდელი დღის დიდებით. სხვანაირად მწერალს არ აქვს გზა, გარდა ელიოტისა და კაფ-

კის ბნელი, ბინძური გზისა. მწერლისათვის უწინარეს ყოვლისა სავალდებულოა რწმენა, ხოლო ობიექტურობა სინამდვილის გაგების გარეშე, ცხოვრების სიმართლის გარეშე რწმენას ვერც იპოვით და ვერც დაიცავთ.

დიდ შრომას კისრულობს მწერალი, მაგრამ დიდია ჯილდო, რაც მას მოეწოდება. დედამიწის ზურგზე კაცობრიობის არსებობის მთელ ისტორიაში არასდროს არ ყოფილა ისეთი სიმღერები მომღერალთათვის, როგორც დღეს არის. ჯერ არასდროს არ ყოფილა ასეთი თემები მწერლისათვის. ჩვენ წილად გვხვდა გაუგონარი ბედნიერება, რადგან ჩვენ მონიჭებული გვაქვს ისეთი შესაძლებლობანი, როგორც არ იცოდა საუკუნეთა ლიტერატურამ. დღეს სიმღერები მოითხოვენ დიად მომღერლებს, ხოლო ჩვენი დრო — სიდიადის დროა.

თარგმანი ლ. კალანდარიძისა

გიორგი მერჩულა

ქართული მწერალი მათე საუკუნისა

VIII

ისტორიული ჰუმანიტაზის დამაზინება
საქართველოს სამხრეთი მხარეზის (მსხეთისა და სამხრეთი ქართლის)
ისტორიის საქითებაში.

3

მსხეთის მხარეთა სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროები:

ა. იმიერი ტაო.—ბ. ზემო სპერი

გადავდივართ განხილვაზე საქითისა ტაოსა და სპერის შესახებ.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ერთხანად, გვიან ანტიკურ ეპოქისა და ადრეულ საშუალ საუკუნეებში, საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი კოროხის ხეობის სამხრეთ სექტორში, ტაოსა და სპერის ზონაში, პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული.

ამ საგანზე ბევრი დაწერილია და შეიძლება ითქვას მთელი ლიტერატურაჲ კი შეიქმნა; მიუხედავად ამისა რეალური ისტორია ამ მხარეებისა დღემდე არ ყოფილა აღდგენილი.

როგორც ირკვევა წყაროების ანალიზიდან, ტაოსა და სპერის ისტორიის საქითთა გამო საისტორიო მეცნიერებაში აღგილი აქვს შემდეგს სამ ძირითად შეცდომაჲს:

1. პირველი შეცდომა შემდეგში მდგომარეობს. ფიქრობენ, რომ ვითომც სომხეთთან დაკავშირებული იყო მთელი ტაო და მთელი სპერია. სინამდვილეში კი სომხეთთან დაკავშირებული ყოფილა არა მთელი ტაო, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი, — იმიერი ტაო. ასევეა ეს სპერის მიმართაც: სომხეთთან დაკავშირებული ყოფილა არა მთელი სპერია, არამედ მისი მცირედი ნაწილი, — ზემო სპერია.

2. მეორე შეცდომა შემდეგში მდგომარეობს. ტაოსა და სპერის ეს ჩამონაჭრები დაკავშირებული ყოფილა სომხეთთან ბევრად უფრო ნაკლები დროის მანძილზე. ვიდრე ამას ჩვეულებრივ ვარაუდობენ. (აქ აღგილი აქვს შეცდომას არა ათეული წლებით ან ერთი საუკუნით, არამედ მთელი შვიდი — რვა საუკუნით).

3. მესამე და მთავარი შეცდომა შემდეგში მდგომარეობს. ის ვარემოება, რომ ტაოსა და სპერის ეს ჩამონაჭრები (იმიერი ტაო და ზემო-სპერია) ერთ პერიოდში სომხეთთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული, ზოგ მკვლევარს ისე ესმის, თითქოს ამ პერიოდის მანძილზე მოხდა ამ მხარეთა ეთნოგრაფიული საზის შეცვლა. მაგრამ ეს შეცდომაა. პოლიტიკური საზღვრების ცვლილება თავისთავად,

¹ გაგრძელება. „მნათობი“, №№ 10, 11 (1949 წ.) 1, 3, 4, 7, 8, 12 (1950 წ.), 1.

რასაკვირველია, არ ნიშნავს მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის ცვლილებას. ცნობილია, მაგალითად, რომ სომხეთის ქვეყანა მთელი საუკუნეების მანძილზე საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა მტკვრის ტიკურად, მაგრამ ამას არ გამოუწვევია სომხეთის მხარეთა ეთნოგრაფიული სახის შეცვლა. ასევე იყო ეს ამ შემთხვევაშიაც. პოლიტიკური საზღვრების გადაწევის არ მოპოვოდა ცვლილებები მოსახლეობის ეთნოგრაფიულ შემადგენლობაში; ტაოსა და სპერის მოხსენებული ნაწილები, იმიერის ტაო და ზემოსპერი, მოსახლეობის შემადგენლობით და აქ გავრცელებული ენის მიხედვით თავიდანვე იყო ქართული მხარე და ასეთად დარჩა იგი თავისი ისტორიის შემდგომ პერიოდებში.

ასეთია ისტორიული სინამდვილე, რაც ირკვევა საისტორიო წყაროების ანალიზიდან.

გადავდივართ რა აქ აღძრულ საკითხთა განხილვაზე, პირველ რიგში შევეხებით ტაოს ისტორიის საკითხებს, შემდეგ სპერის ისტორიის საკითხებს.

ტაოს პოლიტიკური ისტორიის თარიღები

როგორც ეს ცნობილია საისტორიო წყაროებით, ტაოს მხარე ანტიკურ ხანაში დასახლებული იყო ქართველი ტომით, რომელიც ატარებდა სახელწოდებას: ტაოხი ანუ ტაოელი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ტაოს მხარეში მოსახლე ამ ქართველი ტომის სატომო სახელწოდება ტაოხი იმავე სახისაა, როგორც სატომო სახელები სხვა ქართველი ტომებისა: მესხი, ჯავახი, კოლხი, *კახი, კახი.

ეს ქართველი ტომი ტაოხები მოხსენებული ჰყავს ჭოროხის ხეობაში, ტაოს ისტორიულ ტერიტორიაზე, ქსენოფონტეს თავის ანაბაზისში, მე-5 საუკუნის დასასრულს ძველი წელთაღრიცხვისა¹.

ამავე ხანებში ესვე ქართველი ტომი მოხსენებული ჰყავს სოფენეტსტიმფალელს (მეორე ანაბაზისში) სახელწოდებებით: „ტაოხი“ და „ტაოელი“ ანუ „ტაელი“ (Tasae)².

რა დროიდან დაუკავშირდა ტაო თუ მისი ცალკეული ნაწილები სომხეთს? ამ საკითხზე საისტორიო მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულებანი იყო გამოთქმული.

რიგი მეკვლევართა, ნ. აღონცი, გრ. ლაფანციანი, ტაოს დაკავშირებას სომხეთთან მიაწერენ მე-5 საუკუნეს ძველი წელთაღრიცხვისა.

ნ. აღონცი ამ საკითხის გამო წერს³:

„Во время отступления 10.000 греков [в конце V века, под предводительством Ксенофонта] земля фасианов и есперитов, т. е. сассийров, а также Таохю, считалась уже Арменией и в отличие от другой Армении называлась Западной. Правителем или сатрапом [ставленником персидского царя] в одной части

¹ იხ. ქსენოფონტი, ანაბაზისი, წ. IV, თ. VI, § 5, თ. VII, § 1 — 14, 17, წ. V, თ. V, § 17 (SC, I, გვ. 71 — 73, 83).

² იხ. სოფენეტ სტიმფალელი, ანაბაზისი, ფრ. 4 (SC, I, გვ. 266).

³ იხ. Н. Ахонц, op. cit. გვ. 394.

был Тиррибаз, а в другой Оронт. Соседние же племена пользовались в это время независимостью, именно Кардухи, Халибы, Хаалден, Макроны, Коахи, Моссинойки, Койты и Тибарени.

ნ. აღონცი ამ ცნობათა დასადასტურებლად მიუთითებს ქსენოფონტის ანაბაზისზე (წ. VII, თ. VIII §. 25).

გავეცნოთ ამის შემდეგ ქსენოფონტის ანაბაზისის მითითებულ ადგილს. იგი არ ამართლებს ნ. აღონცის მოყვანილ ცნობას.

ქსენოფონტის ანაბაზისის სათანადო ადგილას ჩვენ ვკითხულობთ:

„[ლაშქრობის დროს] ფასიანების და ესპერიტების ხელისუფალი იყო ტირიბაზი [სატრაპი სპარსთა მეფისა]. კარლუხები, კოიტეხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები და ტიბარენები არ ემორჩილებოდნენ [სპარსთა] მეფეს“¹.

ნ. აღონცს გადმოწერილი აქვს ქსენოფონტის ეს ადგილი. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ქსენოფონტის აქ არა აქვს მოხსენებული ტაოხები არც პირველ ჯგუფში, როგორც ხელქვეითნი ტირიბაზისა [სპარსთა მეფის სატრაპისა], და არც მეორე ჯგუფში, სადაც ჩამოთვლილია სპარსთა მეფისაგან დამოუკიდებელი ტომები.

ნ. აღონცი სრულიად თვითნებურად ვარაუდობს, რომ ტაოხები ალბათ(!) პირველ ჯგუფს ეკუთვნოდნენო და ამიტომაც რომ წერს „а также Тахов“ („Земля фасианов и эсперитов, а также тахов, считались уже Арменией...“).

სწორედ რომ საოცარია, როგორ შეიძლება ასე ზეპირად, მხოლოდ და მხოლოდ ალბათობის მიხედვით, გამოტანა ასეთი კატეგორიული დასკვნისა, ანდა რა ფასი აქვს ასეთ დასკვნას!..

მაგრამ ეს ცოტაა. აქ საჭიროა მკითხველმა გაითვალისწინოს აგრეთვე შემდეგი.

იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, მე-5 საუკუნის დასასრულს ძველი წელთაღრიცხვისა, სომხეთი და სომხეთის მეზობლად მდებარე ტერიტორიები კავკასიის ზოგიერთი ტომებისა სპარსეთის სამეფოს ფარგლებში შედიოდნენ. სპარსეთის სამეფოში შემავალი კავკასიის ეს ზონა ორ ადმინისტრატიულ ერთეულად, ორ სატრაპიად იყო გაყოფილი. ერთ სატრაპიაში შედიოდა აღმოსავლეთი სომხეთი და მასთან ერთად მარდების ტერიტორია; მეორე სატრაპიაში შედიოდა დასავლეთი სომხეთი და მასთან ერთად ფასიანების და ესპერიტების ტერიტორია². ამრიგად აქ ჩვენ გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ სპარსეთის სამეფოს ადმინისტრატიული ერთეულები — სატრაპიები; აქ ჩვენ არ გვაქვს არც დამოუკიდებელი სომხეთის სახელმწიფო, და არც ეთნოგრაფიული სომხეთი, ისევე როგორც არ გვაქვს არც ეთნოგრაფიული მარდეთი (მატიენა), ეთნოგრაფიული ფასიანი და სხვა. როგორც ეს სჩანს სპარსეთის სატრაპიების იმ სიიდან, რომელიც მოყვანილი

¹ იხ. ქსენოფონტი, ანაბაზისი, წ. VIII, თ. 8, § 25 (SC, I, გვ. 83 — 4).

² ფასიანების ტომი მოსახლეობდა არაქსის ზეობის ზემო ნაწილში, ბასიანში (ძველი ფასიანი). რაც შეეხება ესპერიტებს, მათ სპერიათ, როგორც ირყვეა, ფასიანების აღმოსავლეთით მდებარე სექტორი იმავ არაქსის აუზში (ახურიანის ზეობის ზონა). ესპერიტების ეს ტერიტორია, მოხსენებული ქსენოფონტის მიერ, არის ნაწილი დიდი სასპერეთისა, რომელსაც ასახელებს ჰეროდოტი, და რომლის მიწა-წყალი არაქსის აუზში გადადიოდა (იხ. ჰეროდოტი, III, 94, VII, 79).

აქვეს პეროდოტეს, სპარსეთის სამეფოს ეს ადმინისტრაციული ერთეულები — სატრაპიები — წარმოადგენდნენ ხელოვნურად გამოკრილს, ერთგვარად თანაზომიერს ტერიტორიებს, რომლის ფარგლებშიაც მეტწილად გავრდიანებული იყო არა ერთი, არამედ რამდენიმე ეთნოგრაფიული ერთეული.

ამრიგად თუნდაც ტირიბაზის ხელისუფლების ქვეშ ერთი სატრაპიის ფარგლებში გავრთიანებული ყოფილიყო დასავლეთის სომხებთან, ფასიანებთან და ესპერიტებთან ერთად აგრეთვე ტაოხებიც, ეს სრულიად არ იქნებოდა იმისი მაჩვენებელი, რომ ტაოხების ქვეყანა ეს იყო ეთნოგრაფიული სომხეთი (ისევე როგორც არ იყო ეთნოგრაფიული სომხეთი არც ფასიანი და არც არაქსის ხეობაში მდებარე ესპერიტების ზონა).

ხოლო, რაც მთავარია, ტაოხების ქვეყანა, როგორც ვნახეთ. არაა მოხსენებული სპარსეთის ამ სატრაპიის ფარგლებში¹. მისი ჩარიცხვა ამ სატრაპიაში არის ნაყოფი ნ. ადონცის თვითნებური დასკვნისა და არა ისტორიული სინამდვილე.

მაგრამ განუვარძოთ ძიება. საკითხავია, როგორი იყო საქმის ნამდვილი ვითარება? შედიოდა მართლაც ტაოხების ქვეყანა სპარსეთის სამეფოს ფარგლებში, თუ არ შედიოდა?

ამ საკითხზე ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული პასუხი იმავე ქსენოფონტის ანაბაზისში.

ანაბაზისის მე-5 წიგნის მე-5 თავში (§§ 16 — 18) მოყვანილია სიტყვა-ქსენოფონტესი, მიმართული სინოპის ელჩებისადმი, სადაც ქსენოფონტე ამბობს:

„... ჩვენ იძულებული გავხდით ბრძოლა გავემართა კარდუხებთან, ტაოხებთან და ხალდებთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან ქვეშევრდომნი მეფისა (საუბარია სპარსთა მეფეზე) და მეტად ძლიერნი არიან...“¹.

ამრიგად საკითხი სრულიად ნათელია. ჩვენ ვნახეთ ზემოთ, რომ სპარსეთის მეფისაგან დამოუკიდებელ ტომთა შორის დასახელებულნი არიან კარდუხები და ხალდები (იხ. ზემოთ, გვ. 127); მათ რიცხვში ყოფილან აგრეთვე ტაოხები.

ისტორიული სინამდვილე, ამრიგად, შემდეგია: მე-5 საუკუნის დასასრულს (ძველი წელთაღრიცხვისა) სომხეთი შეადგენდა სპარსეთის სამეფოს ნაწილს; ხოლო ტაოხების ქვეყანა არათუ სომხეთის ნაწილი არ ყოფილა, არამედ იგი არ შედიოდა არც სპარსეთის სამეფოს ფარგლებში და დამოუკიდებელ მხარეს წარმოადგენდა.

ნ. ადონცის ამ შემტყობარმა შეხედულებამ, ვითომც ტაოხების მიწა-წყალი მე-5 საუკუნეში ძველ წელთაღრიცხვისა დაკავშირებული იყო სომხეთთან, გავრცელება მოიპოვა.

ამ შეხედულებას იმეორებს (და კიდევ უფრო ავითარებს) აკად. გრ. ლაფანციანი. გამოკვლევაში *Историко-лингвистическое значение топонимов Древней Армении* გრ. ლაფანციანი წერს ტაოელების შესახებ:

¹ იხ. ქსენოფონტე, ანაბაზისი, წ. V, თ. V, 16 — 18 (SC, I, გვ. 83).

„Эти Тао уже при Ксенофонте [в V веке Гр. э.] арменизовались, ибо при отступлении 10.000 греков земля флешанов и есперитов, т. е. саспелров, а также таохов, считалась уже Арменией...“ (См. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, стр. 191)¹.

გრ. ლაფანციანი აქ იმეორებს ნ. აღონციის დებულებას, მაგრამ დასკვნებს კი აფართოებს. ნ. აღონცი მხოლოდ აღნიშნავდა, რომ ტაოების ქვეყანა მე-5 საუკუნისათვის უკვე სომხეთის ნაწილს შეადგენდაო, ხოლო კ. ლაფანციანი ამას უმატებს, რომ თვით ხალხიც, ტაოები, ამ დროს უკვე გასომხებული იყო...

ამრიგად ნ. აღონციის შემცდარი და უსაფუძვლო დებულება გრ. ლაფანციანმა ასევე უსაფუძვლოდ კიდევ უფრო „გააღრმავა“ და დაავიწროვინა ახალი შემცდარი დასკვნით...

გადავიდეთ ამის შემდეგ სხვა მკვლევართა შეხედულებებზე, რომლებიც ებებოდნენ ამავე საკითხს.

რიგი მკვლევართა, მათ შორის პ. კიპერტი, პ. ჰიუბშმანი, ი. მარკვარტი, ვარაუდობენ, რომ ტაო პირველად დაუკავშირდა პოლიტიკურად სომხეთს არა მე-5 საუკუნეში ძველ წელთაღრიცხვისა, არამედ უფრო გვიან, მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა.

რამდენად სწორია ეს შეხედულება? როგორც ირკვევა არც ეს შეხედულებაა სწორი.

ეს მეორე შეხედულება. თითქო ტაო დაკავშირებოდეს სომხეთს მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, ემყარება სტრაბონის ერთი ადგილის შემცდარ განმარტებას.

სტრაბონს, როგორც ცნობილია, აღნიშნული აქვს, რომ სომხეთმა მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა შეიერთა „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“².

დასახელებული მკვლევარები ვარაუდობენ, რომ პარიადრი (Παρζαδρξ = პარჯადრეს) ვითომც ეს არის სახელწოდება პარხალის (პარხარის) მთებისა; ხოლო პარხალის მთებს სამხრეთ-დასავლეთის მხარიდან ესაზღვრებოა ტაო და სპერი და, მაშასადამე, „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“, რომელიც შეიერთა სომხეთმა, ვითომც ეს იყოს იბერიის მოხსენებული პროვინციები, — ტაოსა და სპერის მხარეები.

ხოლო რის მიხედვით დაასკვნიათ, რომ პარიადრი (პარჯადრეს) ვითომც ეს იყოს პარხალის მთები? მხოლოდ და მხოლოდ იმის მიხედვით, რომ ეს სახელწოდება „პარჯადრეს“ შორეულად ემსგავსება სახელწოდებას „პარხალი“ („პარხარი“).

მაგრამ არის კი ეს ორი სახელწოდება ერთი და იგივე? ეს არსაიდან არა სჩანს. პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ ამ ორ სახელწოდებათა შორის თვით ეტიმოლოგიურად არაფერია საერთო.

ქართული სახელწოდება მთებისა „პარხალი“ ანუ უფრო ძველი სახით „პარხარი“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „პარხი“. (ბოლოკიდური ფორმანტის „არი“-ს ანუ „ალი“-ს დარ-

1. იხ. გრ. ლაფანციანი, op. cit., გვ. 32.

2 იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. XIV, § 5 (SC, I, 155).

თვის დროს, ქართული ფონეტიკის წესების თანახმად, ფუძე-სიტყვიდან „პარები“ ამოიღება შუა-წმოვანი „ე“: „პარები“ → „პარბ-არი“).

„პარები“ ეწოდებოდა მთის გამოქვაბულებს, რაც საქონლის დასაყენებლად გამოიყენებოდა ხოლმე. ეს სახელწოდება მთებისა „პარბარი“ იმავე ტიპისაა და იმავე წარმოშობისა, როგორც გავრცელებული სახელწოდება მთელი რიგი მთებისა, რომლებიც იწარმოება სიტყვისაგან „გომი“: „გომის მთა“ (შუღ. „გომანი“, „გომარი“, „გომართა“ და სხვ.). პარბარის მთების კალთები, როგორც ცნობილია, განთქმულ საძოვრებს წარმოადგენდნენ (იხ. ამის შესახებ ძველ-ქართული საისტორიო ძეგლი ეპითალმწერელი, გვ. *922/766, აგრეთვე ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი, De aedificiis, III, 6). ისევე როგორც საქონლის სადგომის სახელწოდებიდან „გომი“ მომდინარეობს სახელი „გომის მთა“, „გომარი“, ასევე საქონლის სადგომის სახელწოდებიდან „პარები“ მიღებულია სახელი „პარბის მთა“, „პარბარი“¹.

რაც შეეხება მთის სახელწოდებას პარიადრი („პარვადრეს“), მისი ეტიმოლოგია ბნელია.

მაგრამ თუნდაც დაეუშვათ, რომ პარიადრი („პარვადრეს“) ეტიმოლოგიურად იმასვე ნიშნავდეს, რასაც „პარბარი“, განა პარტო ამის მიხედვით ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ სტრაბონი სახელწოდებით „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“ იგულისხმებდა სწორედ ამ პარბალის მთებს? რასაკვირველია არა. ჯერ ერთი, ერთი და იგივე სახელწოდება შესაძლოა შეგვხვდეს რამდენიმე ადგილას. (მოვიგონოთ თუნდაც სახელწოდება „გომის მთა“, რომელიც მრავალგზის გვხვდება). შემდეგ, ერთი და იგივე სახელწოდება მთისა სხვადასხვა დროს შესაძლოა სხვადასხვა მოცულობისა იყოს, — ერთ შემთხვევაში ერქვას ერთ მწვერვალს ან ერთ პატარა შტოს, მეორე შემთხვევაში ეს სახელწოდება გავრცელდეს მთელ ქედზე, მესამე შემთხვევაში მთების მთელ სისტემაზე და სხვა.

ამიტომ აქ საკითხს სწვევტს არა ასეთი საეჭვო ეტიმოლოგიები, როგორც დაახლოვება სახელწოდებათა „პარვადრესი“ და „პარბალი“ (რომელთაც სინამდვილეში არაფერი აქვთ საერთო), არამედ გარკვევა შემდეგი კონკრეტული საკითხებისა:

ა. რა ეწოდება თვით სტრაბონის თხზულებაში მთების იმ სისტემას, სადაც მდებარეობს მწვერვალი პარბარი (პარბალი)? როგორც შემდეგ გამოირკვევა, მთების ამ სისტემას სტრაბონი უწოდებს არა პარიადრის მთებს, არამედ სრულებით სხვა სახელს: „შქვიდისი“-ს („შქვითისი“-ს) მთებს.

ბ. მეორე კითხვა: რომელ მთებს და აგრეთვე რომელ მხარეს უწოდებს სტრაბონი „პარიადრი“-ს სახელს? როგორც შემდეგ გამოირკვევა, ეს საკითხიც არაა სწორად ამოხსნილი.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვევა მთელი რიგი ძირითადი მნიშვნელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხებისა ანტიკური ხანის კავკასიის შესახებ შესაძლოა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზუსტად იქნება ამოცნობილი, თუ რომელ მთებს ეწოდება ანტიკურ ხანაში, და კერძოდ სტრაბონის თხზულებაში, — პარიადრის მთები, შქვიდისის (შქვითისის) მთები, და აგრეთვე მოსხის მთები.

¹ შედარებით ცნობა პროკოპი კესარიელისა, რომელიც პარბალის მთების ზონას ეხება:

„[დართის სიმაგრის ადგილიდან] რომ მიდინარ აღმოსავლეთის მიმართულებით, ერთი კლდეანი ნაპრალია გადაქიმული ჩრდილოეთისაკენ. აქ [იუსტინიანემ] ააგო ციხე, სახელად პარბონი [= პარბის ანუ პარბის ციხე]. გადაღმა მთის ძირას საქონლის სადგომებია [= პარები], სადაც ეგრეთწოდებული ოკენიტის ქანების საქონელია მოთავსებული...“ (იხ. პროკოპი კესარიელი, De aedificiis, III, 6, ს. ყაუბჩიშვილის გამოცემა, გეორგია, II, 1934 წ., გვ. 186).

ამის გამო აუცილებელი ხდება ამ საკითხს აქ მიუძღვნათ სპეციალური ექსკურსი¹.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. „შქვიდისი“-ს („შქვითისი“-ს) მთები.

„შქვიდისი“-ს და აგრეთვე პარადრის მთების შესახებ სტრაბონის გეოგრაფიის უორე წიგნის მე-3 თავში (§ 18) ჩვენ გვაქვს შემდეგი ცნობა:

„სტრაბონის და ფარნაციის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ხალხები და სანები (კანები), რომელთაც წინათ მკრონებს ვახანდენ, და ძვეს მცირე არმენია. ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აგრეთვე აბაიტები, წინანდელი კერკიტები. ამ ადგილებზე გასდევს:

„[1] შქვიდისი, მტკად ციკაბო მთა, რომელიც უერთდება მოსხის მთებს, კოლხიდის ზემოთ რომ არის², და რომლის თხემები დასახლებულია ჰეტაკაონებებით („შვიდ-სოფლებებით“),

„და [2] პარადრი, რომელიც გადაჭიმულია სიდენასა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან ვიდრე მცირე სომხეთამდე და რომელიც ჰქმნის პონტოს აღმოსავლეთ კიდეს“.

სტრაბონი აღნიშნავს ამასთან, რომ ჰეტაკაონებების (შვიდსოფლებების) ნაწილს ეწოდებოდა მოსინიები და ბიწერები.

დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა პირველად ამოხსნა, რომ სახელწოდება ამ მთებისა „შქვიდისი“ (ანუ „შქვითისი“) ქართულია და დაკავშირებულია ქართულ სიტყვასთან „შვიდი“, რაც მეგრულ-კანურად გამოითქმის როგორც „შქვითი“³, რომ სახელწოდება მთისა „შქვიდისი“ („შქვითისი“) დაკავშირებულია ქართულ სიტყვასთან „შვიდი, ეს დასტურდება იმის მიხედვით, რომ აქ მოსახლე ტომს სტრაბონი უწოდებს ჰეტაკაონებს, რაც ბერძნულად „შვიდ-სოფელ“-ს ნიშნავს.

საკითხავია ამის შემდეგ, რომელი მთებია ეს „შქვითისი“-ს მთები, რომლის სექტორშიაც მოსახლეობდნენ ჰეტაკაონები, „შვიდ-სოფლებები“?

ეს მთებია პარხალის მთების სისტემა, — ე. ი. ის მთები, რომელიც გაყოფს კოროზის ხეობას ლახეთიდან; ეს მთები იწყება მდინარე კოროზის შესართავთან და გასდევს კოროზის ხეობასა და ლახეთის შორის ვიდრე სტრაბონის ხონამდე.

რომ „შქვითისი“-ს მთები ეწოდებოდა სწორედ ამ მთებს, პარხალის მთების სისტემას, ეს დასტურდება იმის მიხედვით, რომ ჩვენ გვაქვს ცნობები „შვიდ-სოფლებითა“ ტომის მოსახლეობის შესახებ — ამ მთების ორივე კალთაზე, როგორც კოროზის ხეობაში, ისე ლახეთში.

1. ჭუნოფონტეს ცნობით კოროზის ხეობის ხემო-ნაწილში მოსახლე ტომს ეწოდებოდა „შქვითენ“-ნი Σχιδιωνοι, იგივე შვიდ-სოფელენი.

(იხ. ჭუნოფონტი, ანაბაზისი, წიგნი IV, თავი 7, § 18, თავი 8, § 1).

2. ლახეთში, რიხეს სანჯაკში, პარხალის მთების კალთებზე განფენილ რაიონს ამჟამად ეწოდება „ქურა სება“, რაც არაბულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „შვიდ სოფელს“⁴. როგორც არკვევა, ეს თანამედროვე, თურქების მიერ შემოღებული სახელწოდება „ქურა-სება“ წარმოადგენს თარგმანს ამ კუთხის ადგილობრივი ძველ-ქართული სახელწოდებისას: „შვიდი (შქვიდი) სოფელი“

3. სტრაბონის ცნობით, „შვიდ-სოფლებითა“ ერთ-ერთ ნაწილს ეწოდებოდა ბიწერები, ხოლო ანტიკური ხანის სასტორიო წყაროების ცნობათა თანახმად ბიწერების ტომი მოსახლეობდა სწორედ პარხალის ქედის კალთაზე, ლახეთის ხონაში, დაწვებული ბიწეს (ვიწეს) ხეობიდან ვიდრე აფსარამდე (თანამედროვე სარფი). თვით სახელწოდება ამ ტომისა „ბიწერი“ ცხადია ბიწეს (ვიწეს) თემის სახელთან არის დაკავშირებული⁵.

¹ ამავე საკითხს ეხება აკად. ს. ჯანაშია წერილში: „პარადრი, სვიდისი, მოსხის მთები“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 6, 1942), მაგრამ ამ წერილში ქარმოდენილი დასკვნები, როგორც ირკვევა, არაა სწორი და ვადანისჯვას საჭიროებს.

² სტრაბონის დროს კოლხეთის ფარგლებში შედიოდა პოლიტიკურად მესხეთის ნაწილი დასავლეთი სექტორი, იხ. სტრაბონი, წ. XI, თ. II, § 18.

³ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 44 — 45.

⁴ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. loc. cit.

⁵ იხ. პერიპლუსი მე-5 საუკუნისა (SC, I, გვ. 273), არიანეს პერიპლუსი, 15 (SC, I, გვ. 222), სკილაკი კარიანდელისადმი მიწერილი პერიპლუსი, § 82 (SC, I, გვ. 86), აპოლონ როდოსელი, აგრონომიკა, II, 393, 1244 (SC, I, გვ. 413, 416), პლინიუს სეკუნდი, ბუნების-მეტყველება, VI, § 11 (SC, II, გვ. 178), იხ. აგრეთვე ზემოთ თავი VIII, (მნათობი, № 12, 1950, გვ. 137 — 8).

ყველა ამ ზესტი ჩვენების მიხედვით ჩვენ საბოლოოდ დადგინდად მიგვიჩნია, რომ ანტიკურ ხანაში „შქეთისი“-ს მთების სახელი რქმეფია პარხალის მთებს, ვ. ი. მთებს, იმ სისტემას, რომელიც იწყება მდინარე კოროზის შესართავთან და მიჰყვება კოროზის ჩრებასა და ლახტის შორის ვიდრე ტრაპიზონის ზონამდე.

2. მოსხის მთები

როგორც უკვე გარკვეული გვექონდა, მოსხის მთები ეწოდებოდა მთავარ წყალთა გამყოფ ქედს, რომელიც ჰყოფს კოროზისა და მტყერის ხეობას არაქსისა და ეფერატის ხეობებიდან, და აგრეთვე ამ მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებას (ეგრეთწოდებული დეე ბონინუს შტოს).

ჩვენ აქ შევჯამებთ იმას, რაც ზემოთ იყო დადგენილი და წარმოვადგენთ ამას გარდაახალ ჩვენებებს ამავე საკითხის გამო.

1. თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ დასახელებულ მთებს არა მარტო ანტიკურ ხანაში რქმეფია ეს სახელი „მოსხის მთები“, არამედ თვით ახალ საუკუნეებშიაც იგი ცნობილი ყოფილა ამავე სახელწოდებით: „მესხის მთები“. ეს აღნიშნული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. ამასთან ვახუშტის სწორად აქვს ამოცნობილი აგრეთვე, რომ ამ მთებს ანტიკურ ხანაში იგივე სახელი („მოსხის მთები“) ეწოდებოდა.

ვახუშტი წერს:

„ესე მთანი არიან, რომელსა სწერენ ძველსა გეოგრაფიასა შინა მოსხის მთად, რომელ არიან მესხის მთანი: ირაჯლესი, თორთომისა, შეფაქლესი, ყვანლესი, დევებონინისა და ისპირისა“¹.

ვახუშტი ბატონიშვილს მოსხის მთების (იმავე მესხის მთების) სახელწოდებით აქ აღნიშნული აქვს სწორედ ზემოთ-დასახელებული წყალთა-გამყოფი ქედი, რომელიც ჰყოფს კოროზისა და მტყერის ხეობებს არაქსისა და ეფერატის ხეობებიდან, და აგრეთვე ამ მთავარი ქედის სამხრეთი განშტოება (დეე ბონინუს შტო).

2. ჩვენ უკვე დადგინალი გვექონდა, კლავდი პოლიპეა და სტრუბონოს ბიზანტიელის ჩვენებათა თანახმად, რომ მესხეთის მთებს ესახლერებოდა ტერიტორია ბოხაელთა ტომისა: ა) ბოხას კანტონი ზემო-კოროზის (ოლთის-წყალის) ხეობისა; ბ) კარინის მხარე ზემო-ეფერატის ხეობისა; გ) მათი მიმდგომი ზონა ბასიან-ვინანდი არაქსის ხეობისა². ამ ზესტ ჩვენებათა მიხედვით უდავო ხდება, რომ ანტიკურ ხანაში „მოსხის მთების“ სახელით ცნობილი იყო ზემოთ-დასახელებული მთები.

3. სტრაბონისა და კლავდი პოლიპემ ცნობათა მიხედვით ჩვენ ამასთან საშუალება გვაქვს დავახსტოთ, თუ სადაძდის აღწევდა დასავლეთის მიმართულებით „მოსხის მთები“ სახელწოდებით ცნობილი მთების ეს სისტემა. სტრაბონს აღნიშნული აქვს, რომ მოსხის მთები ეფრთდება „შქეთისი“-ს მთებს. (იხ. ზემოთ, გვ. 131). მაშასადამე მოსხის მთები რქმეფია ამ წყალთა-გამყოფ მთაგრებილს ვიდრე კოროზის ხეობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მიჯნამდე, სადაც ეს მთაგრებილი მიაღებდა შქეთისის მთების შტოებს. ეს ერთი ჩვენება. ამას გარდა კლავდი პოლიპემ აღნიშნული აქვს, რომ მოსხის მთები დასავლეთის მიმართულებით აღწევს კაპადოკიის პონტომდე³. ამრიგად, ამ მეორე შეზღუდვაშიც ნაჩვენებია იგივე სექტორი, კოროზის ხეობის სამხრეთ-დასავლეთი ზონა, რომლის იქითაც კაპადოკიის პონტო იწყებოდა.

3. პარიადრის მთები

პარიადრის მთები ხშირად მოიხსენება სტრაბონთან. ეს სახელწოდება ჩვენ გვხვდება ანტიკური ხანის სხვა მწერლებთანაც.

სტრაბონის გეოგრაფიის XI წიგნის მე-12 თავში (§ 4) ეკითხულობთ:

„ეფერატის იმერს. მცირე სომხეთიდან მოკიდებულა, ანტიტავროსის ჩრდილოეთით გადაჭიმულია დიდი მთები მრავალის განშტოებებით. ერთ ნაწილს ეწოდება პარიადრი“.

¹ იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, გეოგრაფია, 1941, გვ. 140 (შენიშვნა); შდრ. გვ. 121, 122.

² იხ. ზემოთ, თავი VIII, 1 (შათობი, № 12, 1930, გვ. 128.

³ იხ. კლავდი პოლიპემ, გეოგრაფია, SC, I, გვ. 244.

მეორეს მოსხვის მთები, სხვები კი ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებებით. ეს მთები შემოფარგლავს სომხეთს ვიდრე იბერიელებამდე და აღბანულებამდე*.

სტრაბონის გეოგრაფიის მე-XI წიგნის მეორე თავში (§ 18), როგორც უკვე ზემოთ ვიქვეყნებდით აღნიშნული, ნაჩვენებია, რომ პარიადრი „გადაჭიმულია სიღენასა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან ვიდრე მცირე სომხეთამდე“ და რომ პარიადრი „ჭქნის პონტოს აღმოსავლეთ კიდეს“.

შეფარდება ყველა იმ ცნობებისა, რომლებიც დაუძლი აქვთ სტრაბონსა და ანტიკური ხანის სხვა ავტორებს პარიადრის მთების შესახებ, გვაძლევს საფუძვლს დავადგინოთ შემდეგ:

1. პარიადრის მთები ვიწრო მნიშვნელობით რქვევია პონტოს მთებს, დაწყებული მდინარე იეზილ-ირმაკის შესართავის ზონიდან — ვიდრე ტრაპიზონის მხარემდე, და მის პარალელურს სამხრეთ კედს, რომელიც გაჭოფს მდ-ნარე იეზილ-ირმაკის (ეკელიტ-ჩაის) ხეობას დალისის ხეობიდან. ეს არის საკუთრივ პარიადრის მთები ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც, სტრაბონის ზემოთ-მოყვანილი სიტყვების თანახმად „გადაჭიმულია სიღენასა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან ვიდრე მცირე სომხეთამდე და ჭქნის პონტოს აღმოსავლეთ კიდეს“.

2. პარიადრის მთები ფართო მნიშვნელობით ეწოდებოდა როგორც პონტოს მთების ზემოთ მოხსენებულ სექტორს, ისე-მცირე კავკასიონის მთების სისტემას, რომელიც გასდევს ეფრატისა და არაქსის ხეობათა ჩრდილო ნაწილებში. ასე, მაგალითად, პლინიუს სცყუნდა და კლავდი პტოლემეს პარიადრის მთების სახელით მოხსენიებული აქვთ ბამბაკის მთები მცირე კავკასიონისა, რომელსაც სამხრეთის მხრიდან ადგება არარატის მხარის შირაკის პროვინცია, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან იბერიის თრიალეთ-ტაშირის პროვინცია*.



დ. პარიადრის მთიანეთის მხარე.

სტრაბონის პარიადრის მთებთან ერთად მოხსენებული აქვს აგრეთვე მხარე პარიადრის მთიანეთისა. სტრაბონი პარიადრის მთიანეთის სახელს უწოდებს დასავლეთ ეფრატის ხეობის ზემოწაწილს ვიდრე დასტორის მოსაბრუნამდე. ასე, სტრაბონის ცნობის თანახმად, აკილიენის მხარე და აკილიენაში მდებარე დასტორი ეს იყო ნიწილი პარიადრის მთიანეთის მხარისა (იხ. სტრაბონის გეოგრაფია, წიგნი XI, თავი III, § 28, SC, I, 100).

ასეთია ის დასკვნები, რომელთაც ჩვენ ვღებულობთ საისტორიო წყაროების განვილვიდან ანტიკური ხანის ისტორიული გეოგრაფიის ზემოთ-აღმრულ საკითხთა გამო.



დავუბრუნდეთ ამის შემდეგ ძირითად საკითხს ტაოს შესახებ.

აქ ჩვენ პასუხი უნდა გავსცეთ კითხვაზე: შეეფარდება თუ არა სინამდვილეს ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ ვითომც ტაო დაუკავშირდა სომხეთს მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა. (ამ შეხედულებას, როგორც ვნახეთ, იცავენ პ. კიპერტი, პ. ჰიუბშმანი, ი. მარკვარტი და მთელი რიგი სხვა მკვლევარები).

ეს შეხედულება როგორც მოვიხსენეთ, ემყარება სტრაბონის ცნობილ ადგილს, სადაც აღნიშნულია, რომ სომხეთმა მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა შეიერთა „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“.

დასახელებული მკვლევარები, როგორც აღვნიშნეთ, ვარაუდობენ, რომ პარიადრი ვითომც ეს არის სახელწოდება პარხალის მთებისა; ხოლო რადგან პარხალის მთებს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრებათ ტაო და სპერი, ამიტომაც „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“, რომელიც შეიერთა სომხეთმა, ვითომც ეს იყო ტაოს და სპერიის მხარეები.

ეს არის და ეს; არავითარი სხვა საბუთი ამ დებულების დასამტკიცებლად მოტანილი არ ყოფილა, და არც არსებობს საამისო რაიმე სხვა საბუთი.

1. იხ. კლავდი პტოლემე, გეოგრაფია (SC, I, გვ. 244). პლინიუს სცყუნდი, ბუნებისმეტყველება (SC, II, გვ. 181).

ხოლო როგორც ეს ზემოთ წარმოდგენილი გამოკვლევებიდან სრულიად უდავოდ დადასტურდა, სტრაბონის პარზიის მთების სისტემა აღნიშნული ჰქონია არა პარზიის მთების სახელით, არამედ „შქვითისი“ მთების სახელით.

მაშასადამე ეს ერთადერთი ვითომცდა საბუთი, რომლის მიხედვითაც გამოჰქონდათ დასკვნა ტაოსა და სპერის ტერიტორიული კუთვნილების შესახებ, თავისთავად უქმდება.

ამრიგად უქველი ხდება, რომ „პარზიის (მთიანეთის) კალთები“ ეს არ არის ტაო და სპერა.

საკითხავია ამის შემდეგ, რომელ მხარეს იგულისხმებს სტრაბონი „პარზიის (მთიანეთის) კალთები“-ს სახელწოდებით.

ამის დადგენაც შესაძლებელია.

სტრაბონისა და ანტიკური ხანის მეორე ავტორის აპოლოდორის ცნობათა შეფარდებიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც სომხეთმა მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა შეიერთა „პარზიის (მთიანეთის) კალთები“; საზღვარი სომხეთსა და იბერიას შორის გასდევდა მდინარე არაქსზე¹. მაშასადამე „პარზიის (მთიანეთის) კალთები“ ეს არის ამის სამხრეთით მდებარე კუთხე, მდინარე არაქსის სათავეების ზონა (ე. ი. სამხრეთი ბასიანი და მიმდგომი სექტორი არაქსის მარჯვენა სანაპიროდან ვიდრე ბინგელის მთებამდე).

ამ კუთხეს სავსებით შეეფარდება ეს სახელწოდება „პარზიის (მთიანეთის) კალთები“; დასავლეთის მხრიდან იგი ესაზღვრება პარზიის მთიანეთის მხარეს (ე. ი. აკილისენა-კარინ-დერჯანის რეგიონს); ხოლო სამხრეთის მხრით იგი ესაზღვრება სტრაბონის მიერ იქვე დასახელებულს ხორძენის პროვინციას, რომელიც იმავე პარზიის მთიანეთის მხარის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს².

რომ ტაოს მხარე მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა და აგრეთვე შემდეგ, სტრაბონის დროს, პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთაღრიცხვისა, არ შედიოდა სომხეთში, არამედ საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული, გარდა ზემოთ-აღნიშნულისა, ადასტურებს აგრეთვე სტრაბონის გეოგრაფიის პირდაპირი მითითებანი.

1. სტრაბონის გეოგრაფიის ტექსტის მიხედვით ჩრდილოეთი საზღვარი სომხეთისა დასავლეთ კავკასიის სექტორში ეს იყო მოსხის მთები, ხოლო ნაწილობრივ საზღვარი გასდევდა კიდევ უფრო სამხრეთით, არაქსის ხეობაში (ბასიანის ზონაში)³.

ხოლო, როგორც გამოჩვენებულია, მოსხის მთები ეწოდებოდა წყალთაგამყოფ ქედს, რომელიც გაყოფს ჭოროხისა და მტკვრის ხეობებს არაქსისა და ეფფრატის ხეობებიდან.

ამრიგად ტაოს მხარე, რომელიც მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, ე. ი. მოსხის მთების (და აგრეთვე ბასიანის სექტორის) ჩრდილოეთით, არ შედი-

¹ იხ. SC, I, გვ. 98, შედარეთ ზემოთ, თავი VIII, 2 (შნათობა № 1, გვ. 126).

² რომ „პარზიის (მთიანეთის) კალთები“ ეს არის არაქსის სათავეები (სამხრეთი ბასიანი და მიმდგომი სექტორი არაქსის მარჯვენა სანაპიროდან ვიდრე ბინგელის მთებამდე), ამის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ.

³ იხ. ზემოთ, თავი VIII, 1 (შნათობა, № 12, 1950, გვ. 137).

ოდა სომხეთის საზღვრებში, იგი საქართველოს ფარგლებში ყოფილა მოქცეული.

სტრაბონის გეოგრაფიის ცნობათა წინედეგით ირკვევა ამასთან, რომ პირველ საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა ტერიტორია ჭოროხის ხეობისა ორ ზონად განიყოფებოდა: ერთი ზონა — აღმოსავლეთი ნაწილი შედიოდა იბერიის სამეფოს საზღვრებში, ხოლო მეორე ზონა — დასავლეთი ნაწილი პოლიტიკურად კოლხეთთან იყო დაკავშირებული. კერძოდ იბერიის საზღვრებში ყოფილა მოქცეული აღმოსავლეთი ტაო, ქალაქით იდი (იდესა), რომელიც მდინარე ოლთისის სათავეებში მდებარეობს. ქალაქ იდის მხარის დასავლეთით (ე. ი. თორთომის ხეობიდან მოკიდებული) იწყებოდა კოლხეთის ზონა¹.

ამრიგად ეს ჩვენებაც ადასტურებს, რომ ჭოროხის ხეობა, ტაოს მხარის ჩათვლით, პირველი საუკუნისათვის ახალი წელთაღრიცხვისა საქართველოს (იბერიისა და კოლხეთის) საზღვრებში შედიოდა.



სტრაბონის ხანის მომდევნო პერიოდი, პირველი საუკუნე და მეორე საუკუნის პირველი ნახევარი (ახალი წელთაღრიცხვისა), ეს არის — როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი — ეპოქა იბერიის სამეფოს განსაკუთრებული ძლიერებისა.

ამ დროს იბერიის საზღვრებში შესულა ჭოროხის ხეობის ის ნაწილები, რომელიც წინათ კოლხეთთან იყო დაკავშირებული; იბერიის საზღვრები დასავლეთის მიმართულებით (ჭოროხის ხეობის ხაზით) აღწევს ჯერ პარხალის (შქვიდისის) მთებამდე (პირველი საუკუნის მეორე მესამედში, — იხ. პლინიუს სეკუნდი), ხოლო შემდეგ შავ ზღვამდე (პირველ-მეორე საუკუნეთა საზღვარზე, — იხ. არიანე)².

ამავე დროს იბერიის სამეფოს საზღვრები გაფართოებულა სამხრეთითაც (ფარსმან I-ის და ფარსმან II-ის დროს, — იხ. ტაკიტი, დიონ კასიოსი). რასაკვირველია სრულებით გამორიცხულია, რომ ამ ეპოქაში, პირველ საუკუნესა და მეორე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც იბერია ძლიერების ზენიტში იმყოფება, სომხეთს შეერთებინოს ტაო ან იბერიის რაიმე ტერიტორია ჭოროხის ხეობაში. პირიქით თვით სომხეთი ერთხანად (პირველი საუკუნის მეორე მესამედში) ფაქტიურად წარმოადგენდა იბერიის ვასალურ სამფლობელოს და იქ იბერიელი უფლისწულები მეფობდნენ. შემდეგაც გრძელდება იბერიის ეს პოლიტიკური უპირატესობა კავკასიაში; მეორე საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარა იბერიის საზღვრების ახალი გაფართოება (იხ. ცნობა დიონ კასიოსისა, SC, I, 622).



წარმოდგენილი მიმოხილვიდან ამრიგად გამოირკვა, რომ ტაო არ იყო დაკავშირებული სომხეთთან არც მე-5 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (როგორც ამას დაასკვნიდნენ ნ. ადონცი და გ. ლაფანციანი); არც მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (როგორც ამას დაასკვნიდნენ მ. პიუბ-

¹ იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. II, § 16 — 18, SC, I, 137 — 8. შუად. ხეობთ, თავი VIII, 1 (მნათობი, № 12, 1950, გვ. 137).

² იხ. ხეობთ თავი VIII, 1 (მნათობი, № 12, 1950, გვ. 137 — 8).

შმანი, ი. მარკვარტი და სხვანი); არც პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთაღრიცხვისა — სტრაბონის დროს; არც პირველ საუკუნეში, და მეორე საუკუნის პირველი ნახევარში ახალი წელთაღრიცხვისა, იბერიის პროვინციის კური ძლიერების ამ ხანაში.

ამრიგად დაკავშირება სომხეთთან ტაოს მხარისა (ისიც, როგორც შემდეგ დავინახავთ. არა მთელი ტაოსი, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილისა) ბევრად უფრო გვიან მომხდარა, ვიდრე ამას ვარაუდობდნენ, ე. ი. მეორე საუკუნის ნახევრის შემდეგ.

ხოლო როდის სახელდობრ?

ამის დადგენა შესაძლებელი ხდება საკმაო მიახლოებით.

სომხური წყაროებიდან ირკვევა, რომ ტაო (მისი ერთი ნაწილი) უკვე დაკავშირებული ყოფილა სომხეთთან მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში¹.

მაშასადამე ტაოს (მისი ერთი ნაწილის) დაკავშირება სომხეთთან მომხდარა ამ ორ სათარბლო მიჯნას შორის, დაახლოებით 150 წლის ფარგლებში: არა უადრეს მეორე საუკუნის ნახევრისა და არა უგვიანეს მეოთხე საუკუნის დასაწყისისა.

აქ გასათვალისწინებელია ამასთან შემდეგი.

ტაოს იმ ნაწილს, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, სომხურ წყაროებში ეწოდება მამიკონელთა ქვეყანა². ტაოს ეს ნაწილი იყო სამფლობელო მამიკონელთა გვარეულობისა, რომლებიც, როგორც ირკვევა, ქანები ყოფილან წარმოშობით.

სომხურ საისტორიო წყაროებში გადმოცემები მამიკონელთა გვარეულობის წარმოშობის შესახებ, აგრეთვე მათი სომხეთთან დაკავშირების შესახებ, დაცული აქვთ — ფავსტოს ბიზანტიელს, ანონიმს (სებეოსთან) და მოსე ხორენელს.

ფავსტოს ბიზანტიელის საისტორიო თხზულებაში მანუელ მიკონიანი შემდეგი სიტყვებით მიმართავს სომხეთის მეფეს ვარაზდატს (374 — 377.): „ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ თქვენი მსახურნი, არამედ ვიყავით თქვენნი ამხანაგნი, და იქნებ თქვენზე მეტად სახელოვანიც, რადგან ჩვენნი წინაპარნი იყვნენ მეფენი ჭენასტანში. მაგრამ მათა შორის განხეთქილების გამო, რის შედეგადაც მოხდა დიდი სისხლის ღვრა, ჩვენ დაეტოვეთ სამშობლო და მოვედით აქ (თქვენ კარზე) მშვიდობის საძებნელად“³.

ჭენასტანი გვიან ხანაში ესმოდათ როგორც ჩინეთი, მაგრამ, როგორც ეს სრულიად სწორად ამოხსნა ნ. ადონციმა, აქ ცხადია იგულისხმება „ქენთა“ ქვეყანა, ქანეთი, რომელიც სწორედ მამიკონელთა საგვარეულო მხარის ტაოს გვერდით მდებარეობს⁴.

ეს გადმოცემა მამიკონელთა გვარეულობის წარმომადგენელის მოსვლის შესახებ სომხეთის მეფის კარზე, ცხადია იგულისხმებს მამიკონელთა ქვეყნის (ე. ი. ტაოს ერთი ნაწილის) სომხეთთან პოლიტიკური დაკავშირების ფაქტს.

თუ რა დროს მოხდა ეს, ამის შესახებ ფავსტოს ბიზანტიელი არას გადმოგვცემს.

¹ იბ. ფავსტოს ბიზანტიელი, 1889, III, 18, (გვ. 47), IV, 2 (გვ. 67), IV, 18 (გვ. 132).

² იბ. ფავსტოს ბიზანტიელი, იქვე.

³ იბ. ფავსტოს ბიზანტიელი, V, 37.

⁴ იბ. ნ. ადონცი, op. cit, გვ. 402 — 4.

რაც შეეხება იმ გადმოცემებს, რომელიც დაცული აქვთ მამიკონელთა გვარეულობის შესახებ უკანასკნელ ორ ავტორს — სებეოსის ანონიმსა და მოსე ხორენელს, ისინი ზოგად ქრონოლოგიურ მითითებებს შეიცავენ, ეს ორი ავტორი მამიკონელთა გვარეულობის მოსვლას სომხეთის მეფის კარზე (ე. ი. მამიკონელთა ქვეყნის, — ტაოს ერთი ნაწილის, — სომხეთთან პოლიტიკურად დაკავშირებას) — მიაკუთვნებენ მესამე საუკუნეს: აქედან პირველი (ანონიმი) მესამე საუკუნის პირველ ნახევარს (228 წლის წინარე დროს), ხოლო მოსე ხორენელი მესამე საუკუნის დასასრულს (297 წლის ახლო დროს) ¹.

ეს თარიღი — მესამე საუკუნე — დაცული გადმოცემებში, უდგება იმ ქრონოლოგიურ რკალს, რაც ჩვენ ზემოთ დავადგინეთ ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება იმას, თუ რა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მოხდა ტაოს ამ ნაწილის (მამიკონელთა სამფლობელოს) პოლიტიკური დაკავშირება სომხეთთან, ეს ჩვენთვის უცნობი რჩება საისტორიო წყაროების უქონლობის გამო.

არაა გამორიცხული, რომ აქ ადგილი ჰქონდა არა დაპყრობას, არამედ მამიკონელთა გვარის განდგომას რაღაც შინაური აშლილობის გამო, რაზედაც ბუნდოვანი ხსოვნა დაცულია ფავსტოს ბიზანტიელის მიერ შემონახულ საისტორიო გადმოცემაში.



შემდგომი ისტორია ტაოს იმ ნაწილისა, რომელიც პოლიტიკურად დაუკავშირდა სომხეთს, ცნობილია.

მე-4 საუკუნის დასასრულს (387 წელს) — არშაკიდების სომხეთის ორად გაყოფის დროს ირანსა და ბიზანტიას შორის, ტაოს დასახლებული მხარე ირანის წილში მოექცა, ხოლო მეხუთე საუკუნის პირველი ნახევრიდან (429 წლიდან), მეფობის მოსპობის შემდეგ, ტაოს ეს მხარე, აღმოსავლეთ სომხეთის სხვა მხარეებთან ერთად, ირანის პროვინციად იქცა.

591 წელს ტაოს დასახლებული ნაწილი ბიზანტიამ შეიერთა. მე-7 საუკუნის დასაწყისში იგი ერთხანად ისევ ირანის ხელშია, ხოლო ერეკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ აღმოსავლეთში, მე-7 საუკუნის 20-იანი წლებიდან მოკიდებული, ტაოს ეს მხარე კვლავ ბიზანტიის საღვრებში შევიდა.

მე-7 საუკუნის შუა წლებიდან მოკიდებული ტაო ეს ნაწილი ხან არაბების, ხან ბიზანტიის ხელში იყო, ხოლო მე-7 საუკუნის დასასრულისათვის აქ არაბთა მფლობელობა მყარდება.

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში ტაოს დიდი კატასტროფა დაატყდა თავს. როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ამ დროს, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, არაბთა დამსჯელმა ექსპედიციებმა მურვან-ყარუს მხედართმთავრობით ცეცხლითა და მახვილით გაიარა ქოროხის ხეობაში მდებარე მხარეებზე და ნანგრევებად აქცია იგი. ტაოს მხარე ამის შემდეგ კარგა ხანი აღარ აღდგენილა.

ტაოს მხარის ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, საქართველომ დაიბრუნა მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე. მე-8 საუკუნის უკა-

¹ იხ. სებეოსი, 1879, გვ. 11. მოსე ხორენელი, II, 81.

ნასკნელ მეოთხედში, მესხეთის მფლობელის ადარნასე მთაერის დროს საქართველოს ფარგლებში შესულა არსის ხეობა (არსის-ფორი)¹. ხოლო მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველთა სამეფოს შემოუერთებდა ტაოს სამხრეთი სანაპიროები. საქართველოს სამხრეთი საზღვარი მიტანილ იქმნათოდოსიოპოლის (თანამედროვე არზრუმის) მიჯნამდე, ქაჯის ცხემდე, რომელიც ქართლის-ყელის (გურჯი-ბოლახის) ვიწრობთან ჰყვავდა საქართველოსაკენ მიმავალ გზებს².

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ტაოს ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, საქართველოს დაუბრუნდა ნანგრევების სახით.

მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველთა მეფე-კურაპალატის აშოტ I დიდისა და მისი მემკვიდრის ბაგრატ I-ის დროს ტაოს მხარეში სწარმოებს დიდი მშენებლობა.

ქართველ მოღვაწეთა მიერ გაწეული დიდი ღვაწლის შედეგად ტაო აღსდგა ნანგრევებიდან. მე-9 საუკუნიდან მოკიდებული ტაო გადაიქცა მოწინავე მხარედ, ქართული განათლებისა და ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად.

ბ.

ტაოს ტერიტორიული მოცულობა.

ტაოს მხარეები: აშიერი ტაო და იშიერი ტაო.

როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა ტაოს იმ ნაწილისა, რომელიც მე-4—8 საუკუნეებში პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული?

ასეთი კითხვა დღემდე არც კი ყოფილა დასმული. ყველა, ვინც კი შეხება ტაოს ისტორიის საკითხებს, ვარაუდობდა, რომ იმ პერიოდის მანძილზე, როდესაც ტაოს ტერიტორია სომხეთთან იყო დაკავშირებული, სომხეთში ვითომც შედიოდა მთელი ტაო (იმ საზღვრებში, რომელიც ტაოს გვიან ხანაში ჰქონდა) და ამის გარდა კოლის უბანი არტაანის მხარისა.

მაგრამ ეს შეხედულება, როგორც ირკვევა, არაა სწორი. სომხეთთან პოლიტიკურად დაკავშირებული ყოფილა არა მთელი ტაო, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი.

რათა გავერკვეთ ამ საკითხში, საჭიროა გავცნოთ ტაოს ისტორიულ გეოგრაფიას.

(იხ. თანდართული რუკა: ტაონი, სპერი და კოლას უბანი არტაანის მხარისა).

ტაო ძველ-ქართულ წყაროებში მოიხსენება შემკრებლობითი სახელით: ტაონი³ (შეად. სომხური ტაიქ, იგივე ტაონი).


ტაონი შესდგებოდა ორი ნაწილისაგან: ერთ ნაწილს ერქვა აშიერი ტაო (ანუ ქვემო ტაო), მეორეს იშიერი ტაო (ზემო ტაო)⁴.

¹ იხ. მატიაზე ქართლისა, გვ. *441/218.

² იხ. ზემოთ, თავი IV, (იხ. მნათობი, № 11, 1949, გვ. 147).

³ იხ. გიორგი მერაულე, გვ. 29, შდრ. მატიაზე ქართლისა, გვ. *463/239.

⁴ იხ. სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა, გვ. *582/352, მატიაზე ქართლისა, გვ. *463/239, *441/218.



შენიშვნა. ციფრებით აღნიშნულია ამიერი ტაოს და იმერი ტაოს კანტონები, საბუღალბო: ამიერი ტაოს კანტონები: 1—ტაოსკარი, 2—ფანსკარტი, 3—ბანა, 4—ილითი, 5—მამრიგანი, იმერი ტაოს კანტონები: 6—კოლა, 7—არსის-ბეობა, 8—აზოთის-ბეობა, 9—ოქალე, 9¹—ქართლის ველის მკუ-უბანი, 10—მუხა, 11—მკაბტი, 12—ბერლის-ბეობა, 13. პარტიზის-ბეობა.

ეს გაყოფა „ამიერი ტაო“ და „იმიერი ტაო“, სწინს, იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც ტაო ორად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი („ამიერი ტაო“) საქართველოს საზღვრებში შედიოდა, ხოლო მეორე ნაწილი („იმიერი ტაო“) პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული.

ამიერი ტაო (ე. ი. ტაოს ის ნაწილი, რომელიც ყოველთვის საქართველოს საზღვრებში შედიოდა) მოიცავდა მდინარე ოლთის-წყალის ხეობას დაწყებული შამროვანის (ნამროვანის) კარებიდან (ვიწროებიდან) ვიდრე ტაოს-კარის სექტორამდე. ეს არის ბანა-ოლთისის პროვინცია.

იმიერი ტაო (ე. ი. ტაოს ის ნაწილი, რომელიც ერთხანად პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული), შეიცავდა ტაოს სამხრეთსა და დასავლეთ სანაპიროებს, დაწყებული მდინარე ბარდუსის-წყალის სათავეებიდან — ქოროხამდე.

თუ როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა იმიერი ტაოსი (ე. ი. ტაოს ის ნაწილისა, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული), ეს ზუსტად ირკვევა სომხური უსახელო გეოგრაფიიდან და სხვა სომხური საისტორიო წყაროების ჩვენებებიდან.

სომხური უსახელო გეოგრაფიის ცნობების თანახმად სომხეთის ფარგლებში შემავალი ტაო შეიცავდა შემდეგ კანტონებს (უბნებს):

კოლი. — ბერდისის ხეობა. — პარტიზის ხეობა. — ქაკატი. — ბუხა. — ოქალე — აზორდის (აზორთის) ხეობა — არსის ხეობა.

ამრიგად, ტაოს ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, რვა კანტონისაგან შედგებოდა.

პირველად აქ დასახელებულია კანტონი კოლი, სადაც მდებარეობდა მთელი მხარის პოლიტიკური და საეკლესიო ცენტრები (კოლი და იშხანი).

დანარჩენი შვიდი კანტონი ჩამოთვლილია გეოგრაფიული თანამიმდევრობით, დაწყებული მდინარე ბარდუსის სათავეებიდან ვიდრე ქოროხამდე. ბერდისის ხეობა — არის თანამედროვე დაბა ბარდუსის სექტორი.

პარტიზის ხეობა — არის ბარდუსის მეზობლად მდებარე სექტორი ძველი დაბა პარტიზისა (ამჟამად ეწოდება პერტუსი).

ქაკატი — არის დაბა იდის სექტორი.

ბუხა — არის სექტორი ბუხას ანუ ბუხათა-ყურის (ბულათა-ყურის) ციხისა მდინარე ოლთის-წყალის სათავეებში (ამჟამად ბუხა-კალა ანუ ბუა-კალა).

ოქალე (რომლის საზღვრებშიაც წყაროები ასახელებენ დღემდე არსებულ სოფლებს: ვარდიშენი, გელიცი და წალიცი) — ეს არის ზემო-თორთომის ხეობა და გურჯი-ბოლაზის (ქართლის ყელის) სექტორი.

აზორდის (აზორთის) ხეობა — არის შუა-თორთომის ხეობა (სადაც დღემდის არსებობს სოფელი აზორდის სახელწოდებით).

არსის — ხეობა — არის დაბა ოკდემის სექტორი, ქოროხის მარჯვენა სანაპიროზე (სადაც დღემდე არსებობს პუნქტი ამ სახელწოდებით: არსისი).

ამრიგად ზემოთ-ჩამოთვლილი შვიდი კანტონის ლოკალიზაცია ზუსტად ხერხდება.

დაგვრჩენია ამის შემდეგ დაეადგინოთ, თუ სად მდებარეობდა იმიერი ტაოს პირველი (ცენტრალური) კანტონი: კოლი. ამ საგანზე ჩვენ მოგვიხდება უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ, რადგან ამ კანტონის შემცირება კალიზაციას სრული არეგ-დარევა შეჰქონდა ტაოს ისტორიის საკითხებში.

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი.

ძველ-ქართული და ძველ-სომხური წყაროების ჩვენებათა შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ მესხეთის მხარეებში არსებული ორი რაიონი, რომელთაც ეწოდებოდა მსგავსი სახელები: კოლა (კოლაჰ) და კოლი.

პირველი ამათგანი კოლა (კოლაჰ) მდებარეობდა მტკვრის სათავეებში; იგი შეადგენდა არტაანის (არტაან-კოლას) მხარის ნაწილს და შედიოდა ჯავახეთის (წუნდის) საერისთავოს ფარგლებში¹.

ხოლო მეორე ამათგანი, კოლი (სომხური წყაროების „კოლ“) მდებარეობდა ჭოროხის ხეობაში; იგი შედიოდა ტაოში და შეადგენდა იმიერი ტაოს ნაწილს.

ამ ორი კუთხიდან უფრო ცნობილია პირველი, მტკვრის კოლა, რომელსაც შედარებით ფართო ტერიტორია უჭირავს.

გვიან ხანაში მესხეთის მხარეთა გეოგრაფიის უცოდინარი მწერლები ერთი-მეორეში ურევენ ამ ორ კუთხეს, — მტკვრის ხეობის (არტაანის) კოლას და ჭოროხის ხეობის (ტაოს) კოლს.

სომხური უსახელო გეოგრაფიის გვიანდელ ვერსიაში (ეგრეთწოდებულ ვრცელ რედაქციაში) ტაოს კოლის შესახებ შეცდომით არის აღნიშნული, რომ იგი ვითომც მდებარეობს მტკვრის ხეობაში; ამრიგად აქ ერთმანეთშია არეული ჭოროხის ხეობის კოლი და უფრო ცნობილი მტკვრის ხეობის კოლა.

რაც შეეხება სომხური გეოგრაფიის უფრო ძველ ვერსიას, აქ ასეთ შეცდომას არა აქვს ადგილი, მითითება მტკვრის შესახებ ამ ძველ ვერსიაში არ მოიპოვება.

აქ საჭიროა ხაზი გაუუსვათ იმ გარემოებას, რომ ტაოს მხარეები, როგორც იმიერი ტაო, ისე იმიერი ტაო, ჭოროხის ხეობაშია განუფენილი და ამის მიხედვით ტაოს ფარგლებში შემავალი კანტონი კოლი ცხადია ჭოროხის ხეობაში არის საძიებელი.

რომ იმიერი ტაოს ეს კანტონი კოლი ჭოროხის ხეობაში მდებარეობდა, ეს სრულიად უდავოდ ირკვევა მე-მ საუკუნის სომეხთა ისტორიკოსის ლეონტი მოძღვარის ჩვენების მიხედვით. ეს ჩვენება სომეხთა ამ ისტორიკოსისა მით უფრო საყურადღებოა და გადამწყვეტი მნიშვნელობისა, რომ იგი გუუთენის იმ ხანას, როდესაც იმიერი ტაო სომეხეთთან იყო დაკავშირებული.

ლეონტი მოძღვარი აგვიწერს, რომ არაბების მიერ შევიწროებული მოსახლეობის ერთმა დიდმა ჯგუფმა (რომელსაც შეადგენდა 12.000 მხედარი, დედა-წულთი, ქალებითა და ბავშვებით), განიზრახა საბერძნეთში გადასვლა; ლეონტი მოგვითხრობს:

„უწყალო მტრები [არაბები] დაედევნენ მათ [ლტოლვილებს] და დაეწივნენ იბერიის საზღვართან, კანტონში, რომელსაც ეწოდება კოლი („კოლ“). მაგრამ მათ [ლტოლვილებმა] დაამარცხეს არაბები, გაჰფანტეს ისინი, ხოლო თვით გადავიდნენ მდინარე აკამუსისზე (ჭოროხზე), რომელიც მომდინარე-

¹ იხ. ლეონტი მოძველი, გვ. *129/21.

ობს ტაოს ქვეყანაზე, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, და გაივლის რა ეგერს (კოლხეთს), შვერთვის პონტოს (შავ ზღვას)¹.

ამრიგად ლეონტი მოძღვარის ამ სრულიად გარკვეული ცნობის თანახმად ტაოს (იმიერი ტაოს) კანტონი კოლი მდებარეობდა „იბერიის საზღვართან“, მდინარე აკამფისის (ჰოროხის) სანაპიროზე.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ მეორე ძველი ავტორის მოსე ხორონელის ცნობის მიხედვითაც კოლის კანტონი მდებარეობდა ტაოს ქვეყანაში, პარხარის მთიანეთის ზონაში, ე. ი. ჰოროხის ხეობაში².

კერძოდ ლეონტი მოძღვარის ჩვენება იმდენად ნიშანდობლივია, რომ შესაძლებელი ხდება ზუსტი ლოკალიზაცია ამ კანტონისა: კოლი, იმიერი ტაოს ეს მთავარი კანტონი, ცხადია ეს არის დაბა იშხანის ზონა.

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი:

იშხანის ზონა მდებარეობს იმიერი ტაოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორში. მას ჩრდილოეთის მხრით ადგება კლარჯეთი (რომელიც იბერიის საზღვრებში შედიოდა), ხოლო სამხრეთის მხრივ ადგება იმიერი ტაოს კანტონები (რომლებიც ლეონტის დროს სომხეთთან იყო დაკავშირებული). მაშასადამე იშხანის ზონა იდენტიურია კოლის კანტონთან, რომელიც ლეონტის ცნობით „იბერიის საზღვართან“ მდებარეობდა.

2. კოლის კანტონი, ლეონტის ცნობის თანახმად ესაზღვრებოდა მდინარე ჰოროხს; ხოლო იშხანის ზონა მართლაც მდინარე ჰოროხის მოსაზღვრეა.

3. სახელწოდება კანტონისა კოლი, ცხადია, მომდინარეობს დაბის სახელიდან, ისევე როგორც ტაოს დანარჩენი კანტონების სახელები. ხოლო იშხანის ზონაში, მდინარე ჰოროხის ნაპირას მდებარეობს დაბა, რომელსაც ამჟამად ეწოდება კოლიკი. (იგი წინათ სარაიონო ცენტრი იყო და ამის გამო მას აგრეთვე ეწოდება „ლივანა კოლიკი“, ე. ი. სარაიონო დაბა კოლიკი). აშკარაა ეს დაბა, რომელსაც ამჟამად „კოლიკი“ ჰქვია (და რომელიც ამასთან სწორედ ჰოროხის ნაპირას მდებარეობს), არის ის ძველი დაბა კოლი, რომელსაც მიუცია სახელწოდება კოლის კანტონისათვის.

საკითხი ამრიგად სავსებით ნათელია.

დამატებით აქ რამდენიმე შენიშვნა მტკვრის ხეობაში მდებარე კანტონის კოლას შესახებ, რომელსაც მკვლევარი შეცდომით მიიჩნევდნენ ტაოს (იმიერ ტაოს) ნაწილად, ურევდნენ მას ჰოროხის ხეობის კანტონ კოლთან.

ა. რომ მტკვრის ხეობაში მდებარე კანტონი კოლი არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო იმიერი ტაოს ნაწილი, ამას ადასტურებს შემდეგი: მტკვრის ხეობის კოლა ტერიტორიულად არ ესაზღვრება იმიერი ტაოს კანტონებს. იგი იმიერ ტაოს მოწყვეტილია ოლთის-ბანას პროვინციით (იმიერი ტაოს მხარით), რომელიც სომხეთთან არასოდეს არ ყოფილა დაკავშირებული.

ბ. ქართულ საისტორიო წყაროებში არ არის არც ერთი შემთხვევა, როდესაც მტკვრის ხეობის კოლა ტაოს ნაწილად იყოს დასახელებული. მტკვრის ხეობაში მდებარე კანტონი კოლა წყაროებში ყოველთვის მოიხსენება როგორც ნაწილი არა ტაოსი, არაუად არტაანის მხარისა, რომელთანაც იგი ერთ ერთეულს წარმოადგენს შემდეგის საერთო სახელწოდებით: კოლა-არტაანი ანუ არტაან-კოლა.

¹ იმ. ლეონტი მოძღვარი, ისტორია ხალიფთა, 1887 წ., გვ. 168.

² იმ. მოსე ხორონელი, II, 6.

გ. ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება შეფარდებული იყო ხოლმე ბუნებრივ გეოგრაფიულ პირობებთან; ხოლო მტკვრის ხეობაში მდებარე კოლა გეოგრაფიულად სულ სხვა ზონას წარმოადგენს, ვიდრე ტაოს ეს უკანასკნელი ქოროზის ხეობაში არის განთენილი და არც ერთი სექტორით იგი მტკვრის ხეობაში არ გადმოდის.

ჩვენ ამით დავასრულებთ იმიერი ტაოს კანტონების გეოგრაფიული განლაგებისა და ტერიტორიული მოცულობის საკითხის განხილვას. ირკვევა ამრიგად რომ იმიერი ტაოს დასახელებული კანტონები მოიცავდა ისტორიული ტაოს სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებს.

გავეცნოთ ამის შემდეგ ამიერი ტაოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დანაწილებას.

საშუალ-საუწყუნებში ტაოს ორივე ნაწილი, როგორც ამიერი ტაო, ისე იმიერი ტაო (ეს უკანასკნელი საქართველოსთან გაერთიანების შემდეგ) განიყოფებოდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად (კანტონებად ან უბნებად).

ამიერი ტაო (ე. ი. ტაოს ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ფარგლებში შედიოდა), განიყოფებოდა ხუთ კანტონად:

ტაოს - კარი. — ფანასკერტი. — ბანა. — ოლთისი. — მამროვანი¹.

რაც შეეხება იმიერ ტაოს, მისი ახალი ადმინისტრაციული დანაწილება (საქართველოსთან გაერთიანების შემდეგ), შედარებით ძველ ადმინისტრაციულ დანაწილებასთან (როდესაც ეს კუთხე სომხეთთან იყო დაკავშირებული) ასეთ შეფარდებას წარმოადგენს:

იმიერი ტაო:	ამიერი ტაო:
ძველად არსებული დანაწილება კანტონებად (მე-8 — 9 საუკუნეებამდე)	ახალი ადმინისტრაციული დანაწილება კანტონებად (მე-8 — 9 საუკუნეთა შემდეგ)
<p>ა. კოლი</p> <p>ბ. არსის-ხეობა</p> <p>გ. აზორდის ხეობა</p> <p>დ. ოქალე</p> <p>ე. ბუზა</p> <p>ვ. კაკატი</p> <p>ზ. ბერდისის ხეობა</p> <p>ქ. პარტიზის ხეობა</p>	<p>ა. არსის ხეობა²</p> <p>ბ. თორთომი²</p> <p>(გაერთიანებულია მე-5 კანტონთან მამროვანთან)²</p> <p>(გაერთიანებულია მე-4 კანტონთან ოლთისთან)²</p> <p>გ. პარტიზის ხეობა²</p>

¹ იხ. მესხეთის საეპისკოპოსოსა საზღვრების აღწერილობა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1905 წ., გვ. 77). — დავით და ტირიჭანის მარტვილობა (ილ. აბულაძის გამოცემა, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, 1944, გვ. 183).

² იხ. მატიაწე ქართლისა, გვ. *441/218; დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *514/282; მესხეთის საეპისკოპოსოსა საზღვრების აღწერილობა, გვ. 76: „ტაოს-კარს ქვემოთი“ [= არსის ხეობა].

³ იხ. მესხეთის საეპისკოპოსოსა საზღვრების აღწერილობა გვ. 76 — 77.

თუ როგორი იყო ტერიტორიული განლაგება ტაოს ამ ორივე ნაწილის ადმინისტრაციული ერთეულებისა, მკითხველი გაეცნობა თანდართულ რუკაზე.

გეოგრაფიული

დაგვიჩვენია შეეჯამოთ ზემოთ-დადგენილი და გამოვიტანოთ დასკვნები. წყაროების განხილვიდან ამ-რიგად დადასტურდა რომ მე-4 — 8 საუკუნეთა მანძილზე სომხეთთან დაკავშირებული იყო არა მთელი ტაო, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი „იმიერი ტაო“, რომელსაც თვით ეს სახელწოდება „იმიერი“ სჩანს იქიდან მიუღია, რომ იგი ერთხანად მოწყვეტილი იყო საქართველოს.

რაც შეეხება ამიერი-ტაოს, ე. ი. ოლთის-ბანას პროვინციას (რომელიც მოიცავდა მდინარე ოლთის-წყალის ხეობას მამროვანის კარებიდან მოკიდებული ვიდრე ტაოს-კარამდე), იგი როგორც ირკვევა, ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

რომ ტაოს იმ ტერიტორიაში, რომელიც ერთ ხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული არ შედიოდა ამიერი ტაოს მხარე (ე. ი. ოლთის-ბანას პროვინცია), ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სომხეთის ტაოს შემადგენლობაში არც ერთ სომხურ საისტორიო წყაროში ერთხელაც არაა მოხსენებული ამიერი ტაოს კანტონები: ტაოს-კარი, ბანა, ფანასკერტი, ოლთისი და მამროვანი.

უფრო მეტი. ამიერი ტაოს ეს კანტონები და ეს პუნქტები არა თუ არაა მოხსენებული სომხურ საისტორიო წყაროებში როგორც ნაწილი სომხეთისა, სომხური ტაოსი, არამედ სომხური წყაროები საერთოდ ნაკლებად იცნობენ ამ მხარეს, ამიერი ტაოს, საქართველოს ამ ძირითად ნაწილს. როგორც ცნობილია. ძველ სომხურ საისტორიო წყაროები ვიდრე მე-8 საუკუნემდე (ე. ი. ვიდრე იმ დრომდე, სადამდისაც იმიერი ტაო სომხეთთან იყო დაკავშირებული) ხშირად ასეხელებენ, სომხეთის პოლიტიკურ ისტორიასთან დაკავშირებით, იმიერი ტაოს კანტონებსა და დასახლებულ პუნქტებს (იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, ლაზარე ფარჰელი, მოსე ხორენელი, სებაოსი, ლეონტი მოძღვარი, აგრეთვე უსახელო გეოგრაფიის პირველადი ტექსტი, სამხედრო გუჯარი და გაჰანაჰაკი). ხოლო ამ ძველ სომხურ წყაროებში, რომლებიც ეკუთვნიან ხანას ვიდრე მე-8 საუკუნემდე, არც ერთხელ არ მოიხსენება ამიერი ტაოს (საქართველოს ტაოს) არც ერთი ზემოთ-ჩამოთვლილი კანტონი (ტაოს-კარი, ბანა, ფანასკერტი, ოლთისი, მამროვანი) და არც ამ კანტონების ფარგლებში მდებარე ცალკეული დასახლებული პუნქტები.

ასეთია ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენებანი, რაც ირკვევა ამ საკითხის გამო საისტორიო წყაროების ანალიზიდან.

ამრიგად, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო გარკვეული, დადგინილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ისტორიული ფაქტი: მე-4 — 8 საუკუნეებში სომხეთთან პოლიტიკურად დაკავშირებული ყოფილა არა მთელი ისტორიული ტაო, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი, იმიერი ტაო.

8

იმიერი ტაოს მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა.

ტაოს მხარის ძირეულ მოსახლეობას, როგორც ცნობილია და როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, შეადგენდა ქართველი ტომი ტაოხები ანუ ტაოელნი.

საკითხავია, რა ცვლილებები მოხდა იმიერის ტაოს მოსახლეობის ეთნოგრაფიულ შემადგენლობაში მას შემდეგ, რაც ეს მხარე სომხეთს დაუკავშირდა? შეიცვალა მან თავისი ეთნოგრაფიული სახე?

როგორც ირკვევა, არა. იმიერის ტაო, მოსახლეობის შემადგენლობისა და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, როგორც იყო ქართული, ისევე ამის შემდეგაც ძირითადად ქართულ მხარედ დარჩენილა.

ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ იმიერ ტაოში არ ჰქონოდა ადგილი სომხური ელემენტების ნაწილობრივ ჩამოსახლებას. მაგრამ ამას, როგორც ირკვევა, არ ჰქონია იმდენად ფართო ხასიათი.

საისტორიო წყაროებში დაცულია შემდეგი ცნობები ტაოს მხარეში უცხო ელემენტების ჩამოსახლების შესახებ.

ძველი ქართველი ავტორის არსენის საფარელის ცნობით, მე-7 საუკუნის დასაწყისში, სარწმუნოებრივი უთანხმოების ნიადაგზე სომხთა კათალიკოზმა მოსემ განდევნა სომხეთიდან ქალკედონიტობის (მართლმადიდებლობის) მინდვარი სამღვდლოება. არსენის ცნობით, სომხეთიდან დევნილი ეს სამღვდლოება „წარვიდეს რომელნიმე იონთა თანა (ე. ი. საბერძნეთს), რომელნიმე ტაოს“¹. ტაო ამ დროს, მე-7 საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიის ფარგლებში იყო მოქცეული და აქ ქალკედონიტობა (მართლმადიდებლობა) გაბატონებულ სარწმუნოებას წარმოადგენდა.

უცხო ელემენტის ამ ჩასახლებას ტაოში სრულებითაც არ ჰქონია რაიმე ფართო ხასიათი, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ჰფიქრობს. არსენი საფარელს პირდაპირ აღნიშნული აქვს, რომ გადასახლდნენ მხოლოდ „მღვდელნი“, და არა თვით სამწყსო. ამრიგად ეს ჩასახლება უცხო ელემენტისა ტაოში მე-7 საუკუნის დასაწყისში რიცხვობრივად სრულიად უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო.

მეორე ცნობა ტაოში უცხო ელემენტების ჩასახლების შესახებ ეკუთვნის მე-8 საუკუნის ბოლო წლებს. სომხის ისტორიკოსს ვარდან დიდს მოთხრობილი აქვს, რომ მე-8 საუკუნის დასასრულს სომხთა მთავარმა აშოტ მისაქერმა ალიოვიტის ოლქიდან გადაასახლა ტაოში (იმიერ ტაოში) გნუნიანთა თემი².

ეს არის და ეს. სხვა ცნობა უცხო ელემენტების ჩასახლების შესახებ ტაოში საისტორიო წყაროებში აღნიშნული არაა.

რასაკვირველია ეს და სხვა ასეთი სპორადიული ცალკეული შემთხვევები უცხო ელემენტის ჩამოსახლებისა ვერ შესცვლიდა და არც შეუცვლია იმიერის ტაოს ეთნოგრაფიული სახე.

რომ იმიერის ტაო მოსახლეობის შემადგენლობისა და აქ გავრცელებული სალაპარაკო ენის მიხედვით ქართულ მხარედ დარჩენილა, ამის შესახებ მოიპოვება პირდაპირი ჩვენებანი.

უარესად საღურადღებოა ცნობა მე-8 საუკუნის სომხთა მწერლის სტეფანოს სიენიელისა: ეს ცნობა ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც იმიერის ტაო ჯერ კიდევ სომხეთთან იყო დაკავშირებული.

სტეფანე სიენიელის ცნობის თანახმად, მე-8 საუკუნეში, სომხეთის შვიდი მხარე, რომლებიც რღებარეობდნენ სომხეთის სანაპიროებზე, ენობრივად განირჩევოდა შიდა-სომხეთიდან; ამ შვიდ მხარეში გავრცელებული ყოფილა

¹ იხ. არსენი საფარელი, თ. ვარდანის გამოცემა (ქრონიკები, I) გვ. 329.
² იხ. ვარდან დიდი, 1861 წ. (ნ. ემინის რუს. თარგმანი), გვ. 98.
 10. „მნათობი“ № 3.

„მოსაზღვრე დიალექტები“, ადგილობრივი ენები. ეს შეიძლება მხარე შეიმდგეს ყოფილა: ტაო (იმიერი ტაო), სპერი (ზემო-სპერი), სომხეთის მეოთხე ოლქი (ხანძითის მხარე), ხოათის მხარე (ხოათი-სასუნი), არწახი, სივნიეთი და კორდუენა (კორდუენა).

ენობრივად ეს შეიძლება ასე ნაწილდება:

ა) ქართული ჯგუფი: ტაო (იმიერი ტაო) და სპერი (ზემო სპერი);
 ბ) ხეთურ — სუბარული ჯგუფი: სომხეთის მეოთხე ოლქი (ხანძითის მხარე, სადაც გავრცელებული იყო ორთაოლი ენა) და ხოათი-სასუნი (სადაც გავრცელებული იყო ხოათოლითა რესპ. ხეთოლითა ენა, რომელსაც აგრეთვე „არტანი“-ს სახელიც ეწოდებოდა);

გ) ალბანური ჯგუფი: არწახი (სადაც გავრცელებული იყო ალბანური ანუ არანული) და სივნიეთი (სადაც გავრცელებული იყო სივნიური ენა ალბანური ჯგუფისა).

დ) ირანული ჯგუფი: კორდუენა ანუ კორდუენა (სადაც გავრცელებული იყო კორთოლი).
 უაღრესად საყურადღებოა აგრეთვე ცნობა მოსე ხორენელისა. სომხის ეს ისტორიკოსი, ეხება რა სომხეთის დასავლეთ სანაპიროებს, სპერსა და მის მიმდგომ მხარეებს (სპერისა და ტაოს ზონას), აღნიშნავს რომ ამ მხარეებში „შევე აღარ ისმის სომხური ენა“ (იხ. მოსე ხორენელი, II, 3).

ასეთია ის ცნობები, რომლებიც ჩვენ საისტორიო წყაროებში მოგვეპოვება აქ აღძრული საკითხის გამო, და რომელთა მიხედვითაც ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ ტაოს იმ ნაწილს, რომელიც ერთხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული, ე. ი. იმიერ ტაოს, ეთნოგრაფიულად არ შეუცვლია თავისი სახე; იმიერი ტაო, მოსახლეობის შემადგენლობითა და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, როგორც თავიდანვე იყო ქართული, ისე ამის შემდგომაც ქართულ მხარედ დარჩენილა.

დ.

ძველ-ქართული მწერლობის ძეგლი: „მარტვილითა ცხრათა კოლაელთა“. შემცდარი განმარტებანი ამ ძეგლის წარმოშობისა და თარიღისა ტაოს მხარის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით

იმის გამო, რომ დღემდე არ იყო სწორად ამოხსნილი ტაოს და მეზობელ მხარეთა ისტორია, არ იყო გარკვეული ტერიტორიული მოცულობა იმ კუთხისა, რომელიც მე-4 — 8 საუკუნეებში პოლიტიკურად სომხეთ-

¹ იხ. სტეფანოს სივნიელი, გამოცემა ნ. ადონისა, Дионисий Фракинский и армянские толкователи, 1915 წ., გვ. 187.

² სტეფანოს სივნიელის ტექსტის ინტერპრეტაციის გამო აქ საჭიროა შემდეგი აღვნიშნოთ, რომ სტეფანოს სივნიელი „მოსაზღვრე დიალექტები“-ს სახელწოდებით ივთვლისმებს ადგილობრივს დამოუკიდებელ ენებს, რომლებიც გავრცელებული ყოფილა დასავლეთულ პროვინციებში, და დასტურდება მთელი რიგი სხვა საისტორიო წყაროების ცნობებიდან, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება ცალკეულ მხარეებში გავრცელებული ენების შესახებ. აღვნიშნავთ აქ ამ წყაროებს:

ა) ორთაოლითა ენის შესახებ — იხ. სირიული წყაროები, Nöldeke, ZDMG, 33, 163 f — იოსუა სილიტი, Wright-ის გამოცემა, 39, 9.

ბ) ხოათოლითა ენის (იგივე „არტანი“-ს ენის) შესახებ — იხ. თომა არწრუნი, 1887 წ. გვ. 121, Nöldeke, ZDMG, 33, 165, Tomaschek, Sasun, 21.

გ) სივნიელითა (სისკანის ქვეყნის) ენის შესახებ — იხ. ზაქარია რიტორი, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა (გეოგრაფია, III, გვ. 17) და ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია I, 1928, გვ. 296. იხ. აგრეთვე მოსე ხორენელის ცნობა სივნიეთის შესახებ, რომ სივნიეთი მდებარეობდა „სომხური ენის საზღვარზე“ (II, 8).

დ) ალბანულითა (არანოლითა) ენის შესახებ, რომელიც გავრცელებული იყო მე-10 საუკუნემდე არწახ-უტის ზონაში (ზარადეის მხარეში) — იხ. ცნობა არაბული წყაროებისა, ი. მარკვარტი, Erän. გვ. 117. არწახოლითა შესახებ, როგორც სომხებისაგან განსხვავებულ ეთნიურ ჯგუფზე, იხ. აგრეთვე ცნობა სომხის ისტორიკოსის ელისესი, 1859, გვ. 72.

ე) კორდუელითა (კორბელითა) შესახებ, როგორც სომხებისაგან განსხვავებულ ეთნიურ ჯგუფზე — იხ. ცნობა სომხის ისტორიკოსის ელისესი, 1859, გვ. 10, 39.

თან იყო დაკავშირებული, ე. ი. იმიერი ტაოსი, არ იყო აგრეთვე გათვალისწინებული, თუ როგორი იყო ამ კუთხის — იმიერი ტაოს ეთნოგრაფიული სახე, მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა, — ყოველგვარ-ამისგანთ სრულიად ყალბ გაშუქებას ღებულობდა ქართული კულტურის ისტორიის მთელი რიგი საკითხები.

აქ ჩვენ ამგზის შეეჩერდებით იმ შემცდარ შეხედულებებზე, რომელიც გამოთქმული იყო ტაოს მხარის ისტორიისთან დაკავშირებით ძველი ქართული მწერლობის ძეგლებზე: „მარტვილობა ცხრათა კოლაელთა“.

ძველი ქართული მწერლობის ამ ერთ-ერთი უძველესი და უადრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოების შესახებ აკად. კ. კეკელიძე და ილ. აბულაძე შემდეგ შეხედულებებს გამოხატეამენ.

კ. კეკელიძის აზრით ეს ძეგლი არ უნდა წარმოადგენდეს ქართულ ნაწარმოებს, არამედ თარგმნილი უნდა იყოს სომხურიდან. ამის საბუთად კ. კეკელიძის შემდეგი მიანიჩა: ეს ძეგლი ვითომც ეხება ტაოს მხარეს; ხოლო რაკი ძეგლში აწერილი ამბავი იმ ეპოქას ეკუთვნის, როდესაც ტაოს მხარე — ეკლესიურად, კულტურულად (და აგრეთვე ძირითადში ეთნოგრაფიულადც) — სომხური მხარე იყო, ამიტომაც ეს ძეგლი სომხურად უნდა იყოს დაწერილი, რომელიც შემდეგ ვითომც ქართველებს უთარგმნიათ არა უადრეს მე-9 საუკუნისა¹.

რაც შეეხება ილ. აბულაძეს, წიგნში „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა მე-9 — 10 საუკუნეებში“, იგი აყენებს სრულიად ყალბ კონცეფციას. ილ. აბულაძის აზრით მე-8 საუკუნემდე სომხებს ეპყრათ მთელი ტაო (როგორც იმიერი ტაო, ისე ამიერი ტაო), და ამის გარდა კოლას უბანი არტაანის მხარისა. მე-8 საუკუნისათვის, როდესაც ტაო (ვითომცდა ასეთ ვრცელ საზღვრებში) — საქართველოს დაუკავშირდა, ტაო წარმოადგენდა ძირითადში სომხურ თუ გასომხებულ ქვეყანას. მე-9 — 10 საუკუნეთა მანძილზე ილ. აბულაძის აზრით სწარმოებს ტაოს გაქართველება ენობრივად. მაგრამ ამის შემდეგაც ტაოელები (იგივე სომხები) ვითომც რჩებიან სომხური ეროვნული კოლექტივის ნაწილად და განაგრძობენ ლიტერატურულ შემოქმედებას „უცხო“ ქართულ ენაზე... ილ. აბულაძე, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, წერს:

„ტაო-კლარჯეთის სომხობა, რომელიც მე-8 საუკუნის განვლიდან“ „ქართველთა სამეფო“-ში შემოვიდა, ქართველთა გავლენის სფეროში მოხვედრით, აკად. ნ. მარის სიტყვით, შეერწყმის ქართველობას. მოწვევითი მშობლიურ ნიდაგს (— სომხეთს), სადაც მისი თანამოაზრენი (სომეხი-ქალკედონიტები) უკვე მოკლებული იყვნენ ფართო შემოქმედების გასაქმას, ის (ტაო-კლარჯეთის სომხობა) ერთხანს მუშაობას მწერლობის დარგში დამოუკიდებლად ეწყება (სომხურ ენაზე). ყველაფერი რაც მას წინანდელი შემოქმედების დარგში ეხება, დატული ჰქონდა და მის ათვისებას დედა-ენაზედვე (სომხურად) ახერხებდა. მაგრამ დროთა მსვლელობაში... ადგილობრივ ქართულ ელემენტთან ურთიერთობისა და ქართულ კულტურულ სამყაროსთან ახლო კავშირის გამო მისთვის სომხურ ლიტერატურულ ენაზე არსებული ძეგლები ადვილად გასაგები აღარ აღმოჩნდა. საჭირო გამმდარა ამ ძეგლების გადმოთარგმნა უფრო ადვილად გასაგებ ენაზე. ამ შემთხვევაში ქართულზე... ამ დარგში (მათეოგრაფიული მწერლობის დარგში) ტაო-კლარჯეთის სომხობას შემდეგში საკუთარი წვლილიც შეუტანია, მაგრამ არა სომხური ენაზე, არამედ უფრო დასაძლევ ქართულზე... მისთვის (ტაო-კლარჯეთის სომხობისათვის) დედა-სამწერლო ენის მაგიერობას უცხო ენა (ქართული) ეწვეა დედა-ენა (სომხური) თუ ესმის მას, ისეც და ისეც სასაუბრო და არა სალიტერატურო ენა, ის მოკლედ რომ მოეკრათ, გაქართველების გზაზე დამდგარი...“².

¹ იბ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 47.

² იბ. იქვე, გვ. 481.

³ იბ. ილ. აბულაძე, op. cit. 013.

ასეთი ერთ-ერთი ძველი, რომელიც ვითომც „ტაო-კლარჯეთის სომხობას“ დაუწერია მე-9 — 10 საუკუნეებში „არა სომხურ ენაზე, არამედ უფრო დანსაძეღვე ქართულზე“, არის, — გვიარწმუნებს ილ. აბულაძე, — „მარტვილის ცხრათა კოლაელთა“.

საიდან სჩანს ეს?

ილ. აბულაძის არგუმენტაცია ძალიან მარტივია; ილ. აბულაძე, ისევე როგორც კ. კეკელიძე, ჰფიქრობს, რომ ამ ძველში აღწერილი ამბავი ვითომც ტაოს ენება. ხოლო რაკი ტაოში ძირითადად სომხური მოსახლეობა იყო, ეს ნაწარმოებიც სომხური წარმოშობისად უნდა ვიცნათო¹.

კ. კეკელიძის და ილ. აბულაძის ამ არგუმენტაციას სრულიად ეცლებო-ყოველგვარი საფუძველი, როდესაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ძველი — მარტვილობა ცხრათა კოლაელთა, სრულებითაც არ ენება იმ ტერიტორიას, რომელიც პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვკონდა, რომ ეს ძველი ენება მტკვრის ხეობის კოლას; თვით ძველში პირდაპირ აღნიშნულია, რომ აღწერილი ამბები სწარმოებდა „თავსა დიდისა მის მდინარისასა, რომელსა ჰრქვიან მტკვარი, ხეცსა, რომელსა ჰრქვიან კოლაჲ“².

ხოლო როგორც ეს ზევით იყო დადგენილი, ტაოში (იმერ-ტაოში) შედიოდა არა ეს მხარე, მტკვრის ხეობა კოლა, არამედ სულ სხვა რაიონი, კოროხის ხეობის კოლი. ამრიგად კ. კეკელიძისა და ილ. აბულაძის დასკვნა, მოკლებულია ყოველგვარ ნიადაგს. მტკვრის ხეობის კოლა, რო-

¹ ილ. აბულაძე, იქვე, გვ. 068 — 070. — ილ. აბულაძე ამასთან აღნიშნავს, რომ ცხრათა კოლაელთა მარტილობაში თუმცა არ შეინიშნება რაიმე კალი სომხური გავლენისა, არც ენობრივი, არც შინაარსობრივი, მაგრამ აქ იმარტებაო ტერმინი „ხევი“ იმავე გაგებით, როგორც ეს გვხვდება სომხურიდან თარგმნილ ძეგლებში, რომლებიც ტაოში არის შესრულებული; სახელდობრ „ხევი“ აქ ნიშნავს არა ხეობას, არამედ ადმინისტრატიულ-ტერიტორიულ ერთეულს, მხარეს.

მაგრამ ილ. აბულაძის დასკვნა შეცდომას წარმოადგენს. ტერმინი „ხევი“ აღსანიშნავად ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ერთეულისა (მხარისა) ეს არის დამახასიათებელი არა სპეციფიურად ტაოსი, და არა სომხურიდან მომდინარე ძეგლებისა, არამედ ტერმინი „ხევი“ ასეთი ნიშნულობით ჩვეულებრივია ძველ-ქართულში.

ასე, იხილეთ ძველ-ქართული მწერლობის ძეგლები:

ა) მარტვილობა აზიბოს ნეკრესელისა (მე-9 საუკუნის ტექსტი); აქ ჩვენ ვკითხვლობთ: „ნეტარი აზიბოს, ნეკრეს ჭალაქისა ეისკაჲისი, ხევისა კახეთისა“ (იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 214).

„ხევი“ აქ ცხადია ნიშნავს არა ხეობას, არამედ მხარეს.

ბ) ვესტათი მცხეთელის მარტვილობაში (მე-9 საუკუნის ტექსტი) — ვესტათი აზიბოს:

„მე ვიკე ქუეანისა სპარსეთისა, ხევისა არხუეთისა, ჭალაქისა განაკისა“ (იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 316).

აქაც „ხევი“ მხარეს ნიშნავს და არა ხეობას.

გ) ლეონტი მროველი (მე-9 საუკ.);

„მეღვამნ მირდატი აღაშენა გულესიანი თხარისისა ციხესა, რამეთუ ხეცსა კლარჯეთისასა არა იყო გულესია“ (გვ. *287/1, 2).

აქაც „ხევი“ კლარჯეთისა ნიშნავს კლარჯეთის, მხარეს და არა ხეობას (კლარჯეთი შეიკავდა არა ერთ ხეობას, არამედ მრავალ ხეობებს).

დ) სუმბატ დავითის-ძის მატიაზე (მე-11 საუკ.).

„მოიწიწეს ხეცსა შავშეთისასა, ხოლო ხევი შავშეთისა უწმენბელი იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა.“ (გვ. *573, 343).

აქაც „ხევი“ მხარეა და არა ხეობა.

ჩვენ აღარ შეწირვებით დანარჩენ მაგალითებზე, რადგან საკითხი ნათელია.

² იხ. TP, V, გვ. 55.

მელიც შეადგენდა ნაწილს არტაიანის (კოლა-არტაიანის) მხარისას, წარმოადგენდა ძირეულ ქართულ ქვეყანას, რომელიც სომხეთთან პოლიტიკურად არასოდეს დაკავშირებული არ ყოფილა. ამრიგად სრულიად უდავოა, რომ მარტვილობა ცხრათა კოლაელთა ქართული ძეგლია, რომელიც საქართველოს ძირეულ მსარეს ეხება.



აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე ამ ძეგლის თარიღის საკითხზედაც.

ილ. აბულაძე ამ ძეგლის დაწერის თარიღად მიიჩნევს მე-9 — 10 საუკუნეებს და ამ თარიღთან აკავშირებს თავის შემდგარ კონცეპციას ტაოს მხარის ვითომცა „ენობრივი“ გაქართველების შესახებ.

სინამდვილეში კი ეს ძეგლი დაწერილია არა მე-9 — 10 საუკუნეებში, არამედ სულ სხვა ეპოქაში, მე-4 — 6 საუკუნეებში, არა უგვიანეს. (ხოლო ეს თარიღი, მე-4 — 6 საუკუნეები, სრულიად არ შეესაბამება ტაოს მხარის ვითომცა-და „გაქართველების“ იმ ქრონოლოგიას, რომელიც ილ. აბულაძემ წარმოადგინა).

შეხედულება, თითქო ცხრათა კოლაელთა მარტვილობა დაწერილი იყვის გვიან ხანაში, მე-9 — 10 საუკუნეებში, სცილილობენ გაამართლონ ერთი ტერმინის მიხედვით; ეს ტერმინია სიტყვა „სოფელი“. ჩვენ ძეგლში სიტყვა „სოფელი“ ნიშნავს დაბას, დასახლებულ პუნქტს. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ამ სიტყვამ ასეთი მნიშვნელობა ვითომცა მიიღო შედარებით გვიან ხანაში, მე-9 — 10 საუკუნეებში, უფრო ადრე კი სოფელი ნიშნავდაო არა ცალკე დასახლებულ პუნქტს, დაბას, არამედ ზოგადად ქვეყანას.

მაგრამ ეს შეხედულება ტერმინ „სოფლის“ ისტორიის შესახებ (რაც პირველად იმ დროს იყო გამოთქმული, როცა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები ნაკლებად იყო შესწავლილი), არ არის სწორი. ძველ ხანაში სიტყვა „სოფელი“, როგორც ირკვევა, ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა: იგი აღნიშნავდა როგორც ზოგად ქვეყანას, ისე ცალკე დასახლებულ პუნქტს, დაბას. ასეთი ორმაგი მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი უძველესი ხანის ქართული აგიოგრაფიულ ძეგლებში, რომლებშიაც მიღებულია წარმართული ხანის კალენდარული ტერმინოლოგია (წარმართული ხანის თვეთა სათვალავი) და რომლებიც ამ სათარიღო მანქნებლების მიხედვით მე-5 — 7 საუკუნეთა გვიან დროს ვერ მიეკუთვნება.

რომ ეს ძეგლი მარტვილობა ცხრათა კოლაელთა ეკუთვნის არა მე-9 — 10 საუკუნეებს, არამედ ბევრად ადრინდელ ეპოქას, ამას ცხად-ჰყოფს მთელი რიგი მახვევებლები.

ჯერ თვით ძეგლში აღწერილი ხანის შესახებ.

ძეგლი აგვიწერს იმ ხანას, როდესაც წარმართობა საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერი იყო და ბრძოლას უწევდა ქრისტიანობას. ამის მიხედვით ამ ძეგლში აღწერილი ამბები არ სცილდება მე-4 — 6 საუკუნეთა ფარგლებს.

მაგრამ აქ შესაძლოა აღიძრას ასეთი საკითხი: ძეგლი თუმცა აგვიწერს მე-4 — 6 საუკუნეთა ამბებს, მაგრამ ხომ არ არის თვით ნაწარმოები გვიან ხანაში დაწერილიო.

როგორც ირკვევა არა; ამ ნაწარმოებში არათუ მხოლოდ აღწერილია არქაული ეპოქა, არა უგვიანესი მე-4 — 6 საუკუნეთა, არამედ თვით ნაწარმოებიც ასევე არქაულ ეპოქაშია დაწერილი.

ჯერ ერთი, გვიან ხანაში არათუ არ იწერებოდა ასეთი ნაწარმოებნი, რომლებიც წარმართობის ძლიერებას აგვიწერდნენ, არამედ პირიქით გვიან ხანაში ასეთ ნაწარმოებებს სპობდნენ კიდევ, როგორც წარსული ისტორიული სინამდვილის არა-სასიამოვნო დოკუმენტებს იმ ეპოქიდან, როდესაც ქრისტიანობას უხდებოდა უკან დაეხია და უპირატესობა დაეთმო წარმართობისათვის.

აქ საჭიროა ამასთან ხაზი გაუსვიათ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ამ ძეგლში აღწერილი ისტორიული გარემო, ისე ორგანიზულად, ისე უშუალოდ არის ასახული, რომ აქ არ იგრძნობა გვიანი ხანის ავტორის ხელი.

ეს რაც შეეხება ამ ძეგლის შინაარსს, მასში აღწერულ ეპოქას.

მაგრამ ამის გარეშე ძეგლში მოიპოვება აგრეთვე მთელი რიგი სხვა კერძობითი ხასიათის რეალიები, რომელთა მიხედვით უცილობელად დასტურდება, რომ ეს ნაწარმოები უძველეს ხანაშია შექმნილი.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ამ ძეგლში ასახული მღვდელთმსახურების ლიტურგიკული წესები. ეს წესები უაღრესად მარტივია და განსაკუთრებული სიძველის ნიშნებს ატარებს, — აქ ცხადლივ მოცემულია პირველყოფილი ქრისტიანობის სურათი.

აღსანიშნავია ამას გარდა სიძველის მთელი რიგი სხვა ნიშნები, ასე მაგალითად ძეგლში ასახული უძველესი წესი ნათლისღებისა (მდინარეში ნათვლა, ქრისტეს მსგავსად, რაც მიღებული იყო პირველყოფილი ქრისტიანობის დროს, ხოლო შემდეგში კი ეს წესი ხმარებიდან გამოვიდა და მის შესახებ გვიან ხანაში ხსოვნაც კი არ არსებობდა); აგრეთვე არქაული პერიოდიდან მომდინარე გადმოცემები ქრისტეს შესახებ, რაც არ ეთანხმება გვიან ხანაში მიღებულ შეხედულებებს და საიდანაც ცხადი ხდება, რომ ამ ძეგლის ავტორი ჯერ კიდევ არაა დაშორებული პირველყოფილი ქრისტიანობის ტრადიციებს.

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით დასტურდება, რომ მარტივობა ცხრათა კოლაელთა ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი აღრინდელი ძეგლია, რომლის თარიღი მე-4—ნ საუკუნეთა ფარგლებს არა სცილდება. შუშანიკის მარტივობისა და ეესტათი მცხეთელის მარტივობის წიგნებთან ერთად, მარტივობა ცხრათა კოლაელთა ეკუთვნის უძველეს ნაწარმოებთა რიცხვს, რომლებიც ქართულ ენაზე მოღწეულა.

ჩვენ ამგზის ამით დავამთავრებთ ამ შენიშვნას კოლაელთა მარტივობის შესახებ.

ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ შევჩერებულიყავით აქ ამ ძეგლის საკითხზე, რადგან, ჯერ ერთი, ამ ძეგლის მიხედვით სრულიად ყალბად აშუქებდნენ ტაოს ისტორიის საკითხებს (თუმცა ამ ძეგლს, როგორც გამოიჩვენა, ტაოსთან არა აქვს არავითარი კავშირი), ხოლო ამას გარდა თვით ამ ძეგლის წარმოშობა და თარიღი შეცდომით იყო განმარტებული.

დამატებით აქ კიდევ ერთი შენიშვნა იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც შეიცავს ეს ძეგლი — მარტივობა კოლაელთა — ტაოს მეზობლად მდებარე ძველი ქართული მხარის არტაანის (არტაან-კოლას) ისტორიისათვის.

უძველესი ქართული საისტორიო ძეგლის ქართლის მოქცევის მატრიანის ცნობათა თანახმად, არტაან-კოლას მხარე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი იყო აღრინდელი ქრისტიანობისა იბერიაში. საისტორიო ტრადიციის თანახმად, რომელიც დაკულია მატიაწეში, არტაან-

კოლას მხარის საეკლესიო ცენტრი ერთ შენი პირველი პუნქტი იყო მესხეთში, და ერთი სამთავანი მთელს იბერიაში, სადაც დაიწყო საეკლესიო მშენებლობა მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში, ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადების დროს იბერიაში¹. ამის მიხედვით შეგვიძლია გავითვალისწინოთ ის განსაკუთრებული როლი, რომელიც ეკუთვნოდა აღმდგელი ქრისტიანობის ისტორიაში არტაან-კოლას მხარეს საერთოდ იბერიის მხარეთა შორის და კერძოდ მესხეთის მხარეთა შორის.

ხოლო კოლაელთა მარტვილობა ეთანხმება დი ადასტურებს ქართლის მოქცევის მატანიის ამ ცნობებს არტაან-კოლას მხარის შესახებ. არტაან-კოლას მხარე აღრიდანვე გამხდარა ცენტი როგორც საეკლესიო-საქრისტიანო მშენებლობისა, ისე ადგილობრივი საქრისტიანო მწერლობისა. მარტვილობა ცხრათა კოლაელთა შეიცავს მოთხრობას არტაან-კოლას მხარის ადგილობრივი ისტორიიდან და ცხადია ადგილობრივ, არტაან-კოლას მხარეშია დაწერილი. ამრიგად სამხრეთ-საქართველოს ამ კუთხეში, არტაან-კოლაში, როგორც ირკვევა, აღრიდანვე შექმნილა ქართული საქრისტიანო მწერლობის კერა და ერთ-ერთი დოკუმენტი ადგილობრივი ქართული სამწერლო ტრადიციისა არის ეს ძეგლი — მარტვილობა კოლაელთა — რომელიც ამ უძველეს ეპოქას, მე 4 — 6 საუკუნეთა ხანას ეკუთვნის.

დასასრულ დაგვრჩენია ხაზი გავუსვათ შემდეგს.

ისევე როგორც ამავე ეპოქის მეორე ძეგლი — მარტვილობა შუშანიკისი — ადასტურებს, რომ ქვემო-ქართლის ტაშირ-გარდაბანის მხარეები წარმოადგენდნენ იბერიის განუყოფელ ნაწილს აღრეულ საშუალ საუკუნეებში; ისევე როგორც ბასილი ზარზმელის საისტორიო თხზულება (ცხორება სერაპიონ ზარზმელისა) ადასტურებს, რომ კლარჯეთი განუყოფელი ნაწილი იყო იბერიისა ამავე ეპოქაში; ასევე კოლაელთა მარტვილობა არის ადგილობრივი ქართული საისტორიო დოკუმენტი, საიდანაც დასტურდება, რომ არტაან-კოლას მხარე ასევე განუყოფელი ნაწილი იყო იბერიისა აღრეულ საშუალ საუკუნეებში და ამავე დროს ერთ-ერთი უძველესი კერა ქართული განათლებისა და ქართული მწიგნობრობისა.

(დასასრული იქნება).

¹ იხ. მოქცევა ქართლისა, OP, II, გვ. 714.

ბიბლიოგრაფია

★

ელეზარ ზედგინიძე „ფრთხილნილი ფრინველი“

ელეზარ ზედგინიძის საბავშვო მოთხრობების კრებული თემატიკურად მრავალფეროვანია, საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლი და სამშაულო თქმა, ომის შემდგომი მშენებლობა, სკოლის ცხოვრება და მოსწავლეთა მეგობრობა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საქმიანობა, ჩვენი ისტორიული წარსულის სურათები — აი, რა წარმოადგენს შვირლის შთაგონების წყაროს.

სამშაულო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობებიდან გამოირჩევა „სამშობლო“, „უცნობი მედროშე“, „სიხარული“, „ხეხილი ივრბნობს“, „გონის საჩუქარი“, „კომკავშირელთა დივი“. უკანასკნელ მოთხრობაში დახატულია რახსტავის გუმბათზე გამარჯვების დროშის აღმართვის სურათი. უნდა ითქვას, რომ ამ მცირე მოცულობის ნაწარმოებში აშბავი დინამიურად ვითარდება, ცოცხლად არის ნახვევები სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლების — ქანთარისა, ეგოროვისა და მათი კომკავშირელი თანამებრძოლების გეგმიანი, მოფიტრებული მოქმედება რახსტავზე დროშის ატანის დროს. ნაწარმოებში წარმოდგენილი გმირები დიდხანს რჩებიან შეთანხვების შესიერებაში, როგორც გმირობისა და თავდადების ცოცხალი სიმბოლოები.

მოთხრობა „სიხარული“ ოსტატურად მოფიტრებული სიუჟეტით ზემოქმედებას ახდენს შეთანხვებულ ახალგაზრდა ლიტენანტ ბრძოლთა შევირება გერმანელების მიერ დაწვრთვულ მშობლიურ ქალაქში, მიუახლოვდება სახლს, სადაც ცოლ-შვილი ჰყავდა დატოვებული. პატარა გოგონა შეამჩნევს მამას და უსაზღვრო სიხარულით აღფრთოვანებული, იმის ნაცვლად, რომ მამისავე გამოქანის, ეღვის სისწრაფით შეტრილდება, ხმაალალი ძახილით: „მამიჩემი მოდის! მამიჩემი მოდის!“ — გაიქცევა სახლისაკენ, რომ დედის ახაროს მამის დაბრუნება, მაგრამ შეხედავს თუ არა ეზოში დარგულ ცაცხვის ხეს, ხმა ჩაუწყდება. დიდი სიხარული მას გადაევიწყებს, რომ დედამისი გერმანელმა ფაშისტებმა ამ ცაცხვზე ჩამოახრჩეს.

მოთხრობაში „გონის საჩუქარი“ ხაზგასმულია ფრთხილნი და ზურგის მუიდრო ერთიანობა.

ომის შემდგომი სტალინური ხუთწლეულის მშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს, ახალი სოციალისტური ქალაქის — რუსთავის თემას ეხება მოთხრობა „ბედნიერება“, რომელიც მთელს კრებულში გამოირჩევა ყარგად გააზრებული სიუჟეტით. ნაწარმოებში გამოყვანილია სიცოცხლით სავსე, მოუხვენარი და ცნობისმოყვარე პატარა გოგონა ლამარა. მისი სახის ცოცხლად ჩვენებას მწერალი ახერხებს იმით, რომ ამ გოგონას წარმოვლიდგენს შრომითი საქმიანობის გარემოცვაში, ლამარა დიდ ინტერესს იჩენს რუსთავის მშენებლობისადმი. სკოლისკენ ვაეღისას უყვარს ხარაოებზე მომუშავე მამასთან უგასაუბრება. ერთხელ შეკითხვებით თავმობზრებული მამა ლამარას განუშარტავს — ამდენ დიდ სახლებს რუსთავში იმისათვის აშენებენ, რომ წელიწადში მილიონ ტონა ფოლადი და თუჯი გამოადნონ. პატარა ლამარა ვერ ერკვევა მილიონის რაოდენობაში. — „ისწავლე, ჩემო გოგონა, და თავის დროზე მიხვდები“ — მიუვებს მამა. და ერთ დღეს ლამარას სკოლაში მილიონამდე დათვლას შეასწავლიან. გოგონა გამოქანება მამის სამუშაო იდგილისაკენ, რომ ეს ამბავი მშობელს ახაროს, მაგრამ ხმას ველარ მიაწყდენს მამას, იმდენად ამალუბუთიყო უყვე შენობა.

ამ მოთხრობის დირსება ის არის, რომ ბავშვში აღვიძებს წარმობისადმი ინტერესს, ხელს უწყობს ინიციაციის გაღვივებას, უქმნას მას ცხოვრებაზე დაკვირვების უნარს. ნაწარმოების დისანსრულს ხაზგასმულია, რომ ის, რასაც მამები აკეთებენ, საძირკველია შვილების ბედნიერებისა.

მოთხრობა „მეგობრები“ იმზრდელიობითი ზეგავლენის სიძლიერით გამოირჩევა. პატარა, მაგრამ ჭკვიანმა თამაზმა იცის, რომ კარნახი მავნებელია, ამიტომ იგი არ კარნახობს გაქირვევაში ჩავარდნილ მეგობარს — შალვას. უკანასკნელს კი ეს ახარხებს და თამაზთან მეგობრობას შეწყვეტს. თანაც გააწყვეტს ისე ისწავლოს, რომ მისი დახმარება აღარ დასჭირ-



დეს. მეგობრისადმი სიყვარული მაშინვე განუ-
ახლდება შალვას, როცა თამაზი სკოლაში აღარ
გამოცხადდება. ავადმყოფ თამაზთან მისული
შალვა წრფელი გრძნობით ეუბნება მეგობარს:
„თამაზ, მამაკიე, თურმე ისე მიყვარხარ, ისე,
ისე, რომ... უშენოდ ვერ გავძელო... არასოდეს
არ წაფეხებები, აღარც კარნახს მოვთხოვე;
გაკეთილებს მოვამზადებ და კარნახი არ დამ-
პირდება...“ თამაზიც გულში ფიქრობს: „რა
კიბო ამხანაგი მყავს... მუდამ, მუდამ შეყვარ-
ება!“ საბჭოთა ბავშვების ეს კეთილშობილუ-
რი და ამჟამლუბელი გრძნობა ოსტატურად
აქვს გადმოცემული მწერალს. მას დახატუ-
ლი აქვს ბავშვთა სულიერი ცხოვრების ისეთი
ნიუანსები, რომლებიც საცნობელს ხდიან
ბავშვის მთელ სამყაროს.

სკოლაშდელი ასაკის ბავშვთა ცხოვრებას
ასახავს „ნანას პირველი სიზმარი“, „გულუბრ-
ველო ნანა“ და „ქვირფასი საჩუქარი“. ეს
უკანასკნელი მთელს კრებულში წარმოდგენილ
მოთხრობათა შორის ერთ-ერთი საუკეთესო
ნაწარმოებია, მასში მწერალი გვიჩვენებს იმ
უარესად გულწრფელ სიყვარულს, რასაც
საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი ბავშვები გამოხა-
ტავენ საქართველოს საამაყო შეულის — აშხ.
ლავრენტი ბერიასადმი, პატარა ნანას არ ემე-
ტება ბერისა სურათი ანქესი თავის საყვარელ
მეგობარსაც კი და მზად არის დატოვოს მისი
დღეობა, ოღონდ არ წაართვან ძვირფასი ადა-
მიანის პორტრეტი. მხოლოდ დედის დაპირების
შემდეგ, რომ მამა მასაც მოეტანს ასეთ სურ-
ათს, მისცემს ნანა მეგობარს საჩუქარს და
თანაც სიამაყით დასძენს: „ხომ ძვირფასი სა-
ჩუქარი მოგიტანე!“ მეგობარს კი ვააზარებს,
მაგრამ თვითონ მთელი ღამე გულნაკლული
რჩება. მხოლოდ მაშინ დამშვიდდება, როცა
მეორე დღეს დედის დაპირება შესრულდება.

აქ პატარა ნანაში ვგვლა საბჭოთა ბავშვი იც-
ნობს თავის თავს.

მოთხრობაში „ნანას პირველი სიზმარი“ პა-
ტარა ნანას მკვლევართი მწერალი ბავშვებს
უნერვავს ხეხილისადმი მზრუნველობის პრაქ-
ტიკულ ჩვევას და აყვარებს მათ შრომას.

ასევე ინტერესით იკითხება „გულუბრველი
ნანა“, რომელშიც ბავშვები დახატული
არიან თავიანთი გულუბრველობითა და გონე-
ბამახვილობით. ნაწარმოები მსუბუქი ჰუმორით
არის გამსჭვალული, რაც სახალისო საკითხავს
ხდის მას.

მოთხრობა „პატარა მოსასარი“ დიდპეტერ-
ბურგისადმი ხასიათისაა, „სალამურის ხმა“, რი-
გადატანილი იგაგური ამბით „ვტორი ასწავ-
ლის ბავშვებს, რომ შემთხვევით მოპოვებულ
წარმატებებით თვითკამოფილებას არ მიეც-
ნენ, რომ წარმატების შენარჩუნებისა და გან-
მტკიცების აუცილებელ პირობას წარმოადგენს
შრომა.

ასეთივე ხასიათისაა „სალამურის ხმა“, რი-
მელიც ბავშვი ზრდის შრომისადმი სიყვარუ-
ლის გრძნობას, მათ ცნობიერებაში ქმნის
რწმენას, რომ ჭეშმარიტი ბედნიერების მოპო-
ვება უნარი მხოლოდ შრომაა.

„ფრთხილბედი ფრინველი“ და „დაიცი
მანდილი“ გვაცნობს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ
წარსულს, სახელოვანი წინაპრების საამაყო საქ-
მიანობას, ეს მოთხრობები მიზნად ისახვენ
ნორჩ თაობაში პატრიოტიზმის გრძნობის და-
წერვას. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს
მოთხრობები ვერ არიან სრულყოფილი საბავ-
შვო ხასიათის ნაწარმოებები.

კარგი იქნებოდა, რომ მწერალს თავისი წიგ-
ნის სახელწოდებად „ფრთხილბედი ფრინვე-
ლის“ ნაცკლად შეერჩია სხვა რომელიმე უფ-
რო დამახასიათებელი მოთხრობის სათაური.

გაუმართლებელად მიგვიჩნია აგრეთვე, როცა
მოთხრობის — „უცხო ძიების“ გმირი მწვერა-
ვი ქალი მცირეწლოვან გოგონას „დაიკოს“
უწოდებს მამინ, როცა ეს გოგონა ავტორისავე
სიტყვებით, და სავსებით სამართლიანადაც,
დეიდის ეძახის მასზე ბევრად უფროს ქალს.

წიგნის ავტორისათვის დამახასიათებელია
თხრობის სისხადაც, ნათელი მხატვრული სა-
ხეებით აზროვნება, მხატვრული ზომიერების
გრძნობა. მისი ენაც ძირითადად სადაა და ად-
ვილად გასაგები, მაგრამ წიგნში მაინც შეინიშ-
ნება ბუნდოვანი სტრიქონები და არასწორი გა-
მოთქმები: „სიკედლის მისთვის ქუთუთობები
მხოლოდ ოდნავ ჩამოეყარა“, „ერთ პატარა
მშვენიერ ქვეყნად ბძიოლის ველზე დაეცა სარ-
კობა“, „მასწავლებელმა მათი გვარები ამოი-
კითხა და ბუჯითი სწავლისათვის მოწოდა“,
„რამდენიმე დღის შემდეგ ანგარიშშიც გამიძა-
ხეს“ და სხვ.

საერთოდ ვლ. ზედგინძის საბავშვო მოთხ-
რობების კრებული კარგი საჩუქარია ჩვენი მო-
ზარდი თაობისათვის.


შალვა ამისულაშვილი „ჟამირის მკვამილები“. 1951 წ. საბლიტვაში

შ. ამისულაშვილის ომის შემდგომი პერიოდის შემოქმედება თავმოყრილია ლექსების კრებულში „ჟამირის ყვავილები“, სადაც მოთავსებულია 15 ლექსი და პოემა „ბაკურციხელი ნაღბანი“.

სოციალისტური სამშობლოსა და დიდი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულის გულწრფელი გრძნობები გამოთქმულია პირველ განყოფილებაში „გორის ციხიდან“. აქ მოთავსებული ლექსები ჰმინა დიდი ბელადის მშობლიური ქალაქისადმი, სადაც თვითველი ქუნა, თვითველი ადგილი ი. ბ. სტალინის სახელთანაა დაკავშირებული. ლექსში „გორის ციხიდან“ ნათელი ფერებით, ოპტიმისტური გასწვობილებით გამოსახულია ამ ქალაქის ბრწყინვალე აწმყო და მომავალი. ავტორი შეჩერდა ბელადის სახლთან, ცხოვრების სასიამოვნო ყრბა-მელსა და გუგუნში მოესმა სამშობლოს სუნთქვა, ხოლო „გორის თავზე ხმატკბილად ზარს რეკდა მარადისობა“, აქ თვითველი სახე, ეპითეტი ზუსტია და ნათელი, რიტმი — მღოღღერი, რითმები — კარგად შერჩეული, ფრაზები მჭიდრო, მაგრამ მაქსიმალური შინაარსის დაშტები.

იღვრად და მხატვრულად გამოირჩევა ლექსი „გადარჩენილი სურათი“. ოჯახში ბედნიერებაა, ყველზე ბელადის პორტრეტი ჰკიდია და ბუნებრივ მკლამში მის ნამდვილ სტუმრობას ნატრობენ. საერთო გასწვობილებას არ ეგუება მხოლოდ კუთხეში განმარტებით შეშორჩენილი სურათი, რომელიც შორველ წარსულზე მეტვეილებს.

„ეს ნახატი ყრმობაში დიდ ბელადსაც
 უხილავს,
 უთქვამს, რომ არ დაძრაოთ ამ ოთახის
 კუთხიდან,
 ჩავაფიქროს ხანდახან წინაპრების
 წუხილმაც“.

მართლაც, სურათი ასახავს ჩვენი სამშობლოს ისტორიის ერთ მომენტს, როცა ვარს შტრები გვეხვიენენ და უოველ წუთს აკლებით გვეშტრებოდნენ. მეხრეები მინდვრად გასულან, ხარები უღელში შეუბამი, მიწის ხნავენ, მაგრამ შვეიდად როდი არიან, „ყველა მეხრეს თან აბლავს ჩაჩქანი და ფარ-ხმელი, რომ არ ჩაქრეს უცერად მათი ბედის ვარსკვლავი! ხარალი იუსხამს თვითონ გუთინსედედასაც მუდამ წარბეზოდვეულს“... ლიხეთან ყალურე

დგება შტრის მიერ განგმირული მხედრის ცხენი. მოღერებულ კისერში მხააც ისარი მოხვედრა და სისხლით მკერდი ენდროსფრად ეღებება. სურათი მეტად მეტი ფერებითაა დამხიმებული და ცხადად გვაგრძნობინებს ჩვენი სამშობლოს სვედიან წარსულს. რა დიდი სხვაობა, რა უჩვეულო კონტრასტია ამ დროსა და ჩვენს ეპოქას შორის! პოეტი კარგად გრძნობს ამ გარემობას და მხატვრული სახეებით სიბარუ-ლით აშობს — ის დრო ისტორიას ჩაბარდა.

პოეტისთვის წთამაგონებელია ჩვენი განახლებული ცხოვრება, ომის შემდგომი პერიოდის ღირსშესანიშნავი მოვლენები, ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული გეგმების შესრულება. ლექსში „აქ ზღვა იქნება“ ავტორი ხტავს სამგორის დღევანდელ სურათს, გადატრუსულ ველებს, მლაშე ტბებს:

„შეგ ვარსკვლავებსაც უშიშით ჩახედვა,
 ზუნდება მათი ფეროვანება,
 აქ ზოგჯერ მშუც ეი ქრება ნახვერად
 და ჰგავს შუადღე შემოღამებას“.

პოეტი ხედავს სამგორის წარმტაც მომავალს: დღევანდელი მლაშე ტბების ადგილას ზღვა გადმოლილა, რომელშიც ქართული ფოლადით შეგაგენული ხომალდი მოძრაობს, ირგვლივ დანან ახალაშენებული სახლები, რომელთა აფენების სვეტებზე ვაზები დაგრებილან:

„იტამი ატამს დიმილით უმზერს,
 გულაბს გულაბი ედიდგულება,
 მარგალიტები უფლავს ყურაქნს, —
 ღრებამაშია მთელი ბუნება...
 სხედან ზღვის პირას კახელები და
 აღარ სდიოთ ხეითქი საფეთქელიდან.
 სადაა სიერცე ვადაბუფელი?
 მრავალაქამიერს გააქვს გუგუნის!“.

ავტორი უმღერის სამგორის მიწის ვასაც-ოცობლბლად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულ მშრომელებს. „გლდანელები სამგორში“ გამოხატავს მშრომელთა აღმთფროთოვანებულ შრომას ბუნების დასამორჩილებლად:

„განდა ელვა წერაქვეების
 და ტრიალი ნიჩბების,
 ვიდევ უფრო გაართქნენ გარუჯული
 ბიჭები...“

შეიდი დღე და შეიდი ღამე
ღვარეს ოფლის ღვარები,
საქართველოს კარებს ვასცდა ქება მათი
გვარების“.

უკრაინელ და ქართველ ხალხთა მეგობრობის თემანზე დაწერილი „მირგოროდელი მეგობარი“. მირგოროდი ქართველი ხალხისათვის ძვირფასი და ახლობელია, რადგან აქ დასაფლავებულია დიდი პოეტი დავით გურამიშვილი. აქაური მეტროპოლი ქართველთან ერთად იცავდა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. უკრაინელი დიაქონი. პოსპიტალში მისულ ქართველ მეომარს გვიჩვენებს ორჭოფული პასუხი მისცეს — არ ვიცი, იქნებ არ ვაღარჩესო. ქართველმა მეგობრის მოგონების ნიშნად სათუთუნე უბეში შეინახა და ფრონტისაკენ გაეშურა. უკრაინელმა სძლია სიყველეს, შტერს და საქართველოში ფრონტულ მეგობარს უწვია. პოეტი გულწრფელად გვისურათებს მათს შეხვედრას. „შენი ტუბილი სამშობლოა, მეგობარო, აქაც“ — ამბობს ქართველი და მკითხველისთვისაც ნათელია, თუ როგორ მქედროა ამ ადამიანების მეგობრული ურთიერთობა, რაოდენ დიდი მათი გულთადი სიყვარული.

კრებულის უმეტესი ნაწილი „ბაქურციხელ ნალბანდს“ უკავია. პოემა ომისშემდგომი სოფლის ცხოვრების ფონზე იშლება. ავტორის უზრადღების ცენტრშია ფრონტიდან დაბრუნებული თამაზ, რომელსაც საკუთარი შეილი მკვდარი დახვდა, ხოლო მალე დღეაც გარდაეცვალა. თამაზს ფრონტზე ისედაც ბევრი ტანჯვა-ვალება ჰქონდა გამოცლილი, შრილობის გამო კიდევ დაკოტლებულიყო. შინდახვედრილობა ამბავმა მასზე მეტსმეტად იმოქმედა, აზიარებული ჩასიათი დასწამდა, აღმაცურად დაუწყო ცეკრა სოფელს, ადამიანებს, საკუთარ ცოლსაც. პოეტი მღეი ფერებით ზატავს თამაზის სულიერ განწუგობილებას.

„ბრძოლაში ბევრნი წასულან,
დაბრუნებულან კაცებად.
ჯერ არსად გამოვიინა
კაცის აშგვარად დაცემა“.

ლაპარაკობენ სოფელში მის შესახებ. თამაზს ყველაფერზე გული ჰქონდა აღრენილი, ყოველივეს გულიყოვად ზედგებოდა, აყოლილი იყო სოფელში შემთხვევით გაგონილ ზმის და ცოლს ოჯახის დაღატს, ქმრისადმი ორგულობას წამებდა.

ავტორს კარგად აქვს დახატული ჩვენს სინამდვილის შთამაგონებელი ზეგავლენა თამაზზე. კამიტალისტურ საზოგადოებაში ასეთი

პიროვნების ხვედრი ყველასაგან მოძულება და აბუჩად აგდება იქნებოდა. მას აუცილებელი დაღუპვა მოელოდა. ჩვენს სინამდვილეში პირიქით ხდება, — საყოლმურნერო ნოტისის ზრუნავით ადამიანები თამაზს მეგობრულ ხელს უწყოფიან, მიუთითებენ შეცდომებზე, ხელს უწყობენ გამოსწორებაში, სწორ გზაზე დადგომაში. ავტორმა დავისხატა მისი გარდაქმნის დასაწყისი და თბრობაც დაამთავრა. მკითხველისათვის ცხადია, რომ თამაზი მეზობლების მზარდამზარ ენერგიულად იწორმებს კოლმურნეობაში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

ნიკა ომგადანდილი მეომრის დამახასიათებელი სახეა. იგი ომის პირველი დღეებიდანვე ფრონტზე იმყოფებოდა. იქ პირნათლად მოიხატა სამშობლო და ცაცის პატრიოტული მოგალოება, შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, კვლავ გაიხსენა წინანდელი პროფესია — ნალბანდობა და სამშენობლო მუშაობით აქტიურად ეხმარებოდა კოლმურნეობას. ნიკას პიროვნებაში იგრძნობა საბჭოთა ადამიანებისათვის დამახასიათებელი კეთილშობილური თვისებები — ვეცაკობა, გამხედლობა, გულისხმიერება, მეგობარზე ზრუნვა და ხალხის კეთილდღეობისათვის დაუღალავი მუშაობა. ნიკას პირატრეტი ავტორს დიდი სიყვარულით შეესრულებია.

პოემაში მიხა, მარიამი, ზეთისავარი, ჯიმშერი ეპიზოდური პირებია, მაგრამ ავტორს მათთვისაც მოქმენილი აქვს დამახასიათებელი ნიშნები.

პოემაში ბევრია მხატვრული გემოვნებით შესრულებული იდგილი. ავტორი ხშირად იყენებს ხალხური პოეზიის ნიმუშებს, მას ეხატებენ ლილი, თავისუფალი თბრობა, პლასტიკური სურათების შექმნა. მისი პეიზაჟები კარგად შეესაბამება ამა თუ იმ პერსონაჟის სულიერ განწყობილებას. ავტორს სეროზული მუშაობა ვაუწყებია პოემის დახვეწისა და დაუმენდისათვის. მაგრამ ხშირად მეტრის აძლიერებს შინაარსის ან პოეტურ საშუალებათა ბარჯზე. ეს სიზინაო პოემისათვის, რამდენადმე მოშვებულია სიუჟეტით. დასაწყისში წინარიგზე ნალბანდი ნიკა მოჩანს. მკითხველს ზგონია, რომ მთელი მოქმედება მის ირგვლივ განშლება. მოლოდინი არ მართლდება. მთავარ მოქმედ პირად თამაზი გამოდის. კარგი იყო ავტორს მეტად მოეცა თანამედროვე სოფლის განახლებული ცხოვრების სურათები, მოწინავე ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა მხარე, მაგრამ იგი ვაიტაცა თამაზის ამბავმა და ბევრ აუ-

ცილებელ მოვლენას ნაკლები ყურადღება მიაქცია ანდა სრულად გამოიჩინა მხედველობადან.

შ. ამისულაშვილი სერაიზულად მუშაობს ლექსის ფორმალურ მხარეებზე, — დიდ ყურადღებას უთმობს რითმებს, სახეებს, მეტრს. მაგრამ ხშირად შედეგები სახარბიელო როდია, — სახეები ბუნდოვანია, რითმები უკეთილმოვანო.

„როგორც წყლით სავსე გვეჯაში რკინა ჩააგდო წითელი, ორთქლი ავირდეს შიშინით, გაყაროს ლურჯი წინწყლები, ერთხანს თამაზსაც პირდაპირ გული გაუხდა იმგვარი“.

აქ აზრი დაბნელებულია, მეთხველი ბევრ ვერაფერს გაიგებს. შემდეგ — „ღამე ჰგავს ხიჩსულ საფერავს ციდან წამოსულს ღვარებად“. რით ჰგავს ღამე ციდან ღვარებად წამოსულ საფერავს? მსგავსი სახე შ. ამისულაშვილის პოეზიაში იშვიათი როდია. უხეში გამოთქმაა „და ლოდინში ფალავებდი დევებით შფოთავენ“, „წრე დარტყეს ვეება“, „თამაზის უკვალობას ჩამოავლიოჯა ავშარა“. პოეტი ხშირობს ასეთ რითმებს: ფიცხელი-ცისფერი, ზედიზედ — გეჯიღებს, უკვარზას-ღურაჯმა, ყამირზე — გაღვავდეს, ელაჯდეს — მწევრ-

ვალზე. ავტორის შეუძლია უფრო სრულფასოვანი რითმების მოძებნა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დაუდევრობას იჩენს.

ბიბლიოგრაფია

„ყამირის ყვავილებს“ ენა ძირითადად გამართულია, პოეტი ერთდება კუთხურ გამოთქმებს მატყველებს ლიტერატურული ვნით, მაგრამ მანინე მოეპოვება გაუგებარი ფრაზები, არასწორი გრამატიკულ ფორმებში დასმული სიტყვები. იგი წერს: ღრუბლები „ერთმანეთს რქებით სჩხვერავენდენ ამრეზოდ — აღანძულეები“, „ზედ არ წააწყდენ უცაბედ“, „საწვიმზე ელო ფეხშიშველს“, „გან-გან“ — განდაგან — ის ნაცვლად. არსებობს სახელებს მიმართულეებითს ბრუნვაში ნაცვალსახელად დას ნაცვლად უმეტრეს შემთხვევაში თ აქვს ღმსმული, — კაცათ, იმედათ, ლურჯათ, მგზვრეებათ, ზოგან ფუძვეყეცადი სიტყვა შეუწყვეცელადა წარმოდგენილი: ყურძენით, სიმწარის, მატარებლის, ნაპერწყალეები და ა. შ.

რამდენადმე შეზღუდულია ლექსების თემატიკა, იგი უმეტრესად სოფლით განისახლვრება. ეს ნორმალურად ვერ ჩაითვლება. თანამედროვე პოეტის კალამი თანაბრად უნდა ეხებოდეს ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრების თვითვეულ სფეროს. ეს ნაკლოვანება პოეტმა შემდგომ შემოთბაში უმჯელობ უნდა გაითვალისწინოს.

„ყამირის ყვავილები“ შ. ამისულაშვილის შემოქმედებითი წინსვლას მამკენებელი და მომავალ წარმატებათა საწინდარია.

პ. კოხრაიძე

რთის საბავშვო წიგნი



საბავშვო წიგნი ნორჩი თათბისათვის ბევრი სასარგებლო წიგნი გამოსცა. მათ შორის აღსანიშნავია გ. კაჭხიძის „ჩვენი სკოლის ყმაწვილები“, მკვალა მრეელიშვილის „გეჯიღეში“, მარტო თომასას „მატარა ნანული“ და გ. გოგიაშვილის „ჩვენი ბაღი“.

გ. კაჭხიძის „ჩვენი სკოლის ყმაწვილები“ ახალგაზრდა მიმურინელთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებია. მისი პერსონაჟები საბჭოთა ბავშვების შეგნებასა და ხასიათს გამოხატავენ. გოგისა და შალვას სახით ჩვენ საქმე გვაქვს პატრიოტული გრძობებით გამსჭვალულ მოსწავლეთა ახალგაზრდობასთან, რომლის სულიერი ინტერესს სწავლა და შრომა შეადგენს. მართალია, გოგი კარგი მუნობელია, მისი ბაღი სიამაღლეა, მაგრამ იგი პირველ რიგში საუკეთესო მოსწავლეა. პოემის მთავარი თემა — სწავლისა და შრომის ურთიერთობა, — კარგად

არის გახსნილი. რეალისტურ ფერებშია მოცემული უარყოფითი თვისებების მატარებელი გოგას სახეც. გოგა სეპტიკურად უყურებს თავისი სკოლის ამბანავის საქმიანობას, დასციუნის მას და ზოგჯერ თავხედობს კიდევ. იმ როგორი სიტყვებით მიმართავს იგი გოგის: „შერცხალია მალე გვეწვევა სამხრეთში გადაკარგულ. უკვე დათბა და რას უტღის, ბიჭო, ხე შენი დარგული?“ გოგას ირონია, მისი მოქმედება მეგობრებში აღმყოფობას იწვევს. როგორც პოემის შინაარსიდან ვიცით, ერთხელ გოგამ ახლად დარგული ნორჩი ვერხეი გადატება, რამაც გოგა ძლიერი ააღელეა, მან გოგასთან ანგარიშის გასწორებაც კი გადაწყვეტიდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და სრულად შეგნებულად გოგას შემდეგი სიტყვებით მიმართა: — „შეპატიეს ეცემ ჩემს ღირსებას — პიონერის სპეტაკ გრძობას, თორემ, გოგა, განანებდი მაგ შენ

ვიყურ თავებობას“. ამ სტრიქონებში ნათლად მოხანს ჩვენი ნორჩი თაობის შეგნების სიმალლე. აქვე უნდა ითქვას, რომ ვაგი ვიკანსადმი ზიზღის გრძობებით როდი არის შეპყრობილი. პირიქით, მისი მიზანი და სურვილია გოჩა ხალხისან შრომისა და სწავლაში ჩაებას. მართალია, გოჩას გარდაქმნაში დიდი ამაგი კომპერნიკის თანამშრომარს — ძია თედოს მიუძღვის, მაგრამ გადაწყვეტი გავლენა გოჩაზე მაინც ვაგისა და შალვას ყოფაქცევამ, მათმა მოქმედებამ მოახდინა. პოემის ღირსება მასში მდგომარეობს, რომ მკაფიოდ არის ნაჩვენები წრისა და გარემოს გავლენა ბავშვის შეგნებაზე. ვაგი, შალვა, პიონერი ხელმძღვანელი და მასწავლებელი დარეჯანი რომ ამ ყოფილოვეს შეუძლებელი გახდებოდა გოჩას გარდაქმნა მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს პიონერ ხელმძღვანელისა და დარეჯანის სახე მართლად აქვს მოცემული. ისინი აქტიურად არ მოქმედებენ გოჩას ხასიათის შეცვლის პროცესში. ავტორის მთელი ყურადღება მიპყრობილია გოჩისადმი, ამ აშკარად ჩანს, რომ ბავშვის ხასიათის შემუშავების საქმეში პიონერთა კოლექტივის, სკოლისა და ოჯახის როლი უაღრესად დიდი მნიშვნელობისა.

პოემის სიუჟეტი ბუნებრივად იშლება, იგი არ არის დახარბული და ბავშვის გონებისათვის მიუწევდომელი. ეპიზოდური ხასიათის სურათებიც კი (გოჩასა და კომპერნიკის თანამშრომარის შეხვედრის სცენა და სხვა) სრულად დამაჯერებელია. მხატვრული სიმართლე არ აელა პოემის ბოლო ნაწილსაც, სადაც ევბულობთ ვაგისა და გოჩას მეგობრობის ამბავს, ვაგის არ სწამს მეგობრობა ისეთ ადამიანთან, რომელიც შრომას ერიდება და ფულსავატრ ცხოვრებას ეწევა. მან გოჩასთან აბო მეგობრობა მხოლოდ მას შემდეგ დამაყარა, როდესაც ამ უკანასკნელმა შეინიშნა თავისი დანაშაული. პოემაში სწორად არის ვაგებულის საბჭოთა მეგობრობის ხასიათი. პოემაში მხატვრულად არის ჩართული სკოლის დირექტორისა და ვაგის დედის დიალოგი. დიალოგი შედარებულია საბჭოთა დედის ნათელი სახე, დიალოგი საყურადღებოა პედაგოგიური თვალსაზრისითაც. მასში გამოხატულია ოჯახისა და სკოლის კავშირი. ვაგის დედა არ მკაფიოდღება შვილის საქმიანობით ოჯახში, მას პირველ რიგში აინტერესებს თუ როგორ სწავლობს ის სკოლაში. ამ მიზნით იგი მიუდრთვ კავშირს ამყარებს სკოლასთან და შვილს მეტყველებულობას არ აელებს ოჯახის გარეთაც. ვაგის დედის მოქმედება მისამართია. მისი სახე ტიპურია და ავტორის მიერ მიმზიდველად არის დახარბული.

მაყვალა მრეელიშვილის ლექსებისა და პოემების კრებული „ჯეჯილი“ დაწერილია ბავშვებისათვის გასაგები ენით. პედაგოგიკურად „ჯეჯილი“, მართალია, მასალა მცირეა, მაგრამ მკაფიოტივი, მაგრამ ამბავი გადმოცემულია მკაფიოდ. ჯეჯილის პირით ვგებულობთ, თუ კომპერნიკის როგორ ზრუნავენ მასზე „მე შავარი ჯიშის ვარ, ვაგის ნაამდგარი, კომპერნიკე მიმეფლის, მოსპობს ამინდს ვეალონის“ — ასე მიმართავს იგი საბავშვო ბავშვებს, რომელნიც ცდილობენ წაართვან მას მზის სხივები და წვიმის წვეთები. პიესის ძირითადი თემა არ არის რთული. ჯეჯილი სასარგებლო მცენარეა, გორეველა კი — შავი. პიესაში ბრძოლა ამ ორი მცენარეთა შორის წარმოებს, რაც პირველის სასარგებლოდ თავდება. წარმოდგენილ კონფლიქტში ჯეჯილის გამარჯვება სახეებით ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ამ მოვარის ის არის, რომ ავტორი არ იყენებს იმ ძველ ხერხს, რომლითაც იწერებოდა წინააღმდეგობა პიესები. მისი პიესებში მოთავს, გადაწყვეტი როლს ადამიანები ასრულებენ და არა შიითური გმირები და უსულა საგნები, რომლებიც მოწყვეტილი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ხალხის ინტერესებს. საყურადღებო პიესა ავტორთვე „დედას ჩიტე“, როგორც პიესის შინაარსით და ვგებულობთ დალიმ და ვეამ ცუვარია აბანავეს, იატაკი გათხუზუნეს და თეთონაც გათხუზუნეს, მაგრამ ვაგა გამოვლენებულ დანაშაულს უარყოფს, თავის მართლებას იწყებს და აშკარად ცრუობს. ამის გამო დედა იგი სასტრავად დასაჯავ. დატუნსულა და შერცხენილს ვაგის ძალზე აინტერესებს ის თუ დედას ვან აცნობა ცუვარიას ბანაობისა და მათი გეწყურის ამბავი. დალის ვანცხადებით ამბავი დედისათვის იმ ჩიტს მიტრანაა, რომელსაც დედალებული აქვს თვალური ადენოსის მათ მოქმედებას. გულბრყულია, მაგრამ ბუნებრივითი ვაგა ვანრისბდება და გადასწყვეტს შური იძიოს ჩიტებზე. უდანაშაულოდ ვანციცხული ფრინველი ვაგას არწმუნებს იმაში, რომ ის ჩიტი, რომელმაც დედის ცუვარიას ბანაობისა და მათი გათხუზუნის ამბავი მიტრანა დედის გულს და მისი ორი თვალა, რომელიც ევლაფერს გრძობის და ზედაეს. ჩიტის სიტყვებმა ვაგა საქმეში ვაარცია. პიესაში ვაგას ვანწყობილების შეცვლა დამაჯერებლად არის მოცემული. ამასთან ნაწარმოების მოთავსი მიზანი ნათელია. პატარებისათვის დაწერილი პიესები არ შეიძლება იყოს რთული და ზედმეტი დეტალებით დამაბრუნებელი. მასში მოქმედება სწრაფად უნდა ვითარდებოდეს. ვაგინტრებული მოქმედება ბავშვის გონებას ღლის.

„პატარა სიმღერების“ მოთავსი მოტივი შრო-



მა. პეისის მთავარი გმირები ბიჭუნები და გოგონები არიან. მათ საერთო სიმღერაში:

„ვეხმარებით ერთმანეთს ვრთად ვწრომობთ, ერთად. ჩვენმა ტურფა ქვეყანამ ძმურად შეგვაერთა“

საგზო სიყბადით გამოსჭვივის საბჭოთა ბავშვების სულიერი განწყობილება, იმ ბავშვების, რომლებიც ოცნებით და სურვილებით დაკავშირებულნი არიან სოციალისტურ მშენებლობასთან. სცენაზე გაბედულად გამოდიან არა მარტო ბავშვის მოსვლელები, ახალი კობა სახლის მშენებლები, არამედ ტანისტები, მფრინავები და მესღერეები. სცენაზე გამოსული ბიჭუნები ამაჟობენ მით, რომ ისინი სოციალისტური ეპოქის შეიღები არიან.

ბიჭებსში მთავარი ადგილი რეალურ სინამდვილეს და მოქმედებას უკავია. მწერალი სიუჟეტის ინტრიგებით არ ხიზართავს, მის ბიჭებს სისადავე ახასიათებს, მაგრამ არცერთი მათგანი ვაუბრალოებული არაა. ყველა მხატვრულად დამაჯერებელი და მრავალფეროვანია.

მეორე განყოფილებაში ოცი ლექსია მოთავსებული. მათ შორის აღსანიშნავია „სალამი უცხოელი ბავშვებს“. პოეტრ კაბიტალისტურ ქვეყნებში მცხოვრებ ბავშვებს, რომლებიც აუტანელ პირობებში ცხოვრობენ, შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„ჭართლის მთაბარი მოგვლით ალერსით გამთხარ ბინებად ჩვენი ლამაზი საშობლო თქვენც შობლად მოგველიანებთ“.

კონკრეტულ მასალაზე აგებული ლექსი „ნახიოველები“. ეს ლექსი პატარა ჰეობსველზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. დამაჯერებელია აგრეთვე ლექსები „ორი გმირი“, „საბირველშისოდ“, „ვამარჯვების დღესასწაული“ და სხვა.

მთხედვად ზემოთქმულისა წიგნში მოთავსებული ისეთი ლექსებიც, რომლებსაც მხატვრული სიმართლე აყლიათ. ლექსში „ბიჭი უნდა ასეთი“ მოსწავლე უმთავრესად ნაწიგნებია ჟიიკურ შრომაში და არა სწავლაში. ცნობილია, რომ მოწაფის მთავარ, ძირითად საქმიანობას სწავლა შეადგენს. ლექსს მხატვრული და პედაგოგიური დამაჯერებლობა აყლია.

ლექსში „სამი ძმა“ ამბავი მეტისმეტად გუზიადგებულია. აეტრირი წერს: „ეზოში ვყვავს სამი ბიჭი, ბურთის სამი გვიღ, დილიდანვე ატეხავენ ბავ ბუღს და ყიენას“. „ბურთის სამი გვიღ“ (უბრტული გამოთქმა) მეზობლებს

მოსვენებას არ აძლევს და რაც მთავარია მათ თავიანთ გატაცებაში ჩათრეულთ ყავთ ეზოს ბავშვებიც. მკითხველისათვის მტრულქვეული რჩება, თუ ძმები დიდბდა წყრმრმდე ბურთის თამაშით არიან გართული, საღამოს კი სიმღერებით, როდის ასწრებენ სწავლას, ისიც ხუთებზე და ოთხებზე. ამასთან ნაწარმოებში არ ჩანს თუ ვადაუბრებულ გატაცებას რა ზიანი მოაქვს ბავშვებისათვის. ენობრივად ზოგიერთი ლექსი მოაკლეს. დიდილი აქვს არა უუსტ გამოთქმებს. მაგალითად: „სიმღერების დაცრა სცადა“ არ არის სწორი გამოთქმა, რადგან სიმღერებს კი არ უკრავენ, არამედ ასრულებენ. „უკისითი ეღრიაზლოვან, ვერადიოს ნახავს დარდიანს, როცა მამიკო ისვენებს თითის წვერებზე დაღიან“, („ორი დაი“) „ღარღიანს“ მხოლოდითშია და სხვა.

მარტო თომამის მოთხრობების წიგნი „ბუჯითი ნანული“ უმცროსი ასაკის ბავშვებისათვისა გათვალისწინებული. მისი მოქმედი გმირები ახალი ეპოქის, მდენიერი და საამური ცხოვრების შეიღები, სათო და ფაიცი ბავშვები არიან.

ავტორი ითვალისწინებს რა მკითხველის ანტრეესებს, სიუჟეტს მარტოც მასალაზე აგებს და მოქმედებას დამაჯერებლად ანეითარებს. თუ ვავისენებთ პატარა მარინეს (მოთხრობა „მარინეს ჩუსტები“) დავინახავთ, რომ ავტორი კარგად იცნობს თავისი გმირების სულიერ სამყაროს. მოთხრობის შინაარსით ეგებულობთ რომ მარინე გულმრყელო ბავშვია, მაგრამ მის მოქმედებაში ყველგერი დამაჯერებელია. სრულიად ბუნებრგვია ის სიხარული, რომელიც მამის მერ ნახვდა ლამაზად შეყრილმა ჩუსტებმა გამოიწვიეს, მარინე რეალური სახეა, მის განწყობილებაში კარგად არის გამომტლანებული ჩვენი პატარების კეთილი ბუნება, საღი გონება და მოთქერების სწრაფი უნარი.

ბეგრ ბავშვს ვანუცდია ის სიხარული, რაც ქუჩოც ვანიცადა მისი დბადების დღის აღნიშვნის დროს. დედამ სტუმრები დაუპატეა და საშქრებიც მიართვა. საშქრები ქუჩოს სტუმრებმაც მოუტანეს. ქუჩომ საშქრებს რომ გუდხედა, საბოგნება იგრძნო. მხობრულობს ქუჩო, მაგრამ ახლა მას მხოლოდ თავლის საეთობს აწუხებს. მამის უკოთხევაზე — „ახლა შენ ის მთხარი მე რა ვევიდო, რა საშქარი უფრო ვავხარდება“. ბავშვმა სასწრაფოდ წამობახა: „მამა, შენ გენაცვალე, ერთი თავლა ამიშენე, რომ ეს ცხენები შიგ დავაბა“. ერთგვერდიან მოთხრობაში სიხარულის ვანიცები და ბავშვისადმი უდიდესი სუყვარული კარგად არის ვაღმოყმული. პატარა მკითხველზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს არა მარტო მოთხრობა „ქუჩოს ცხენები“, არამედ მოთხრობა „პატარა ნანული“.

მწერალი ჭალი არ ერიდება ზარმაცებს, მათ სხეულებსაც ხატავს, როგორც ავტორი გადმოგვცემს ლევანი იდგებოდა თუ არა დილით მოყვებოდა ღრიას: — „დღეს სხვა წავიდეს სკოლაში, ყოველდღე ხომ მე არ უნდა ვიარო“. ლევანისგან დედას თავი მობეზრებული ჰქონდა. წუხდა პატარა ნანული, მას ებრალებოდა ლევანისგან გატანჯული დედა. ერთხელ როდესაც ლევანი ზვეულებრივად გაიპახოდა — „არ წავალ, არა, რას გადაწყვიდით“, ნანულიმ დიდ წიგნს მოკიდა ხელი და დედოქოს უთხრა: — „მე წავალ სკოლაში, დღესაც წავალ, ზვალაც, ყოველდღე წავალ“. დედამ ნანული გულში ჩაიკრა და მოუაღერა. ამის შემყურე ლევანმა სინანული იკრძნო „ჩანთას ხელი წამოავლო, დედას შეხედა, გაუღიმა და სკოლისაკენ წავიდა“. ავტორის აღარ სჭირდება ამბის გაგრძელება. მან ლევანის განწყობილების შეცვლის ამბავი პატარა ეპიზოდში დამაჯერებლად დახატა. ლევანისა და ნანულის სახეები ღია და ნათელ ფერებშია მოცემული. ამიტომაც რომ მათი სახეები ნორჩ მეთხველზე დიდ გავლენას ახდენენ.

კ. გოგიაშვილის წიგნი „ჩვენი ზაღი“ იმსახურებს პატარების ყურადღებას. ლექსები: „იამზე და რადიო“, „პატარა მშენებელი“, „ძიამ მოიოლა მაჩუქა“, „კვირას სოფელში მივდივარ“, „მეაბრეშუმე“ არა მარტო თავიანი შინაარსითაა საინტერესო, არამედ მხატვრული ფორმითაც. ავტორი კონკრეტულ სახეებს გვიხატავს, ჩვენს

ბავშვებს უსაზღვროდ უყვართ კაცობრიობის იმედი, მამა და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. ბედნიერი ცხოვრების შემოქმედმა სტალინმა ვიღ სიყვარული კარგად არის გამოხატული ლექსში „იამზე და რადიო“. ლექსის ფორმა საესკებით შეფარდება შინაარსს, რომელიც სრულად გამოხატავს პატარების მისწრაფებას, განწყობილებას და სურვილებს. ლექსში „პატარა მშენებლები“ — საგანი და მოვლენები ნათლად არის გამოყვეთილი. პედაგოგიურად და მხატვრულად სრულიად გამართულია ლექსი „მეაბრეშუმე“. მასში ამბავი თანდათან იშლება. მზიამ გადაწყვიტა შეისწავლოს აბრეშუმის ჭიკა როგორ „შრომობს, როგორ ახვევს პარკს...“ მიღებული გადაწყვეტილება მან სისრულეში მოიყვანა. დაკვირვებით შეისწავლა აბრეშუმის ჭიკის ცხოვრება და მის მოვლა-გამწენებას მიეცა ხელი. მზია საქმიანი, საყვარელი და გულის გამხარებელი ბავშვია. ასეთია არა მარტო მზია, არამედ პოეტის ყველა გმირები. პოეტის პატარა გმირები მოქმედებაში ამტკიცებენ თავიანთ თავს, მათი განცდები მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალისტურ საბელშეფოს მიღწევებთან. ლექსების სიუჟეტი სოციალისტური სინამდვილიდან არის აღებული, რაც კ. გოგიაშვილის ლექსებს შინაგან დამაჯერებლობას და სიმტკიცეს ანიჭებს.



ალექსანდრე კუთათელი — პირისპირ, რომანი, გაგრძელება	20
ნოდარ შამანაძე — მამის მავიჯრად, ლექსი	21
იაკინთე ლინაშვილი — ერთგულება, რომანი, გაგრძელება	22
ჯ. ნიჭაბაძე — გაზაფხული მესხეთში, ლექსი	36
ჩინუაშვილი მოთხრობები: ლიუ ბაიოუ — შინ დობრუნება; კომისარი; ჯაო შუ-ლი — პატარა გაშვებ	37
დავით ბაქრაძე — გმირთა სისხლით, გაგრძელება	57
სიმონ შამყრანი — საფეხნო, ლექსი	72
ორდე დებეაძე — დიდ გზაზე, მოთხრობა, გაგრძელება	73
მამია ასათიანი — აკენების ისტატი, მოთხრობა	83
სერგო დათუაშვილი — ორთობა, მოთხრობა	87
მასილ კახაჩიანი — ახალი ნიაღვარი, მოთხრობა, გაგრძელება, თარგმანი რ. გვეტაძისა	89

სოლომონ ხუციშვილი — რაფიელ ერისთავი, წერილი	102
პოსტარდ ფასტი — ლიტერატურა და სინამდვილე, წერილი, დასასრული, თარგმანი ლ. კალანდიაძისა	107
პავლე ინგოროშვილი — გიორგი მერჩულე, წერილი, გაგრძელება	125

ტიორგი ბელაშვილი — ელიზბარ ზედგინიძე — „ფრთხილტვილი ფრინველი“, ბიბლიოგრაფია	152
პ. კონხანიძე — შალვა ამისილაშვილი „კამარის ყვავილები“, ბიბლიოგრაფია	154
პ. ნახიძე — ოთხი საბავშვო წიგნი, ბიბლიოგრაფია	156

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯი:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადინი, ლეო კიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე, სერგი ზილაია.

ხელმოწერილია დასაბუღად 28/III-51 წ. ნაბეჭდ ფორმათა (სივრცის) 10 ფ. შპ 00538. შეკვ. № 180. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს კავშირის სიტყვის კომისიის, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5.



ახალი წიგნები



საბჭოთა მწიბრალი

- აღ. უაზბეგი — თხზულებანი, მე-5 ტომი, რედ. ს. ზიქოვანი, გვ. 560, ფ. 25 მან.
 გრ. ორბელიანი — თხზულებანი (ლექსები), რედ. შ. რადიანი, გვ. 256, ფასი 12 მან.
 ემ. კაჭკაჭიანი — ვარსკვლავი (თარგ. ქ. აღმაშას), რედ. პ. ზახტურიძე, გვ. 192, ფასი 5 მან.
 დ. გულია — კამატივი (თარგ. რ. გვეტაძისა), რედ. დ. მისიურაძე, გვ. 212, ფასი 8 მან.

საბლიტბაში

- ნინო ნაკაშიძე — მოთხრობები, რედ. მ. ბურჭულაძე, გვ. 180 ფ. 10 მ.
 ოთ. ჩხეიძე — ტინის ხიდი, რედ. ა. გომიაშვილი, გვ. 206, ფ. 9 მან.
 მათეაძა მრეწველი — დილა მშვიდობისა, რედ. გ. ლომინაძე, გვ. 36, ფასი 3 ზ. 50 კ.
 ვერა ბუაჩიძე — მოთხრობები, რედ. ბ. ჩხეიძე, გვ. 35, ფასი 2 მან.
 შოთა მღვიმელი — საბავშვო ლექსები, რედ. ერ. ქარელიშვილი, გვ. 199 ფასი 7 მან.
 ირაკლი აბაშიძე — რას გადაურჩა თბილისი, რედ. ი. გრიშაშვილი, გვ. 54, ფასი 6 მან.

საქმედბაში

- ა. აღექსიძე — ცოფი, გვ. 15, ფასი 1 მან.
 ლ. ანჯაფარიძე — ბრუცელოზი, გვ. 23, ფასი 1 მან.
 ხ. ასათიანი — სამედიცინო საქონელმცოდნეობა, გვ. 134, ფ. 4 მ. 60 კ.
 გ. პაბტაძე — თავის ტკივილი და მისი მკურნალობა, გვ. 26, ფ. 1 მ.
 ხ. ბუაჩიძე — ჰექსუნალის ნარკოზი, გვ. 59, ფასი 2 მან. 80 კა.
 გ. გურგენიანი-ილიანი — ზოგადი საექიმო სახელმძღვანელო სტრუქტურა და ექიმთათვის, გვ. 639, ფასი 17 მან. 40 კ.
 ე. ზაქარიაძე და ნ. ვიზოფტი — სანიტარული წესები საცხოვრებელი ბინებისა და ეზოებისათვის, გვ. 15, ფ. 1 მ.
 გ. თვალაძე — აღამიანის ანატომია (სახელმძღვანელო სტრუქტურათათვის), პროფ. ა. ნათიშვილის რედაქციით, გვ. 464, ფ. 11 მან.
 მ. ჩაჩავა — დამწერობა, გვ. 24, ფასი 1 მან.

8 8 8 8 8

38/76
საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო

8/52



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ